1934/4

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

114/4

4

22

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

სიმ. ჩიქოვანი
ს. შანშიაშვილი
ელ. პოლუმორდვინოვი
კონსტ. გამსახურდია
მაქსიმ გორკი

კრიტიკა
და პუბლიცისტიკა

მ. ტოროშელიძე
კ. კაპანელი

მეცნიერება

პროფ. ი. ბერიტაშვილი

მემუარი

ალ. ჯაგადარი

1 9 3 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

გვ.

სიმონ ჩიქოვანი — თქმულება ამირანზე (პოემა) 5

ს. შანშიაშვილი — სამნი (მოთხრობა) 23

ელ. პოლუმორდვინოვი — იღვიძებენ მთები (მოთხრობა) . . 48

კ. გამსახურდია — მთვარის მოტაცება. რომანი (გაგრძელება) . 83

მ. გორკი — რუსული ზღაპრები (თარგმ. **ივანე მაჭავარიანისა**) . 105

კრიტიკა

მ. ტოროშელიძე — ეგნატე ნინოშვილი 137

პუბლიცისტიკა

კ. კაპანელი—ფაშიზმი ბურჟუაზიული ევროპის აზროვნებაში . 152

მეცნიერება

პროფ. ივ. ბერიტაშვილი — რეფლექსი და ქცევა 168

მემუარი

ალ. ჯაბადარი — მოგონებანი (გაგრძელება) 190

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ყოველთვიური
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

5237

Г.П.Б. в Лнгр.
г. 1934 г.
Акт № 232

4

წელიწადი მეთერთმეტე

სახელგამი 1934 ტფილისი

პ./მგ. რედაქტორი: **გიორგი ყურულაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

ს. ეული, გრ. მუშიშვილი, შ. რადიანი, დ. სულიაშვილი, გალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ./მგ. მდივანი).

რედაქციის მისამართი:	ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 1—65 ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.
კანტორის მისამართი:	ტფილისი, ალმასკომის ქ. № 7, პერიოდსექტორი.

სახელგამის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პროსპ. № 91

მთავლ. რწმ. № ა—224. შეკვ. № 354. ტირაჟი 5000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეგნატე ნინოშვილი

ჟურნალ „სალიტერატურო მემკვიდრეობა“-ს მასალებში დაცულ ახლად აღმოჩენილ ფოტოდან გადმოღებული **დ. ნაცვლიშვილის** მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

თქმულება ამირანზე

> რამეთუ ქვეყანა მეგრელიისა ექვემდებარება, გაზაფხულის წვიმიერობასა და წყალდიდობასა. ხშირთა წვიმათაგან ადიდროვდებიან მდინარენი და ლანქერი ჩამომავალნი მათთაგან საშინელისა ოხვრითა ჩამოედინებიან მიდამოთა ველთა ზედა და მორწყავენ ყოველთა ვაკეთა. ესე გაგრძელდების უხშირესათ მარტის ცხრიდან მაისის შუამდე.
>
> ძველ ხელთნაწერებიდან.

იყო მაისი. ხეთა ჩრდილები
მდინარის გაღმა აშვერდენ ხელებს.
ცაცხვები იდგენ
ბრძენებრ ზრდილები
და ტირიფები ჩასცქერდენ ღელეს.
ჩრდილი მდუმარე და ფერნაკლული
ნთქავდა მზვარეს
და სიმწვანის დედანს.
ფოთლების რხევა და გაზაფხული
ღვრიდა ბუნების დაბინდულ ფერადს.
სოკოზე დაბლა სოფელს დავარდნილს
წინ დაეფინა მინდვრის სილურჯე.
მდინარის ფსკერშიც სჩანდა ლაჟვარდი
და შიგ არხევდა ბუჩქების ფუნჯებს.
ნაპირზე იჯდა ლაჟვარდს შემყურე
ამირანი და გავდა მეთევზეს.
ნიავით ხვნეშდა მუხის ხვემური
და ბულბულები თვლემდენ ტოტებზე.
ყმაწვილს მოსწყინდა ნაპირზე ყოფნა,
ადგა, აღმართა სქელი ბეჭები.
შინაურ ფრინველს ეძინა სოფლად
და გასცქეროდენ ცას კამეჩები.
ვაჟი წავიდა ქოხისკენ მტკიცეთ,
უმზერდა დაბლა დაშვებულ მერცხლებს.
დღე ილეოდა და ხეებს იქეთ
ცის თავდაღმართი იწოდა ცეცხლზე.
ჭილოფზე ისხდენ კატა და ძაღლი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკრა სიმშვიდე ორივე ბანაკს:
თითქო უთხრობდენ
ბუნებას დაღლილს
ქილილასა და დამანას არაკს.
მწვანე ვასაკაც, დუნე ჰაერში,
ხის სიმაღლიდან გალობდა ვითომ.
და მოხუც ცაცხვთან
ხვემურის მტვერში
ათამაშებდენ ხვლიკები ხვითოს.
მდუმარე ვაჟიც ჩამოჯდა კართან
გახედა დაბლა დაშვებულ მერცხლებს.
აიღო კვესი, ჩამოკრა კაჟს და
თვალებით გაყვა მფეთქავ ნაპერწკლებს.
ვაჟი უცქერდა ნაპერწკლის ციმციმს,
ციცინათლებად ყრიდა მიწაზე.
აბედიც გახსნა და როგორც ქინძი
დაყნოსა,
შემდეგ დადო ფიცარზე.
მან გაიხსენა: ცხენი, როდესაც
ტორებს დაარტყამს, როდესაც ქვაში
ბაადენს ცინცხალს, ქვასაც მოლესავს
და ნაპერწკლები იშლება ბარში.
ნაპერწკლის ნახვამ ყმაწვილ ხასიათს
გადაუშალა ვარსკვლავთ კიაფი.
ციცინათელის ჯგრო ათასობით
და ყინულებზე ელვა წრიაპის.
წარმოიდგინა სამჭედლო, შემდეგ
გრდემლზე ამდგარი ცინცხალის მტვერი.
ხელაშვერილი ცაში მჭედელი
ცეცხლის და ოქროს დაღვრილი ფერი.
ან დაწოლილ მზის გადასვლა ნოხზე,
ცინცხალის კოხი, ნაფანტი ხალხში.
პალიასტომის ზემო ტატნობზე
ხანწკა ლერწმების, ხანძარი ცაში.
წარმოიდგინა სიცხე და ჩხანა,
გვალვით დამწვარი საღებავები.
ზღვის ჰორიზონტის
მქონე ქვეყანა
და გარინდული ზღვაზე ნავები.
ვაჟმა გახედა გატეხილ ურემს...
და ზღვიდან ამდგარ დაისის მკლავებს.
გლეხის თვალებიც ზეცის შემყურე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისით მზეს სდევდა
— ღამით ვარსკვლავებს.
ველარ მოთოკა ყამირი მიწა,
ვერ მოირჩინა ოფლით წყლულები.
და თვალუწვდენელ დაბლობში იწვა
კავით გათლილი მიწის ხნულები.
ხეთა ტოტები, როგორც ყურები
ძირს დაშვებულნი
დასცქერდენ მამულს
ყელსახვევივით აპეურები
შვენოდა ხარებს უღელში გაბმულს, —
მაგრამ ელვები, ვარსკვლავთ ჯარები
ვერ დაიჭირა უიარაღომ
და სხვის მამულში
გლეხი ღარიბი
დუხჭირობსა და ზემოთ ბალახობს.
ვაჟმა შეხედა ქოხის ლაფაროს,
ქოხზე მიწნული ბუდეა ორფად.
ისლმა მერცხლების ვნება დაფარა
და გამოჩეკა ბარტყები ქორფა.
ბუდის დანახვამ, ციცნხლების ბაღმა
ახსნა ბუნების ძალა და ფრენა.
და მიწის სახე ხის იარაღმა
ვერ გარდაქმნა და ვერ გადაფერა.
ამირან, ცეცხლით, თავის სეხნიას
წააწყდა, მიხვდა მიჯაჭვულ გლეხკაცს.
დააწვა მიწას, მშვიდათ ემთხვია
და სიყვარული აღეგრძნო ეხლაც.
მდიდარ ვარსკვლავებს უქადდა კვესი
უძრავ ბუნების დაფარულ ძარღვში.
ბელტსა და ბელტს შუა
გაცოცხლდა თესლი
და გააოცა დაბლობის ბავში.
ვაჟმა დასთვალა მაშინ სამი მზე
ერთი ზეცაში, მეორე წყალში.
მესამე ედვა მდიდარს საინზე.
და შემწვარივით შექონდა სახლში.
მაგრამ ყამირი გლეხს აწვა ზურგზე,
როგორც სახნისი ელავდა ჭარბათ.
ადნობდა ვიწრო ყანის ხურგსა და
ცეცხლს უმზადებდა მდიდარის დარბაზსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

და დიდხანს იდგა ჭაბუკი ეგრე,
უსმენდა ჩუმი მწერების ჟრჟოლას,
უცქერდა ქალებს და ჭანდრის ნერგებს
და ყაჭის სუნი მოქონდა ბჟოლას.
მდელოს დაეცა ცვარის ალმასი
და ათამაშდა ცრემლი მრავალი.
სოფელში მწუხრი დაწვა ლამაზი,
ადამის დროის შთამომავალი.
სადღაც მღეროდა გლეხი ბაიათს,
ესმოდა ჭაბუკს გლეხკაცის ვალი.
აწვა ბორიო ოტობაიას,
და შელებილი ცის დასავალი.
უკვე მიწიდან ამხტარი ძაღლი
იჭერდა ბუზებს თათეულ მუჭით.
ვაჟიც უცქერდა ბუნებას დაღლილს
და ორთქლს ხარშავდა ჭაობის კუჭი.
სოკოზე დაბლა, სოფელს დავარდნილს —
სულ ეზო-ეზო ეწყო ფართობი. —
თითოს რგებოდა მცირე ლაჟვარდი
და თითო-თითო ზეცის მნათობი.
ოჰ, რა იქნება ამდენი ცეცხლი,
შეკრიბოს კაცმა, დაახარისხოს.
და როგორც ბუდე ნაშენი მერცხლის,
მიადგას სახლს და გაახალისოს.

. . . . . .

ფიქრობდა ვაჟი, მაგრამ უეცრად
ამირანის ცეცხლს დაასხეს წყალი.
საოცარ სუნით სული აეცრა,
იგრძნო ჰაერში ქარის წანწალი.
ზღვის სუნი დადგა ეზოებს შიგნით
და შეარყია სიმშვიდის ბინა.
ტყეს დაეტაკა ქარბუქის დინგი
და მგლის ჯოგივით გადაირბინა.
დღე დაისერა წკურუმის დანით,
ხმელეთი ჩაჯდა გრიგალის ნავში.
და ჩინარები აწეულ ტანით,
შავბნელ ტოტებით შეირხენ ცაში.
უცებ აფრინდენ ტყიდან ჩიტები
და შხვერთა ალვებს ჰაერმა ქარი.
ფოთლები გაჩნდენ და ფირფიტებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყიდან დაიძრა ხეების ჯარი.
დაფრთხენ, დაცვინდენ ქათმებიც ხიდან.
მიწას დაეცნენ, ფრთები გაშალეს,
ცაცხვი სიბრაზით
ნაფლეთებს ყრიდა
ცა აგზავნიდა ჩამქრალ მაშხალებს.
ძროხის ბღავილი უხმობდა ველებს,
ნაგაზის ყეფა, მოზვრის კვიატი.
შემოუერთდა ეზოს ფრინველებს,
დადგა ხმაური და იშვიათი
დაემხო ხმელეთს
რუმე წყვდიადი.
ქათამთ საჭერათ ქალნი დარბოდენ.
დარბოდა დედა, კატა და ბავში.
ლამბაქებივით ყავრები ოდებს,
შორდებოდენ და მიქროდენ ქარში.
ბუდიდან ამხტარ კრუხის კრიახმა
მოგვარა შიში ბალღებს და ლეკვებს.
ხმელ ლაქაშებს ძრწოლა ეახლა,
და შეახალა ღობეს და ეკლებს.
მაშინ სისინი მოედო შოლდებს,
ცის შუქი მოკვდა კამეჩის რქაზე.
შორს ვარსკვლავები
ზეცაში თრთოდენ
და ეცემოდენ წყვილ-წყვილათ ქვაზე.
სოფლის ეზოებს მოედვენ ქალნი
იჭერდენ ხვადგებს, წყევლიდენ ამინდს.
მიშრიალებდენ ხეებში ქარნი
და ამაყობდენ მოტანილ ღამით.
დალეწეს ჭილი, გავარდა კვიცი,
ქოხს ზემოთ გატყდა
სარტყლის ფიცარი.
ფრთებს იწეწავდენ კრუხები ფიცხი
და შეკიოდა ეზოს ციცარი.
თითქო ოთხფეხის დაიწყო ლხინი
და გადიშალა ზეცის ქვეშ შეფა.
მამლის ყივილი, ცხენთა ჭიხვინი,
ღობეზე შემხტარ ძაღლების ყეფა
მოედვა სოფელს და დარბეული
დადგა ხმაური, ცა გავდა წაშლილს.
ფურცლებათ შლილი ქარის რვეული
დაიფლითა და გაფრინდა ცაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი და კარი, კარი ჭიშკარი,
ზარი რა ზარი, ქარის ფაფარი,
ზღაპარი გარეთ. ხეების ჯარი
და გაფანტული კარში ნაცარი
მოედვა სოფელს და დარბეული
გაჩნდა რეკვა და ბუნების ლხინი.
ქარს ღულუნებდა
ცაცხვის ხვემური
ეზოს არბევდა ცხენის ჭიხვინი.

. . . . . .

გაოცდა ვაჟი, ფიქრობდა შიშით:
რამ ააჯანყა ოთხფეხი აგრე,
ქვეყანა გავდა გახდილს და შიშველს
და საუკუნის დანგრეულ ნანგრევს.
ამირან გრძნობდა
გლოვას და ტირილს.
ტერფებით სრესდენ ბალახის ნოხებს,
თითქო ბუნებამ იბრუნა პირი
და გაუმხილა გუმანი ოთხფეხს.
უცებ ეზოში გამოჩნდა მამა,
დაემხო მიწას, ვაჟკაცურ ზაფრით
დაადვა ყური და როგორც მაჯას
ისე სინჯავდა მიწის ზედაპირს.
თითქო შეაკრთო ზაფხულის მეხმა
სწრაფ ალიმართა, როგორც ჭანდარი
თქვა გარინდებით: „იგრძნო ოთხფეხმა
წყალდიდობა და შავი ავდარი“.
წამსვე ამირან მივარდა ჭიშკარს,
აყარა ბოგა, ბოგის ფიცარი
მიადვა ჭიშკარს. ჯებირი იშვა,
ზედვე დაარჭო რკინის ფიწალი.
დაურჭეს ჯიგო, მიადგეს ჯირკვი
დაფისეს მიწით, გახდა პიტალო
ბოგა აყრილი, თხრილები ირგვლივ
და ეზო მოწყდა სოფლის მიდამოს.

ჭიშკარი მტკიცე დასტოვეს აგრე
როგორც ციხე და როგორც სიმაგრე.

მამა და შვილი ჩამოსხდენ გარეთ,
დარდით გასცქერდენ დაბნეულ სოფელს.
ქარი რეკავდა სამრეკლოს ზარებს
და ეზოებში ისროდენ თოფებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ რომ შორსა ვართ
ეს არის ბედი —
სთქვა მამამ მშვიდათ, გახედა ზეფირს.
— თუ მოაღწია მოვა მცირედი
და ჩვენ ეზოსთან შეხვდება ჯებირს.

III

შუადღიდან დინჯათ მდუმარ მდინარეს
ემატებოდა ნელი-ნელ ძალა
მოდუნებული კოლხიდის მხარე
ზეცის ქვეშ ფართოდ გადაიშალა.
ვრცელ ნაპირებზე ბუზების გუნდი
ზუზუნებდა და ქრებოდა სადღაც.
ტალღების შიგნით წყლის იაგუნდი
ნთქავდა ხესა და დოლაბის ფაცხას.
ცხელ დღის სიღრმეში, მთვლემარ ხეებთან,
ბუზის ფრთასავით ყუჩობდა სივრცე.
მხოლოდ მდინარე ზეცას შეება
და წინ აღუდგა სიჩუმის სიბრძნეს.
და როს დაღამდა წყალის ბუდეში
გასივდა ტალღა, განშორდა სიორს.
დასძრა ლანქერმა
ზაფხულის თქეში
და ცხენის წყალმა გასძახა რიონს.
რიონმა იწყო წამოზრდა ნელა,
ფსკერიდან ზემოთ იმატა სისქე,
ველს დაეფინა ვით ცისარტყელა
და წყლის ფერები
გაუშვა ცისკენ.
მდინარეს სუდრა მაღლა აწევა,
წუთით გადაწვა მარჯვენა გვერდზე.
შემდეგ ის გავდა მომართულ მწევარს
გავარდნილსა და
დავარდნილს ველზე.
მაშინ ვრცელ დაბლობს
გაუსხლტა ძერა,
დაიძრენ ხიდან ხმელი ყანჩებიც,
ააჟღარუნეს ბუნების კერა
წვიმის ჩანგებით და ქამანჩებით.
და როგორც უთქვამთ,
მდინარის შიშით
ვით მელოგინე ქალი ლოგინში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონი დაძრულ ნაპირებს გლეჯდა.
შემდეგ წამოდგა ბოლმით შობილი
და ფაფარივით სოფლებზე შეჯდა.
ფრთებივით ტალღა შემოკრა ტალღას,
ბარს მოუტანა მთიდან ლანქერი.
ტალღის ლაშქარით
მოვიდა ხალხთან,
შექმნა კივილი და ღრიანცელი.
მდინარემ წარღვნით მოიკლა ჟინი,
ეცა გვიმებს და გალღვა ალმასათ.
ჭებში ჩავარდა ღრუმე თქიშინით
და ეზოები მოიკალმასა.
მინდვრათ ჩაგზავნა ჩქერები უცებ,
ჯერ ხის ჯირკებით მიიღო ხემსი.
მერე გადაწვდა დაბლობის ბუჩქებს
და ჭანდარები გაიწყო მხრებზე.
მაღალ ზვირთების მღვრიე ძაღლებიც
შერბოდენ სოფლად.
ყანებს და ველებს,
როგორც საინებს სლექდენ ტალღები
და მიქშუოდენ მკივარ ფრინველებს.
ცის ქვეშ გაშიშვლდა წყალი აშკარად
წივილ-კივილით დაეცა თევზებს.
მიიღო ციდან წვიმის ლაშქარიც
და წისქვილებიც გაიდო მხრებზე.
ოჰ, გაუმრავლა სოფლებს ობლები.
მოსრა ჭორთები, ხილის ბაღები,
მუხლზე დაიფშვნა ურმის ბორბლები
და ხის სასოფლო იარაღები.
მინდორებს ქაფით მოავლო სირმა,
ნალიაც ჩანთქა როგორც წიწილა,
და ვით არწივმა მთებში დაჭრილმა
ფრთხიალით ფშანი გადიწივილა...
. . . . . .
ქშენით, გრიალით, ეგრე და ეგრე
ეტაკა კოკებს, დატყდენ კოკები.
და შეაჯახა კოპიტის ნერგებს
ბოკონები და სოფლის ქოხები.
ქშუოდა წყალი, წყალი მზაკვარი
და საქონელი მოკუნტა შიშით.
დასძრა ზეცა და ბავშვის აკვანი
და ველს მისდევდა ქშენით, ყიჟინით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანქერ მოედო: რაოდენ რამდენს,
და გადაზნიქა ბრძენი ცაცხვები.
ეზოებიდან შორს მოსცურავდენ:
ხის ქუდები და ჩრიე ფაცხები.
და ჩამოყურსულ ღამის სარკეზე,
მოქონდა სახლი, ხე და ბარაკი
სულ გადიშალა უწვდენ ვაკეზე,
წყალი ზვიადი და ფათერაკი.
მოგლიჯა ხაბო. წაშალა ფონი,
ააწიოკა ხალხი და ფარა.
ჭალადიდი და სერიაჩქონი
ზღვას სველ ჩვრებივით გადააყარა
ტყვირი, კოდორი და შუაქალაქი
დაფნის ბაღები და წალიკარი
წყალმა შხუილით შეაქანავა,
თავზე დაამხო თეთრი ლაშქარი.
ო, შეუნგრია სოფლელებს კარი,
წალეკა ველი, წაილო გული.
წალიკარი და გულეკარი
ყანჩარა, ოჩე და ობერგული
წყალზე დადგა და დიდი ბორანი
ისროლა ზვირთმა
ზღვისკენ ხმიანად
ხიდან აფრინდა შავი ყორანი
და წყლის ტატნობზე
შეიფრთხიალა.
დარეკა ზარი, ზარი საზარი.
ზარით და ქარით სივრცე გაბზარა
და წყალის ზურგი უზარმაზარი
ზარმა ზვირთებით შეაზანზარა.
წყალის მეწყერი, ჩანთქა ეწერი,
წივილ-კივილით დაეცა ფრთებზე.
წაშალა ყანა სადაც ეწერა
და წისქვილები გაიწყო მხრებზე.
ქვეყანა მოსრა მდინარის პირმა,
დედამიწის მკერდს დაჰკრა იარა
და ალიონზე მთებში შობილმა
ზღვისკენ ტალღებით ჩაიღრიალა.

. . . . . .

ტყვირი, კოდორი, და შუაქალაქი
მზის დაფნარები და წალიკარი
ტალღებმა ქშენით შეაქანავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე დაამხო თეთრი ლაშქარი.
ო, შეუნგრია სოფლელებს კარი,
წალეკა ველი, წაიღო გული
წალიკარი და გულეკარი,
ყანჩარა, ოჩე და ობერგული.

. . . . . .

შემდეგ ჩააგდო სიმშვიდე ტყეში,
გამოიწვია ციდან ლანდებიც.
ჩასვა სახლები წყალში და თქეშში,
როგორც სანდლები და ხომალდები.
შუბლგარეცხილი გადმოდგა მთვარე
და მიუშენა ჩრდილები სახლებს.
დახედა წყალში ჩაღვრემილ მხარეს
და მოქათქათე რიონის ტალღებს.
მაშინ ცა შეხვდა ხმელეთს ბოდიშით
და ვარსკვლავებით მიწას ეწვია.
წყალს ზემოთ დადგა მთელი ოდიში.
როგორც ოცნება და ვენეცია.
ზეცას გასცქერდენ ბნელი ჭორთებიც,
ფეხქვეშ იხილეს ცის მხარეები.
და ატივტივდენ ფართო ფოთლებით
წყალში მცხოვრები მცენარეები.
ჩამოტყდა ცა და დაეცა მიწას,
შუქიც მისდევდა გაფრენილ კვათარს.
მთვარეც ეკიდა ჩინარის ფიწალს
და ძირს ვარცხნიდა რიონის ფაფარს.
აფრინდა წყალზე ზღვის ფილაქვანი
და ვეზირივით მიიღო შფოთი.
ხემ შეაჩერა ბავშვის აკვანი
და ჩააწვინა მომტყდარი ტოტი.
წყალიც დასძლია ძილის წადილმა
და გულს გადიგდო მწარე მუქარა.
კავკასიონზე ამოვარდნილმა
პონტოს ზღვისაკენ ჩაიმქუხარა.

IV

შორს ეზოებიც გაივსო წყალით
და მხოლოთ მშრალი შერჩა ამირანს;
როს ქოხში ღამემ გააღო კარი
ამირან იჯდა კერიის პირას.
კარს მოსწოლოდა დაღლილი ტალღა
შეტაკებოდა ჯებირს და შვიარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უგრძვნია
თხრილებში დაღლა
და ჭიშკრის ბჭენი ვერ შეენგრია.
ეხმარებოდა მეზობლებს ღარიბს
ამირანი და ებრძოდა ფარსაკს.
შუალამის შემდეგ დამშვიდდა ბარი
და მძლე ჭაბუკიც სულ მოიქანცა.
ახლა ესმოდა მთვლემარ ამირანს
მოვხსნი ბალავარს, მაგრამ, არა ვარ
მტერი, ვდგავარ ცეცხლის ნაპირას.
ვდგევარ და ვგავარ მერყევ გალავანს,
ესმოდა ყურში მთვლემარ ამირანს
როგორ ტყდებოდა ცაცხვი და ფიჭვი,
მდინარემ სივრცე როგორ გაგმირა
და გაამართლა წარღვნების იჭვი.
როგორ დაუფრთხა წარღვნას კვათარი,
არეკა ცაში ფრთები და შიში,
ღობეებს გლეჯდა წყალის ფაფარი
და ხალხს უქადდა ვაის და სიმშილს.
ესმოდა ყურში მთვლემარ ამირანს
მოვხსნი ბალავარს
მაგრამ არა ვარ
მტერი და ვდგევარ ხანძრის ნაპირას
ვდგევარ და ვგავარ ცეცხლის ფალავანს.
შუბლგარეცხილი გამოდგა მთვარე
და აღუბეჭდა სიმშვიდე ბალღებს.
დახედა წყალით დაწუნწულ მხარეს
და მოქათქათე რიონის ტალღებს.
მეორეთ მოსვლის ტალღების ყანას
გულწრფელი ზეცა შუქით ეწვია.
და ქანაობდა წყალში ქვეყანა,
როგორც ოცნება და ვენეცია.

იწრიტებოდა წყალი და ღამე
და თეთრდებოდა ცა მოკამკამე

V

ამირან ბიჭმა თავისი ეზო
გადაარჩინა გარჯით და ხერხით.
ამბობდა წყალში მდგომი იესო
და გულს უვსებდა ელვა და მეხი...
— ჩემს სახლს მოედო მდინარის ცეცხლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობნიც გახდენ უჩინარები.
წარღვნამ დაჟლიტა
ბარტყები მერცხლის
ჩემი ჭანდრები და ჩინარები.
ავიყვან მაგ ბიჭს, მაგრამ მეშინის
ასეთი ურჩი ოჯახს აგირევს.
უნდა გეჭიროს როზგი რეზინის
და ეგებ დასცე მოჯამაგირე.
ამბობდა ასე სველი ბობოლა
და ამირანის სახლში მორბოდა.

VI

ცამეტ დღის შემდეგ ამირანს ქოხში
ჩვეულმა ღამემ შეუგდო მზერა.
და ბიძა მისი, დედ-მამა მშვიდი
ირგვლივ მოუსხდენ პაპეულ კერას.
ცეცხლი არ ენთო. ნაჭა ხნიერი
არ ამზადებდა ჭაბუკის საგზალს.
და სახეებსაც ჭრაქის იერი
დათამაშებდა ფერადის მსგავსად.
უცხო სერობას უბისის ჭვარტლში
და წმინდანებათ გლეხებს განჭვრეტილს
გავდა ოჯახი, ფიქრების თალხში
და ერყეოდა ფუძე და სვეტი.
თითქოს წყდებაო სიმშვიდის ბეწვი,
მოხრილი მხრებით დასცქერდენ მიწას.
ბიჭმა შეყლაპა მოთმენის ნერწყვი
და დაარღვია სიჩუმე ბიძამ:
— ძაან მოეხმარე მეზობლებს ამი...
ღონე გერჩის და ყელი გაქვს ჰოეს.
ეხლა სად მიხვალ
ვერ დაგთმობთ წამით.
შენ შინ დარჩი და ნუღარ დაგვტოვებ.
წინასწარ ვინ ჭვრეტს ბუნების ონკანს, —
დიდ ძალაა ცეცხლი და წყალი.
ცეცხლს ვინ ჩააქრობს,
წყალს ვინ დაბორკავს
სხვაფრივ ტრიალებს ქვეყნის ბორბალი, —
სთქვა და ლანდები ჭრაქით ნახაზი,
ზემოთ ამოძვრენ სიბნელის ჭიდან
და მთვარემ მჯდომმა ზეცის ქალალდზე
მაღლიდან ქოხში შემოიჭვრიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გაუნათლა ამირანს შუბლი
ტანი კი ჩარჩა სიბნელის კვამლში.
მამამ დასძლია დაწოლილ დუმილს
და თავის სიტყვა წამოსთქვა მაშინ:
— ხელობა თუ გსურს, მჭედელი ესო
აქვე სოფელში გვიწრვთნის ოსტატებს.
წაყევ შეგირდათ, მეზობელ ეზოს
მოეხმარე და ცოდნაც მოსტაცე....
და მშვიდი მამა დამშვიდდა წამსვე,
სულ გაუღვიძა ამირანს ფიცხი.
შესძაგდა ჭაბუკს ოჯახის ხავსი
და გულში შეხტა ჯიუტი კვიცი.
წარმოიდგინა იესოს გრდემლთან
ღარიბი გლეხი და მჭედლის ურო,
ისლის ქოხები, შეყრილი ერთად
და ნაჭასავით დაწნილი სურო.
ამირან მიხვდა თავის სეხნიას
მჭრელ გონებისთვის
მიჯაჭულ გლეხკაცს,
მიხვდა ვინც ხვრინავს, ვინაც მეხრეა
და ვინც სხვის შრომით
ნებივრობს ეხლაც,
ასწია ხელი და გააქანა,
თითქო სუფრიდან ისროლა იჯრა.
გამოიწვია მთელი ქვეყანა
და გულმოსული ზე წამოიჭრა
— ვერა, ვერ ვიზამ — სთქვა გადაწყვეტით—
იესო ლუკმას პირიდან გვაცლის.
სოფლად არ მინდა დარჩენა მეტი,
მხრებზე მაწვება სარტყელი ფაცხის.
დადუმდა ყველა. და მხოლოდ ბიძამ
ჩიბუხში გლარჯა ჩატენა ცერით,
კაჟზე აბედი დაადო ფიცხლათ
ჩამოკრა კვესს და მოიწვა წვერი.
ოჰ უხერხული სიჩუმე ვრცელი
აწრიალდა და ჩამოწვა იქვე.
ღარიბ ოჯახის გზის საფუძველიც
შეტორტმანდა და მიეცა ფიქრებს.
მაგრამ სულ მალე რუმე კუთხიდან
დაიძრა ხვნეშა გამტეხი ბედის.
და თითქო სხვების დუმილს უფრთხისო,
ისე გაისმა ქვითინი დედის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ტიროდა და ურჩი შვილი
იკუმშებოდა ნაჯანყებ ტვინით.
დედა საწყალი. დედა მორჩილი.
და თქარუნობდა ქოხში ქვითინი.
შეძრწუნდა სახლი. ამირანს სწრაფად
მოსტეხა ფრთები დედის კრიახმა.
ვაჟის მიზნები, როგორც აფთრები
დაიფლითა და ტანზე მიახმა.
არ იბოდიშა. დაღვრემილ სახით
დახედა ქოხს და ოჯახის სახსარს.
— მე წყალდიდობის ტალღა მეძახის
მაგრამ დავრჩები, არ წავალ არსად.
აღმოხდა ჭაბუკს.
დამშვიდდა სახლი
და ჭრაქის შუქი დაადგა მიწას.
მთვარეს უყეფდა მეზობლის ძაღლი
და ქოხში სიტყვა წარმოსთქვა ბიძამ:

გულიდან მომწყდა ბიძიავ ლოდი
ნეტავ ვიცოდე სად წახვიდოდი.

მალე ნაჭასთან წამოდგა ფუტი.
და აღიმართა საკმევი სვეტი.
თითონ კერიაც გაღვივდა წუთით
ვით ცეცხლის სიტყვა და პერგამენტი.
მხიარულებამ მოიცვა ქოხი,
დადგეს ხონჩა და მოუსხდენ ნაზუქს.
მხოლოდ ამირანს, ელვა და მეხი
გულს უვსებდა და
არღევდა ჭაბუკს.

VII

უკვე შუაღამე გადასულიყო,
ციდან ჩამოწყდა ვარსკვლავის შხეფი.
ისლში ჩაფლული ქოხი გაიღო
და გადმოვიდა ფეხებ აკრეფით
ამირანი და გაუდგა შარას.
ზურგზე ეკიდა ხურჯინი რბილი,
გადაიარა სოფელი ჩქარა
და აღმა აყვა მდინარის ბილიკს.
წამით შეჩერდა მდინარის პირას,
დასტოვა ქვაზე ქუდი და აბგა.
და შემდეგ აღმა მავალს და მზირალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაუხრია კისერი დაბლა.
დაბლობს ეძინა. ნესტის სუნივით
იწვა სიჩუმე თხმელების თმებთან.
და ცაზე ხომლი, როგორც სურვილი
ინდოეთისკენ გზას ანათებდა.

. . . . . .

ჭაბუკი გაყვა ფეხებს და ფიქრებს
უთუოდ დედა დაიწყებს ჯახირს.
მაგრამ მამა კი ძალას მოიკრებს
და უპატრონებს ოჯახს და ნახირს.
ვაჟმა ფიქრებში ჩახედა სოფელს:
დედის ტირილი ესმოდა სადღაც.
მამა და ბიძა ეზოს იყოფდენ
და ქარი შლიდა ჩინარის ატლასს.
მშრალ ლაფაროსთან ხე იდგა სწორი,
ბნელში კვდებოდენ ვარდის კონები.
ხოლო ღელეში ლაქაშებს შორის
ენთო ვარსკვლავი და კოკონები.
მან ყური მოკრა მეველეს ყვირილს,
განვლილ ბავშვობას, ღარიბს და უბირს
გადურბენია ოჩე და ტყვირი
და რომ შორდება
სწუხს და უკვირს.
ჭაბუკის მამამ, და მამის ბაბუმ
ბაბუზე ადრე უხსოვარ პაპამ
შეწირა ღონე კამეჩებს გაბმულს
და ამ ჭაობის ჰაერი ყლაპა.
ამირანს კი სურს ბედი გაკვეთოს,
გარბის სოფლიდან ოცნების გზირი:
ვინც სახლში დარჩა რა გააკეთა?
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი.

. . . . . .

ამირან გაჰყვა ფიქრებს და ფეხებს,
მან გაიხსენა თქმულება სოფლის,
როგორ ეწვია სეხნია გლეხებს
და უღარიბესს მოსწმინდა ოფლი.
თუ როგორ კრებდა
ნაპერწკლებს კაჟის
უყვარდა ბუდეც ნაშენი მერცხლის.
იყო ღარიბთა დამხმარე ვაჟი
და ბჟუტავ კერას შეუნთო ცეცხლი.
მაგრამ მჭედელებმა, ვაჟკაცი მარჯვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიპყრეს, ლადრით აუვსეს პირი.
გადაატარეს ბარზე და ჯაჭვით
კავკასიონზე მიაკრეს გმირი.
ტყვე მაინც გზავნის
ლანქერს, ნაკადულს;
ანოყიერებს სახნავებს ბარად.
და ნაპირებში ყანჩაც ნაკვალევს
სტოვებს წარღვნების მოსაგონარად.
ამირან ფიქრობს: თქმულების აზრი,
წარღვნის და ხანძრის კავშირში ნახოს.
და უნდა ჭაბუკს დაბლობში
აღზრდილს
მდინარით ცეცხლი გამოიძახოს.
ამიტომ ვაჟი გლეხკაცის ქოხმახს
სტოვებდა ღამით უკმეხ შვილივით;
გულს ედებოდა სოფლელის ბოღმა
და შორს კვდებოდა მამლის ყივილი.
მთვარის სხივებიც, მჭკნარ იებივით,
ეყარა წყალში, ქვაზე და ცვარზე.
და ვარსკვლავები შეციებული
ტანაბურძგვნილნი ვიდოდენ ცაზე.

. . . . . .

ვაჟმა დახედა მდინარის ფერადს
და დაბლა ჩამდგარ წყალის დროებას.
უკან წისქვილის ბორბლების ბგერა
არღვევდა ღამეს და მყუდროებას.
წისქვილის ქვაზე ურმის გოგორა
ვაჟს მოაგონდა, ჭრიალი ესმა.
ურემს მისდევდა სოფლის გოგონა
შეამჩნია და აღმოხდა კვნესა.
ურმის წინ გაჩნდა სწრაფ ეკიპაჟის
რბილი ბორბლები. ცხენთა ფაფარი.
შიგ იჯდა ქალი და ქალის თმაში
ქალის ხმებივით კიოდა ქარი.
მაგრამ ეკიპაჟს გაუსწრო ავტომ
დაკეცა შარა, ზეცა და ბარი.
ურემი დარჩა სოფელში მარტო
და ჩაუვარდა თხრილში ბორბალი.
გაქროლა ავტომ, ავტოს ხველება
შერჩა ზეცას და ზეცის ქვეშ მორევს.
ქალის თვალებმაც ცისარტყელებათ
ფანჯრიდან ხალხზე გადაიქროლეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოს რგოლებმა დაიპყრეს ზეცაც.
ბორბალმა ფრთები მოისხა თვითონ,
ჩაბრძანდა მთვარე, ეწვია მზესაც
და ცაში ფრენა ასწავლა ლითონს.
თითქო იელვა ორპირ რგოლებით
წინასწარმეტყველ ილიას ეტლმა
და ბრძენ ვაჟკაცის ციურ გონებას
სწრაფი ბორბლები შეუთხზა ცეცხლშა.
ბორბალი ცაში, ბორბალი ბარის,
ბორბალი მთვარის, მზიური ბირთვი
და დედამიწის ბურთის ბორბალი
გონების მილმა სივრცეში ილტვის.
წყალი და ცეცხლი რგოლებს აქანებს,
კამარის ქროლაც მიწიერ კიდეს
და ვაჟში აღსდგა, რაღაც მანქანით
მთლად საბერძნეთი და ჰეროკლიტე.
ვაჟმა გახედა ცხოვრების დამდეგს —
ეგდო ღამის ქვეშ ველი ტიალი.
და წისქვილიდან მიწის ბურთამდე
სჩანდა ბორბლების სწრაფი ტრიალი.

. . . . . .

და ამ ფიქრის დროს
მატარებლის ხმა
მოესმა ვაჟს და აჩქარდა იგი.
უკან ბორბლების ელერა შეიქმნა
და შუქმა გახსნა სიბნელის წიგნი.
მცირე ხნის შემდეგ რუმე ტყეები
შუაზე გაიპო. გაქრენ ამბებიც.
მატარებელმა დასჭრა ხეები
ფანჯრებითა და ელერალ ლამპებით.
მატარებელი ორთვალა ფარანს
ისროდა წინ და სტოვებდა წარსულს.
კიოდა მწარეთ, მიქროდა ბარად.
და მამლის ყივილს
აძლევდა პასუხს.
თეთრ ფანჯრებიდან სინათლის ცელებს
ხის კენწეროებს ურტყამდა თმაში.
თავდავიწყებით კეცავდა ველებს
და კუდმომწვარი გარბოდა ბარში.
რა იყო ირგვლივ? სოფლის უდაბნო
გზის დამარცხება ცეცხლით და რკინით.
სინათლის სუსხი შუშხავდა დაბლობს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვრცელ სივრცეებზე ფანტავდა კივილს.
და ვაჟს ესმოდა გაშლილ ვაკედან
ცხოვრების სიბრძნე, ბორბლების პირით:
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი.
მატარებელი უსწრებდა შარას,
შუქით მიქონდა სოფლის ნაჭრები;
მიქაქანებდენ ბორბლები ბარად
და ველზე რბოდენ ბრტყელი ფანჯრები.
და ვაჟიც რბოდა. ბუდიდან გული
ამოვარდა და ჩავარდა ბნელი.
იდგა დაბლობში ბორბალთ გუგუნი
და მშობელივით მოსთქვამდა ველი.
ცა კაშკაშებდა, სადგურის მხარეს
ჰაერს მოედო რკინის სურნელი.
და სამშვიდობოთ რეკავდენ ზარებს
ხის და აგურის საუკუნენი.
ამირანის წინ, ფოლადის ვაჟი,
კეცავდა სივრცეს. კვამლის თმიანი.
და მას მისდევდა ოცნების რაშით
პირველყოფილი ადამიანი.
სწრაფ ორთქლმავალმაც სივრცეს დიდებით
დაუშვა ველზე შუქის თათები.
წამოიზარდნენ ირგვლივ ჩრდილები,
მწევარები და გოლიათები.
მატარებელი ცეცხლით მხვნეშარი
სტოვებდა ხეებს, ჭაობებს ნასუქს.
აჩხრიალებდა რკინისგზის ხრეშსაც
და სოფლის მამლებს აძლევდა პასუხს.
გაჭენებული ბორბლების კრება
ხმების ხრამუშით აკრთობდა ლოდებს.
იყო ძაღლების გაბმული ყეფა
და აღვიძებდა ფაცხებს და ოდებს.
ცა კაშკაშებდა, იპყრობდა შარას.
ო, ვინ დასძლიოს სისწრაფე რკინის!
მიქაქანებდენ ბორბლები ბარად
და სივრცეებზე ფანტავდენ კივილს.
ბოლოს ჭაბუკის სრბოლის წერტილი
მიზნათ ელავდა კვამლიან რქაზე.
და ვარსკვლავები ჩამოწყვეტილი
ცივ შხეფებივით სკდებოდენ ქვაზე.

პირველი ნაწილის დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

სამნი

I „წითელი საფრთხე“

შუაღამე გადასულიყო.

თბილისის ქუჩებში ქარი შლეგიანობდა.

ხანდახან ელვა გაჰკრავდა და იჭექებდა.

ვერის ხიდთან, სანაპირო ქუჩაზე, სამი მუშა გამოჩნდა. ფეხაკრეფით მოდიოდნენ. იღლიაში ერთს შეკრული ჩანთა ეჭირა. მცირე ხანს შეჩერდნენ. თითქოს ვიღასაც ათვალიერებდნენ. უფროსი მუშა, სახელად გიორგი, მეორე მუშას ეკითხებოდა:

— რად იგვიანებს?

— ის არ გასტეხს პირობას!—ამბობდა ტექნიკურ სასწავლებლის ახალგაზრდა მოწაფე, სახელად ვანო.

— ვანო! იქნებ გელამ არც გასტეხოს პირობა, მაგრამ ეს საგანგებო რაზმელები ძაღლებივით დაძრწიან... ვაი თუ გზად შეხვდნენ...

— გელა გამოცდილი ბიჭია! ფიქრი ნუ გაქვს. ჩემთან ერთად რა არ გადაჰხედია! შეხვედრა აქ დავუნიშნე — უთუოდ საცაა გამოჩნდება.

ქარმა ვანოს კაკარდიანი ქუდი მოსტაცა.

ვანო მას უკან დაედევნა.

ვანოს მეორე მუშა ამხნევებდა:

— დაეწიე! დაეწიე! „ტექნიკა“ არ გაგექცეს! —

ქარმა ქუდი მარლაც მტკვარში გაგაისროლა.

თავშიშველა ვანოს ხუჭუჭ თმებს ქარი ეთამაშებოდა.

გიორგი ღელავდა არა მიტომ, რომ თვითონ ამხანაგებით საფრთხეში იყო და შესაძლებელი იყო საგანგებო გვარდიელებს შეეპყრათ, მით უმეტეს, რომ გიგოს გელასთვის გადასაცემად ჩანთაში ბოლშევიკური ლიტერატურა ჰქონდა, არამედ ღელავდა უფრო გელას გულისთვის — ვაი თუ შეეპყრათ და მაშინ გეგმის განხორციელება შეფერხდებოდა.

გიორგი ამ ფიქრში იყო გართული, რომ მის წინ ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა ისე გაირბინა, თითქოს მას უკან მოდევდნენ.

ის მირბოდა. შედგა ხიდზე. იქაურობა მოათვალიერა. გადაეყუდა. ხიდის მოაჯირთან ჩაიკეცა. რამდენიმე ხნის შემდეგ წამოდგა. უკან მოიხედა.

რაკი გიორგი და მისი ამხანაგები შენიშნა, ხიდის ბოლოში გავიდა.

გიორგიმ გიგოს უთხრა:

— ის ყმაწვილი რაღაც საეჭვოდ გარბის.

— ჩვენ რომ გვზვერავდეს, ასე არ მოიქცეოდა. უთუოდ მის თავს რაღაც ამბავია და თავისი გასაჭირი აქვს. გიგო, წადი, ხახე, ის ყმაწვილი მტკვრისაკენ დაეშვა.

გიგო უცნობს მიჰყვა.

მართლაც გიგომაც შენიშნა, რომ იგი მტკვრისაკენ მიიწევდა. რამდენიმენ ხნის შემდეგ მოესმათ ძახილი.

გიორგი და ვანო ხიდზე გავიდნენ და მტკვრის მეორე ნაპირზე, წყლის გასწვრივ, ორი სილუეტი შენიშნეს. ეს იყო გიგო, რომელიც მეორე ახალგაზრდას აქეთ ნაპირისაკენ ეწეოდა. ხოლო ახალგაზრდა გიგოს უძალიანდებოდა. ამხანაგებიც მიეშველნენ.

გიგო იძახოდა:

— თავს იხრჩობდა... თქვენ რომ არ მომშველებოდით, მეც თან ჩამითრევდა. დასწყევლის, ისე რა გაუჭირდა ამ კაიკაციშვილს...

უცნობი ახალგაზრდა სველი იყო და წყალი წურწურით ჩამოსდიოდა.

გიორგი თვალებში ჩააცქერდა და ჰკითხა:

— ძმობილო! ვგითხარ, რა გაგჭირვებია?

ახალგაზრდა დიდხანს ხმას არ იღებდა. შემდეგ პაპიროსი მოითხოვა. მისცეს. მოსწია და შემდეგ მიწაზე დაემხო. მცირე სიჩუმის შემდეგ სთქვა:

— ტყუილად დამიხსენით!

გიორგი მიხვდა მის გასაჭირს და ჰკითხა:

— ვინა ხარ, ან სადაური?

უცნობმა ყმაწვილმა პირველად ყველას ეჭვის თვალით შეხედა და როცა დარწმუნდა, რომ მის გარშემო კეთილი ხალხი იყო და სამტრო განზრახვა არა ჰქონდათ, წარმოსთქვა:

— ჩემი სახელია ერვანდ, გვარად ბარსელიანი. სომხეთიდან ლუკმაპურის საძიებლად წამოველ, იქ კი აკლებული მშობლები დავტოვე...

— მუშა ხარ? იცი რამე ხელობა?

— დურგალი ვარ...

— მერე, თავს იხრჩობდი? — უთხრა გიგომ.

ვანოსაც ეს საყვედური უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამჯობინა გაემხნევებინა:

— ერვანდ, გამხნევდი, ყველა ბედნიერი იქნება...

ერვანდმა შეხედა ვანოს და წაილაპარაკა:

— ისევ იმედი! ჩვენშიაც ამბობდნენ: უნდა აღზდგეს დიდი სომხეთიო, მაგრამ სომხეთში დღეს ყველაფერი გადამწვარია. ლამის ის პატარა კერაც წაგვართვან, სადაც მამაჩემი ოვანესი დღიურს ჩიჩქნიდა, დედაჩემი ძროხას სწველიდა და მეც ხელოსნობით ვცხოვრობდი..

ესენი რომ ერვანდს ელაპარაკებოდნენ, დანიშნულ ადგილს უკვე მოვიდნენ გელა და მისი თანამგზავრები: ჭალარა ბასიკო და ახალგაზრდა გულალი.

გელა მხოლოდ ვანოს იცნობდა. ვანო კი არსად სჩანდა.

გულალი გელაზედ ახალგაზრდა იყო. იტრიალა, აქეთ მიდგა, იქით მოდგა, ხიდზე გავიდა და მორთო ძახილი.

გიგომ პირველმა გაიგონა უცნობის ძახილი და მათკენ გაქანდა. მას მოჰყვნენ ვანო და გიორგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულალის არავინ იცნობდა, მაგრამ ყველას ის აძლევდა სალამს. გულალიმ დასველებული ერვანდი რომ დაინახა, იფიქრა: „მთვარობის თვალის ასახვევი ამბავიაო“ და გულში ეღიმებოდა.

როდესაც ბასიკოს ხურჯინს ბოლშევიკური ლიტერუტურით სტენავდნენ, გიორგი და გელა შორიახლოს იდგნენ. ქარისთვის ზურგი შეექცივნათ.

გიორგი ელაპარაკებოდა და გელას რაღაც საიდუმლო დავალებებს აძლევდა. ბოლოს ასე დაათავა:

— გელა, უნდა ავჩქარდეთ. დემოკრატიული მთავრობის დღეები დათვლილია. მუშათა გაფიცვები მთელ რიგ მსხვილ წარმოებებს მოედო. ამ დროს სოფელთან მჭიდრო კავშირის დაჭერა ბოლშევიკურ ცეკას დადგენილებით პირველ რიგში სდგას. ჩვენ, ა/კ-იის ბოლშევიკები მეტად რთულ პირობებში ვიმყოფებით. გარდა სოციალურ უკუღმართობისა, ეროვნული შუღლიც მძვინვარებს. განსაკუთრებული გამჭრიახობა აქ გვჭირდება და ეს საკითხი ყოველთვის ლენინის მიდგომით უნდა გადაიჭრას. კავშირი ღარიბ და საშუალო გლეხობასთან — პროლეტარიატის დასაყრდენი ძალა მხოლოდ ეს არის. ბოლშევიკურ ცეკასთან კავშირს ტექნიკ ვანოს საშუალებით დაიჭერ. აი, მანდატიც. გადატრიალებას, იმედი მაქვს, ერთად ვიზეიმებთ. — ლაათავა გიორგიმ და გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

— ისე რად მინდა თავი ცოცხალი! — იყო გელას პასუხი.

— ეხლა აჩქარდით! — სთქვა გიორგიმ და გიგოს და ვანოს წასვლა ანიშნა. ვანომ გიორგის ჰკითხა: ერვანდზე მოელაპარაკეო?

გიორგი გელას მოუბრუნდა და უთხრა:

— გელა, ის ყმაწვილიც თან წაიყვანეთ. ეტყობა, კარგი ბიჭია და ჩვენს საქმეშიაც გამოგვადგება!

— ვინ? აქ რომ იდგა?

— ჰო... გადმოხვეწილი... გიგო რომ არ შესწრებოდა, თავს დაიხრჩობდა...

— რატომ? — ჰკითხა გაკვირვებულმა გელამ.

— გაჭირვება... დევნა...

— დურგალია. — ჩაერია ლაპარაკში გიგო — მეურნეობაც იცის!

— წავიყვან — სთქვა გელამ — ისეთი საქმეს გავუჩენ, რომ... — აღარ დაათავა გელამ.

— აბა, ერვანდ! აი, შენი მასპინძლები, ნახვამდის! ყოჩაღად იყავ!

გიორგი, ვანო და გიგო უკვე ვერის ხიდს გადადიოდნენ, რომ მათ ერვანდი წამოეწიათ:

— ძმებო! მეგობრებო! — ეძახოდა მათ.

მუშები შეჩერდნენ.

— ერვანდ! რას გვეძახი? — ჰკითხა გიორგიმ.

— თქვენ მე სიცოცხლე დამიბრუნეთ და, აი, სიკვდილი მომიქცენია...

— რისთვის?

— ნეტა რით შევძლებ მადლობა გადაგიხადოთ?

— გემართოს! გემართოს! კიდევ შევხვდებით!—იყო პასუხი და ბნელს შოჰფარდნენ.

ამ დროს ბასიკო ხურჯინს ეწეოდა. იგრძნო სიმძიმე და გელას შეუბღვირა:

— ბიჭო, ისინი ვინ იყვნენ?

— მუშები, ძია მუშები!

— შენ რაღაც ხათაბალაში გამხვევ! მაგრამ ის ერთი თითქოს რკინის კაცი ლაპარაკობდა.

— ფოლადის, ძია ბასიკო, ფოლადის! — ამბობდა გულალი და თან ერვანდის ამხნევებდა:

— აბა, ერვანდ! გავსწიოთ ჩვენსკენ. შემოდგომაზე ათი ჭრელკაბა გათხოვდება, ხუთმეტიც ქვრივი! ოცდა ხუთს კამოდს შეგიკვეთავენ, ოცდახუთს ვახშამს შევჭამთ. ჩვენ იქ ისეთს სადურგლო ჩარხს დავატრიალებთ, რომ მტერს ზარს სცემდეს, მოყვარეს ახარებდეს.

ბასიკო ისევ ხურჯინს ეწეოდა:

— ბიჭო, გელა! ეს ხურჯინი წელან მსუბუქი იყო, ეხლა რა დაემართა?

— გამძიმებს?

— არა, მაგრამ რაღაც...

— მაგ ხურჯინს აზრი დააწვა, ბასიკო! შიგ ისეთი რამეები აწყვია, რომ მეხივით გავარდება!

— ყუმბარებია?!

— იფეთქებს!

— მერე? ზურგზე ამიკიდე? მომაცილე! — და ბასიკო ხურჯინის გადაგდებას აპირებდა. გულალიმ ხელი სტაცა.

— არა, ბასიკო! — უთხრა გელამ. — წელან რომ გიორგი ვნახეთ, ის გვატანს ბოლშევიკურ ლიტერატურას.

ბასიკო მაინც ბუზღუნებდა:

— კაცო, თბილისში გამოგყე, მეგონა ცოტაოდენ ფართალს ვუყიდი ჩემს ელდინოს, შენ კი ბოლშევიკური პროკლამაციებით დამტვირთე?

— სუ, რა გაყვირებს! — უთხრა გელამ — არ დაიჯერებ, შენ სადმე წამოგცდება კიდეც! თუ ვინიცობაა ეჭვი აიღეს, ქაღალდები ვიპოვე-თქო. არც ისა სთქვა, რომ შენ ბიძა-ჩემი ხარ.

— კარგი, მამა გიცხონდება! თითქოს ბავშვი მნახე!

ბასიკოსთან ერვანდიმ მიირბინა:

— ძიაკაცო! მაგ ხურჯინს მე წამოვიღებ!

— არა შვილო! შენ სტუმარი ხარ...

ამ დროს ვერის ხიდზე საგანგებო რაზმელები მორბოდნენ. ყველაზედ ადრე ერვანდიმ ცქვიტა ყურები.

— ხმაურობაა!

— რაც უნდა მოხდეს, ამ ხურჯინს არ მოვიცილებ! — სთქვა ბასიკომ და ხურჯინს დააჯდა. თან ჩიბუხი ამოიღო, ვითომც აქ არაფერი ამბავიაო. რაზმელებმა შეუყვირეს:

— შესდექ!

— რა გნებავთ? — ჰკითხა დამშვიდებულმა გელამ.

— ჩვენ აგერ იმ სომეხს დავეძებთ, შენ ვინ ოხერი ხარ?

— ოხერიც ხარ და ტიალიც!

— ჰაიტ! — იჭიმებოდა სქელი საგანგებო რაზმელი და თან რევოლვერს ატრიალებდა. — გავარდება შარი-შური შუქურ-მაქო!

— რას მერჩით? რა გინდათ ჩემგან? — იძახოდა შემკრთალი ერვანდი.

— ერთხელ ხომ გადაგასახლეთ, მეორედ რას მოძვრები თბილისში? რა გინდა? — უყვიროდა გვარდიელი.

— ლუკმაპურის საშოვნელად ჩამოვედი. გადასახლებით კი არავის გადავუსახლებივარ. თქვენ სცდებით, მეგობრებო, ალბად მიმამსგავსეთ ვინმეს!

— თუ არ გადაგვისახლებიხარ, ეხლა გადაგასახლებთ. — იძახოდა მესამე გვარდიელი და ერვანდისკენ იწევდა.

გელა წინ გადაეღობა:

— რა საბუთით გადაასახლებთ?

— მაგისთანა მოთრეულები ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას ძირს უთხრიან... აბა, წამოათრიეთ!

ბასიკო რაზმელს წინ გადაეღობა:

— ხელი გაუშვით! ეგ კაცი ჩემი სტუმარია.

— იქით, ბებერო! ვგონია, შენ მოგერიდებით? შარი-შური შუქურ-მაქო!

— ჩემმა მზემ — სთქვა ბასიკომ — გაუშვით ხელი, თორემ ამ შინდის ჯოხით შარიშურს აგიტეხთ.

სქელი რაზმელი აენთო. შემდეგ ბასიკოზე იკითხა:

— ეგ ჭაღარა ვინ არის, ბოლშევიკია?

— ბოლშევიკი რა ხილია? — ვითომც გულუბრიყვილოდ იკითხა გელამ.

— ხილი კი არა, პილპილია!

გულალი იცინოდა:

— პილპილი ჩვენში ბევრია თქვენი სამყოფი!

ამ დროს გვარდიელმა თვალი მოჰკრა ხურჯინს: იფიქრეს, გავჩხრეკთ, სხვა თუ არაფერი, სანოვაგე მაინც აღმოაჩნდებათო.

— გაჩხრიკეთ! — დაიძახა სქელმა გვარდიელმა და თან დააყოლა: — შარი-შური შუქურ-მაქო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცბად გელამ რევოლვერი იშიშვლა და შეუძახა:

— ასწიეთ ხელები!

საგანგებო რაზმელი და გვარდიელები წახდნენ.

აჰყარეს იარაღი.

ბასიკომ სქელ გვარდიელს პანღურიც კი ამოჰკრა.

— დაწექით! — უბრძანა გელამ. — სანამ არ გიბრძანოთ, ადგოშა არ გაბედოთ!

რაზმელები კიდევ დიდხანს იწვებოდნენ, მაგრამ სქელმა უნებურად წამოიხედა. ნახა, იქ აღარავინ იყო. გული მოიცა და იმუქრებოდა:

— ჰაიტ, შარი-შური, შუქურ-მაქო!..

— ჰაიტ, შარი-შური შუქურ-მაქო! როგორ წამივიდნენ ხელიდან!

II. პირველი მეგობრობა.

ნავთლუღის სადგურზე კახეთის მატარებელი შეჩერდა. ვაგონებიდან ხალხი არ ჩამოდიოდა, კახეთისაკენ წამსვლელი ხალხი კი ვაგონებს აუარებელი აწყდებოდა.

აქ იყო ყოველნაირი ჯურის ხალხი: ხურჯინებით, ტომრებით და კალათებით.

სხვადასხვა ტანსაცმელში: თუშურ ქუდიანები, ფარაჯებში, ხელში გრძელი შვინდის ოჯხით; ახალუხიანები ვერცხლის ქამარხანჯალით; ღვინისაგან ცხვირდასიებული ყარაჩოღელები, რომლებსაც ზოგს ტირაჟიდან გამოსული და გაქონილი „კიკიროზი“ კეფაზე მოეგდო და ზოგს „გარიბალდის“ ქუდი წარბებამდე ჩამოეფხატნა. ტყავისქუდიანი მწყემსებიც იყვნენ, რომლებიც წითლად გარუჟღულიყვნენ. ეტყობოდათ შეჟინჟღლულ სახეზე, რომ თრიალეთიდან დაწინაურებულიყვნენ და ცხვარი უკან სხვა მწყემსებს მოუდიოდათ.

აქა-იქ შავკაბიანი დედაკაცები, ალბათ ნათესავებს თუ ეძახოდნენ, მიკიოტივით გაჰკიოდნენ.

უადგილობის გამო კონდუქტორები ხალხს ვაგონში არ უშვებდნენ და ეს ჭრელი ხალხი ხან ერთს ვაგონს მიაწყდებოდა, ხან მეორეს.

ასეთს ორომტრიალში, სჩანს, ჯიბგირებსაც ხელი მოეთბოთ, რომ რამოდენიმე გლეხი თავში იშენდა, ხოლო ატირებული დედაკაცები იწყევლებოდნენ და დანაკარგს ჩიოდნენ.

ამ აურზაურის დროს ვაგონიდან ერთი ახალგაზრდა, ტანადი, შავგვრემანი, მოხდენილ სახის ყმაწვილი კაცი ჩამოათრიეს.

უკან კონდუქტორი მოსდევდა გინებით. ეს იყო ერვანდი.

— Вот еще, კაცო! ბილეთიანი ხალხი ვერ დამიტევია და ეს უბილეთოდ მობრძანდება! წაიყვათ, ოქმი შეუდგინეთ!

— ამხანაგებო, მაცალეთ... გეტყვით... — ამბობდა ერვანდი და თან აქეთ-იქით თვალებს აცეცებდა: გელას და ბასიკოს ეძებდა.

უკნიდან კონდუქტორმა ხელი ჰკრა და მიაძახა:

— გადადგი ფეხი!

შეიყვანეს სადგურის უკანა ოთახში, სადაც მაგიდასთან იჯდა ცხვირწამოწვეტებული, ქერა და უჟმური სახის ადამიანის მსგავსი საფრთხობელა.

ეს კაცი არც სადგურის უფროსი იყო, არც მილიციელი, მაგრამ ორივე თანამდებობას კი ასრულებდა.

— კიდევ უბილეთო? — არაჩვეულებრივი განცვიფრებით იკითხა საფრთხობელამ და თან გულში გაეღიმა: „დავაძრობ სახარჯოსო!“.

ოთახი ცნობისმოყვარეებით გაივსო.

საფრთხობელა ისე ყვიროდა, რომ ზოგიერთში სიცილსაც კი იწვევდა.

— ქურდულად დასეირნობ? რკინისგზას ზარალს აძლევ?

მიუბრუნდა თავის თანაშემწეს და ჩასჩურჩულა: — ექნება რამე?

თანაშემწემ წარბი აუწია უარის ნიშნად; საფრთხობელამ უარესი ყვირილი მორთო:

— რა ერვონებისა ხარ?

— ეროვნება აქ რა შუაა?

— ყმაწვილო, თავს ნუ იგდებ!

— ამხანაგო, მე გაჭირვებული კაცი ვარ და ლუკმის საძიებლად წამოველ...

— გეკითხები: Какой националност? — დამახინჯებულად წაურუსულა საფრთხობელამ და დოინჯი შემოიყარა.

— პატიოსნებას გეფიცები, ლუკმის საძიებლად წამოვსულვარ. შინ მშივრები დავტოვე...

— მე გეკითხები: Какой ты националност? —

— მე ვარ ერვანდ ბარსელიანი.

— ააა! „იანცი“ ყოფილა! тото, შევატყვე! ჩასვით! ჩასვით!

ხელი სტაცეს და უნდა წაეთრიათ, რომ ამ დროს ოთახში გელა გაჩნდა, მის გვერდით ბასიკოც, ხურჯინი-აკიდებული.

— სად მიათრევთ? ერვანდი ჩემთან მოდის კახეთში და აი შაგის ბილეთიც.

გელამ ჯიბიდან ბილეთი ამოიღო და უჩვენა.

კონდუქტორი ჯავრობდა: რატომ აქამდე არა სთქვიო. გელა ირონიით უპასუხებდა: ჩემთვის არ გიკითხავთ და ვაი თუ წესიერებას დავარღვევდიო.

მესამე ზარი დაირეკა. ხალხი უკვე ვაგონებში ასულიყო.

ჩვენი ნაცნობებიც შეახტნენ ვაგონს და მატარებელიც დაიძრა.

ვაგონში ერვანდი გელასთან ახლოს დაჯდა.

გულში ფიქრობდა: ეს გელა ნამდვილი ადამიანი იქნება და თუ დამცალდა, სიკეთეს გადავუხდიო.

ამ დროს გულალიმ თავის პატარა ხურჯინიდან ყველი და შოთიპურები ამოალაგა, შემდეგ მოხარშული დედალი და პირდაპირ მჯდომს ბასიკოს გადააწოდა:

— ბასიკო, დასჭერ! თუ დანა არა გაქვს, დაგლიჯე!

— აი, მარილიც მაქვს! — შემდეგ ტიკჭორაც ამოაძვრინა. — აი, ტიკჭორაში ღვინოც დგას...

ბასიკო რაღაც დაღონებული იყო. გულალიმ უთხრა:

— რა ცხვირი ჩამოგიშვია? ფართალი თუ ვერ უყიდე ელდინოს, ჯანდაბას! ხამი მოქსოვონ, ქალმები ამოუსხან! წლევანდელი აბრეშუმის პარკი ამოახვიონ და შენს გოგოს მერდინი ჩააცვან! ჩემმა მზემ მოუხდება! გულალიმ გადაიხედა გვერდზე. დაინახა, რომ ერვანდი თავჩაღუნული და დაღონებული იჯდა.

— მოჯექ ახლოს! ხომ იცი, კახეთში მე მიმყევხარ: ჩვენ, მიწის მუშაგლეხები ვართ, ჩვენ საითაც უნდა გადაგვაგდონ, ჩვენი კოჭი ალრუზე ჯდება! შენც ასე უნდა იყო! ჰოდა, დალიე!

ერვანდმა პატარა რქა გამოართვა და დალია. შემდეგ პურს და ყველს ხარბად ჭამა დაუწყო. ეტყობოდა დიდი ხნის მშიერი იყო. გულალიმ ეს შეატყო და გაეხუმრა:

— ყელზე არ დაგადგეს, მძიმედ ჭამე — და თან ქათმის მსუქან ნაჭერს სთავაზობდა.

— ერთი იმ კონდუქტორმაც გამოიაროს, ჩავაცეცხლო... — ამბობდა გულალი. — ოხერმა რა ეკლის თვალით შემოგხედა? ვთქვათ ბილეთიც არა გქონდა, მერე, რა მოხდა? ქვეყანა დაინგრა?

ერვანდის დარდი აწუხებდა, რომ სოხეთში მოხუცი დედ-მამა და ერთი დაი ანუშო დასტოვა. მართალია, რამდენიმე დღის საგძალი ჰქონდა, ბაგრამ შემდეგ?

გულალიმ ეს შეატყო და შეუძახა:

— დარდი გულს როგორ გაგითბობს, იგი ვაჟკაცის მკვლელია! გაიღიმე!

ერვანდმა ჯერ გელას შეხედა, შემდეგ გულალის, ბასიკოს და სთქვა:

— ბედნიერები ხართ! თქვენ არც თურქებმა აგაწიოკეს და არც ნათესავები დაგიხოცეს...

— როგორ თუ დაგიხოცეს? — ჰკითხა გულალიმ.

და აქ ერვანდიმ უამბო დაწვრილებით ამბავი, რომელიც იმპერიალისტური ომის დროს სომხის ერს გადახდა, როცა სომხეთის მაშინდელი ხელმძღვანელები, წათამამებულნი რუსეთის მართველების დაპირებით, ომის გამოცხადებისთანავე მიეცნენ „დიდი-სომხეთის“ აღდგენის ილუზიებს და შეადგინეს მოხალისეთა რაზმები ოსმალეთის წინააღმდეგ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა კავკასიის ფრონტი დაირღვა და რუსეთის ჯარმა წინად აღებული ადგილები მიატოვა, თურქებმა სომხეთზე შური იძიეს. ამ დროს ოსმალეთშიაც და ადგილობრივ ტერიტორიაზედაც მრავალი სომეხი გაიჟლიტა. აწიოკდა მთელი სოფლები, მაზრები, ვილაიეტები.

— ჩემმა მშობლებმა გახიზვნა კი მოასწრეს — სთქვა ერვანდმა, — მაგრამ სოფელში რაც კი რამ გვებადა, ყველაფერი გადასწვეს, საქონელი

წაასხეს. მთაში შეგვიფარა ერთმა შორეულმა ნათესავმა, რომელსაც თვითონაც თავი გასჭირებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულალიმ უგდო ყური და შემდეგ გააწყვეტინა:

— ცუდი რაც მოხდა, უნდა დაივიწყო, თორემ, თუ იმას ფიქრს გადაჰყე, წასულს ვერ დაეწევი და დღევანდელს კი დაჰკარგავ! ამ აი, ასეთი საღლეგრძელო იყოს: რაც იყო, ნულარ იქნება, და რაც გვინდა, ჩვენ თვითონ მოვიპოვოთ!

ბასიკო ჩაერია ლაპარაკში:

— ისეთი რამ ინდომეთ, რასაც მოერევით. ზურგზე აკიდება რომ დაგვჭირდეს, სიმძიმემ არ გაგვჭყლიტოს...

ბასიკომ ეს სიტყვა სრულიად გულუბრყვილოდ სთქვა, მაგრამ ერვანდს გულში მოხვდა და უფრო მწარე ფიქრში ჩააგდო. მოაგონდა დაშაკცუტიუნის პარტიის ერთი მეთაურთაგანის მიტინგზე ნათქვამი:

„უნდა აღდგეს დიდი სომხეთი — შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე, ყარაბაღის მთებიდან არაბეთის უდაბნომდე, სადაც დაჩაგრული სომხის ერი წელში გაიშლებაო“.

— ერვანდ, მაშ შენ ხელოსანი ხარ? — ჰკითხა გელამ.

— დურგალი! მაგრამ ვენახის მოვლაც ვიცი, თამბაქოს ხელი...

— არა, შენ კახეთში იდურგლე — უთხრა გელამ — ერთი ცალთვალა ბიძა მყავდა, ისიც დურგლობდა... იმას იარაღი და დაზგა ოხრად დარჩა, რადგან შენი ჭირი წაიღო...

— ცოლიანი ხარ თუ უცოლო? — უცბად ჰკითხა გულალიმ.

ერვანდმა უხერხულობა იგრძნო, უფრო ტკივილი, რადგან ის ქალი, რომელზეც გული ჰქონდა, უკვალოდ დაიკარგა.

— არა, არ მყავს.

— მაშ ეს შენს საბედოს გაუმარჯოს! მხოლოდ ეგ შუბლი გაიხსენ!..

სანამ ტიკჭორას გამოსცლიდნენ, კარგა დრომ გაიარა. ველარ ამჩნევდნენ სად, ან რომელ სადგურზე იყვნენ. იცოდნენ—საღამოთი ბივიდოდნენ თავის სადგურზე. მატარებელმა შეჰკივლა და მცირე ხნის შემდეგ გაჩერდა. გელამ ფანჯარაში გაიხედა. იცნო სადგური.

— აბა ჩავიდეთ! მივსულვართ!

მგზავრები ხურჯინებით და ტომრებით ვაგონიდან გადმოდიოდნენ და ეტლებისკენ გარბოდნენ.

ბასიკო, გელა, გულალი და ერვანდიც გამოვიდნენ.

ერვანდის ბარგი არა ჰქონდა და ბასიკოს ხურჯინი აიკიდა.

შეუდგნენ ალმართს სოფლისკენ.

III. რთველმა მოაწია.

იმავ შემოდგომაზე ერვანდმა კახეთში სახელი გაითქვა. საუკეთესო შკაფებს, კამოდებს და სახლის ავეჯებს აკეთებდა. ავეჯის შემკვეთავები სტუმრად ეპატიჟებოდნენ. ერვანდმა პირველად ნაშოვნი ფული თავის მშობლებს გაუგზავნა.

მშობლებისგან წერილი მიიღო. ატყობინებდნენ, რომ ჩვენკენ ცოტა-ოდენი სიმშვიდე ჩამოვარდა, გახიზნულები სოფელს დავუბრუნდით და გამოგზავნილი ფულით ერთი ძროხაც ვიყიდეთო. იმ ძროხას ვწველით, ხან რძეს ვყიდით და ხან მაწონსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილის ბოლოში დედა ეხვეწებოდა: შვილო, ეგეთ მოხვიდე და შოხუცი გამახაროო.

ერვანდმა ბევრჯელ დააპირა სომხეთში დაბრუნებულიყო, შაგრამ ყოველთვის გადასდებდა ხოლმე.

გელასთან და ბასიკოსთან თავს ისე გრძნობდა, როგორც ძმა — ძმის ოჯახში.

ერთს საღამოს გელა და გულალი მინდვრიდან მოდიოდნენ. კარგა შეგვიანებული იყო, მაგრამ ისეთი კაშკაშა მთვარე იდგა, გეგონებოდა გარიჟრაჟიაო.

ორლობიდან ეზოს რომ დაუახლოვდნენ, ბინდ-ბუნდში ორი აჩრდილის მსგავსი არსება შენიშნეს. ერთი მოაჯირს იქით იდგა, მეორე რაშდენიშედ ლეღვის ხეს მიყრდნობოდა. გულალიმ ანიშნა და გელაც შეჩერდა. გეზი იცვალეს, რომ იმ მოსაუბრეებს სხვა გზით მიჰპაროდნენ.

შემოუარეს ბალჩას და ჩუმად დაუახლოვდნენ.

გაინაბნენ და ყური დაუგდეს. მათ გაიგონეს ერვანდის ლაპარაკი. ელდინოს ეუბნებოდა:

— სახსოვრად ისეთს ჩუქურთმიან კამოდს გაგიკეთებ, რომ ჯერ იმისთანა ადამიანის თვალს არ ენახოს.

— მართლა? მერე, სხვანაირად რომ ჩამოგართვან?

— სხვანაირად რად უნდა ჩამომართვან? მამაშენს და შენს ბიძა გელას განა ჩემზე ცოტა ამაგი მიუძღვით? მეც რომ მადლობის ნიშნად მათს ელდინოს ბზის და წითელი ხისგან ხაკეთებული სახსოვარი მივუძღვნა, ვის რა ესაქმება?

ამ დროს გულალიმ ყეფა ასტეხა ძაღლივით და უცბად ერვანდის და ელდინოს შუა გაჩერდა. ერვანდი დაიბნა, მაგრამ გულალიმ დაასწრო:

— ყურძნის ეშხით ღობეს ჰკოცნიდნენ! რა შუაშია გელა და ბასიკო ან მათი „ამაგი“, როცა შენ ელდინო მოგწონს და სახსოვარსაც მისი ეშხით აკეთებ?..

— გააკეთე გააკეთე! — უთხრა გელამ. — მე წინააღმდეგი არ ვიქნები. მაგრამ სანამ შენ იმ კამოდს გააკეთებდე, ერთი ეს გამაგებინე, შენი გემი ვის მხარეს მისცურავს?

ერვანდი განცვიფრებით უცქეროდა, არ იცოდა, რა პასუხი მიეცა!

ერვანდიმ იცოდა, რომ გელა მხიარული და მასთან ჭკვიანი ვაჟკაცი იყო, „პერემიშლის“ ფრონტზე, ჯარისკაცადაც ნამყოფი, იქ ორჯერ დაიჭრა კიდეც. — ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ... რატომ ასე უცბად ჰკითხა: შენი გემი ვის მხარეს მისცურავსო?

— რასაკვირველია, საითაც შენი! — უპასუხა ერვანდიმ.

კახეთი შემოდგომობით საზღაპრო სანახავია.

წარმოიდგინეთ მშვენიერი, ტანადი, სიცოცხლე მოჭარბებული ახალგაზრდა ვაჟი, რომელიც ელერს სიცოცხლისათვის, ვნება ლოყებს აწვება, ცეკვავს, მღერის და, როგორც ლაღი ირემი, ეძახის თავის დაბრმულს.

კახეთის ბუნებაც ასეთია შემოდგომობით.

ადამიანი ლაღია, რადგან ბუნება ლაღობს.

ადამიანი ბუნების სიმწიფეს ეწაფება: უხვად არის ხილი, საკლავი, ფრინველი. ძველ ღვინოსაც ვადა მისდის, ხელახლად გადაღება უნდა, რადგან ახალთან ისიც სდუღს.

კახელს ასეთი ნოყიერება მოჰბეზრებია და თუშურს ყველს ეტანება. სიტკბო სიმლაშეს მოითხოვს. ვენახი ყურძნით დამძიმებულია. საფერავის, ბუდეშურის და რქაწითელის გრძელი, კუმში მტევნები ვაზს დაბლა ჰხრის, როგორც ტვირთაკიდებულს დიდი სიმძიმე.

მარანში ქვევრებს რეცხავენ. სუფთავდება საწნახელი, ტოპკირები და გოდრები.

ნაწვიმი ვენახი არ დაიკრიფება.

გლეხობა ამინდს უცქერის და თან იმას ცდილობს, ყურძნის დაკრეფა ვადას არც გადააცილოს და არც ნაადრევად დაკრიფოს. ამიტომაც ვენახებს ჯარივით ერთ დროს შეესევიან ხოლმე. არის ძახილი და ყიჟინა. ვაზებში გამოკრთიან თეთრმოსახვევიანი ქალები, ჭრელკაბა გოგონები. რთველის დროს მთელი ოჯახი ბავშვებიანად ვენახშია გალესილი დანებით მტევნებს და აკიდო-ჩხების ასაჭრელად.

მიდის ურმისკენ ყურძნით სავსე კალათა კალათაზე და ივსება გოდორი გოდორზე.

ორღობეებში დატვირთული ურმები ჭრიალით მისდევენ ერთმანეთს.

გოდრებს ეხვევა ფუტკარი და კრაზანა, რადგან ყველაფერს სიტკბო სდის. სიტკბოს წვეთები იღვენთება.

რთველშივე იბერტყება კაკალი. ლეღვი და ატამი ვილას ‹გონდება› — ბევრჯელ ეს ხილი ხეზედ ჩამომპალა. მაგრამ ის კაკალი, რომელიც ბასიკოს ვენახში იდგა, ჯერ არ იბერტყებოდა.

მის ძირში ცეცხლი ენთო და აგურების ზედადგარზე დიდს ქვაბში თხის ხორცი იხარშებოდა. რთველში უთუოდ თხას დაჰკლავენ. არ ვიცი რატომ? იქნება ამას მითოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდეს და ქეიფის ღმერთს, აგუნას, მსხვერპლს სწირავდნენ. მაგრამ ისიც მართალია, რომ ყურძნობაში თხის მსუქანი ხორცი გემრიელია. ყველი კი — განსაკუთრებით!!

ქვაბს ერვანდი დასტრიალებდა. გვერდზე ურემი იდგა ჯერ ნახევრად გოდრებდადებული. ერვანდიმ დაინახა, რომ ელდინოს მხარზე ყურძნით სავსე კალათა აეკიდნა.

ლამაზი ელდინო სიმძიმეს მოეხარა და ორი სქელი ნაწნავი დაბლა დაშვებოდა. ქალი ძლივს-ღა მოდიოდა. ქვას ფეხი წამოჰკრა, თუ ძურწა ბალახი წამოედო, — ელდინო წაიქცა, კალათა შორს გაგორდა და ყურძენი გაიშალა.

წამოჯდა ელდინო და ერვანდის შეხედა. გაუკვირდა, რატომ არ მომეშველებაო!

— ერვანდი! რას მიცქერი? რატომ არ მომეშველები? — შეუძახა ბალახებიდან ელდინომ.

— მე ხომ ვამბოდი, გოდრებს და კალათებს მეკვიკდებ-მეთქი... მაგრამ შენ წინააღმდეგი იყავ...

— მიტომ არ მეშველები? — გაუმეორა ელდინომ.

ერვანდი საშველად გაეჩქარა.

როდესაც ქალს ხელი გაუწოდა, ამ დროს წამოესწრენ მეზობლის ვაჟები და ქალები, რომლებიც ბასიკოს რთველში შველოდნენ.

რაკი ელდინო ასეთს მდგომარეობაში დაინახეს, ეგონათ, ელდინოს წაქცევა ერვანდის ბრალიაო და დაჰკრეს ტაში.

— ალბად გაეთამაშა! — სთქვა ერთმა მნიშვნელობით.

ერთმა ახალგაზრდამ ჩაიმღერა:

„მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურია! ისიც შინაურია!"

მეორემ გააგრძელა და ერვანდის ეშმაკურად ანიშნებდა:

„— გაუსვი და გამოუსვი, ვითომ ჭიანურია!"

ქალებმა ერთმანეთში ჩურჩულს უმატეს:

— უი, დახეთ ელდინოს!

— უი, დახეთ ერვანდის!

— ერთმანეთს აღარ ერიდებიან!

— უი თვალებო! უი თვალებო!

ერთმა ახალგაზრდამ მეორეს თვალი გადაჰკრა და ჩაიმღერა:

რთველში კოცნა შეიძლება, —
მაჭრობაში თამაში;
გახუმრება პატარძალთან,
ქვევრის პირას — მარანში!

ელდინო წამოდგა. ყველას თვალი გადაავლო და შემდეგ უთხრა:

— საძაგლებო! აბა რა ნახეთ? კალათა ვერ ვზიდე. ფეხზე ბალახი წამომედო და წავიქეცი!

— წაქცეულა, გოგოებო, წაქცეულა! — იძახდა ახალგაზრდა ვაჟი, ხუჭუჭ-თმიანი. — თქვენ კი იმას ფიქრობთ, რაც გენატრებათ. რაკი ასეა, მე ავასრულებ თქვენს ნატვრას... არა, ნატვრას არა... მოდი, წრე გავაკეთოთ და სანამ მეორე წყება კალათებს ყურძნით აავსებენ, წავითამაშოთ! წავითამაშოთ!

ახალგაზრდამ თვითვე დასძახა სიმღერა —

სხვები აჰყვნენ. გაკეთდა წრე. დაჰკრეს ტაში. ახალგაზრდა შაირობდა:

შემოდგომის ქორწილის თვეს
წვიმა სცრის და მასველებს;
დანიშნული მელოდება
და ჩემს სახელს ახსენებს!
ჰეიდა ჰარალო!

ახალგაზრდები მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

უთქვამთ, ახალგაზრდა გული წისქვილის მოშლილ რაკუნზეც იხტუნავებსო.

სად იყო, სად არა, გულალიც გაჩნდა და საცეკვაოდ გადახტა. მეზობელი გოგო გაიწვია. იგი ნაზობდა, მაგრამ ... ქალებმა ჭკრეს ხელი და გულალის მიაგდეს, გულალიმ უკან აღარ გამოუშვა. საითაც კი ქალი გაქცევას დააპირებდა, გზას მოუჭრიდა და წინ დაუხვდებოდა. როგორც კატა თაგვს, ისე ეთამაშებოდა. შემდეგ ქალმა გულალის თვალები შეანათა. მცირე ხანს უცქირა და გაშალა ხელები. როგორც ლერწამი, ისე ირხეოდა. გულალისაც ფრთები შეესხა და თავდავიწყებით ცეკვავდნენ, სანამ მოხუცმა დედაბერმა კონიამ არ დაარღვია მათი გატაცება.

— თქვენ ცეკვავთ? — კივილით ამბობდა დედაბერი — და ჩემს გაკითხვაში არ შესდიხართ? სად არის გელა? ან შენ, ელდინო!.. რომ იძახდით ღარიბს ეშველებაო, სად არის ეს შველა? გამანადგურა ბახუტომ, იმ ადრე და მალე სასიკვდილემ! სად არის სამართალი? სად არის სამართალი? თქვენ ჩემი შველა არ შეგიძლიანთ, არა! ჭრიჭინა არწივის კვერცხს ვერ დასდებს. თქვენ ჭინჭრაქები ხართ, გულალმა რომ დაწვა: ცა თუ ჩამოინგრა, ფეხს მივაბჯენო! გაიგეთ! ჩამოინგრა! ჩამოინგრა! სად არის გელა? სად არის გელა? აბა თუ მიშველის...

კონიამ მიიხედ-მოიხედა. მის წინ მარტო გულალი და ერვანდი-ღა იდგნენ.

— ძალო კონია! — ეკითხებოდა გულალი — რა დაგემართა? რა მეხი დაგეცა?

— აგრემც მეხი დასცემია ბახუტოს! ჩემი ბოსტანი გაანადგურა! მოსპო! მოსპო!.. მას უნდა მეც მომსპოს. და ერთი მტკაველი ჩემი საბოსტნე მიისაკუთროს, აგრემც ხვალინდელი დღე არ გასთენებია... ცხვარს და ძროხას გააქელვინა ჩემი ბოსტანი...

დედაბერი მცირე ხანს გაჩერდა. მიწას ჩასცქეროდა და კვნესოდა. გულალის ჰსურდა ენუგეშებინა და ოხუნჯობით უთხრა:

— ძალო კონია!

ბახუტომ ხარშა ფაფაო,
შენი ბოსტანი ყლაპაო!
პატარა კიდევ გვაცალე,
ლაფში მოსძვრება ტყაპაო!

— სცრუობთ! სცრუობთ! — იძახდა კონია. — ისევ თემის უფროსთან, სარდიონთან წავალ საჩივლელად... თქვენ ჭრიჭინები ხართ...

— უიმედოს იმედი — მაჟალო და პანტა! — ეუბნებოდა გულალი — თემის უფროსი? იცი რას ამბობს თემის უფროსი სარდიონი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეი, ჰეი მთავრობა ვარ,
შევჯექ ლურჯა ცხენზედაო!
ქვრივ-ოხერის გაჭირვებას
ჩავუარე გვერდზედაო!
სამართალი მისთვის მოვჭერ,
ვინც მიმაგდო ქვევრზედაო.

ან არ გაგიგია ეს სიმღერა?

სოფელში დაიარება
სარდიონ მატყუარაო;
„ჰოს“ ეუბნება შეძლებულს,
ღარიბს კი მუდამ „არაო!“

კონიამ ყური აღარ უგდო გულალის. და წავიდა ხუსხუსით. გელას გაეგო კონიას ხმაურობა, მაგრამ როცა ის მოვიდა, კონია, ალბად, სოფლის მოედანთან მისულიც იქნებოდა.

— ვინ მეძახდა? — იკითხა გელამ.

— ყველაზე უბედური და ყველაზე ბედნიერი! — უპასუხებდა გულალი — უბედური, რადგან ბედნიერებას ვეღარ მოეწევა და ბედნიერი, რომ უბედურებას მალე საფლავში ჩაიტანს.

— რას ამბობ, გულალი?

— კონია ბახუტოს გაუმწარებია.

ერვანდიმ შეხედა გელას და სთქვა:

— ბუნებით მშვენიერ ქვეყანაში ისეთივე უსამართლობაა, როგორც ჩვენში, სომხეთში.

— სხვაგანაც ასეა, ჩემო ერვანდ! მიტომ გეუბნებოდი, ყველგან სათავე უნდა გასწორდეს მეთქი. — შემდეგ მიუბრუნდა გულალის და უთხრა: გუშინ ტექნიკი ვანო ქალაქიდან არ მოვიდა — ალბად სასწრაფო საქმე თუ გამოუჩნდა — დღეს უთუოდ მოვა. სადგურზე მივდივარ შესახვედრად. იცოდე, გიგოს ბინაზე მივიყვან. თქვენც სალამოზე იქ მოხვალთ, დანარჩენი იქ...

ვაზებში ხვნეშა მოესმათ. მიიხედეს და დაინახეს: ბასიკოს უშველებელი ყურძნით სავსე გოდორი აეკიდა და ძლივს მოდიოდა, თან იძახოდა:

— მოდით, მიშველეთ! ვეღარ დამიძრავს ეს სატიალო!

გულალი ბასიკოსაკენ გაექანა:

— ძია ბასიკო! შენს თავს ამ შემოდგომით რომ სთესავ, განა გაზაფხულზე კიდევ ამოხვალ?

უშველეს ბასიკოს გოდრის ჩამოღება.

— ეე, შვილო! ამ მიწამ გამოხრა ჩემი ჯანი!

— მიწას ბევრი შენისთანა და შენზე უკეთესებიც გამოუხრავს.

— სამაგიეროთ თქვენისთანები დაგვიზრდია.

— ძია ბასიკო! — სთქვა გულალიმ — ეს შენი ძმისწული გელა ამბობს, როცა ბოლშევიკები გავიმარჯვებთ, მიწის საკუთრება მოისპობაო! შენ რა გუნებაზე გაყენებს?

ბასიკო შეჩერდა. შემდეგ დააცქერდა გულალის და უთხრა:

— მიწა არც არის საკუთრება, გარდა ერთი ადგილისა, სადაც ყაბოლოო ბინას სხვები გაგვიმზადებენ. ამით მიწას სიმსუქნეს შევმატებთ, რაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მასვე ამოვწოვეთ. მიწა მშრომელ მარჯვენას ეკუთვნის, ცხადია! ეს მე ჩემი მიხვედრილობით ვიცი, შვილო.

კიდევ რაღაც უნდოდა, ეთქვა, მაგრამ წამოდგა.

— წამო, წამო, გულალი! შენ იქ სიმძიმის აწევა მიშველე და რასაც თქვენ ნასწავლები გიქადაგებენ, იმას მე ჩემი გამოცდილებით გიამბობ!

ბასიკო უნდა წასულიყო, მაგრამ შეამჩნია, მათკენ ბახუტო მოდიოდა. ბასიკოს არ ესიამოვნა მისი მოსვლა.

ბახუტო ახალგაზრდა იყო. ის გულში ჰგრძნობდა, რომ მისი ხშირი სიარული მათ ოჯახში კარგს არას მოასწავებდა, ნამეტან შას შემდეგ, როცა ბასიკომ შენიშნა, რომ ელდინოს იგი ჟინმორეული უცქეროდა და მუშტრის თვალით ზომავდა.

— ბარაქა თქვენს მოსავალს! — სთქვა ბახუტომ.

— ბარაქა შენ დაიკვეხე შენი ზვრებით! — უთხრა ბასიკომ — სადაც ერთ თვეს ყურძნის კრეფას უნდებით.

— და მაინც ვინც მაგასთან მუშაობს, მშიერია. — ჩააკვესა გულალიმ.

— გულალი, შენც გადაგრიეს ბოლშევიკებმა?

— მთლად ვერა.

— მაშ გაფრთხილებ!

ბახუტო გულალის ელაპარაკებოდა, მაგრამ თვალით ერვანდის ზომავდა და ზიზღით უცქერდა. შემდეგ ერვანდის უკმეხად ჰკითხა:

— ყმაწვილო! ხელი რად აუშვი ჩემს სამუშაოს?

— შენგან ჯერ ბეღლის ნამუშევარიც არ მიმიღია.

— მიტომ აღარ მოხველ?

— რაც პირობა მქონდა, შევასრულე.

— რას ჰქვიან „პირობა“? — შეჰყვიდა ბახუტომ — სომხეთიდან მოთრეული მე, ბახუტოს, პირობაზე მელაპარაკება? განა მე არ ვიცი, რომელ დურგალს რა ხელფასი ეკუთვნის? იცი ჩემი გაცრუებისათვის რა დღეს დაგაყენებ?

— მე არც მონა ვარ და არც შენი ყმა. საქართველოში თავისუფალი მოქალაქე მოვსულვარ.

ბასიკო ატყობდა, რომ საქმე მწვავდებოდა და ჩაერია:

— ბახუტო, ერვანდი ჩემი სტუმარია.

— ჰხედავ, როგორ თამამად ლაპარაკობს? ბასიკოს პატივისცემა, თორემ... სხვაგან და სხვა დროს გაჩვენებდი სეირს. ბასიკო, მოიშორე ეგ სომხის ნასხლეტი, თორემ შენც ხათაბალაში გაგხვევს!

შუბლშეკრული გელა ბახუტოს უცქერდა. ერთმანეთს რომ შეხედეს, ბახუტომ რაღაც შიში, რაღაც უხერხულობა იგრძნო, ენა დაება. ველარაფერი სთქვა. წასვლა არჩია. მიდოდა და თან გულში ერვანდის ემუქრებოდა. ბასიკომ გადააფურთხა და სთქვა:

— დაცოფილა!

— შენ რა იცი, მაგას სად სტკივა — სთქვა გულალიმ. — მე და ერვანდიმ ვიცით და გელამ — უკეთესად.

— მაშ ჩემთან რას ჰმალავთ, შვილო!

— მაგან დედაბერი კონია თითქმის გადაყლაპა, იმას გემო ვერ ჩაატანა და ეხლა ახალგაზრდით უნდა პირი ჩაიგემრიელოს, მაგრამ ერვანდი ყელში ეჩიხრება...

ბასიკო ვერაფერს მიხვდა, რომ გულალი გადაკვრით ელდინოზე ლაპარაკობდა.

— არაფერი მესმის... თუმცა ნამუშევარი დაუხუთავს. არ არის კარგი კაცი... წამო, გულალი, წამო! მიშველე...

გელა და ერვანდი მარტო დარჩნენ.

— ერვანდ! — სთქვა გელამ — იქნებ შენზე ბახუტოს მუქარამ იმოქმედა?

— ბახუტოს მუქარამ? არა! ბახუტო მე ვერაფერს დამაკლებს, თუ თვითონ თავის თავს არ დააკლო. მე სულ სხვა რამ მაწუხებს...

— სხვა რა გაწუხებს? — ჰკითხა გელამ.

გელა ერვანდის დააკვირდა. ერვანდის მართლა რაღაც აღელვება ეტყობოდა.

— აი, მაგისთანა ხალხი! — სთქვა ერვანდიმ — მაგისთანა ხალხი, როგორიც ბახუტოა, ჩვენშიაც ბევრია... დღესაც არიან... მაგნაირები სწამლავენ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სიცოცხლეს... მე ერთი მოგონება მაწუხებს.. ის... ის მოგონება...

ერვანდი უცბად შეჩერდა. თითქოს თავის თავს შეუშინდა. გელა უფრო ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო.

— მე რამეს მიმალავ?

— არა, არ მინდა დაგიმალო. შენ ჩემთვის ძმაზედ მეტი ხარ. მინდა გითხრა... აქამდე უნდა მეთქვა...

— მაშ რა გიშლის?

ერვანდი კიდევ გაჩერდა და დაბლა იცქირებოდა. თავს ებრძოდა. ბოლოს დასძლია და გელას პირდაპირ შეხედა.

— რახან შენთან ვარ, ქვეყანას სხვანაირი თვალით ვუცქერ. მცხვენიან ჩემი წარსულის. რომ შეიძლებოდეს მისი დავიწყება, რომ შეიძლებოდეს გულში ცეცხლის წაკიდება, ან ტვინის ამოწვა, რომ დავივიწყო... მაინც გეტყვი და არ შემიძულო. არ ვიცი ამ ბახუტოს საქციელის, თუ ამ მხარული რთველის გამო, ერთი ახალგაზრდა, ჩემებრ ახალგაზრდა თურქი გამახსენდა. ეს იმდროინდელი ამბავია, როცა პირველად ომი დაიწყო, როცა ჩვენმა დაშნაკელებმა რაზმები შეადგინეს და რუსის ჯარ-

თან აბრძოლეს ოსმალეთის წინააღმდეგ. მაშინ მე ერთ-ერთს რაზმში ვიყავ. ჩვენ შევიჭერით ადერბეიჯანის მიწა-წყალზე ძველი შულლით გაჟღენთილები შურის საძიებლად. თურქის ერთს ოჯახში მხიარულება იყო. უთუოდ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ნიშნობა ჰქონდათ. მოულოდნელად თავს დავესხით და... ეჰ!.. „ჩვენ მაინც გვაჩუქეთ სიცოცხლე“. — გვეხვეწებოდა ახალგაზრდა ვაჟი და თავის დანიშნულს წინ ეფარებოდა. ჩემი ამხანაგის ტყვიით განგნმირულმა მხოლოდ დედის სახელი-ღა ახსენა. ის თურქი ყმაწვილი მუდამ თვალწინ მიდგა... ის ახალგაზრდა ქალიც... და მაწუხებს...

— კმარა! — უთხრა გელამ — თუ ის ახალგაზრდა თურქი სინდისს გიქეჯნის, მოიკრიბე ძალა, შეაბრუნე იარაღი და ვინც შენ ბრშად გიყენებდა, დაჰკარ გულში! ის ძმათაკავშირის მტერი იყო და დღესაც მტერია! მაშ ასე. მე სადგურზე მიგვიანდება. როგორც გითხარით...

გელა გატრიალდა და წავიდა. ერვანდი დიდხანს დაფიქრებული იდგა. გულში ფიქრობდა: „თუ საშუალება მომეცა, ვიცი ვინც აგებს პასუხს და ბოლმა ვისზედაც გადაინთხევა“.

კიდევ ვენახიდან კალათები სავსე ყურძნით. კიდევ ჟივილი და სიცილ-კასკასი.

გულალი განგებ ცდილობდა ელდინო კიდევ წაქცეულიყო, კალათით მიეხლებოდა, ხან წინ გადაეღობებოდა, მაგრამ ელდინო შველივით გადაუხტებოდა, რადგან ამ ჟამად ხელთ მცირე კალათი ეჭირა.

ეზოს გარეთ გზიდან ვიღაც იძახოდა.

მაგრამ ისეთი ჟივილ-ხივილი იყო, რომ ყურადღება არავის მიუქცევია. ბოლოს გულალიმ აცქვიტა ყურები.

— ვინა ხარ, ძმობილო? რა გინდა?

— მე ბასიკო მინდა. — იყო პასუხი.

— შენ ვინა ხარ?

— შორეული მწყემსი-კაცი ვარ. მთიდან მოვდივარ. ბასიკო ჩემი ძმაკაცია. უთხარ, იბრაჰიმ ასსან ოღლი მოვიდა-თქო.

— მოდი, მოდი! სიდედრს ჰყვარებიხარ. ბასიკოც აქ არის და შეც, ელდინოც და მეზობლის გოგოებიც.

შემოვიდა ჭალარა, დარბაისელი ადერბეიჯანელი მწყემსი იბრაჰიმი. ყველას ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა, სალამს აძლევდა, ეღიმებოდა და „ბარაქალა-იახშის“ გაიძახოდა. რატომღაც პირველადვე ელდინოს მიაქცია ყურადღება.

— ბასიკოს ერთი პატარა გოგო ჰყავდა... იქ ჩემთან უთქვამს, ელდინოს ვეძახიო.

— ის ელდინო მე გახლავარ. — თამამად უთხრა ელდინომ.

— აი, ბარაქალა! დიდი გაზრდილხარ, კარგი ქალი გაზრდილხარ! შენც, როგორც ჩემი ქერბალია-რიზა, ჩემი შვილი ხარ... მაშ ეს შენი ბიძა გელა იქნება. გამიგონია, იქ მთაში, როცა მე და ბასიკო მწყემსებად ვიყავით, ძმისწული გელა ჰყავდა...

— არა, ეგ სტუმარია. — ამბობდა ერვანდიზე.

— როგორც მე, ეგეც სტუმარი? იახში! იახში... ძალიან კარგია! ბასიკოს უყვარს სტუმარი! ჩემი შვილიც ქერბალაი-რიზა ამის ტოლია! აბა, სად არის ბასიკო? ხუთი წელია აღარ მინახავს, ჩემი ყოჩაღი ბასიკო, გურჯი ბასიკო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელდინო ბასიკოს დასაძახებლად გაიქცა.

— მაშ შენც სტუმარი? — მიუბრუნდა ერვანდის — ბასიკოს უყვარს სტუმარი, ვალლა! შენ ნათესავი სტუმარი ხარ?..

— არა, მე გელას მეგობარი ვარ...

— გელას მეგობარი, იახში... იახში...

ამ დროს ბასიკოც მოვიდა და ძველმა მეგობრებმა ერთმანეთი გადაჭოცნეს. ერთმანეთი მოიკითხეს.

— შენ რომ აქეთ წამოხველ — დაიწყო იბრაჰიმმა — მე გითხარ: ჩემი ცხენი კვიცს მოიგებს, გავზრდი და შენს სანახავად მოვალ-შეთქი. ცხენი მოგიყვანე, კარგი ჯილაგია, ვარსკულავებს ეთამაშება! ჩემი ფეშქეში! ჩვენში ძალიან ცუდი დრო დადგა, ბასიკო! არეულობა... აყალმაყალი!.. სულ ჩხუბი და ჩხუბი! ვთქვი, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ არის, ბასიკო კიდევ უნდა ვნახო-მეთქი.

— კარგია, კარგი, ჩემო იბრაჰიმ. შენი ოჯახი? შენი შვილები — ფატმა? დურსუნ? ქერბალაი?

იბრაჰიმმა ოჯახის გახსენებაზე შუბლი შეიკრა და თითქოს გულში რაღაც მოსწყდა.

— ბასიკო, შენ რომ დურსუნ გიყვარდა, ის აღარ არის...

— აღარ არის?

— მოჰკლეს!

— ვინ მოჰკლა?

— ნუ მკითხავ, ჩემო ბასიკო! ძნელია სათქმელად. დუშმანმა მოჰკლა. პირველად ომი რომ დაიწყო, სომხეთის საზღვართან ჩემი დურსუნ ცოლის მოსაყვანად წავიდა. იქ მოჰკლეს სომხებმა...

ერვანდი გაფითრებული უსმენდა. გულში ფიქრობდა: ნუთუ ეს იმ ყმაწვილის მამაა, ჩვენ რომ მოვკალით?

ბასიკომ იბრაჰიმს ლაპარაკი გააწყვეტინა:

— სამწუხაროა! ეგ კარგი ვერ მითხარ! მაგრამ ყველა სიკვდილის შვილები ვართ... შენი ქერბალაი-რიზა გულს გაგიმთელებს. კარგი ყმაწვილი იყო, ვაჟკაციც კარგი დადგებოდა. გახსოვს, იბრაჰიმ, მე და შენ რომ თქვენი ადათის მიხედვით ერთმანეთს პირობა მივეცით? ჩემი ქალი, შენი ვაჟი-მეთქი!

— მახსოვს, მახსოვს! ის ხომ ხუმრობა იყო...

— ხუმრობა იქნებ სინამდვილედ ქცეულიყო, შენი ქერბალაი რომ წამოგეყვანა და ჩემს ქალს ენახა.

— მართლაც ბედნიერი ვიქნებოდი! — იცინოდა იბრაჰიმ.

გულალი ელდინოს დააცქერდა.

— გოგო, ელდინო, ვერ ჰხედავ, ეს დამდგრები შენის ეშხით როგორ აცუნცრუკდენ?..

ელდინო შინისკენ გაიქცა.

გულალიმ უნებურად ერვანდის შეხედა. ერვანდი იდგა გაფითრებული, გაქვავებული და იბრაჰიმს მისჩერებოდა. თითქოს ეკითხებოდა: „შენ „მისი“ მამ ხარ? „მისი“?

ამ დროს წივილ-კივილით შემოვარდა მეზობელი დედაკაცი და დაიძახა.

— არხზე ქმარს მიკლავენ! მიშველეთ! მიშველეთ!

IV უცხო და ახლოგელი.

ერვანდის სახელოსნოში მუდამ ხალხი ტრიალებდა. ზოგი დაკვეთას აძლევდა და ზოგსაც ურემი მოეტანა ავეჯის წასაღებად.

ჭორიკანა და მოლაყბეები სახელოსნოს წინ ბინას იდებდნენ და ლაპარაკობდნენ:

— კაცო, ჩვენს მზეთუნახავს გუშინ მთხოვნელები მოუვიდნენ. — ელდინოს გულისხმობდნენ.

— ამბობენ, ქალი დაიმალაო.

— ერთი ჩხებიანი ბიჭი ისე გაალმასებულია, რომ უთუოდ სისხლი დაიღვრება.

— შენ ვისზე ამბობ?

— ვინც იმ დღეს ვენახში ხანჯალზე ხელი იტაცა.

ამ სიტყვებს ერვანდის განგებ ასმენდნენ.

ერვანდის ბოლო დროს მოსვენება დაეკარგა და მეტს ღელვასაც განიცდიდა. გულში ფიქრობდა: სახსოვარ კამოდს მოვრჩები და შემდეგ ჩემს ქვეყანაში წავალ...

და სადურგლო ჩარხი თავისთავად ჩერდებოდა, რადგან ერვანდი ფეხს ველარ აყოლებდა. შემდეგ ისევ მოვიდოდა და მუშაობას გააჩაღებდა.

როდესაც ხალხის ფეხისხმა შესწყდებოდა, ერვანდი დარაბებს დახურავდა, სახელოსნოში დიდს ლამფას აანთებდა და თავის საყვარელ საქმეს შეუდგებოდა.

ეს საყვარელი საქმე ელდინოს სახსოვარი კამოდი იყო.

რამდენიმე თვეა ამ კამოდს დასტრიალებდა. მთელს თავის გატაცებას, ოსტატობის ხერხს ამ სახსოვარში აქსოვდა... უნდოდა საგანგებო ყოფილიყო, ისეთივე კოხტა და მოხდენილი, როგორც თვით ელდინო.

ეს კამოდი იდგა კუთხეში დღისით ზეწარ-ჩამოფარებული, რომ უცხო თვალს არ ენახა. ღამით ზეწარს ჩამოხსნიდა და მასზე ჩუქურთმების ამოჭრას შეუდგებოდა.

მაღლა, ბზის ფიცრით გადარკალულ თაღზე მშვენიერი, ტანადი გლეტის ქალი ამოეჭრა. ამ ქალს ცალ ხელში ძნა ეჭირა, ხოლო მეორეში — ნამგალი. ერვანდი მჭრე მახვილს ამუშავებდა და თან ღიღინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობაში გართულს ერვანდის დარაბის ყრუ რაკუნი მოესმა, შეჩერდა. ყურები აცქვიტა. რაკუნი უფრო ძლიერ განმეორდა.

— ვინა ხარ?

— მე ვარ, ერვანდი!

იცნო ელდინოს ხმა და ისე სწრაფად ჩამოხტა სკამიდან, რომ თავი ვერ შეიმაგრა და ფიცრებს მიეჯახა. გახსნა კარი და ელდინო თამამად შევიდა.

— შენ კიდევ „სახსოვარზე" მუშაობ?

ელდინო ამოჭრილ სურათს დააცქერდა და გაკვირვებულმა ხელი ხელს შემოჰკრა:

— ჩემი სახე! ეგ ხომ მე მგავს!

— შენ რომ მინდვრიდან მოსდიხარ, ხელში ნამგალი და ძნა გიჭირავს. ამ ფიცარზე ამოვჭერ. ეგ ფიცარი იშვიათია. სპილოს ძვალივით წმინდა და მაგარია. იცი სად ვიშოვე? მთაში! ბარად არ იზრდება. მოგწონს, ელდინო?

— შენ ხელოვანიც ჰყოფილხარ. სად ისწავლე?

— ერთს ოსტატთან. ის ცოცხალი აღარ არის... ამას მე ორი თვე კიდევ მოვუნდები და შემდეგ...

— შემდეგ?

— შემდეგ წავალ.

— სად?

— ჩემს ქვეყანაში...

— აქ გენაღვლება?

— არა.

და აქ ერვანდის კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო, დაიბნა, გაწითლდა.

ამ დროს დარაბას უშველებელი ქვა მოხვდა და ფიცარს ცალი გვერდი ჩაუმტვრია.

ელდინო შეკრთა. ერვანდიმ ცულს ხელი წამოავლო. გარედ მთვრალი ბახუტო ყვიროდა, რომელსაც, თურმე, დარაბის ჭუჭრუტანიდან ეზვერნა.

— ხალხო! მეზობლებო! ბასიკო! მაგდან! გელა! გამოდით, ნახეთ თქვენი ქალი ვისთან იმყოფება!

ამ ყვირილზე მეზობლები გამოცვივდნენ.

გამოვიდა ბასიკოც და მაგდანაც.

— ვინ ყვირის? ვინ გაგიჟებულა? — იძახოდა ელდინოს დედა მაგდანა.

— თქვენმა ელდინომ თავსლაფი დაგასხათ... ვიღაც მოთრეულთან...

ბახუტოს აქეთ-იქიდან მეზობლები აჩუმებდნენ:

— ბახუტო, რა დაგემართა? რამ გაგაგიჟა? — მაგრამ ბახუტო არ ცხრებოდა. მაგდანა ჯავრობდა:

— შე მზედასაბნელებელო, შენ ვინ დაგაყენა ჩემი ქალის დარაჯად? რატომ არ მოგვასვენებ, აგრეც ხვალინდელი დღე არ გაგთენებია?

— ვინ არის ეგ მოთრეული? არ ვაცოცხლებ! გამიშვით!

— კაცო, თუ არ აცოცხლებდი, ქვეყანა რაღად შეჰყარე? აი შენ და აი ერვანდი! — გულს უკლავდა რომელიღაც მეზობელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბახუტოს ელდინო წარუდგა წინ და თამამად უთხრა:

— შენ რა თავს იგდებ? ვინ მოგცა მაგის ნება?

— მკლავზე მწოლიხარ... ახლა მაგან უნდა შეგირთოს?

— აი პასუხი, თახსირო! და ელდინომ ისეთი მაგარი სილა სტკიცა, რომ ბახუტო წაბარბაცდა.

ხალხმა სიცილი დააყარა. ბახუტო დაიბნა. ბრაზით ტანისამოსს კბილით იგლეჯდა. ხმა აღარ ამოუღია. შინისკენ გაბრუნდა, მაგრამ თემის უფროსის ლაპარაკი შემოესმა და შეჩერდა.

— რა ამბავია? — იძახოდა ქშენით თემის უფროსი, რომელსაც უკან მილიციელი მოსდევდა. — რა აურზაურია ამ შუალამისას?

გაბრაზებული, ელდინოსაგან შეურაცხყოფილი და ხალხისაგან სასაცილოდ აგდებული ბახუტო თემის უფროსს უყვიროდა:

— შენ თვალებს იბრმავებ... შენ ჰხედავ ყველაფერს და ხელს აფარებ...

— ბახუტო, რას ამბობ? გამაგებინე! — ეკითხებოდა თემის უფროსი.

— აქ კომუნისტების ბუდეა... ხალხს რაზმავენ...

ბასიკო წინ წამოდგა და უთხრა:

— რას მიჰქარავ? დაგილევია, წადი შინ, მოინელე!

— შენი ძმისწული გელა, ეგ მოთრეული და შენი გომბიოც... ვიცი, რასაც აკეთებენ, ვიცი...

— შინ წაეთრიე, შე არაკაცო...

— მე ვარ არაკაცი?.. ოხ, ბასიკო...

ბასიკო თემის უფროს ელაპარაკებოდა:

— მეუბნება, ქალი მამათხოვეო... რაკი შეძლებული ვარ, უნდა მომათხოვოო. ქალს კი არ უნდა. ეხლახან ჩემმა ქალმა სილა სტკიცა და გამწარებული ლაპარაკობს... აბა ნაწყენ კაცს და, ისიც მთვრალს, რა ყურადღებას აქცევ?

— არა, მე იმის ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქცევ. მაგრამ ბასიკო, ფრთხილად! — შეუბღვირა თემის უფროსმა ბასიკოს. შემდეგ ჩაჰკიდა ხელი ბახუტოს და ვითომც ვაცილებო, თავისთან წაიყვანა. გზაზე ბახუტო უამბობდა:

— სოფლის ბოლოს კრება ჰქონდათ... მე იქ ცხენს ვაძოვებდი, ვერ შემამჩნიეს... აჯანყებას აწყობენ... ბოლშევიკებთან კავშირი აქვთ, მე ყველაფერი მესმოდა... სამხედრო საქმეებს ხელმძღვანელობს...

— რას ამბობ, ბიჭო! ვაი შენს სარდიონს! ხვალ რომ გამოფხიზლდები, მაგას დაადასტურებ?

— დავადასტურებ!

— ვაი შენს სარდიონს! — ღელავდა თემის უფროსი.

V. ერთი უბედურთაგანი.

სამართველოს წინ, ბებერ მუხის ჩრდილ-ქვეშ გადაღელილი და გათხლეშილი იჯდა სარდიონი — თემის უფროსი.

მის ირგვლივ იყო მთელი ამალა „ამორჩეულებისა“ — „ბებერ-ბებერებიდან“ დაწყებული, უბრალო გზირ-მილიციონერამდე. აქვე იყო ბახუტო, რომელიც სარდიონს უსაყვედურებდა: ნუთუ ამ ბებერ კონიას გამო მიბარებდი და საქმეს მაცდენდი? ხომ ვეუბნები მაგ გადამღრძვალს, ის ერთი ნაფლეთი მიწა მომყიდე-მეთქი! სხვა რალა შავი ქვა უნდა?

იქვე დაყრდნობილი და გამწარებული კონია ბახუტოს პირში შესდგომოდა და ეჩხუბებოდა:

— შენ ამოაგდე ჩემი ბოსტანი, აგრემც ამოვარდნილა შენი საგვარეულო! — შემდეგ მიუბრუნდა „თემის ამორჩეულებს“ და უთხრა:

— თქვენ მაინც რატომ არ შეხვალთ ჩემს განკითხვაში? ამ ვეშაპს დაულია პირი და ლამის ჯღანმანებიანად გადამყლაპოს. ერთი ბატარა ბოსტანი მქონდა. ჩემი ღონე მას შევალიე, რომ ზამთრისთვის ლუკმა მქონდა. ამ ბახუტომ გაანადგურა, შარად აქცია ამ შარაზე სასიკვდილემ და თქვენ ისევ მაგას ამართლებთ? სარდიონ! სად არის შენი სამართალი? რატომ არ არჩევ მტყუანს და მართალს? მაგრამ შენ ვინც გასვა არაყი, კიდეც მიეც ალაგი...

— მე თავი დამანებე, ადამიანო... მე არაფერი ვიცი, ბოსტანია, თუ რალაც ჯანდაბა, მე არ მინახავს, არც წანახედი ვიცი...

— რა არ გინახავს? რიყეზე ქვა დაგეკარგა? ტყეში—ხე? საბძელში ბზე? მაგრამ თქვენ ერთმანეთის ძვალს არ გასტეხავთ. თქვენ ყველანი ქურდები, ყაჩაღები ხართ!

— დედაკაცის შარი, მოვარდნილი ღვარი! ფუ! გაათრიეთ აქედან! — ჯავრობდა სარდიონი.

— ფეხს არ მოვიცვლი, სანამ სამართალს არ მივიღებ!

— ეგდე, სანამ ფეხებს გაფშეკავდე. და სარდიონი ხვნეშით წამოდგა. იგი წინასწარ გაფრთხილებული იყო, რომ ბახუტოს სამზარეულოში სადილი მზადდებოდა. უკვე დროც იყო.

სარდიონი დაადგა გზას. მას ბახუტო მიჰყვა. სხვებს ბევრი პატიჟი არ სჭირდებოდათ: მხოლოდ წარბის აწევა, ან თითის დაქნევა და მზად იყვნენ.

სადაც სარდიონს პატივს სცემდნენ, არც მათ მოაკლებდნენ ყურადღებას და გაჰყვნენ სარდიონს.

კონია დიდხანს იდგა გაჩუმებული და ჯოხს დაყრდნობოდა. ერთხად გული ამოუჯდა, რაკი გაიხსენა, რომ ნაამაგდარი მიწასთან იყო გასწორებული. მოვიდა, იჩივლა და უყურადღებოდ დასტოვეს — სხვათა ჭირი ღობე, ჩხირი! — შემდეგ კონია წელში გაიმართა. იქვე მაღლობი ადგილი იყო, რომელიც მთელს თემს გადაჰყურებდა. თავისდაუნებურად იმ მაღლობს მიატანა და სოფელს გადასძახა:

— ჰეი, უბადრუკნო, უმსგავსო ლაჩრებო! რას შემძვრალხართ თქვენს სოროებში? გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! მგელია თქვენს შორის, აფთარი! შეგჭამთ! შეგჭამთ! დღეს მე, ხვალ თქვენ! ვაი სოფელს! ვაი ბალახს!

კონიას ბახუტო წარმოუდგა თვალწინ და ჯოხით გაბრაზებულ[illegible]

— გველო! გველო! მიძვრები? ვერა, თავს გაგიჭეჭყავ! ფუი ფუი! — და თან დედამიწაზე სცემდა ჯოხს, თითქოს მართლა გველს თავს უჭეჭყავდა.

— ფუი! ფუი! ქვემძრომო! ბოსტნისჭიავ! ძაღლო! ქეციანო ძაღლო! ჩაულაპე ყველა? შესჭამე ყველა?

ჯოხზე თავი დააბჯინა და ტირილით წარმოსთქვა:

— კონია მოსპო! კონია გაამწარა!. მოსამართლეს კი ჩემი მკვდარი ცოცხალი ჰგონია...

შემდეგ ისევ წელში გაიმართა. ჩავარდნილი თვალებით სივრცეს მიაჩერდა, თითქოს შურისსაძიებლად ცას და ხმელეთს იწვევდა. მიდიოდა და თან მილაპარაკობდა:

— ხატი რომ ხატობდეს, ცოფიან ძაღლს ჯოხითაც მოიგერიებდი! ღობე რომ ღობეობდეს, ხვადი მგელი ჩხირად არ მიიმჩნევდა! ჰეი უბადრუკნო, სამართალი დაკუტებულა და ჭინჭრაქას თვალები ამოუკენკია!.. გაიღვიძეთ! აფთარია თქვენს შორის...

კონიას გულალი და ერვანდი შეხვდნენ, რომლებიც რაღაც საქმეზე მსჯელობდნენ.

კონია გულადის მივარდა:

— ცრუობთ! ცრუობთ! შველა არსად არის... არსად! არსად!

— ძალო კონია! — უთხრა გულალიმ—მეც იმას გეუბნები, რომ შველა არსად არის, სანამ სარდიონი, ბახუტო და ანდრია პარპაშებენ!

და აქ გულალიმ უამბო სამი მართველის ამბავი:

— იყო სამი მართველი. ერთიც ქაჩალი, მეორეც ქაჩალი და მესამეც სრულიად თავმოტვლეპილი. სანადიროდ წავიდნენ და სამი კურდღელი ნახეს: ერთიც მკვდარი, მეორეც მკვდარი და მესამეც დიდიხნის აყროლებული. გამობრუნებისას სამი სახლი ნახეს: ერთიც დანგრეული, მეორეც დანგრეული და მესამეც მიწასთან გასწორებული. დანგრეულ სახლში სამი ქილა ნახეს: ერთიც გატეხილი, მეორეც გატეხილი და მესამეც ძირგავარდნილი. ძირგავარდნილი ქილა თასმით გადაბ-გადმოაბეს, შიგ მკვდარი კურდღელი ჩადეს და ცეცხლზე შემოდგეს მოსახარშად. ხორცი დაცვივდა წვენი ქილაში დარჩა და, აი, როცა შენ იმ წვენს მიირთმევ, სარდიონისგან სამართალს მაშინ ელირსები.

გულალის ლაპარაკი კონიას არ ესიამოვნა და შეუყვირა:

— აბა რა! არაქელას ფარჩას არუთინა ჰხევდა, გამვლელი კი იცინოდა. და ხუსხუსით წავიდა.

გულალი და ერვანდიც წასვლას აპირებდნენ, რომ მათ ბახუტო წამოეწიათ.

— გულალი, მოდი აქ!

გულალი მიუახლოვდა. ბახუტომ დამშვიდებულ კილოზე და შემპარავის ღიმილით ჰკითხა:

— შენ ჩემი საქმე რატომ ვერ მოაგვარე?

გულალი ჩაფიქრდა. იცოდა რა საქმესაც ეკითხებოდა.

— როგორ ვერ მოვაგვარე, მოვაგვარე. თურმე ყველას ისე ეყვარხარ, როგორც დარიშხანა... ელდინოს უარესად!

— ეგ მოთრეული სომეხი ჰბედავს რაღაცას...

— როგორ არა, ძალიან ბევრს ჰბედავს. ამბობს: ბახუტოს ბეღელი ჩავუდგი, ნამუშევარი კი დღესაც არ მოუციაო.

— მე ელდინოზე გელაპარაკები... მე ხომ დაგავალე, ბასიკოს მოელაპარაკე-მეთქი! რაც მოხდა, მოხდა. იმ ღამეს მთვრალი ვიყავ... ბასიკომ ელდინო მე უნდა მომათხოვოს... შენ ეს გაახერხე და მე ვიცი... გავიგე, მაგ სომეხს გულში რაღაც უძევს... თითქოს ელდინოსაც — შენ უნდა ეცადო მათ შორის არაფერი მოხდეს და პატივისცემა ჩემზე იყოს.

გულალი გულში ფიქრობდა:

— მენდე, მენდე! ჩემი ერთგულება მტკიცეა, როგორც ბამბის თოკი ჩამოსახრჩობად.

ამ დროს შორიახლოს ელდინომ გაიარა. გულალიმ წამოიძახა: „აგერ ელდინოც!"

— გულალი! — დაუძახა ელდინომ! — დაგეძებდი და შენ კი სად ჰყოფილხარ...

— ალხანა-ჩალხანასთან! იქ, სადაც უპერანგოს საკინძს აწყვეტენ!

ელდინომ გაიხმო გულალი და ჩუმად უთხრა:

— შენთან და ერვანდისთან გელამ დამაბარა: ამ ღამეს გიგოსთან აღარ ვიკრიბებით, ცისქვეშ, მუხიანთან ვიქნებითო.

— კარგი, კარგი!

ელდინო წასვლას აპირებდა, რომ ბახუტომ გულალის უთხრა:

— შეაჩერე, მინდა რამ ვუთხრა.

გულალიმ ელდინო შეაჩერა:

— უთხარ... გიცდის.

— შენ უთხარ ჩემ მაგიერ და ჩემი პატივისცემა ხომ იცი. უთხარ, რომ დავრწმუნდე. და თან თითებით ანიშნებდა: ფული იქნებაო!

გულალიმ ისეთი სახის გამომეტყველება მიიღო, ვითომც ქრთამმა მოხიბლა და ელდინოს უთხრა:

— იცი, ელდინო, ეს ჩვენი პატივცემული ბახუტო, შეძლებული, ჩვენს თემში ერთი საუკეთესო ადამიანი, ახალგაზრდა, ამბობს — გულალიმ ხმას დაუწია ად ელდინოს ყურში უთხრა:

— თუმც ჯიბეში ფული მეტიო,
მაგრამ თავში რეტიო.
მალე საგიჟეთში გნაცელა — გეთიო!

შემდეგ ისევ ხმას აუწია ბახუტოს გასაგონად:

— ბახუტო კიდევ შემოგეხვეწა და დაუმატა:

(აქ გულალიმ ისევ დაბალის ხმით წასჩურჩულა ელდინოს)
ახლა მე ჩოჩორი ვარო,
გავიზრდები, გავვირდებიო!
ბახუტოს მოუბრუნდა, ვითომც მისთვის დიდი საქმე [illegible]ინოს, და ჰკითხა:
— ასე არ არის, ბახუტო?
ბახუტომ კვერი დაუკრა: უთუოდ! უთუოდ!
ელდინოს სიცილი წასქდა და გაიქცა.
— რა აცინებდა? — იკითხა ბახუტომ.
— შენი წარმატება გაუხარდა, რომ იზრდები და...
ბახუტოს გული მოეცა, რომ ელდინო მასთან არც იმდენად უგულოდ იყო.
— და ან რად უნდა იყოს უგულოდ? ეგ ღარიბ-ღატაკის ქალიშვილი, მე შეძლებული. თუმც ჩემი შესაფერი არ არის, მაგრამ შევირთავ. დავუნათესავდები და ჩემზე გელა შხამს ველარ გადმოანთხევს, რაკი სიძე ვიქნები.
ამ იმედით გაამაყებულმა ბახუტომ ერვანდის შუბლი შეუკრა, თითქოს გაქრობას უპირებდა:
— შენ, ყმაწვილო, ახლა ვილას იმედი გაქვს? რით ვერ გაიგე, მეტი ბარგი ხარ, აქ რომ დასდიხარ!
— შენ რა გუნებაზე ხარ? — ჰკითხა ერვანდიმ.
გულალიმ ჩაურთო.
— ერვანდი, წარმატების უხარიან, რომ იზრდება და...
— თემი ზარალობს, ფეხზე ტალახს იკრავ! — ბრაზობდა ბახუტო.
— შენ რა შარზე ხარ? იქნებ ჩხუბით გინდა მომიშორო და ჩემი ნამუშაერი არ მომცე? არ გედავები, თავი დამანებე!
— შენ აქ რას აკეთებ?
— კუბოს! კუბოს, ზოგიერთებისათვის—კიდევ ჩაურთო გულალიმ.
ბახუტო არ ცხრებოდა.
— ქორწილში შეხველ და შენს სახლს გირჩევნია, განა?
— გიჟები სხვაგან მოიკითხე!
— მოთრეულო!
— რა გინდა ჩემგან?
— წადი სომხეთში!
— მე კი წავალ, მაგრამ შენ რომელ ერთს გადაურჩები?
— გასჭრის!—და ბახუტომ ხანჯალზე ხელი იტაცა.
ერვანდიმ სადურგლო ცული მოიმარჯვა. გულალი არ დაბნეულა. მათ შუა ჩადგა და მასხრობდა:
— ჰეი, ჰეი! მუწუკი არ მატკინოთ! ბახუტო, კი ხარ შარიანი, არცთუ ეგრე ქარიანი... წამო, წამო!
ჩაჰკიდა ხელი და წაიყვანა. გზაზე ბახუტო „მოთრეულ სომეხს“ აგინებდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

ოღვიძებენ მთები

შესავალი

გაზაფხული...

მზე...

ამ მზის ქვეშ აბრეშუმივით კრიალა, თეთრყვავილა მიმოზები; მუქ-მოწითალო-ფოთლოვანი, მუდამ მწვანე მაგნოლიები; ვარდისფერი ყვავილებით შემკული ოლეანდრები; მაღალი დრაცენები; მარაოსებური პალმები; მწვანედ ჩამუქებული პირამიდული კვიპაროსები; ფოთოლ-დაფერცხლილი ქინაქინის ხე, რომელიც ყოველწლივ სამოსელს იცვლის, მსხვილი, მძიმედ დაკიდებული დამსკდარი ლეღვები; აკაციები; დაფნა; მუშმულა; მავზები; ტიულპანები; თურინჯისა და ნარინჯის ბაღები და თვალუწვდენელი ჩაის ბუჩქები — მილიონი, მილიარდი უთვალავი ფოთლებით...

კახაბერის დაბლობზე დგას ქალაქი, აჭარისტანის გული, რომელსაც ოდესღაც ბატუსს უწოდებდენ. მის ქვიშნარიან კალთებს ჰბანს პონტოს შავი ტალღები და მკერდმაგარ კარიბჭედ უდგანან მთები აჭარის, ბეშუმის, ღირმანის, შავშეთისა და არგინეთის...

* *

მზე... ზღვა... გაზაფხულის ცა...

ამ ცის ქვეშ ფრთებს სწურავენ ორბნი, არწივნი, გრძელნისკარტა წეროები, გულთეთრა მერცხლები, ყვავი-ყორანი, მტაცებელი ქორი და ძერა, შორეულ აფრიკიდან საგაზაფხულოდ მოფრენილი ბრტყელჩინჩაყვიანი ვარხვები, თავშავა, ბოლოშავა, კულუმბური, და ამ ყვავილთა ტყეში დაუცხრომლად გაისმის ამ ფრინველთა სტვენა, გალობა, ჟივილ-ხივილი...

ლამაზია ლურჯი ცა და ზღვა...

ლამაზია მზე და გაზაფხული —

ამ ზღვასთან, ამ მთებში, ამ ცის ქვეშ...

* *

სამოცი წლის წინათ იმპერიალისტურმა ჩექმამ პატარა, უსუფთაო, ტალახიან ქალაქში შეაბიჯა და ისლამის მიერ მეჩვიდმეტე საუკუნეში დაპყრობილი მხარე თავის ბუნებრივ საზღვრებს დაუბრუნდა...

ეს კუთხე, მთებსა და ზღვას შუაა მოქცეული.

შიგ აჭარლები ცხოვრობენ თავისუფალი სიცოცხლით.

მათი თვალი ლურჯი ზღვის დასავლეთით და მაღალი მთების გადაღმა იცქირებოდა.

მათი ნავები და ბარკასები სტამბოლსა და რიზეს მიდიოდენ. მიმოჰქონდათ საქონელი და ოქრო. მათი მუხლები მაღალ მთებს სთელავდენ — გადაჰქონდათ და გადმოჰქონდათ პატიოსანი ქვები და ძვირფასი ქსოვილები.

მთებს შორის ვიწრო, ქვაკლდოვანი კალაპოტით მდინარეები მოჰქუხდა: ჭოროხი, აჭარისწყალი, კინტრიში, ჩაქვისწყალი — იჭერდენ შიგ თევზებს და ამ ჯანიერ მდინარეებს საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ აღრღნევინებდენ მთების კლდოვან ფერდებს და არწყვევინებდენ ნოყიერ ჭალებს, ბარაქიან დაბლობებს.

შემოდგომობით იტვირთებოდა მათი ბაღები ძვირფასი ნარინჯებით და ლიმონით, ბრინჯის მსხვილი თავთავებით, მაგარი თამბაქოს ნათესებით.

ხარობდა საუკეთესო სურნელის ჩაი, შეუჩერებლად იზრდებოდა მაღალტანიანი ლერწამი.

და დაჰხარის ამ ნარინჯს, ამ ბრინჯს, ამ ჩაის და მთელ თავის მიწაწყალს აჭარელი, რომელსაც ასეთი თბილი და მდიდარი მზე დაჰყურებს.

აჭარელს ომი არა სწამდა. არ გადიოდა ჯარში.

არ იწუხებდა თავს ღვთისმოყვარე ქრისტიან მტაცებელთათვის, რომელნიც მცნებას „არა კაც ჰკლა“ ასე თავგამოდებით „იცავდენ“ სიტყვით, საქმით კი მსოფლიო იმპერიალიზმს ეჯიბრებოდენ სისხლისღვრაში.

განუყრელ მეგობრად ჰქონდათ იარაღი.

უყვარდათ პატივი და სიცოცხლე და რამდენი ტყვიაც ედოთ ვაზნაში, იმდენ მომავალ სიკვდილს ატარებდენ თან.

უზარმაზარ სპილენძის სინზე ნაირ-ნაირ საჭმელ-სასმელს აწყობდენ და ფეშხუმზე დადგმულს, ჯორკოებზე შემოუსხდებოდენ და შეექცეოდენ.

სიამოვნებდენ, ლხინობდენ ჭიბონით და დოვლით, ცეკვავდენ ხორონს, თაფალოინს, ატარებდენ დროს.

თუ ვინმე მთავრობა გულს მოუკლავდა, გადააბიჯებდა მთას, ან და ვასცურავდა მდინარეს, ზღვას და გაჩნდებოდა ოსმალეთში, სადაც რჯულის მეგობრები ეგულებოდა.

გავარდებოდა ვისმეს ტყვია, მოკვდებოდა ერთი გვარის აჭარელი, მაშინვე მკვლელის სახელზე ტყვიით იტენებოდა იარაღი და საშვილიშვილოდ გადადიოდა სამაგიერო სისხლის აღების ანდერძი.

ასე ცხოვრობდა აჭარაში უზრუნველი ნაწილი: ბეგები, აღები, ხოჯები, შეძლებულები.

მათი თვალისა და გულის გასახარებლად იზრდებოდა ბაღებში ნაყოფი, ყანებში და პლანტაციებში სურნელოვანი ფოთლები.

მაგრამ...

იყვნენ აჭარლები, რომელთა ოფლიც რწყავდა ამ გულუხვ მიწას, რომელთა მარჯვენაც ზრდიდა ამ ძვირფას ხეხილნარს, რომელთა შრომაც დოვლათით ავსებდა სხვის ბეღლებს, სხვის ნალიებს.

იყვნენ აჭარლები, რომელნიც შრომობდენ, სახე და თვალები მიმართული ჰქონდათ ცისაკენ — სამხრეთისაკენ, და ლოცულობდენ.

მაგრამ მათი კერა მაინც ცივი იყო, მათი ჭერი მაინც [illegible], მათ ეზო-კარში არ ისმოდა ჭიბონისა და დოვლის ხმა.

* *

ბათომი ბაქოს შავი ოქროს სადენი არხია.

მოსწონს ალმასთვალება ოსმალოს ეს ლამაზი ბათომი, ტროპიკული მცენარეებით აყვავებული და გაფურჩქვნილი.

თოთხმეტ დუიმიან ზარბაზნებს უშენდა ბათომს გერმანული კრეისერი „გებენი", რომელიც მსოფლიო ომის დროს ამ ღრმა ნავსადგურს, მოადგა, მაგრამ უკუაგდო ბარცხანამ — მისმა მფარველმა მთაციხემ.

ეს ის დრო იყო, როდესაც ომში დამარცხებისგან ბრაზმორეული სამეფო რუსეთი აწიოკებდა და დედამიწის პირიდან ჰგვიდა აჭარის სოფლებს.

დიდმპყრობელური ჩექმა და იარაღი სთელავდა და მუსრს ავლებდა აჭარელ მოსახლეობას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რჯულით ოსმალების ერთმორწმუნენი იყვნენ.

ცალიერდებოდა მაშინ მთელი სოფლები, ზურგზე ლეიბმოკიდებული იხიზნებოდა მშრომელი გლეხობა მთაში და ტყეში, გადადიოდენ საზღვარზე, ითვლიდენ თავის წუთისოფელს სიმშილსა და გაჭირებაში, ცის ქვეშ და ტიტველ მიწაზე, თვით სოფლები კი სავსე იყო დარბეულთა ქონებით, კანონიერ ყაჩაღებისთვის გასაძარცვავად დატოვებული.

ინგლისი ეთამაშებოდა მას ვაჭრის თვალით. დასცქეროდა და კიდევაც დასდგა შიგ კაპიტალისტური ქუსლი—ეს მოხდა ათას ცხრაას თვრამეტიდან — ათას ცხრაას ოცდა ერთამდე, მაშინ როდესაც სუსტხერხემლიანი ხელისუფალნი საქართველოს შარაგზაზე ჰყიდდენ.

ამ ხელისუფლებმა შეიტანეს აჭარაში მტრობა და მუქარა, შინა ეროვნული შუღლი და სიძულვილი და შეაჯავრეს ის ქვეყანა, რომლის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენდენ. ჯანყდებოდა თავისუფალი სიცოცხლის ბუნება და სადაც კი იფეთქებდა ბრაზი, იქ ვარდებოდა თოფიც.

შრომის ოფლში იწურებოდენ ხელისუფალნი, აქრობდენ აჯანყებებს, იმორჩილებდენ, მაგრამ ინგლისის ლომურ თათებში, მაინც მუყაოს ტიკინებად რჩებოდენ...

და, აი, გავიდა დრო...

შეიცვალა დრო... დღეს სულ სხვაა აჭარა და ბატუსი, დღეს სულ სხვაა მისი გარემო ქვეყანა.

ლამით კახაბერის დაბლობი, სადაც შავი ზღვის შავი ტალღები შხუის, მოჩანს, როგორც უზარმაზარი ანთებული გემი, შეცურებული ყიამეთ წყვდიადში. დღით კი ღელავს შრომაში, გეგმებში, მშენებლობაში.

ათასები ჩაბმული არიან ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებში, მდინარეებზე იდგმება ელექტრონის ჭაღები და ათასი ჰექტრობით იზრდება და ფართოვდება მიწა-ფაბრიკა, რომელიც კოლექტიური შრომით ამზადებს ჩაის, ბრინჯს, მანდარინს, ლიმონს, რამს და თამბაქოს.

ასე შენდება და იცვლება ის ქვეყანა, რომელიც საბჭოთა ფლორიდად უნდა გარდაიქმნეს.

მეოცე თავის დასაწყისი.

პირმრგვალი, ქერათმიანი და ცოცხალთვალებიანი შუა ხნის კაცი ფეხზე დგას. ხელში მსხვილი ფერადი ფანქარი უჭირავს.

ის ლაპარაკობს.

ლაპარაკის დროს მისი თვალები ხან ერთ სახეზე ჩერდება ხან მეორეზე. ელვის ზოლივით მოუჩანს თეთრი საღი კბილები. დრო და დ[illegible] ფანქარს მაგიდაზე არტყამს.

მისი სახის თითოეული ნაკვეთი ბრაზსა და ჯავრს გამოხატავს. მისი ყოველი სიტყვა კრების თითოეულ წევრს გულამდე სწვდება.

მისი ხმა, კილო და მოძრაობა მოითხოვდა: დასჯას. სისასტიკეს. უკიდურეს ზომას.

მან უკანასკნელი ფრაზაც ისე სთქვა, როგორც ვაზნებში ტყვიებს ალაგებენ ხოლმე და მშრალი ბრინჯაოსფერი სახით გადაჰხედა ყველას.

თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა. მისი ხელი მაგიდაზე ფანქრის რაკუნს განაგრძობდა.

მერე ლაპარაკობდა ქალიც. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამდა კომუნისტის უტაქტო მოქმედებას, ბრალს სდებდა მას უფლების გადაჭარბებაში და ახასიათებდა როგორც თავშეუკავებელ ამხანაგს და პარტიის ხაზის გამმრუდებელს.

სიტყვა კრების თავმჯდომარემ აიღო.

— ჩვენ მოვისმინეთ მემედ ალი ხაბაზის მოხსენება კოლმეურნეობა „საერთო შრომა"-ს მდგომარეობის შესახებ და ამავე კოლმეურნეობის ქალთა შორის მომუშავის ამხანაგ ხოშნეთ დუმბაძის განცხადება და აცილება მათი უჯრედის მდივნის შესახებ, რომელმაც თავისი უპასუხისმგებლო მოქმედებების შედეგად მთელი რიგი უსიამოვნო მდგომარეობა გამოიწვია, არა მარტო ნახსენებ კოლმეურნეობაში, არამედ მთელს ახლო-მდებარე სოფლებშიც. კომისიის მიერ დაგროვილი მასალები ამასვე მოწმობს. კოლმეურნეობის იდეის შემდგომი განვითარებისა და სოფლად ახალი ცხოვრების საბოლოოდ გამარჯვების მიზნით ჩვენ უნდა დავიცვათ ლენინური პარტიის სიწმინდე... ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ ყოველგვარი გადახრა... უნდა გავათავისუფლოთ პარტია ასეთი წევრებისაგან...

...და გაცხოველდა კამათი. წამოიჭრა წინადადებანი.

ბოლოს ამ სახეების წინ უთვალავი ხელი, გაშლილ-მოღუნული თითებით აიმართა და გადაწყდა.

— ამხანაგებო!.. ამხანაგებო! გაისმა აღშფოთებული ხმა. — ეს მკვლელობაა, ამხანაგებო, მე მკლავს ეს უამრავი ხელი, ჩემს წინააღმდეგ ამართული. მე მკლავთ თქვენ ყველანი ერთად... რისთვის მკლავთ, ამხანაგებო? მე ხომ მუდამ თქვენთან ერთად ვიბრძოდი? მე ხომ თქვენი პარტიული ამხანაგი ვარ? თქვენთან გაზრდილი. თქვენთან შეზრდილი... რა ჩავიდინე ისეთი?! რა დავაშავე?!. მე ხომ სოციალიზმის საძირკვლის ჩაყრისთვის ვიბრძოდი. ხომ ვიბრძოდი!.. მე კოლექტივი დავაარსე სოფელში. თქვენ ამბობთ: ერთის დაკვრით?.. დიახ, ერთის დაკვრით. იმიტომ რომ სხვაფერ არ შეიძლებოდა. არ შემეძლო. მე ავხადე ქალებს ჩადრი, რაო?.. ძალით?.. ვაიძულე?.. ადმინისტრატიული წესით?.. მე მინდოდა აჭარელ ქალს ქვეყანა დაენახა. სიბნელისაგან განთავისუფლებულიყო. მე ჩამოვაფხრიწე სახიდან ფერჩე, გადავაგლიჯე ჩარჩაპი. ამხანაგებო! ეს საჭიროა სოციალიზმისთვის, კომუნიზმისთვის. საჭიროა დღეიდანვე. დღესვე. მე ვიცი. მე ფრონტზე მიბრძოლია კომუნიზმის მტრებთან. მე ფრონტზე ვისწავლე ბრძოლა. ერთის დაკვრით ვანადგურებდით... ერთის დაკვრით ვსპობდით, ვასრულებდით, მიზანს ვაღწევდით, იმიტომ რომ ბოლშევიკები ვართ!.. განა სტალინმა არა სთქვა: არ არის ციხე-სიმაგრე, რომელსაც ბოლშევიკები ვერ აიღებენო?.. და მეც, ამხანაგებო!..

სხდომა დაშლილი იყო. შესცქეროდენ მას გაკვირვებით და თანდათანობით ოთახს სტოვებდენ. ოთახი კვამლით იყო სავსე და ისე მოჩანდა, თითქოს ყველანი ბურუსში ყოფილიყვენ გახვეული.

— მომისმინეთ, ამხანაგებო!.. — განაგრძობდა ის და ეძებდა სახეს, რომელიც თანაგრძნობით შეხედავდა მას, მაგრამ...

ოთახი დაცალიერდა.

ერთი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაარტყა და დინჯად, მშრალად უთხრა:

— ჰუსეინ, ოლქში გაასაჩივრე.

— მემედ ალი, ეს სულ შენი საქმეა!..

— ვალდებულებაა. პარტია მოითხოვს!..

ჰუსეინი დიდხანს იდგა გულშემზარავი სახით, განმარტოვებული.

მეოცდაოთხე თავის დასასრული.

ზამთარია...

ცა რძესავით თეთრია, მიწა — თოვლით გადაფენილი.

გარემო ნისლით შებოჭილია, დასალტულია ყინვითა და ბუნდოვანი ბურუსით.

დამძიმებულია ეს თეთრი ცა თოვლით და ფიფქით. თითქოს ცა რომ შეირხეს, დამწიფებულ ვარსკვლავებივით დასცვივა ეს წვრილი, რბილი და კრიალა კრისტალები.

ზამთარია!

ერთფეროვანი ტაქტშეუცვლელი გუგუნით მიჰქრის მატარებელი:

„დან დაგა-დაგ... დან დაგა-დაგ...“

მატარებელი ანთებული თვალებით შესცქერის გადაშლილ ველებს, შთებს, ფერდობებს, რომლებიც შებოჭილი და შეკრულია ტელეგრაფის ბოძებითა და მავთულებით, გადარკალულია რკინისგზის ფოლადის ძარღვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ ვაგონებში მრავალი სახე ანთია. ანთია როგორც ცალკეული თითო სიცოცხლე.

აქანავებენ ამ სახეებს დრეკად რესორებზე შემდგარი ვაგონები და ბორბლები ერთფეროვანი დაგდაგით განუწყვეტლივ მისძახიან თოვლიან ველებს, თოვლიან მთა-გორებს.

რამდენიც ვაგონების შიგნით სახეა, იმდენი ფიქრია, ზოგის გონება — გაყინულია. ფიქრის უნარიც არა აქვს — შესცქერის ჭერს, რომელზეც მიკრულია მბჟუტავი ელნათური და სულ... მხოლოდ შესცქერის...

ზოგის ფიქრი ოცნებაა, გაშლილი, გალაღებული ოცნება, რომელიც არღვევს ვაგონის კედლებს, გადადის ასეულ კილომეტრების იქით, საყვარელ მხარეში, საითკენაც მიისწრაფვიან, სადაც ელის მათ ძვირფასი სახეები, ხელები, ნაცნობი ხმები და გრძნობები...

ვაგონი იხრჩობა კვამლიან ჰაერში, მაგრამ მგზავრებს მაინც ესიამოვნებათ ეს საკუთარი სხეულითა და სუნთქვით გამთბარი ჰაერი. ისინი სწევენ პაპიროსს, განუწყვეტლივ აბოლებენ მუქსა და ლურჯ კვამლს და სტკბებიან გულამდე ჩამწვდარი ნაფაზით.

— თქვენ საით მიემგზავრებით?..

— მე ჯერ არ მინახავს ეს მხარე...

— რა მრავალფეროვანი ბუნებაა!.. — აქა-იქ უხასიათოდ ლაპარაკობენ მგზავრები და მათ თვალებს შორის მოჰქრიან მაღალი მთები, ფიჭვნარის, მუხნარის, ნაძვნარის ტყეები, პატარა გორაკები, ყინულით დაფარული მდინარეები.

და გზები, გზები, გზები...

ფანჯარასთან ზის ჯმუხი, ტანდიდი კაცი შავი, დაწვეტებული, ოდნავ ძირს დავშებული ულვაშიანი და შეთეთრებული წვერიანი. დაძარღვულ თითებში უკავია ჩიბუხის მილი, კვამლის კვირტები იშლება მის ოდნავ შეთეთრებულ თმებშიც, მისი თვალები კი ფანჯრიდან იხედებიან და არ კი ხედავენ თოვლიან მთა-გორებს, ვერ ხედავენ ტელეგრაფის ბოძებს, რძისფერ ცას...

არა, არა ხედავენ რძისფერ ცას, არც ველს სპეტაკს, ლბილი კრისტალებით აღვსილს...

მის თვალებს ეხატება ჩაის ბუჩქები... მანდარინის ბაღები... ფართედ გადაშლილი საბალახოები... სიმინდის ყანები... მიტოვებული ცოლი და სახლკარი... და კოლექტივი...

კოლექტივი, რომელიც მას მძიმე ფოლადის ჯაჭვივით ეხვეოდა გარს და ავიწროვებდა, გულს უხუთავდა, ართმევდა ქონებას, დოვლათს, უფლებას, პატივს...

კოლექტივი, რომელიც სპობდა მას...

ეხლაც ელვასავით ენთება მის გონებაში გასროლილი ტყვიები, რომელიც დამიზნებული იყო კოლექტივისადმი. ამ ტყვიებს უნდა მოესპო და შეეჩერებინა კოლექტივის წამლეკავი ტალღების ცემა. მაგრამ...

როგორ მოდიოდა დამარცხება?! როგორ გაიმარჯვებდა?! ... ის ისპობოდა. ისპობოდა, როგორც წარსული... მას ვერ გადაარჩენდა ბურისძიებით, ღვარძლით და ბრაზით გასროლილი ტყვიები. ამაო იყო ბრძოლა...

ამაოა სინანულიც...

დრო აღარ დაბრუნდება უკან; ძარღვებიდან გადმონთხეული სისხლი უკან ველარ ჩაისხმება.

ჩიბუხში თამბაქო ამოიწვა. ნაკვერჩხალი ჩაიფერფლა. კვამლი შეწყდა. მისი თვალები გაშტერდენ და დადნენ.

უცბად სწრაფი, მკვეთრი მოძრაობით წამოდგა. გადაჰხედა ყველას, ვისაც კი თვალები გასწვდებოდა. რამდენიმე მდუმარე ნაცნობი სახე ცივად დაუხვდა. დინჯად, ჩაფიქრებულად შემოტრიალდა. ვაგონის ბაქანზე გავიდა.

ცივს ჰაერზე მეტი სილაღე იგრძნო. თითქოს გონება უფრო გაეხსნა, უფრო გაუბრწყინდა. წარმოიდგინა დრო, როდესაც მის ყანებში ასამდე გლეხი მუშაობდა, როდესაც მისი საქონელი მთის ფერდობებს მოძრავ ბუჩქებად ეფინებოდა, როდესაც ის ცხოვრობდა სურვილისამებრ, უზრუნველად...

ის შესცქეროდა მავთულებს, რომელზეც ბელურები ხტოდენ. ეს მავთულები ზედ ცაზეა აკრული. ჰორიზონტი ვიწრო იყო. არც ჩანდა სრულებით.

მერე დასცქეროდა ვაგონსა და ვაგონს შუა მორბენალ გზას, ლიანდაგს. დასცქეროდა დიდხანს.

ბორბლები ყურში ჩასძახოდა ერთფეროვნად, ფოლადის მკვეთრი ხმით, განუწყვეტლივ:

„დან დაგა-დაგ... „დან დაგა-დაგ...

„ყველაფერი დავკარგე. რა იქნება, რომ დავიკარგო ამ ბორბლებსა და ლიანდაგებს შორის?..“—ფიქრობს მისი ტვინის ერთი რომელიღაც ძარღვი, მაგრამ ძალოვანი ხელი მტკიცედ, ფოლადისებური კლანჭებით ჩასჭიდებია გაყინულ რკინის მოაჯირს და ფეხიც წამდაუწუმ სინჯავს იმ ნიადაგს, რომელზედაც დგას.

„ეს უფერული სიცოცხლეც ტკბილია!“ — უპასუხებს იმავე ტვინში მეზობელი ძარღვი და ბაქანზე მდგომი თვალებს ხუჭავს, თითქოს ამით აკრობდეს სინათლეს, რომ სიბნელეში ჩააქროს მტანჯველი ფიქრები.

მატარებელი კი ტაქტშეუცვლელი გუგუნით მიჰქროდა.

ზამთარია!..

ცა რძესავით თეთრია. მიწა თოვლით გადაფენილი...

პირველი თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული ძლიერ დიდი მზით დაიწყო. ეს დიდი მზე ძლიერს ამოდიოდა ხოლმე ხინოს მთის მწვერვალზე, საიდანაც მკერდგახეთქილ ადამიანებს ეფერებოდა მთის ძირში გაშენებულ სოფლებს.

თითქოს ოჩოფეხებზე შემდგარი, მაგრამ მაინც დაბალი ქოხები მზეზე ადრე ილვიძებენ, ბრწყინავენ ისლგადაფარებული სახურავები და წყალად იცქირებიან ბუხრის გაჭვარტლული მილები.

ამ სოფელს ერთის მხრივ ტიტველი მთები გადმოსცქერის, მეორეს მხრივ—ჭყიმარტის ტყე. ტყე კი სავსეა ცაცხვით, წიფელით, წაბლით, თელათი და მათ მრავალ-წლოვან ტოტებში სხივები იმსხვრევა და შუაგულში მუდამ ჩრდილი და ბინდია გაშლილი.

როდესაც გურიის მთებიდან გურიის ნიავი მოჰქრის, ამ ტყეზე გადაირბენს, იშლება ერთი მთლიანი შრიალი, ყუჩდება მაშინ ფრინველი შიშითა და ცახცახით.

სოფლის ირგვლივ დაფერდილი საყანე მიწებია, რომელიც ალაგ-ალაგ შავად მოჩანს, ზოგან კი გადმობრუნებული წითელი მიწა ყვითელი ხავერდივით გამოიცქირება.

ახლა საღამოა. შრომა-დღე თავდება. საბალახოდან ნახირი ბრუნდება
დ აქა-იქ ძროხების ბღავილი გაისმის.

ზოგ ბოსელში, თითებს შორის აჩხრიალდა კიდეც დატენილი ჯიქნებიდან გადმონადენი თბილი მსუქანი რძე.

დღიური შრომის მღელვარე ხმები თანდათან სწყდება და სოფელი ჩუმს და მიწყნარებულს სიცოცხლეს ეძლევა.

ლეჩაქისებურად იშლება ბინდი.

მზე თითქოს მთებში ჩაიჩეხაო, მხოლოდ რამდენიმე ზოლი წითელი გაშლილი სხივებისა ისე ამოეშვირა ცისკენ, როგორც დაღუპულის სისხლიანი ხელები, მაგრამ ცაზე ერთი ღრუბელიც არ იყო, რომ ჩასჭიდებოდა.

ეფინებოდა ჩრდილი ტყეებს, მთებს, სოფელს.

სოფლის საბჭოს შენობაში კომუჯრედის ღია კრება იყო. ამ სოფელში სულ შვიდი პარტიული იყო და ათამდე კომკავშირელი. დღეს ყველა ესენი უკლებრივ შეკრებილიყვნენ და რაღაც განსაკუთრებული გულმოდგინებით მსჯელობდენ, წყნარად, აუღელვებლად. საკითხი, რომელსაც ისინი არჩევდენ, ყველასთვის უტყუარი და უეჭველი იყო. აარსებდენ მიწის დამუშავების ამხანაგობას და პარტიულ-კომკავშირელნი უკლებლივ შედიოდენ შიგ.

უჯრედის მდივანი ჰუსეინ კვესეიშვილი იმ გლეხების სიას დასცქეროდა, რომლებმაც ამხანაგობაში შესვლის სურვილი განაცხადეს და თითოეულ მათგანს სწონიდა, აფასებდა, მის ნაკლსა და ღირსებას არკვევდა. ჰუსეინი ამას სიტყვა-ამოუღებლივ გულში და გონებაში სჩადიოდა, ოღონდ ეს აწონ-დაწონა მას სახეზე ეხატებოდა. ხან ღიმილი გადაეკვრე-

ბოდა, ხან შუბლსა და წარბებს მოღუშავდა, ხან კი სერიოზული გამომეტყველებით იძირებოდა ფიქრში.

— სოფელში ეს ბევრს არ მოეწონება. ბევრი წინააღმდეგ წავა. მრავალი მოყვარეც დუშმანი გაგვიხდება, — წარმოსთქვა [illegible] ბაბაზიმ. ის აქამდე ჩუმად იჯდა და იმ გვარებს უსმენდა, [illegible] ჰუსეინი კითხულობდა. — ფრთხილი და გონიერი მოქმედება გვჭირდება. თავიდანვე მარცხი რომ განვიცადოთ, მერე ველარავის ვერ დავაჯერებთ კოლექტივის ღირსებაში.

მემედ ალის ყველა პატივს სცემდა. მას, როგორც მომზადებულ პარტიულ ამხანაგს იცნობდენ. ის სულ რამდენიმე თვის წინათ დაბრუნდა ტფილისიდან. სწავლობდა პარტიულ სკოლაში, დაამთავრა და სოფლად სამუშაოდ გამოგზავნეს.

მემედ ალი განსაკუთრებით კომკავშირლებს უყვარდათ. ხშირად ესაუბრებოდა მათ სხვადასხვა საკითხებზე. ისინი გატაცებით უსმენდენ და შეჰნატროდენ კიდეც. მხოლოდ ჰუსეინს არ უყვარს მისი მოსმენა. მეტადრე მაშინ, როდესაც ის დარიგების კილოზე ლაპარაკობდა, მაგრამ არ შეეძლო მისთვის ანგარიში არ გაეწია. გრძნობდა, რომ ამ ადამიანში რაღაც ძალა იყო ჩანერგილი.

უჯრედმა ერთი აზრი გამოსთქვა. ჩამოწერილი გლეხები გასცხრილეს და ოცდათორმეტი კაცის შეერთება დაადგინეს.

ამ კრებაზე კომკავშირლები აღტაცებას გამოსთქვამდენ დაწყებულ საქმისადმი და სიტყვას იძლეოდენ, რომ კოლექტივის ჩამოყალიბებისთვის იბრძოლებდენ და პარტიულ ამხანაგებს ყველაფერში დაეხმარებოდენ.

ჰუსეინს რაიონულ კომიტეტში საკითხის შეთანხმება მიანდეს და კრებაც დამთავრდა.

კრების დამთავრების შემდეგ ჰუსეინი პირდაპირ ქობულეთისკენ გაემართა. მან მხოლოდ გვერდზე აუარა თავის სახლს. გარედან გასძახა, რომ ამაღამ შინ არ დაიძინებდა და ჩქარი ნაბიჯით თემშარასკენ წავიდა. მას უნდოდა დაღამებამდე ქობულეთში ასულიყო. ჰუსეინის ოდნავ დანაოჭებული სახე ფიქრში იყო ჩაძირული. ეს ფიქრი გარს ეხვეოდა მთელს სოფელს, მის კეთილდღეობას, მისთვის მზრუნველობას. ხანდახან დაფერდილ სასიმინდე მიწას ახედავდა ხოლმე და ნაღველით ევსებოდა გული.

„ამ მთიან მიწებზე კაციც ძლივს ცოცავს, და რა მძიმეა მისი ხვნა, თესვა, ტეხვა. ან რა ნაყოფს იძლევა ეს ხრიოკი მთა, რომ ღარიბმა გლეხმა ოჯახი გამოჰკვებოს?..“

მიდის და ეს ფიქრები მიჰყვება, მიჰყვება იმის ნათელი იმედიც, რომ საშველი დადგება, რომ ცხოვრება გაუმჯობესდება. სოფლის გარეთ რომ გავიდა, პატარა ხანს შეჩერდა, მერე მარცხნივ გაუხვია და შემოღობილ სასიმინდეს აუარა.

— ზაფით, ყარდაშ, ამ ბინდისას რას აკეთებ, თვალი რამეს ხედავს?..

აიხედა ზაფითმა. თავს ჰუსეინ კვესიეშვილი დასდგომოდა. რომლის სახეს წელანდელი ნაღვლიანი ფიქრი მოჰშორებოდა და კმაყოფილების ღიმილი გადაჰკვროდა.

ჰუსეინმა სწრაფად გაიტარა გულში: „ათი შენისთანა მუყათი-გლეხი მომცა და ჩვენი საქმე უსათუოდ გაიმარჯვებს“.

ზაფითს განუწყვეტელმა მოხრილობამ წელში ტკივილად დაურბინა. ტანში გასწორდა, ორივე ხელი გვერდებზე დაიდო და მუქი ყავისფერი თვალები ჰუსეინს სახეში მიანათა.

მათ შორის ლობე იყო.

ერთმანეთს მიუახლოვდენ, სალამი გადასცეს და ორივენი ლობეს დაეყრდენ.

— შველა აღარ მაქვს, ჰუსეინ. ეს ერთი ქცევა მიწა მინდა როგორმე დავბარო, იქნება წლის სარჩო მოვიდეს. — სთქვა ზაფითმა და გადაჰხედა მიწას, საკუთარი ხელით ბელტებ-გადაბრუნებულს.

— ჰეიდელ, ზაფით, ხომ ხედავ არც მზეა, არც მთვარე, ბინდში ვერას იმუშავებ.

მართლაც მზე აღარ იყო. მხოლოდ მისი წითელი ალი ამოჰკროდა დასავლეთის ცას და ისიც ყვითლად დნებოდა.

— დღეს ეს მხარე მინდოდა მომეთავებინა, მაგრამ სულერთია. — ჩაიქნია ხელი ზაფითმა, ბარი მხარზე გაიდო და ლობეზე გადმოვიდა.

— იცი, ზაფით, ახლა კი გვეშველება. შენი ღარიბი ოჯახი უმწეობაში აღარ იქნება. ზედ რომ დააკვდე ამ ყანას, მაინც აფერი არ გამოვა. კოლექტივი რომ გვექნება, ისეთი ფართობი ევირჩიოთ, რომ მთელი სოფლის თვალი იყოს. მაშინ ჯანიც ზედ რომ შევალიოთ, არ დამენანება, მეცოდინება, რომ რაცხას ევინაზღაურებთ.

ჰუსეინმა უბიდან ოთხად გადაკეცილი ქალალდის ფურცელი ამოიღო, გადაშალა და სალოკი თითი სტრიქონებზე გადაატარა.

— აი, ჩემო ზაფით, შენც ქე ხარ კოლექტივში. ახლა პირდაპირ რაიკომში მივალ. ამ ორ დღეში კრება გვექნება და კიდოვაც შეუდგებით მუშაობას. შენც უეჭველად უნდა მოხვიდე. ჩვენი მოყვარე ვინც არის, უნდა მეიყვანო კრებაზე. საჯაროდ დავაარსებთ კოლექტივს. ფუხარა გლეხობა ფეხზე დადგება.

ჩაფიქრდა ჰუსეინი. მან იცის რამდენი მტერი ჰყავს ამ ფუხარა გლეხობას. იცის მათთან ბრძოლის სიძნელეებიც. მთელი ძალა და უნარი მათთან ბრძოლას მოანდომა, მაგრამ მათ ოვთას ვერ ამოვიდა. იცის ჰუსეინმა, რომ ისინი იბრძვიან ფულით, სარწმუნოებით, ხალხის სიბნელითაც და ვერაგობითაც.

მიდიან ამ ბინდში და მათი ამხანაგური საუბარი საღამოს სიწყნარეში იფანტება.

ზაფითს ახალი სხივი შეეჭრა გონებაში. გულში სიხარულის გრძნობა ჩაენერგა და ფიქრები შეეცვალა. როდესაც ჰუსეინს დაშორდა. დიდხანს სახლის კართან იდგა და ათასნაირ წარმოდგენების ბურუსში ეხვეოდა.

ჰუსეინი კი ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ქობულეთისკენ.

კომუჯრედის სხდომიდან მემედ ალი გამოვიდა სულეიმან ხოლაიდელთან ერთად. მათ სოფლის შუაგულისკენ გასწიეს, სადაც ჯერ კიდევ არ დაშლილიყვნენ მუხის ძირში სალაპარაკოდ თავმოყრილი გლეხები. ყანიდან დაბრუნებისას აქ შეჩერდებოდენ ხოლმე, ჩამოხსნიდენ ქმართავდენ მუსაიფს და ერთმანეთს უზიარებდენ დარდსა და სიხარულს. ახლაც რაღაც საკითხზე აღელვებული ლაპარაკობდენ. იმ ხმაურთან და ჩოჩქოლთან ერთად, რომელიც მათ აეტეხათ, მოჩანდა მათი მუშტის ქნევა და მოღერება, ცისკენ ახედვა, სხვადასხვა მხარეს მითითება და საერთოდ კი უწესრიგო ლაყბობა.

მემედ ალის თვალი შორიდანვე მოიტაცა ამ სანახაობამ. სულეიმანიც შესცქეროდა ამ ახმაურებულ გლეხებს და მისი ისედაც ფიქრიანი სახე და თვალები უფრო მეტ მდუმარებაში ჩაიძირა.

არც ერთი მათგანი სიტყვას არ იღებდა, ოღონდ ორივენი ერთდა იმავეს ფიქრობდენ.

„რა აღელვებთ, რაზე კამათობენ, ვის იხსენიებენ მუშტების მკერდზე დარტყმით?“.

— გამარჯვებათ, ამხანაგებო! — მიახლოვებისთანავე მიესალმენ მემედ ალი და სულეიმანი.

დამხვდურებმა უცაბედი და უხერხული სიჩუმე ჩამოაგდეს. ზოგმა მათგანმა სალამზე თავის დახრით უპასუხა, ზოგმა გამარჯვება შეუბრუნა, ზოგმა ტუჩებზე უჩუმარი ბგერები აათამაშა.

კრებულის შუაგულ ახმედ ტაგიძე იდგა, მათ მოახლოვებისას ულვაშისა და წვერის გრეხა დაიწყო. რამდენიმე დიდი და დინჯი ნაბიჯით ლობისკენ გადავიდა და ზედ დაეყრდნო. მერე, რომ ეს ადგილის გადანაცვლება გაემართლებინა, ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, მისი სქელი ვერცხლით შეკრული საცეცხლური ლობის სარზე დაბერტყა, შიგ თამბაქო ჩაყარა და ტუჩებში გაიმაგრა. კარგა ხანს ჯიბეში ასანთს ეძებდა, იმდენ ხანს, ვიდრე არ დაავიწყდა, რომ მის წინ ხალხი იდგა, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინათ მის სიტყვებს მუშტების ქნევით უპასუხებდა.

— ამხანაგებო, მიწის ხვნა როგორ მიდის?.. — დაიწყო მემედ ალიმ და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა შეგროვილთ...

კარგა ხანს პასუხს არავინ აძლევდა. თითქოს ერთმანეთს ელოდებოდენ. მერე, როდესაც რაღაც უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ერთმა ახალგაზრდამ ფიცხად დაიწყო:

— გვარიანად, მემედ ალი, ზოგს მოთავებულიც აქვს, ზოგი ჯერ ნახევარზეც არ მიმდგარა. ზოგი თესვას შეუდგა. გააჩნია, ვის როგორი მონდომება აქვს. ჩვენი ჯილღები ბევრს ვერაფერს გვშველის.

— ჯილღები? ხო... ეს დიდი საკითხია — ეგ გაღელვებთ?!. კარგია ტრაქტორი, მაგრამ... არც ეს არის შორს. ესეც იქნება!.. — დინჯად, თითქოს სიტყვებს აყალიბებსო, უპასუხა მემედ ალიმ და პასუხს დაელოდა.

მაგრამ ყველანი დუმილს მისცემოდენ. ისევე სიჩუმე იშლებოდა, ღრმა, მნიშვნელოვანი.

— მეტი არაფერი?!. — ოდნავ გასაგონი ხმით წარმოსთქვა სულეიმანმა და ზედა ბაგის თეთრი წვრილი კბილები ქვედა ტუჩს დაუჭირა.

— ჰეიდელ!.. — სთქვა ისევ სულეიმანმა და გზისკენ მიბრუნდა.

მემედ ალიც გაჰყვა.

ყველამ თვალი გააყოლა. მერე თითქმის დაუმშვიდობებლად სათითაოდ მიატოვეს მუხის ძირი და უკან-უკან ცქერით ყველა თავისი გზით წავიდა.

ახმედ ტაგიძემ უკანასკნელ გლეხს მკლავში ხელი ჩასჭიდა და წაელაპარაკა:

— ამელამ ხოჯასთან ამოდი. სოფელში დიდი ამბავი ხდება. ხოჯა გვეტყვის.

ის მხარში გაჰყვა და ჭკვიანად, მორჩილად უსმენდა ახმედის თითოეულ სიტყვას.

მემედ ალი და სულეიმანი კარგა ხანს ჩუმად მიდიოდენ. ახლაც ორივენი ერთ და იმავე საკითხზე ფიქრობდენ: „როგორ მოიცილოს აჭარელმა გლეხმა ჯილღა და მასთან ერთად როგორ გაინთავისუფლოს თავი ახმედ ტაგიძისთანა ხალხისაგან“. ვერც ერთს დასკვნა ვერ გამოეტანათ.

— მემედ ალი! მემედ, ალი!. — გაისმა შორიდან ძახილი. — უკაცრავად, მემედ ალი, ერ წამას სიტყვა მაქვს. — მარჯვენა ხელის თითების ყელთან მიდებით მიმართა მოსულმა.

— რა, ქიცილა?..

— მე ხომ ნამდვილი ფუხარა ვარ, მემედ ალი, აბა მე სად მაქვენ ან მიწა, ან ბაღი, ან ხარები. სოფელში ოჯახი არაა, რომე მე არ მემუშავოს, რაცხაფერათ ქალ-ბაღნები ვარჩინო თქვა. რაცხა ამხანაგობა ეწყობა, რაიზა მე არ ვარ შით?..

— იქნები, ქიცილა, იქნები...

— არა, თუ მე კაცი ვარ და ქეც ვარ კაცი, მე ღირსი არა ვარ თუ? ახმედი ხო არ გგონივართ. ე, თოხი მაქვს და ე, მკლავები. სხვაი რა მაქვენ?.. ნამდვილი საამხანაგო კაცი ვარ. მუშაობაც ქე ვიცი.

— რასაკვირველია, შენც იქნები, ქიცილა, ნუ გეშინია, დაწყნარდი...

დამაჯერებელი ხმით ეუბნებოდა მემედ ალი და ღიმილით შესცქეროდა მთლად აკანკალებულ ქიცილას.

ქიცილა კი ისევ ღელვასა და მოუსვენრობას განიცდიდა.

როდესაც სულეიმანიც დაემოწმა მემედ ალის და დაარწმუნეს, რომ უსათუოდ მასაც გახდიდენ ამხანაგობის წევრად, ქიცილა თავისი გზით წავიდა, ოღონდ გზაში მაინც ლაპარაკობდა:

— რავა, რაიზა გამოვრჩები სხვას? სოფელში რაცხა ანბავი მოხდეს, რაცხა გაკეთდეს და მე შით არ ვიყო! მოკვდეს ქიცილა! თავრობა მიწას იძლეოდეს, ღარიბებო დაამხანაგდით, დაამუშავეთ და იცხოვრეთო და ჰე აფერი მეხებოდეს?!. რაიზა გამოვრჩები კაი საქმეს?..

ღიმილის გუნებაზე დააყენა ქიცილამ მემედ ალიც და სულეიმანიც. ქიცილა მოხეტიალე გლეხი იყო. ოცდაათი წელი მოჯამაგირობაში გაატარა, მაგრამ არც ერთ ბობოლასთან სამ თვეზე მეტს არ დარჩენილა. ერთს მესაკუთრისგან მეორესთან გადადიოდა, მეორედან მესამესთან და ვერსად იმკვიდრებდა გულს და ფეხს. არავისთან არ მოსწონდა, ბუდამ უკეთესს ეძებდა, მაგრამ ყოველთვის მოტყუებული ქიცილა რჩებოდა ხოლმე.

— გასძლებს თუ არა ქიცილა კოლექტივში?!. — წაილაპარაკა მემედ ალიმ.

— ძაან კი უყვარს ხეტიალი, ვინ იცის, შეიძლება კოლექტივში ყოფნა ჭკვაში დაუჯდეს. მოჯამაგირობაში იმიტომ ვერ სძლებდა, რომ მას ყვლეფავდენ. ამ ყვლეფას გაურბოდა ხოლმე. ნუ გეშინია, აქ იმუშავებს. — უპასუხა სულეიმანმა და შეჩერდა.

უკვე ბნელოდა. აქა-იქ ქოხების სარკმლებში მბჟუტავი სინათლე ენთებოდა. სოფელი ნათლდებოდა ვარსკვლავებით და მთვარით. მალალი მაგნოლიისა და ქინაქინის ხეები ღობეებზე და გზებზე ჩრდილებს აწვენდენ.

სულეიმანი დაემშვიდობა მემედ ალის და თავის ბინისკენ შეუხვია.

ღარიბია სულეიმანი. მან მთელი თავისი ყმაწვილ-ვაჟობა მოჯამაგირობაში გაატარა. ის შრომობდა და გასამრჯელოდ მხოლოდ ლუკმა პურს აჭმევდენ.

უვლიდა და თავს დასტრიალებდა სხვის ქონებას, სხვის სიმდიდრეს. რვაასი ძირი მანდარინი მის ხელში იზრდებოდა, მის ხელში ყვავოდა. მის თვალწინ იმართებოდა მანდარინის მთები. ათასობით იყიდებოდა ეს ოქროსფერი ნაყოფი მისი ბატონის ბაღისა, სულეიმანს კი არაფერი არ გააჩნდა, არაფერი არ ემატებოდა.

— რამდენიც გინდა შეექეცი, რამდენიც გინდა. — ეუბნებოდა ხოლმე გულუხვი ბატონი, — ოღონდ ხეებს ტოტები არ დაემტვრეს, ყლორტები არ დაუზიანდეს, ნაყოფმა არ მოიკლოს.

სულეიმანის თვალი გამძღარი იყო ხილის სიმრავლით.

ვიდრე ოთახის კარს შეაღებდა, სულეიმანმა მთელი თავისი განვლილი სიცოცხლე წარმოიდგინა. ხელი ჩაიქნია, ის დაკარგულ დროდ ჩასთვალა, რამაც გამოცდილების მეტი არაფერი არ მისცა მას.

რამდენი ხანია საკუთარი კერის შექმნაზე ოცნებობდა, ნატრობდა საკუთარ ჭერს და ოჯახურ სითბოს.

როდესაც ტუჩის ზემოთ ულვაშები დაემჩნა სულეიმანს, მაშინაც მარჯვენის მეტი არაფერი არ გააჩნდა.

მამუდ გოგიტიძე, მისი სიმამრი, რომელთანაც ერთ დროს მოჯამაგირედ მუშაობდა, ტვინში ლურსმანივით ჰყავდა ჩაჭედილი. მას გულგრილად ფიქრიც კი არ შეეძლო.

მამუდი ქალს არ ანებებდა. იარაღითაც კი გაიწია თავხედ მოჯამაგირეზე, როდესაც მან ფერიდე სთხოვა.

— რავა მიბედავს, ვინცხა ცხვირმოუხოცავი ყაზილარი ქალსა მთხოვს!.. — გაჰკივოდა მამუდი ხუთი ოთახის სიგრძეზე და მოუსვენრად ერთი ოთახიდან მეორეში გადიოდა.

— ფერიდე მომიყვათ, ფერიდე!.. ეს რა ხდება?.. ეს რა ... ფერიდემ მიპასუხოს!.. — განაგრძობდა მამუდი და გაფაციცებული თვალებით ეძებდა ქალს.

მაგრამ ამ დროს ფერიდე მანდარინის ბაღის ტოტების ჩრდილში მებაღის გვერდით იჯდა. ის ჩადრგადახსნილი მთელი სახით და გულით შესცინოდა მას.

როგორ მოხდა სულეიმანისა და ფერიდეს სიყვარული, მათი შეუღლება? ეს უკვირდა ყველას, მთელ სოფელს, მშობლებს და შეიძლება თვით სულეიმანსაც.

აი, სულეიმანმა გაიხსენა ის დღე, როდესაც ფერიდეს პირველად ხელი შეახო, ტუჩი დააკარა, სახის ალმური იგრძნო.

ივლისის ცხელი დღე იყო. ადამიანის სუნთქვა და გულისცემა მხოლოდ ცივ ნაკადულს, ხშირი ფოთლების ჩრდილს, ან გრილ ნიავს შეეძლო გაეგრილებია.

ვერ მოისვენა ფერიდემ შინ. სიცხემ შეაწუხა. მანდარინის ბაღებისკენ გასწია. ხშირი ფოთლებით ასხმული ტოტები, რომელსაც ნაყოფი ოდნავ დასჩნეოდა, ერთმანეთს ეკვროდენ. კარგა ხანს დადიოდა ფერიდე ამ ხეებს შორის და თეთრი ხელებით აშრიალებდა ტოტებს. სახიდან ფერჩე ჩამოხსნილი ჰქონდა და თითოეულ ფოთოლს, თითოეულ ფრინველს, შესცინოდა რომელიც კი მის მახლობლად გაშლიდა ფრთებს.

სიგრილე იყო ამ ხეებს შორის, ფოთლოვან ტოტებს გარეთ კი სიცხე ტრიალებდა.

დაიქანცა ფერიდე სიარულით. ერთ-ერთ ხის ქვეშ მწვანე მოლზე მიწვა, ჩარჩაპი გადიფარა სახეზე და ფიქრებში ჩაიძირა.

ფიქრობდა ფერიდე...

გულგანაბულს ჩარჩაპის შავ ტილოზე ბუნდოვანი სურათები ეხატებოდა... ოლონდ რა სურათები?.. რა ფერადებში?..

ფერიდეს სძინავს და არც სძინავს...

რულში ფოთლების შრიალი მოესმა, მაგრამ არც შეირხა. თვალი მილულა და ფოთოლზე უფრო ჩუმი შეიქმნა.

ტოტებს სულეიმანი აშრიალებდა. ის დადიოდა ბაღში და ათვალიერებდა ნაყოფს. სინჯავდა, ხომ არ ზიანდებოდა ხეები.

სულეიმანმა მწოლარე ფერიდე რომ დაინახა, ელდანაკრავივით შეჩერდა. მერე გული აუტოკდა ისე, როგორც ნავზე უჩვეულო მგზავრს.

„ბალახი და მიწა ნამიანია, ფერიდე გაცივდება“. გაიფიქრა სულეიმანმა და დაბალი ხმით დაიძახა:

— ფერიდე, ადექი...

ფერიდეს პასუხი არ გაუცია. ეს ხმა სიზმარში მოესმა.

სულეიმანი მუხლებზე ჩაიჩოქა, მკლავი წინ წამართა, ხელი ფერიდეს მხარს შეახო და კიდევ დაიძახა.

— ფერიდე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი კიდევ ვერ მიიღო. ოღონდ ეს ხელი სულეიმანს ფერიდეს მხარზე შერჩა. აღარ უნდოდა მისი მოცილება.

ამ ხელის ქვეშ თხელი, ლეჩაქივით გამქვირვალე კაბის სახელო და ამავე მკლავის საამო სითბო თრთოდა.

— ფერიდე, გძინავს? ფერიდე, გაიღვიძე!..—ჩასძახოდა ათრთოლებული ხმით სულეიმანი და თავის ძარღვიანსა და მაგარ ხელს მხარში უჭერდა.

რა ბედნიერი იყო სულეიმანი! ფერიდე, რომელიც მის გულში ყოველთვის სიხარულის ნერგივით ირხეოდა ხოლმე, მასთან ასე ახლოა.

პატარა ხანს ფიქრობდა, მერე დაიხარა და მარცხენა ბეჭზე სახე დაადო. განცვიფრდა სულეიმანი.

ფერიდეს გული ისე მძლავრად და სწრაფად უცემდა, რომ მისი ხმა ზურგში აღწევდა. მიხვდა სულეიმანი, რომ ფერიდემ თავი მოიმძინარა. აღარ უცდია მისი გაღვიძება. კარგა ხანს სახე-მიკრული ამ გულის უჩვეულო ცემას უსმენდა, მერე ტუჩებით ჩაეკრო მის ყელს, კისერს. სახიდან ფრთხილად მოაცილა ჩადრი და დიდხანს ეალერსებოდა მის მოყვანილ ბაგეებს.

ცოტა ხნის შემდეგ ფერიდემ მკლავი გადაინაცვლა, როგორც ღრმა ძილიდან გამორკვეულმა თვალები დაახამხამა და წაიბუტბუტა:

— რაია აგი!..

ეს იყო სულეიმანის ძალოვანი, მაგრამ ათრთოლებული ხელი.

გაწყრა ფერიდე. სწრაფად წამოხტა, ჩადრი სახეზე გადაიფარა და უკან-მოუხედავად გაიქცა.

სულეიმანმა თვალი გააყოლა და დიდხანს არ შეეძლო გადაეწყვიტა: „მართლა ეწყინა თუ არა ფერიდეს“.

იმ დღიდან სულეიმანმა გადასწყვიტა ფერიდე ცოლად შეერთო და კიდეც აასრულა. ამ ნიადაგზე მამამ შვილი წყევლით გამოისტუმრა, ურჩი შვილი დაჰკარგა და თვალით დანახვაც არ უნდოდა არც სიძის, არც შვილის.

ეს იყო რვა წლის წინათ.

ახლა ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა. მოჯამაგირე სულეიმანი სოფელში ერთი მოწინავე კაცთაგანი გახდა. სოფლის საბჭოში პატივსაც სცემენ, ანგარიშსაც უწევენ და მამუდ გოგიტიძეც სიძის შერიგებაზე მაინც და მაინც უარზე არ არის...

გავიდა თვეები, წლები, მის ოჯახს ვაჟი შეემატა. დილას საღამოსთან ასწორებდა, შრომობდა, იღვწოდა.

ამ მოგონებაში ქოხის კარი შეაღო. მისი ცოლი ტახტზე იჯდა. ჭრაქი ოთახს ოდნავ ანათებდა. შუქი და ჩრდილი ქანაობდა კედლებზე.

— სულეიმან, რა გვიან მოდიხარ, გავწყდი ლოდინით,—შესვლისთანვე დაემდურა ფერიდე.

სულეიმანი ფიქრებში გართული შევიდა. პასუხი არ გასცა, ისევ ოცვოდ შემოუჯდა ტახტს.

ტახტზე დიდი სინი იდო. შუაცეცხლზე კი ჩაიდანი ეკიდა, ფარგა მოზრდილი ჯამი, შიგ ქიშმიშნარევი ფლავი. შუაცეცხლზე ჩაიდანი ეკიდა. მოუსხდენს სინს და სერთო ჯამიდან ტკბილად შეექცეოდენ.

— სულეიმან! ხოჯას ალი გამოუგდია, დღეს ხუთშაბათი იყო, ხუთი კვერცხი ვერ ვიშოვე გასატანებლად. სწავლაზე უარი უთქვია.

რვა წლის ბიჭმა ალიმ თავი წამოყო. მის სახეზეც მორჩილებაში ჩამდნარი ბავშვური სიხალისის ნაპერწკლები გამოკრთოდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ველარ გაბედა. მამა-მისი სდუმდა, არ გაბედა მამის დასწრება.

— რა, ალი, რა იყო? — შეეკითხა სულეიმანი. — და თავის პირმშოს ალის შუბლიდან თმაზე ხელი ააყოლა, თვალებში ჩახედა. სუფთა წკრიალა, ანკარა ნაკადულივით ცქრიალებდა მისი გამოხედვა.

— იცი, ბაბა, მე დღეს ხოჯამ ფილაყით შემკრა. იმდენი მცემა, იმდენი, იმდენი.

ალბათ ალის ცრემლებიც გადმოსცვივდებოდა, დიდხანს რომ ეცქირა სულეიმანს მის თვალებში.

— იმდენი კვერცხები მოიტანეს, იმდენი, ხოჯამ დიდი კალათი გაავსო, — დაუმატა გულნატკენმა ალიმ.

— შენ კი გცემეს, არა, ალი?!. შენ გამოგაგდეს ჯამედან. შენ იმიტომ გამოგაგდეს, რომ კვერცხები არ მიიტანე. — დინჯად სთქვა სულეიმანმა, მერე ცოლს მიუახლოვდა. მხარზე ხელი დაადო. თვალებში ჩააცქერდა და წყნარად უთხრა:

— ფერიდე, იცი რა, ჩემი მეგობარი ხარ. ორივენი ბევრს ვშრომობთ. ხოჯაც და მდიდრებიც ჩვენი მტრები არიან. თუ გინდა ალი ეფენდი იყვეს, ხოჯასთან აღარ გაუშვა. შენ კიდო ეს ჩარჩაპი გადასდე, სახეზე აღარ გადაიფარო. ჩვენ ახლა სხვაფერი მუშაობა დაგვჭირდება. შენც ხალხში უნდა გამოხვიდე, სოფელში კოლექტივი არსდება, დიდმა და პატარამ უნდა ვიმუშაოთ. — ფერჩე მუჭში მოიქცია, დაჭმუჭნა, დასრისა და ფეხქვეშ დაიგდო.

— არა, სულეიმან, ჩარჩაპს რეიზა მევიხდი. თელ დუნიაში თავს შევირცხვენ?.. ვინ მეიხადა ჩარჩაპი, რო მე მევიხადო? — გაუბედავი ხმით უპასუხა ფერიდემ.

— გვეყოფა, ფერიდე, ამდენი ბნელში ყოფნა. როდის უნდა ნახო ქვეყანა? ხო იცი ქალაქის ცხოვრება მინახია. იქ ქალიც და კაციც თავისუფალია. ქალიც ჩაბმულია ყოლიფერ მუშაობაში... აქ კი... ჩვენში... ჩვენი სილარიბე არ გვეყოფა?.. მე შენთვის არ მითქვია, თუ რატომ შემოიღეს ქალებისათვის ჩადრი...

ფერიდე უსმენდა განცვიფრებული თვალებით. უსმენდა ფერიდე ისე, როგორც აცახცახებული ბავშვი ისმენს იდუმალებითა და საოცრებით

სავსე ზღაპარს, მაგრამ გონებაში მაინც ერთი მტკიცე აზრი ჰქონდა ჩამჯდარი.

— ფერიდე, შენ მაგალითი უნდა უჩვენო მთელ სოფელს ნამდვილი მონობისა და კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმოიშვა. ქალი მონა იყო... საუკუნეების განმავლობაში მამაკაცის საკუთრება იყო, ისევე, როგორც ძვირფასი ქვა, მოხდენილი იარაღი, ლამაზი ცხენი... — განაგრძობდა სულეიმანი ლაპარაკს და განცვიფრებულ ცოლს თვალებში ჩასცქეროდა...

— მაგას ვერ ვიზამ. დედ-მამა თლათ დამკარგავს, როგორ შევხედო თვალებში? რა გამოვუვედი ასეთი შვილი. ჩემს ნებაზე წამოგყევი. მათი სიტყვა არ გავიგონე. ახლა ჩარჩაპი მოვიხსნა?..

— შენი ნებაა, ფერიდე, ჩემი გულიზა დედ-მამა მეიმდურე. იგინი რა ხალხი არიან. მაინც დაკარგულებია. ჩვენი ქვეყნისთვის უცხონია, ზედმეტნი. დღეს ცხოვრება მშრომელისაა. იმათ კი არასოდეს არ უშრომნიათ. არც იციან როგორ უნდა შრომა. ნუ დაუჯერებ მათ. მამაშენს რომ უფლება მისცე, ისევ მოჯამაგირედ დამაბრუნებს თავის ბაღში, შენ კი ვინმე მოლას გაგაყოლებს ცოლად.

— ჩემი ჭკუა მაგას ვერ სწვდება, სულეიმან. მეზობელი სახეში შემოგვცქერის. ჩვენს გლახას ელოდება. მაგას ვერ ვიქ. თუ ძალას ხმაროს, ხოჯასთან გავიქცევი. ცოდვას მევინანიებ. ღმერთს არ მოვიმწყალებ. — და ფერიდემ სახე ბალიშში ჩასდო. თვალები მჭიდროდ დახუჭა. წარმოიდგინა ჩადრის მოხდის მთელი საშინელება.

ფერიდეს გული უძგეროდა. მღელვარებისგან საფეთქლებმა მძლავრად დაუწყეს ცემა. ლურსმანივით ჩაეჭედა ფიქრი ჩადრის მოხსნაზე.

ოთახის სიბნელე ერთ ჭრაქის შუქზე დნებოდა. ფანჯრის ჩამუქებულ და ჩაშავებულ მინაზე მუშტის ოდენად გამოჩნდა მთვარე.

ალის თვალები შავ გრძელ წამწამებში დაიმალა. ხმაამოუღებლივ იდგა სულეიმანი. ჩაიდანის ხუფი ამოვარდნილ ორთქლისაგან ხტოდა და ძავ-ძაგებდა და თვით ორთქლი პაპიროსის კვამლივით იშლებოდა და ჰქრებოდა.

„ხვალიდან სხვანაირად დავიწყოთ ცხოვრება“. — გაიფიქრა გულში და ოთახის კარი მძიმე რკინით გადარაზა.

მეოთხე თავი.

პონტოს ზღვის ნაპირზე ლამაზი გაზაფხული დგება. იფრქვევა სხივები. თბილი ნიავის მღელვარება მოჰყვება ხოლმე მშვიდი ზღვის ტალღებს და ოშხივარ-ავარდნილ ორთქლივით იშლება.

განთიადი ღრუბელნარევ ლურჯ ცაზე იშლება, საღამო კი ჯერ წითელია, მერე მოვარდისფერო; მზე ძირს დაგდებულ მუშაკს წააგავს, დღის ბორბალში მოყოლილს, დაღუპულს.

პატარა ნავები შეცურდებიან ხოლმე ტალღებზე და მიჰყვებიან მენავის თვალსა და ნიჩაბს. სოფელი-კი იღვიძებს ურმების ჭრიალით, დინჯად, ჭკვიანად.

ქალები მზესაც კი ასწრებენ ადგომას და, აჯილებში გახვეულნი, დღიურ შრომას იწყებენ.

საიდღანაც მაღალი ბანიდან გაისმის ეზნის ხმა:

„ელლა ჰუ ექბერ!.. „ელლა ჰუ ექბერ!.. „ეშ ჰე დურ ნუ—ილლაჰე!.. „ილ ლელ ლაჰ! „ლა ილაჰე ილლ ელლაჰ“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ დაძახილს მოჰყვებიან კუნთებ-დაძაგრული მუხლები ჩქარი და დაუღალავი სვლით. მიდიან ჯამეში, მედრესეში, მათ მომწოდებელ ხოჯასთან.

ორღობეში, სადაც სოფელი თავდება, მკვრივი და ბეჭმაგარი კაცი მოდის. მას შუბლზე ყაბალახი ახვევია, ვიწრო გახუნებული ჩაქურა აცვია.

— სელამ ალეიქუმ, ბიძავ!.. — მიმართა გზაზე შემხვდარმა და ნაბიჯს უკლო.

— შებან, შენ?!. ალეიქუმ სელამ!.. — უპასუხა მან.

— იცი, — დაიწყო შებანმა, თანაც ირგვლივ მიმოიხედა, — ახალი ამბავი გავიგე, სოფელმა არ იცის, ეს მე ვიცი მარტო.

— რა ამბავი? მოყევი.

— კოლექტივი დაწყობილა, ოჯახები დაქცეულა. ყველაფერი წაურთმევიათ. როგორ მოგწონს?.. ამბობენ, აქაც მოვალ. სოფელმა არ გაიგოს, ეს მე ვიცი მარტო.

— კოლექტივი!.. ეს გიაურების საქმეა... ვნახოთ. — და მას უცბად სახეზე ბრაზი შემოასკდა, გაწითლდა, აენთო. ხელი წელზე შემორტყმულ დამბაჩას დააყრდნო. მუშტებმოღერებული მუქარით განაგრძო გზა.

შებანი შეტრიალდა. თვალი გააყოლა მიმავალს. სახეზე დაეხატა გველაძუას ღრეჭა და ხშირი ნაოჭები. კარგა ხანს უცქეროდა. მერე მარჯვენა ხელი ზედა ბაგესთან შემოირკალა და გასძახა:

— მემედ, ფრთხილად იყავი, არავის არ უთხრა! მე და შენ ვიცოდეთ მარტო...

იქ კი, სადღაც განთიადისას ჭოტის კივილივით გაისმოდა:

„ეშ ჰე დუ, ლა ილ ლაჰე! მუხამედ რასულ ლულლა“.

ბავშვები ხოჯას წინ გაშლილ ფარდაგებზე ისხდენ, იქვე კუთხეში ეწყო ქათმები, კვერცხები. ბავშვები ხოჯას სახეში შესცქეროდენ.

ხოჯა უკითხავად ყურანის მეოთხმოცდაერთე სურას ქვეყნის დაღუპვის შესახებ. ბავშვები შეშინებულნი და საოცარის წარმოდგენებით გაშტერებულნი გულში ინერგავდენ ხოჯას მიერ წაკითხულ სტრიქონებს:

„ოდეს მზემ გადიხაროს... ოდეს ვარსკვლავნი ჩამოცვივიან... ოდეს მთანი ამოძრავდენ. ოდეს მხეცებმა ხრო-ხროდ თავი მოიყარონ... ოდეს ზღვანი ადუღდეს... ოდეს წიგნის ფურცელი გაიშალოს... ოდეს ცანი მიღმა გადიწყონ“...

თითოეული სტრიქონი ბავშვების გულში საზარელ ამბად იჭრებოდა, ცახცახსა და გაურკვევლობას იწვევდა.

მაღალ და ფართე სარკმლის მინებში მზის სხივები ალმაცერად ეცემოდა.

აივნიდან მოსწავლე გოგონები გადმომდგარიყვნენ. ისინი ბიჭებისაგან განცალკევებული იყვნენ. აივნამდე მხოლოდ ბუტბუტი და დიდი ცალიერი ჯამეს კედლების გამოძახილი აღწევდა.

თორმეტი წლის გოგონებს სახეზე ჩადრი ეფარათ. ერთმანეთს შავ პირსაბურავიდან მაყვალივით მუქი და კრიალა თვალები გამოუკრთოდათ. ისინი ქვეით იცქირებოდენ, თვალს ხოჯას ადევნებდენ და როდესაც ეგი შუბლს იატაკამდე დასწევდა, ბიჭები და გოგონები უცნაურებითა და ბურუსით სავსე სახეებით იმეორებდენ მის მოძრაობას. თავებს მიწამდე დაბლა ხრიდენ და შემდეგ ისევ სახეზე აჩერდებოდენ.

ხოჯამ ყურანი დახურა. მძიმე, ძველი, ქიმჩამოყვითლებული წიგნი გვერდზე გადასდო და წამოდგა. თეთრი, ოდნავ წითლად შეღებილი, შემორგვალებული წვერი ორივე ხელისგულით გაისწორა.

უსმენდენ ბავშვები. ამბობდა ხოჯა:

— ქალს სხეული შეიძლება უჩანდეს მხოლოდ კოჭებს ქვევით და ხელები, სახისა კი — მხოლოდ თვალები...

გოგონები უფრო ავიწროვებდენ ჩადრის გამოსახედს. მერე დაიხედავდენ ხოლმე მაჯებზე და კმაყოფილდებოდენ, რადგან მხოლოდ ხელები უჩანდათ.

— ალლაჰი წაწყმედს კაცს, ვისაც იდაყვს ზევით და მუხლებს ზევით ხორცი გამოუჩნდება. — ამბობდა ხოჯა და როგორც ქორი წიწილებს, ისე დასცქეროდა ბავშვებს.

უხსნიდა ხოჯა, ასწავლიდა ხოჯა, და ბავშვებმა გაიზეპირეს ხოჯას ნათქვამი.

* *

დადგა საღამოც. ცამ მიწის ფერი გადაიფარა და ვარსკვლავები ჩაიხუტა.

სოფელი გარეთ გასართობად გამოვიდა.

— ბიძებო, ძმებო, ნათესავებო, აქეთ მოდით, აქეთ! — დაიძახა შებანმა ხალხში გამოჩენისთანავე.

მეტი ამოძრავება დაეტყო ხალხს.

— გამიგონეთ, ნათესავებო! — განაგრძობდა ძახილს შებანი და უახროდ აქნევდა ხელებს.

— ხალხო, ჯამაათო!.. ეს მარტო მე ვიცი. უბედურება დგება ჩვენს სოფელში. კოლექტივი მოდის. იცით, რა არის კოლექტივი?!. თქვენ არ იცით, რა არის კოლექტივი!.. სამძღვარზეა მოსული. გურიიდან გადმოდის, ჯამაათო, აქაც მოვა. შენ ვაჟკაცი ხარ?.. ალარ იქნები ვაჟკაცი, ალარ გექნება სიმინდი, მანდარინი. ყველაფერს კოლექტივს აძლევენ. ხოჯამ სთქვა, ვინც კოლექტივში შევა, წაბილწული იქნებაო, ალლაჰისაგან დაწყევლილიო. — შებანმა გულხელი დაიკრიფა, რამდენიმეჯერ ზეცას აჰხედა, სადაც ალლაჰი ეგულებოდა.

ვინ არის ამ ხალხში, ამ ჯამაათში თავმოყრილი?.. ვინ უსმენდა შებანს რწმენითა და განცვიფრებით? შებანს, რომელიც მახლობელი კაცია ხოჯა

ჯაფარიძის. ის მუდამ მისი გულის მესაიდუმლე იყო. შებანი კარგად ცნობდა ჯაფარიძის პიროვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველად, ვიდრე სოფელში ფუხარას გაღვიძებოდა, შებანი ასულიამას გაიძახოდა:

—„ჯაფარიძე რჯულია ჩვენი. ჯაფარიძე დიდი ეფენდია, ჯაფარიძე თქვენზე ზრუნავს“.

ახლა კი, როდესაც სოფელი შუა გაიყო, როდესაც აჭარელმა გლეხებმა ერთმანეთი შეიცნეს და გაიგეს, შებანი ამბობს:

„ — ჯაფარიძეს ცოდვა სწვავს. ჯაფარიძეს სოფლის უკეთმართობა სტანჯავს“.

ვინ არიან ამ ჯამაათში თავმოყრილნი?!..

ნაწილი სდუმს, ნაწილი თავს უქნევს, ეთანხმება, ნაწილი ღელავს. საზღვარზე მომდგარ კოლექტივს ბრაზითა და ჯავრით ახსენებენ. თითქო შებანმა მათ ტვინში ლურსმანი ჩასჭედაო და ამ უცნაურ, მათთვის უცხო ფიქრებზე მიაჭედაო.

მცირე ხნის შემდეგ სოფლის განაპირას, ერთ პატარა, ლამაზ და მყუდრო შენობისაკენ მიდიოდა შებანი. კიბეებზე რომ ავიდა, აქეთ-იქით მიიხედა და ფანჯრის მინაზე დააკაკუნა, მინაზე ჩრდილმა გადაიარა და ბრტყელი სახე გამოჩნდა თეთრი, მორგვალებული წვერიანი, თავზე ჩალმა-შემოხვეული. კარი გაიღო. შევიდა. დერეფანში ფეხსაცმელები გაიძრო და წინდების ამარა შეჰყვა ოთახში. ერთი ტახტზე ჩამოჯდა. მეორე იატაკზე დაჯდა.

— რა ჰქენი, შებან? — შეეკითხა თეთრწვერა.

— ხოჯა ეფენდი, ავასრულე. მარტო მე კი არ ვიცი, მთელმა სოფელმა იცის...

მერე მათი ლაპარაკი ჩურჩულად გადაიქცა...

* *

შუალამისას, სიბნელეში არც მთვარე იყო, არც ვარსკვლავი. მწვანე ტყიანი მთები შავად მოჩანდა. შენობები თვალჩამქრალი ნადირებივით იდგა.

სოფელს ამ დროს სძინავს. სძინავთ მოდარაჯე ნაგაზებსაც კი. სოფელში ამ დროს სიწყნარეა, მძინარე დუმილი სადმე სოფლის გალმა წყალვარდნილი ჩხრიალებს და მთების გადალმა მთვარეც ანთია. აქ კი, ამ სოფელში, არც მთვარეა, არც ვარსკვლავი, არც ჩანჩქერის ხმა.

— ხოჯა ეფენდი! — აუწია ხმამ. ეს ადამიანი ჩადრში იყო გახვეული. ამ ბნელ ღამეში რაღა ჩადრი უნდოდა მის სახეს, ბნელს ბნელი გადაჰ-ხვეოდა.

ხოჯა ეფენდი ჩრდილივით გაეკრა ფანჯარას. კარგა ხანს ფანჯრის გაღებას ვერ ბედავდა, ვერც ხმას იღებდა.

— სულეიმან ნოლაიდელის ცოლი ვარ, ხოჯა ეფენდი, კითხვა მაქვს თქვენთან. მასწავლეთ, როგორ მოვიქცე?..

წვერი და თითები აუთრთოლდა ჯაფარიძეს.

როდესაც სოფელს სძინავს, როდესაც არც ვინმე ჩანს, არც ვინმეს ხმა ისმის, ქალი მიდის მასთან და დარიგებას სთხოვს. აუთრთოლდა წვერი ჯაფარიძეს, აუკანკალდა თითები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივს ამოიღო ხმა:

— ამოდი...

გადაკეტილი კარი გაიღო.

ქალი შევიდა. ქალი — ფერიდე, სულეიმან ნოღაიდელის ცოლი, მიეყრდნო კედელს და თავჩაღუნული შეჩერდა ხოჯას წინ.

— რისთვის მოსულხარ?..

— ქმარს ვემდური...

— შენ ალლაჰისა და ქმრის მონა ხარ...

— ქმარი მეუბნება ჩარჩაპი მოიხსენიო. როგორ მოვიქცე, მითხარით, ხოჯა ეფენდი, ალლაჰს პირი შევაქციო, თუ ქმარს ვუმტყუნო?..

— სულეიმანს აგრე არ ვიცნობდი, მაგას როგორ გეუბნება?

— გადაირია სულეიმანი, ყველამ პირში უნდა მიცქიროს, ალლაჰიც დამტანჯავს. როგორ მოვიქცე, ხოჯა ეფენდი, მასწავლე. იმდენი აზრი არა მაქვს, რომ გადავწყვიტო, იმდენი ძალა, რომ ეს ვიღონო, მასწავლე, ხოჯა ეფენდი, როგორ მოვიქცე?..

ფეხქვეშ ჩაუვარდა ფერიდე ხოჯას და სახეს იატაკზე არტყამდა.

ფერიდე, პატარა ალის მშობელი დედა, ფერიდე, სულეიმანის რვა წლის მეგობარი, ამ შუაღამისას, როდესაც სოფელს ეძინა, ქმარს საწოლიდან გამოეპარა, ხოჯასთან მივარდა და ეკითხებოდა, როგორ მოიქცეს.

— შენი ქმრის ჩრდილი უნდა ეფაროს შენს სახეს — წამოილუღლუღა ხოჯამ. — აღარ უყვარხარ ქმარს, თავისივე ხელით ნამუსსა გხდის. შეინარჩუნე პატიოსნება... — ჩამნერგავი ხმით უთხრა ხოჯამ და მხრებში ხელი მოჰკიდა, წამოაყენა. მის მოხუცს, დაკოჟიჟებულ ხელებს ახალგაზრდა სხეულის სითბო მოხვდა, ეს სითბო ელექტრონივით გავრცელდა, მაგრამ მის სხეულში ცეცხლი მაინც ვერ დაინთო.

გამობრუნდა ფერიდე ერთად-ერთი რწმენით გულში, რომ პატიოსნება შეინარჩუნოს, ერთად-ერთი მტკიცე აზრით, რომ ალლაჰს არ უმტყუნოს და შუაღამისას საწოლიდან გამოპარული ფერიდე ჩუმად, ფეხაკრეფით ოთახში შევიდა, ჩუმად, ფარულად ტანთ გაიძრო და ჩუმად, ცახცახით სულეიმანის საწოლში ჩაწვა.

იძინებდა და ფიქრობდა:

„ისეთ კაცს უნდა გავყოლოდი, რომელიც ნამუსსა და პატიოსნებას არ ამხდიდა... დედმამა მართალს მიჩიოდა“...

მისი ნამუსისა და პატიოსნების გარეგანი გამოხატულება ჩადრი იყო, ჩადრი კი საუკუნოებით დაგროვილ სიბნელესა და უვიცობას ჰფარავდა.

ჩაეძინა მტკიცე გადაწყვეტილებით: ჩადრს არ ავიხდიო.

მესამე თავი.

ნახშირივით შავი, გულმოდგინედ შელამაზებული წვერი აქვს, თვალები ღია და წარბები ერთმანეთთან შეერთებული. ახლა შაბათია და სადღესასწაულოდ მუქი ბრჭყვიალა ბუზმენტებიანი ჩექმა ფეხებს ქვემოთ ნაოჭებად დაყრილი და გამობერილი შარვალი აცვია. შუბლზე გურულად ახვევია ყაბალახი და ზის რამიზი აივანზე, გადასცქერის სოფელს, თემშარას, ზღვის ტეხვას.

მაღალტუჩიანი, გველივით დაკლაკნილი რეზინის მილით წინ უდგას ყალიონი და მილის ბოლო პირში ჩაუდვია. ყოველ ამოსუნთქვაზე ლაბაბი ებერება, შუშის ჭურჭელში კი წყლის ბურთულები ჩნდებიან, დარბიან და ქრებიან.

ყალიონის წევას ბათომის ჩაიხანებში მიეჩვია.

რამიზის თვალს ვერაფერი აჩერებს.

ზღვის უსასრულო სივრცე უსასრულობაშია ჩაძირული. მოგონებების ღრმა წარსულში შეცურდა.

აი, ზღვა, მისი სისხლივით რომ დუღს, სისხლივით საყვარელია!.. ეს ზღვა, შავი ზღვა, მისი სიცოცხლე და ბედნიერებაა.

ჩვიდმეტი წლისა იყო, პირველად რომ ნავი მიანდეს; სახე ჰქონდა სუფთა, მოწმენდილი, უწვერულვაშო.

მისი მკლავი იალქნის თოკებს ძლივს სძლევდა, მაგრამ არ ახსოვს რამიზს, რომ ქარს ერთხელ მაინც გამოეგლიჯოს იალქანი, ან ნავი გაეტაცოს.

რამიზი მეთევზეობას მისდევდა.

ძალიან ხშირად მეთევზეები ერთად მოიყრიდენ თავს და რიჟრაჟისას ბარკასებით გაემგზავრებოდენ ზღვის ღორებზე სანადიროდ.

თუ ზღვის ღორები არ შეხვდებოდათ, უამრავ თევზს იჭერდენ, მათ მოჰქონდათ ათეული ფუთი ხამსა და იქვე ზღვის ნაპირზე ჰყიდდენ.

რამიზი მეთევზეობაში დახელოვნებული იყო. არასოდეს ზღვიდან ხელ ცარიელი არ გამობრუნდებოდა. მისი ყური შეჩვეული იყო ზღვის ღრიანცელს. თუ ზღვაზე ქარი ატყდებოდა, ტალღებს ერთმანეთს დააჯახებდა, გულში შიშშეუპარებელი თავდავიწყებამდე ებრძოდა ბუნებას.

ის სოფელ გვარაში დაიბადა. მამა-მისს ერთი ქცევა მიწა ჰქონდა და დაუღალავად მუშაობდა. მოჰყავდა ბრინჯი, სიმინდი. აწყობდა თავის ცხოვრებას.

ვერ გაჩერდა რამიზი სოფელში, სადაც ერთ დროს მამა-მისი ებრძოდა მიწას. ვერ მოუარა მარტოხელმა ყმაწვილმა თავის სახლკარს და ერთხელ, როდესაც ქობულეთში იყო, ლაზები გაიცნო. მათ სათევზაოდ გაიყოლეს. დიდი უნარი და გამჭრიახობა გამოიჩინა რამიზმა ზღვის ღორების კვლაში. მეორედ თვითონ სთხოვა წაეყვანათ. არც მაშინ უთხრეს უარი და როცა დაბრუნდენ, თან ათეული ფუთი ზღვის ღორი გამოიტანეს, ქონითა და ხორცით აავსეს ბარკასები. დიდი სარგებლობა ნახეს ამ ნადირობიდან და მას შემდეგ გაუტკბა რამიზს ზღვა. ლაზებს დაუმეგობრდა,

მიჰყვა მეთევზეობას და დღეს უკვე აღარ აგონდებოდა სოფელი, მიწა. მისი თვალი ზღვის უსასრულო სივრცეს მიეჩვია, მისი ყური — ტალღების ღრიანცელს, მისი მკლავები — ბადეების წევას და მუხლები კი მუდმივ ღელვაზე დრეკას.

ახლა კმაყოფილია ბედისა. ცხოვრობს. გაჭირვებაზე ფიქრობა აქვს.

ასე ცდილობდა მამა-მისიც, მაგრამ სიცოცხლე არ დასცალდა, მოჰკლეს.

— მოჰკლეს... — წარმოსთქვა რამიზმა ხმამაღლა და ყალიონის მილი ტუჩებიდან ბრაზით მოიგლიჯა. მაგიდაზე დაახეთქა.

უაზრო ბუტბუტით უაზრო ნაბიჯები გადაითვალა, მერე ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა.

ისევ დინჯად აამუშავა ყალიონი. გაუშტერდა თვალი.

ფიქრობდა: „ვინ მოჰკლა ნეტავ?.. ნეტავ ვიპოვნიდე მამის მკვლელს, სიცოცხლეს შემოვაგლეჯ!..“

მას არც უნახავს მამა.

როდესაც მოჰკლეს, დედა-მისი მუცლით ატარებდა რამიზს და ყოველდღე ელოდა მის დაბადებას.

— რამიზ, შვილო, — ეუბნებოდა დედა ბავშვს, როდესაც ცოტა წამოიზარდა, — მამაშენს ტყვიით ზურგი გაუხვრიტეს, შენი ნახვა არ აღირსეს, — ეტყოდა ხოლმე ამას და გაჩუმდებოდა.

წამწამებში ნაპერწკლიან თვალებს მალავდა, ნაღველს იმაგრებდა.

როდესაც პატარა რამიზი დედის კალთაზე აჩოჩდებოდა, ცდილობდა პატარა ფუნთუშა თითებით ქუთუთოები აეწია, რომ თვალის გუგები დაენახა, გაეგო, ტირის თუ არა დედამისი. ამ დროს დედა უფრო მაღალი და უფრო მძლავრი ხმით დაუმატებდა:

— როცა კვდებოდა, ასე სთქვა: „ჩემს ცოლს შვილი დაებადება, ის გადაგიხდის სამაგიეროს, სისხლს არ შევარჩენსო“.

— ვინ იყო, ვინ მოჰკლა?.. — ეკითხებოდა რამიზი, მაგრამ დედამისის სახე ქვასავით იყინებოდა. ვერ ეუბნებოდა შვილს მკვლელის ვინაობას. ეშინოდა. მის ერთად-ერთ შვილსაც გამოაცლიდენ ხელიდან.

ბავშვობიდანვე შეეზარდა რამიზს ეს სიტყვები და დღეს ამის ყოველი გახსენება გულს უღრღნიდა, გონებას უმწვავებდა.

ბურუსი შეეპარა თვალებში. თეთრი და შავი წერტილები ათასობით აირია მის წინ და დაღალვა იგრძნო.

დაიბურა ცა, ნისლი ჩამოწვა ზღვის ზედაპირზე. მზე დაიმალა. ღრუბლები გათალხდა.

ისე შემოცურდა საღამო, როგორც გემი შავი იალქნებით.

— რამიზ!.. — გაისმა ხმა და სპილენძის ნივთივით დაეცა რამიზის წინ მისი სახელი.

— ვინა ხარ? ამოდი!

— სკენდერი ვარ, ჯაფარიძე.

— ამოდი, ხოჯა ეფენდი, რამ გაგსაჯათ?..

ხოჯა ეფენდი აივანზე გამოჩნდა. მის განიერ სახეზე თვალის კაკლები ისე მოუსვენრად ტრიალებდენ, თითქოს განუწყვეტლად რამეს ეძებდენო.

გაეხარდა რამიზს ხოჯას სტუმრობა. თუ არა რაიმე იშვიათი და განსაკუთრებული საქმე, ის არავისთან არ მივიდოდა. სოფელში ხოჯა სიმდიდრით და რჯულის სიყვარულით არის ცნობილი. სწავლა სტამბოლში აქვს მიღებული და ყველა ხოჯა-ეფენდის ეძახის.

წამოხტა რამიზი. კიბეებში მიეგება. თავაზიანად, თავდახრილად გადალუნა წინ, მარჯვენა მკლავი მკერდის წინ შემოირკალა და წინ წამოუძღვა.

— სალამ ალეიქუმ, რამიზ.

— ალეიქუმ სელამ...

— ბრძანეთ, ბატონო.

— ბრძანეთ თქვენ...

— არ ვიტყვი, ალლაი, და ბილლაი!..

— მერჰება რამიზ!.. — თავაზიანად წარმოსთქვა ხოჯამ, მერე კი ჯავრიანი ხმით დაუმატა: — ბრაზმა გამათავა, ბოლმა მკლავს. შენ გაიგე, რამიზ, სოფელში კოლექტივის მოწყობა უნდათ.

— გავიგე. ხედავ რას გვიპირებენ?!.

— შენ აქ ხარ, შენი სოფელი კი ხვალ კოლექტივს აწყობს. მიხედე, დედა გყავს, ცოლი!..

— დაბრძანდით, ხოჯა ეფენდი, ვიბაასოთ.

ხოჯა მირთმეულ სკამზე წამოჯდა.

საამაყო იყო რამიზისათვის ხოჯას სტუმრობა.

უხაროდა რამიზს და გულში ფიქრობდა: „რასაც მიბრძანებ, ყველაფერს ავასრულებ, კოლექტივს შევებრძოლები, მთელ სოფელს გავუმკლავდები.

მაგრამ რა ჰქონდა რამიზს საერთო მასთან, ერთ უბრალო მეთევზეს, რომელსაც დედა და ცოლი სოფლად ჰყავს, მაგრამ ამ სოფლის დოვლათიან ხალხში კი წილი არა აქვს. თუ კი კოლექტივი ჩამოყალიბდა, მას შეუძლია შევიდეს კიდეც. მაგრამ ხოჯა ეფენდი ეუბნება, რომ კოლექტივი უწმინდურების ბუდეა და „რადგან ხოჯა ამბობს, მაშასადამე მართალიც არის“.

— წუხელის ღამე ჩემთან ნოლაიდელის ცოლი იყო. ქმარს ძალა დაუტანებია, ჩადრი მოიხსენიო. კოლექტივში პარტიულებმა დავადგინეთო. გამწარებული ქალი ჩემთან მოვარდა, მეკითხება, ჩადრი მოიხსნას თუ არა. მთელ სოფელს ეს დღე დაადგება. შენს ცოლს, შენს დედას ჩადრს მოხსნიან, დროზე მიხედე. მერე გვიან არ იყოს.

— წავალ, ხოჯა ეფენდი, თავს არავის შევარცხვენინებ. თუთუნს მოგართმევთ...

— ახლა მოვწიე.

— ნარდი ვითამაშოთ.

— ნარდის თამაში ჩემთვის ცოდვაა. გულიც არა მაქვს. მაგრამ ქვეყანა ისე აირია, რომ აღარც ცოდვა ჩანს და აღარც მადლი, ვითამაშოთ ალლაი,

შეგცოდე... — წარმოსთქვა ხოჯამ და ღვთისკენ აიხედა, იქ, სადაც ბაეროვანი სივრცეც კი სიცალიერით თავდებოდა.

ვიდრე რამიზი ოთახიდან ნარდს გამოიტანდა, ხოჯა აივნის წინ გადაშლილ მაგნოლიისა და ნაძვის ხეებს გასცქეროდა, თანაბრად ბალახგადაფენილ თითებს დაზურმუხტებულ ბეჭდებით სავსეს, აივნის მოჯირზე ცარიელად ათამაშებდა.

რამიზმა ნარდი და ყავადანი გამოიტანა. გვერდით პატარა ლურჯი ფინჯნები დაიწყეს. თამაშის დროს ყავას შეექცეოდენ. ნარდი გადიხსნა.

მის მინასავით კრიალა და სუფთა ზედაპირზე მოზაიკური გულმოდგინებით სპილოს ძვლის გამონაჭრებით სხვადასხვა ნახატები იყო გამოსახული.

მარცხნივ, შუაგულში თეთრი, ოდნავ სიყვითლე-შეპარული ნახევარმთვარე იყო ჩასმული. მარჯვნივ, იმავე მდებარეობით ნარდის გაკეთების თარიღი ოსმალური წელთა აღრიცხვით: 1248 და წარწერა „სტამბოლი“.

საამაყოდ ჰქონდა რამიზს ეს ნარდი. სტამბოლიდან მამის მიერ მოტანილი ნარდი მისთვის ძვირფასი საგანძური იყო.

მინასავით კრიალა დაფაზე სპილოს ძვლის კამათლები აწკრიალდა და თამაში გაჩაღდა.

ხოჯას სამ მსუქან თითში ერთი წუთით იფლებოდა კამათლები, მაგრამ მეორე წუთს უცნაური ხელოვნებით ციბრუტივით ატრიალებულნი, წკრიალით მისრიალებდა დაფაზე.

— სოფლის კრებაზე უეჭველად უნდა წახვიდე. ახმედთანაც მიდი. მე ვნახე ახმედი. კარგად იცის ყველაფერი. შენ იცი, ახმედი მეუბნებოდა კოლექტივში უნდა შევიდეო. — ხოჯას სახეზე ღიმილი დაეხატა. უნდოდა გაეცინა კიდეც, მაგრამ რამიზმა არ შეუწყო ხელი. ის განცვიფრებული უცქეროდა ხოჯას. ფიქრობდა: „რა უნდა ახმედს კოლექტივში?“...

— ახმედთან მიდი. იმან ყველაფერი კარგად იცის, იმას დაუჯერე. სიმინდი ხომ არ გინდა, რამიზ, ჯამეში გვაქვს, თუ გაკლია, მოგცემ.

— არ მაკლია. ჩემი ბადე ჯერ ცარიელი არ ამოსულა ზღვიდან. თევზები! რამდენი თევზი მინახავს ჩემს სიცოცხლეში. თევზი ფულია. ფულით კი სიმინდის ყიდვა შეიძლება.

ლაპარაკობდენ, თან კამათელს აწკრიალებდენ. ხმაურითა და ტკაცუნით გადადის ქვები ერთი ბუდიდან მეორეში.

— თუმცა ამბობენ, კოლექტივში შესვლა ნებაზე არისო, მაგრამ მე ვიცი, ბოლოს ყველას მოუნდომებენ შეერთებას. დუ ბირ იაქ!.. ესეც კამათელია, — აუწია წყრომით ხმას ხოჯამ და ქვა ძლიერი ჯახუნით ჩასვა ბუდეში.

— ამბობენ, მედრესეს გვიხურავენო, სკოლა უნდათ ააშენონ. ჯამესაც დაგვიხურავენ. რჯულს გვავიწყებენ... შაში იაქ!.. ეს შაში, ესეც იაქი...

უსმენდა რამიზი და მის ყოველ სიტყვაზე თავს აქნევდა.

— ასეთი მთავრობა ჯერ არ მინახავს. ცოლებსა და ქალებს გაგვიგიჟებენ. ხომ გითხარი, ნოლაიდელის ცოლი გიჟივით მოვარდა ჩემ სახლში.

ოჯახი გვენგრევა. განა ალლაჰი ამას მოგვიწოდებს?.. წერა-კითხვის გულისათვის ვაჟკაცს მუშაობისაგან აცდენენ. ბავშვმა ყურანი იცის, რჯულის გაეგება, მაშასადამე ნასწავლია, მეტი რა უნდა... ესეც დუშაში. ყოჩაღ კამათელო!..

— მართალს ამბობ, ხოჯა ეფენდი! — ძლივს ამოიღო ხმა ოსმანმა, — ჩვენ ბრძოლა დავუწყოთ და თუ ჩვენსას არ გავიტანთ, ეს ულვაშები ღორის ბალანი ყოფილიყოს. — წარმოსთქვა რამიზმა და ის სამი თითი, რომლითაც კამათლები უნდა აეყარა, პატარა დაგრეხილ ულვაშებზე გადაისვა. კამათლები კი მარცხენა ხელის მუჭში ჩაიყარა.

დაუმთავრებელი თამაში თავისთავად შეწყდა.

რამიზმა კამათლები უყურადღებოდ დაყარა. მერე ჩაფიქრებულად დახურა დაფა და ხოჯას სახეში მიაჩერდა.

— მართლა, მე კიდევ ერთი რამის თქმა დამავიწყდა, — ამ სიტყვებზე ხოჯამ მაჯებიდან აწეული სახელოები ძირს ჩამოიწია და ენერგიული ხმით განაგრძო: — იცი ვინ აწყობს კოლექტივს?.. იცი ვინ არის შენი სასისხლო?.. იცი ვინ მოჰკლა მამაშენი?.. მამაშენი მემედ ალი ხაბაზის მამამ მოჰკლა, სწორედ ის აწყობს კოლექტივს.

რამიზი ისარნაკრავივით მოსწყდა თავის ადგილს. ზეზე წამოხტა.

— მემედ ალის მამამ... მემედ ალის!.. — და თანდათან ჩურჩული დაიწყო — სისხლი მისგან უნდა ავიღო? თქვენ საიდან იცით, რომ მისმა მამამ მოჰკლა მამაჩემი?..

— მე კი არა, მთელმა დუნიამ იცის, ვისაც ჰკითხავ ყველა დაგიდასტურებს. თუ გინდა მე გიამბობ ოსმანის სიკვდილის ამბავს. საწყალი კაი კაცი იყო, სახელითა და პატივით სავსე. მთელ სოფელს უყვარდა. მისგან წყენა არავის არ ახსოვს. მეც ჯერ ახალგაზრდა ვიყავი, სტამბოლს ვსწავლობდი. მარა ჩამოვდიოდი ზაფხულობით. ოსმანს სწავლული ხალხი უყვარდა. ყანიდან რომ ბრუნდებოდა, ჩემთან მოვიდოდა, ქვეყნის ამბებს მეკითხებოდა. მივუჯდებოდი და მოვუყვებოდი. მწყურვალივით მისმენდა, მერე მხარზე თოხს მოიგდებდა და შინ მიდიოდა.

ერთ დღეს — ყურბან ბაირამი გათავებული იყო — ყველა სამუშაოდ მიდიოდა. ოსმანს, მამაშენს, ცოლი ახლად ჰყავდა შერთული, ფეხმძიმედ იყო შენზე. ოსმანმა ჯამესკენ გამოიარა, ჯამაათი ნახა, თითონაც მოვიდა, ჩამოჯდა. ისხდენ და ერთმანეთს უსმენდენ.

ამ დროს ხაბაზმა გამოიარა. ჯამესკენ გადმოიხედა, არც სალამი მისცა კრებას, არც გაჩერდა.

— რავა უკაცურად ჩაგვიარა. — სთქვა ერთმა.

— მასთე ღორს შეეფერება. — დააყოლა მეორემ.

— ღორის მჭამელი ღორი იქნება, მა რა?!. — სიცილით სთქვა ოსმანმა.

— განა ხაბაზი ღორსას ჭამს?.. — იკითხა ვილაცამ.

— ღორსაც სჭამს და ღვინოსაც სვამს. მაგას არც ბაირამი გაეგება და არც რამაზანი. — დაუმატა ისევ ოსმანმა და ამით ლაპარაკიც შესწყვიტეს. ხალხიც წავიდ-წამოვიდა.

ამის შემდეგ ერთი კვირა გავიდა. ოსმანი ყანაში ყოფილიყო. მუშაობდა. ამ დროს ღობეზე ხაბაზი, მემედ ალის მამა, გადამდგარა და შეუძახნია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოსმან, აბა სთქვი, ღორი ვინ არის?..

— ყოველი კაცი არაა ღორი!.. — უპასუხნია მას...

— შენ რა გითქვია, მე რაი ვარ?..

— სადაც ვთქვი, ის იქვე უნდა დარჩენილიყო.

— ჩემამდე მოვიდა. —უთქვამს ხაბაზს, მერე რაღაც უწმაწური გინებაც დაუწყია, ცოტა ხნის შემდეგ კი ზურგში მოხრილ ოსმანისათვის, ღობეზე ამოფარებულს უსროლია. მოუკლავს...

არავინ ჰყავდა ოსმანს. ვინ აიღებდა მის სისხლს? ხაბაზი თავისუფლად დადიოდა. არავინ იყო მისი ხმის გამცემი, ვიდრე თავის სიკვდილით არ მოკვდა. ახლა შენ ჰყევხარ ოსმანს ვაჟკაცი. არც მკლავი გაკლია და არც ღონე.

რამიზის სახეზე დანთებული ალმური არა ჰქრებოდა. თვალებში მოწოლილი სისხლი არ უცხრებოდა. მოუსვენრად ახამხამებდა წამწამებს და თითებს ერთმანეთზე ამტვრევდა.

ხოჯა წამოდგა. ჯერ კარგახანს იდგა და უცქეროდა. ელოდა რამე შეკითხვას, მაგრამ რამიზი მძიმე და მტანჯველ ფიქრებში იყო ჩახვეული და არც კი ახსოვდა, თუ მასთან ვინმე იდგა.

— ალლაჰა სიმალადუქ... *) დუშმანმა არ უნად იცოცხლოს!.. — დაბალი ხმით უთხრა ხოჯამ და კიბეებისაკენ გაემართა და

რამიზი ამღვრეული და აღელვებული დასტოვა.

ჩამობნელდა.

თეთრ ღრუბლებს შორის დიდი სახეგაშლილი მთვარე დინჯად ამოვიდა და ცივად გადმოანათა.

მეოთხე თავი.

ადრიანი გაზაფხულის დილა ნელნელა ნათდებოდა.

ოდნავ შრიალებდა ფიჭვისა და მაგნოლიის ხეები.

ქობულეთის ზღვის სანაპირო ცისავე ფერით ასცქეროდა ცას.

მესხეთის ქუჩაზე ერთმა ეტლმა მშრალ ჰაერში მტვერი აშალა, შემდეგ კი ურმებიც ამოძრავდა ჭრიჭინა ბორბლებით.

ზღვის ტალღების ცემა გარკვევით ისმოდა. ეს ზღვა აღვიძებდა დილას.

რაიკომის შენობასთან ორი შეკაზმული ცხენი იდგა. ცხენები ერთმანეთს კისრებით მიჰკროდენ და დრო და დრო ცალ მხარეზე გადმოშლილ ფაფარს ერთმანეთს აფენდენ.

რაიკომიდან ორნი გამოვიდენ. ერთი იყო ტანმსხვილი, წაბლისფერთმიანი და გაურკვეველი თვალებით. უბრალო ნაცრისფერ კოსტიუმში ჩაცმული. შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდა ჩატანებული.

*) ღმერთს მიგანდე.

მას აბდულა ერქვა, გვარად ხალვაში.

მეორე — მკვრივი, ჩასხმული ყმაწვილი, შევგვრემანი, ნაშრომივით შავ თმა-წარბა, ცოცხალი, მოძრავი თვალებიანი და მუდამ საქმიანი გამოშეტყველებით. ეს იყო რაიონის აგრონომი ჩეჩელაშვილი, რომელიც წელიწადზე მეტია ქობულეთში მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბდულამ ცხენს მოსართავები გაუსინჯა, მოუჭირა. წამში ცხენს კბილებში ლაგამი ჩაუგდო და ზედ მოახტა.

ცხენები ქობულეთიდან ნაბიჯით გამოვიდენ. თემშარას დაადგენ. ერთი მხრიდან გადაჭიმული იყო აჭარის მთები; მეორე მხრიდან—ზღვის ჰორიზონტი.

აქვე იწყებოდა დიდი თვალგადუწვდენელი ჭაობიანი ადგილები, რომელსაც მოსახლეობა ისპანს უწოდებს და სადაც ხშირად დაღუპულა გლეხკაცის საქონელი. ეს ჭაობი კოლოებს და მავნე მწერებს ავრცელებს. ჰაერს ციებითა და შხამით ელენთავს, მოსახლეობას ასნეულებს. ეს ჭაობი ფოთამდეა გადაჭიმული და კოლხიდის დაბლობს უერთდება.

ცხენებს მათრახი შემოჰკრეს და ოთხით წამოიყვანეს.

ცხენებს თვალები უსწრებდენ, თვალებს კი ფიქრები.

აბდულა ხალვაში რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეა. დღეს სოფელ გვარაში სასოფლო კრებაა მოწვეული. აჭარაში პირველი კოლმეურნეობა დღეს უნდა ჩამოყალიბდეს და ამიტომ მასზე ფიქრები უსწრებს ცხენების მუხლმაგარ ნახტომებს.

მისი აზრები უფრო ფართო და გაშლილია, ვიდრე ის სივრცე, რომელიც ჰორიზონტამდე გადაშლილა.

ჩეჩელაშვილიც საკუთარ ფიქრებში ეხვევა.

რამდენი კილომეტრი ირბინა მისმა თვალმა, — სულ ჭაობით დაფარული ადგილებია.

ფიქრობს: ეს რომ ამოვაშროთ და ზედ ჩაის პლანტაციები გავაშენოთ, რამდენად გაუმჯობესდება ქვეყნის მეურნეობა! ამ სიმინდის ყანების მაგივრად მანდარინის ბაღები რომ დაირგოს, როგორ გაძლიერდება ქვეყნის ეკონომიკა.

ცხენები მიჰქრიან, მიაჭენებენ ფიქრებს... მიჰქრიან ფიქრები პირველ კოლექტივზე, ფიქრები აგრონომიული რუქის შეცვლაზე.

სადღაც, შორს, ორთქლმავალი ჰკივის.

ხეხილოვან ხეივნებში, მწვანე ფოთლებს შორის კვამლის შავი ჩაბუქებული ბალიშები იშლება და ლიანდაგის ფოლადის ხაზს მოაქვს გუგუნი.

მთის ფერდობზე, მთის ძირებში და გაშლილ ვაკე-ადგილებზე მოსჩანს პატარა უშფოთველი სოფლები. შიგ კი სოფლებში თითოეული გული ცალკ-ცალკე ღელავს და ყველა გული ერთად სძგერს.

დრომ გადასერა მანძილი.

დაოფლიანებული ცხენები სოფელ გვარაში შევიდენ.

მზე მაშინ ცის შუაგულზე იდგა. ჰაერი გამშრალიყო. ბუღი ჩაწოლილიყო ქოხებს შორის. სიცხეს ვერ ანელებდა გაზაფხულის დარი.

სოფლსაბჭოს ეზოში გლეხობა გროვდებოდა. ისინი გაცხოველებული კამათითა და ხმაურობით მოდიოდენ. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქიცილა, რომელიც ყველაზე მეტ ხმაურობდა და ამავე დროს არც ერთი ჯგუფი არ იყო, რომ მათ საუბარში არ ჩარეულიყო.

გლეხები კარგა იცნობდენ ქიცილას. ქიცილა მთელს სოფელს უყვარდა და ისინი ღიმილით შესცქეროდენ ქიცილას უსაფუძვლოს, მაგრამ სერიოზულ ლაპარაკს.

ქიცილას ცოლიც ჰყავდა, შვილიც და მათი ამაყობდა კიდეც. უმიწაწყლო გლეხი იყო და თავს დღიურ სამუშაოზე გასვლით ირჩენდა.

ქიცილა მოუთმენლად ელოდა დღევანდელ დღეს და პირველი გამოიქცა კრებაზე.

— მომბეზრდა სხვის ყანებში ხეტიალი, აღარც ცოლი მაძლევს საშველს. მეჩხუბება. აწი დამჯდარად უნდა ვიმუშავო, — ამბობდა ქიცილა.

თოხისა და კავის ხმარება კარგად იცოდა, არც მუშაობა ეზარებოდა, მაგრამ ერთი ცუდი თვისება ჰქონდა: ლაპარაკი უყვარდა ძალიან. ის ლაპარაკობდა ყოველთვის, სადაც უნდა ყოფილიყო, გინდ ყანაში, გინდ ჭამის დროს. ძილის წინ მისი ცოლი მთელს სახეზე საბანს გადიფარებდა ხოლმე, რათა ქმრის მოსაბეზრებელ ლაპარაკისგან თავი დაეხსნა და დაეძინა.

ერთხელ სოფელში ორ მომდურავ მეზობელს ერთმანეთში არიგებდენ და სოფელი ასამართლებდა ერთსაც და მეორესაც. მაშინ ამ სოფლის კრებაზე ქიცილასაც უნდოდა სიტყვა ეთქვა, მაგრამ ისე დაამთავრეს კრება, რომ ქიცილას სიტყვის თქმის უფლება არ მისცეს. ამან იმდენად იმოქმედა ქიცილაზე, რომ იმავე ღამეს სიცხე მისცა და ავად გახდა. სამი დღე სიცხეში იწოდა და მგონი სიცხისაგან გამოწვეულმა შეუწყვეტელმა ბოდვამ მოარჩინა.

ქიცილა დღესაც აპირებდა სოფლის კრებაზე გამოსვლას და მოუთმენლად ელოდა კრების გახსნას.

ჰუსეინ კვესეიშვილს ქაღალდის ფურცელი ეჭირა და გულმოდგინედ დასცქეროდა ზედ. ამ დროს ჩოჩქოლი შენელდა.

ეზოში ცხენოსნები შემოვიდენ, გადმოხტენ და ჰუსეინისკენ გაემართენ.

— ვნახოთ, ჰუსეინ, რამდენად გამართლდება შენი წინასწარი მუშაობა, — წაელაპარაკა ხალვაში.

— ღარიბი გლეხობა მზადა მყავს, ამხანაგო ხალვაშო. საშუალოები მერყეობენ, მაგრამ მაინც ჩვენსკენ არიან.

— ბევრნი შეგროვილან. ძალიან მოწადინებულან.

— აქ კულაკებიც არიან. ბრძოლა დაგვჭირდება. შენი არ მაფიქრებს, შეჩვეული ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდაზე ბლაგვხმიანი ზარი აჟღარუნდა. უცბად სიწყნარე ჩამოვარდა. ამ სიწყნარეში მთელი ტანით წამოიმართა წინ ჰუსეინ კვესეიშვილი, და ამ მოულოდნელმა სიწყნარემ ჰუსეინი თითქოს გაზარდა, არამარტო, გააძლიერა.

— ამხანაგებო! — თუჯის მძიმე ხმასავით გაისმა მისი სიტყვები, — სასოფლო კრებას გახსნილად ვაცხადებ. თავმჯდომარე ამოვირჩიოთ.

ჩამოვარდნილი სიჩუმე გასჭრა ხმამ:

— ჰუსეინ კვესეიშვილი!..

— მემედ ალი ხაბაზი...

— აბდულ ხალვაში...

და შემდეგ სხვადასხვა ადგილიდან სამჯერ ზედიზედ გაისმა:

— ახმედ ტაგიძე...

— როგორ, კულაკი?! — აღელვებული ხმით წამოიძახა სულეიმან ნოლაიდელმა. ის მოულოდნელად წამოვარდა წინ და კრებას გადახედა, თითქოს უნდოდა დაენახა ტაგიძის ამომრჩეველი.

ხალვაში კრებას დასცქეროდა და ფიქრობდა:

„კლასიური მტერი შეტევას წინააღმდეგობით ხვდება. კლასიურ მტერს არ სძინავს“.

ხალვაში კრებას დასცქეროდა და ფიქრობდა:

გლეხობა ხალვაშს იცნობს. ვიდრე ხალვაში რაიკომში გადავიდოდა სამუშაოდ, ის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. ხალვაშს ენდობიან გლეხები. ხალვაშმა რამდენიმე წლის წინათ უმიწაწყლოებისათვის მიწები მიაცემინა. არც ახლა უმტყუნებს მათ.

წამოდგა ხალვაში.

— დღევანდელ დღეს ჩვენ ერთად-ერთ მიზანს ვისახავთ: სოფელი უნდა გარდაიქმნეს ისე, რომ მშრომელს ჯაფა შეუმსუბუქდეს, რომ მიწამ მეტი მოსავალი მოგვცეს, რომ ყველანი შეერთებული შრომით ჰქმნიდენ საერთო დოვლათს. აი ამ ფურცელზე მე ვკითხულობ ოცდათოთხმეტი გლეხის გვარს. მათ ხელი მოაწერეს კოლექტივის ჩამოყალიბებაზე, კოლექტივში შემოსული გლეხები უზრუნველყოფილნი იქნებით წლიური სარჩოთი. გაერთიანებული შრომა, რამდენადაც ერთგულად და მოწყობილად იქნებით, იმდენად მალე განგამტკიცებთ, გაგაძლიერებთ. მთავრობა დაგეხმარებათ. თქვენი კოლექტივი მაგალითი იქნება მთელი აჭარისათვის. კოლექტივის გაძლიერება საშუალებას მოგვცემს შევებრძოლოთ კულაკობას და თანდათანობით ავყაროთ იმ მიწაწყლიდან, რომელიც მას სხვისი შრომით აქვს ხელში მოგდებული.

— ჩვენში კულაკები არ არიან!.. ჯერ მთავრობას არ უთქვამს ეს — ბრაზით წამოიძახა ერთმა. ის აქეთ-იქით იხედებოდა, გვერდზე მდგომთაგან დასტურს ელოდა.

მაგრამ...

— მაშ შენ ვინა ხარ?!. — ტყვიასავით მიახალა ნოლაიდელმა. — ჩვენ შენს მიწებზე ფეხი ვერ დაგვიდგამს. შენს საბალახოს ჩვენი ძროხა ვერ

სძოვს. მემედ ანანიძევ, მაშ შენ კულაკი არა ხარ?.. ამხელა საბალახოები ხელში რომ გაქვს მოგდებული?!. მაშ ვინა ხარ შენა, ახმედ? ცხრა უღელი ხარკამეჩი რომ დაგიდის. ჩვენ ათი წელიწადია ერთი ძროხის ყიდვას ვნატრულობთ და ვერ მოგვიხერხებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუსეინი ნოღადელს აჩუმებდა.

შემდეგ წინ ზაფითი წამოიწია. მას წვერში ოდნავ თეთრი შეჰპაროდა, სახეზე ძარღვები გამოსჩენოდა.

— მართალია, კაია მარა?!. — დაიწყო მან, — რომ ამბობთ გაერთიანდითო, რითი უნდა გავერთიანდეთ? ვინც თქვენ წაიკითხეთ, არავის აფერი არ გააჩნია. მე ქოხში ნაჯახისა და ჯილღის მეტი არა დამრჩენიარა. ერთი ხარი მომიკვდა. ცალიღა დამრჩა. ობოლი უღელი მიგდია შინ. რაცხა ფერად ისეთი ხალხი უნდა შევიყვანოთ, რომ ან მუშა საქონელი ჰყავდეს, ან სხვა რაიმე. აბა ისეთ რავა იქნება?.. — სთქვა ეს და უხერხული მოძრაობით უკან დაიხია, თითქოს სიტყვა დაუმთავრებელი დასტოვაო, თუმცა მისი ტუჩები კიდევ მოძრაობდა. დანარჩენიც, რაც სათქმელი ჰქონდა, გულში დაამთავრა.

ველარ მოითმინა ქიცილამ.

ყველა ლაპარაკობდა. ყველა თავის აზრს გამოსთქვამდა. თითქოს შეშურდა კიდეც ქიცილას სხვების ლაპარაკი და წინ წამოდგა. მისმა გამოჩენამ კრებაში ერთგვარი მხიარულება გამოიწვია.

— ქიცილას დავაცალოთ, ქიცილას!..

— მაგი თუ აგვიხსნის, თვარა!

— მე, ამხანაგებო, ძალიან მომხრე ვარ კოლექტივისა. ვინ თქვა ერთად ვერ ვიმუშავებთო? მე კახეთში ვყოფილვარ, მეგრელიაშიც ვიყავი... მე კოლექტივი მინახავს, სადაც ოცდაათი კი არა, სამასი კაცია ერთად, ისეთ მუშაობენ რო გაგეხარდება. თქვენ გავიწყდებათ, რომ მუშათა კლასს ასეთ უნდა. არ იცით, რო რავარც მუშათა კლასს უნდა, ისეთ გაკეთდება?.. თქვენ გგონიათ, ცუდია კოლექტივი? არაა ცუდი. დამიჯერეთ, რომ არაა ცუდი... — და ქიცილა ჩაფიქრდა. მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ კოლექტივი არაა ცუდი და პატარა ფიქრის შემდეგ სახე გაუნათლდა, ლაპარაკის ტონსაც მოუმატა. ასე განაგრძო: — აი, ავიღოთ სიტყვა კართოფილი... კაცმა თავდაპირველად კართოფილი რო დეინახა, თქვა: აგი მგლის ვაშლიაო და არ ეტანებოდა. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთმა რო მოხარშა, წუუსვა მარილი და გემო ნახა, ქე მეეწონა. მერე მეორემ ჭამა, მერე მესამემ და აწი თქვენ რო დაგიდგათ სავსე ქვაბი მოხარშული კართოფილი, ყველა დეესევით და ერთ წამას გააქრობთ. მარა სადაა კართოფილი? ასე, ამხანაგებო, მერე ქე გენდომებათ კოლექტივიც, მარა ვინ შეგიშობს შით. მაშინ აღარც მუშათა კლასს დასჭირდებით.

— კართოფილი კი არა, ლობიე და სიმინდი გვინდა... — წამოიძახა ვილაცამ და ქიცილას სიტყვა შეაწყვეტინა. სიტყვის შეწყვეტასთან აზრიც შეუწყდა და დაიბნა კიდეც.

— ქიცილამ სიტყვა დაამთავრა, ამხანაგებო! — წარმოსთქვა მემედ ალიმ. მას უნდოდა როგორმე შეეწყვიტა კარტოფილის სიბრძნეზე ლაპარაკი. გლეხებიც ერთგვარი სიამოვნებით უსმენდენ. [illegible] ერყევინათლად არ იყო გამორკვეული კოლექტივის სიავკარგეში — [illegible] ძათ, იქნება კოლექტივი კარგი იყოს და მერე აღარ მიგვილონო.

ქიცილა სტოვებდა თავის ადგილს და თანაც ბუტბუტებდა:

— ლობიეც გექნებათ და სიმინდიც. რავა შეიძლება კოლექტივში სიმინდი არ იყვეს. კიდო ქე მინდოდა ლაპარაკი, მარა საშველს არ იძლევიან.

და ქიცილა გაჩუმდა. ახლა უკვე თავის თავს გონებაში ელაპარაკებოდა: „კარგია თუ არა კოლექტივი, და ექნება თუ არა კოლექტივს ლობიო და სიმინდი, თუ მართლა ისე იქნება, როგორც ზოგიერთები ლაპარაკობენ“. ისიც ეჭვმა შეიპყრო.

მოულოდნელად ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სმენად გადაიქცა. მაღალი, გაბედული და რიხიანი სიტყვები აპობდენ ჰაერს.

— რაც სათქმელი მაქვს პირდაპირ ვიტყვი. ზოგს ბევრი რამე არ გესმით. როცა რამეს იწყებთ, გგონიათ, რომ ისეთ ადვილად გაკეთდება, რავარც ითქვა. ხალვაშს რა აწუხებს?!. აქ ხალხს თავს სახნავ-სათესზედ მუუყრის, მიუშვებს და თითონ წავა. ზოგს მარჯვენა არ უვარგა, ზოგს ხასიათი. ვინ იმუშავებს ისეთ, რავარც კარგი მუშაკაცი? ვინ შეიწუხებს სხვისთვის თავს? ისეთი უწესობა მოგიხდებათ, რომ ერთმანეთს გადასჭამთ.

ყველა განცვიფრებით უცქეროდა. რამდენჯერმე ზარიც აწკრიალდა; ჰუსეინმა გადასძახა კიდეც, მაგრამ მოლაპარაკე მაინც ვერ შეაჩერა. ლაპარაკობდა ახმედ ტაგიძე. ის ზორბა მკლავს ჰაერში ატრიალებდა. ხან პატარა წვერზე ხელს ჩამოისვამდა, ხან დამუშტავდა, ხან თითებს ფართედ შლიდა.

ახმედ სოფელში ძველთაგანვე გავლენიანი პირი იყო. იმდენი საქონელი მთელს სოფელს არა ჰყავდა, რამდენიც მას. მამაპაპისაგან საშვილიშვილოდ გადმოცემულს (როგორც თვითონ უძახდა) საბალახოებს დღესაც მის ნებადაურთველად ვერავინ გამოიყენებდა. ერთ დროს სოფელში მისი სიტყვა კანონი იყო, მისი ნება-სურვილი ყველასთვის სავალდებულო. გლეხობა უსიტყვოდ უსმენდა და ახმედ ტაგიძე, ჯერ კიდევ შეურყეველი სიძლიერის გრძნობით, განაგრძობდა ლაპარაკს.

— აი, ხალვაშს მე პატივსა ვცემ. ვიცი, რომ სოფლისათვის ზრუნავს. თუ მთავრობას თქვენი დახმარება უნდებიან, თქვენც მოგცეს მიწები, რავარც გინდებიან, ისეთ დაამუშავებთ, — ტაგიძემ სიტყვა დაამთავრა. მის სიტყვას ბანი მისცეს და ყველანი ერთ დროს და ერთად ალაპარაკდენ.

ზოგი გაიძახოდა:

— მართალს ამბობს ტაგიძე. დაგვეხმაროს მთავრობა, მოგვცეს მიწა, სათესლე. ჩვენს ცხოვრებას თვითონ გავიუმჯობესებთ.

ზოგიც ასე ლაპარაკობდა:

— მართლაც ყველას ხომ არ უყვარს შრომა, ზარმაცებთან მუშაობა რავა მოხერხდება?!.

ამ საერთო ლაპარაკს და ჟრიამულს ვერც ზარის ხმა ანელებდა, ვერც ჰუსეინის მუშტების ბრახუნი და ვერც ხალვაშის ძახილი.

შიგა-და-შიგ ამ ამღვრეული მასის კუნჭულებიდან გარკვეულად ისმოდა: „დავიშალნოთ, წავიდეთ“... კულაკებს სოფლის კრების დაშლა უნდოდათ. ეს შეატყეს ხალვაშმაც, ჰუსეინმაც, ნოღაიდელმაც.

მათ განზრახვას მემედ ალიც მიხვდა და სალაპარაკოდ გადმოდგა. მას ქერა ულვაშებზე ღიმილი ჰქონდა გადაკრული. ტკბილი, თბილი და ენერგიული ხმით სთქვა:

— ამხანაგებო, რა გაღელვებთ, რა გაჩხუბებთ? კოლექტივს ვაარსებთ ღარიბი გლეხობისათვის, მათ შესაკავშირებლად. მათ განსამტკიცებლად... თქვენ რა გაღელვებთ, ახმედ, მემედ, ან თქვენ, მამუდ?.. კოლექტივი გინდათ თუ არ გინდათ, როდის გეკითხებით? თქვენს დასამარცხებლად ვაწყობთ ამ კოლექტივს. უნდა შევანელოთ თქვენი თარეში. გეყოფათ სხვისი ოფლით ცხოვრება. ახლა ღარიბებმაც ნახონ, როგორია შეძლებული ცხოვრება, თქვენ კი გვარწმუნებთ, რომ გაერთიანებულად ვერ ვიმუშავებთო. რასაკვირველია, თქვენთან ვერც შეეერთდებით და ვერც ვიმუშავებთ.

ამ დროს ხალხიდან რამიზი გამოვიდა. მას თავიდან ყაბალახი შემოეძრო და მარჯვენა ხელთან ერთად აქნევდა.

— ხალხო, ყური დამიგდეთ, ჩვენ როგორ შეგვიძლია კოლექტივის დაარსება? როგორ შეიძლება ჩვენ ერთი საერთო ოჯახი, საერთო ყანა მოვაწყოთ, როდესაც ერთმანეთში შულლი გვაქვს. რავა ვიმუშაო მემედ ალი ხაბაზთან, როცა მე მაგის სისხლი მაქვს ასაღები. ჩვენი ადათი ნებას არ მაძლევს მოსისხლე მტერთან ერთად ყანაში მშვიდობიანად წევიდე. მე რომ შემთხვევა მომეცემა, მის ზურგს უკან თოფი უნდა გავაგდო. ეს ერთი. მეორეც ის, რომ ჩვენი ცოლები ჩარჩაპში დადიან, ისინი მამაკაცს უმალავენ სახეს. თქვენ კი გინდათ სახიდან პატიოსნება ახადოთ. თქვენ გინდათ ყველა კაცის თვალები ზვერავდეს მათ ყელს, ტუჩებს, ლოყებს. ეს შეუძლებელია! არც რჯული გვაძლევს ამის ნებას. მე ვერ ავიტან ჩემი ცოლის სირცხვილს. — რამიზმა სიტყვა უცბად მოსწყვიტა და საჩქაროდ თავზე ყაბალახი შემოიხვია. ის ისევ ხალხში შევიდა. ხალხი კი გაეხვია მისი აზრის ბურუსში და უფრო მძლავრად გაჰკიოდენ: „წავიდეთ, არ გვინდა კოლექტივი“.

ზლაზვნით გამოვიდა წინ ერთი გლეხი. მას სახეზე ეტყობოდა, რომ კრების ღრიანცელი აკვირვებდა. აქამდე ჩუმად იდგა და მხოლოდ სმენად იყო გადაქცეული.

— ამხანაგებო, ასთე რო აყვირდით, ამით საქმეს რას უშველით? მე მინდა კოლექტივში შემოვიდე მეთქი და თქვენ კი ვერ რიგდებით. ხუთი ჰექტარი მიწა მაქვს. ორი უღელი ხარი მყავს. ღარიბი არა ვარ, მაგრამ კოლექტივი ისეთი საქმეა, საშუალოსაც მოუხდება შიგ ყოფნა. ხალვაშზე

ბევრი გამიგონია. ჰუსეინსაც ვიცნობ, მემედ ალისაც ყველა პატრეს სცემს. სოფლისთვის ცუდი არაფერი არ დაუწყვიათ. ყველაფერი ახალი საშინაო კი არ არის, ძნელია, მოვაწყოთ. ვინც უარზეა, ის თავის გზით გაემართოს.

ის არც ღარიბი იყო, არც შეძლებული. ის ლაპარაკის დროს — ჰუსეინს, ხალვაშს, სულეიმანს შესცქეროდა, ოღონდ ტაგიძისა და ანანიძისათვის სახეში ვერ შეეხედა. თითქოს მათ ქორისებურ ზვერვას გაურბოდა. მაგრამ იმის სიტყვამ ვერ დააცხრო ღრიანცელი.

რამდენიმე ღარიბი, სახტად დარჩენილი გლეხი უსიტყვოდ შესცქეროდა მღელვარე გლეხებს. მათ უკვირდათ, მათ სწყინდათ, სისხლი ყელში აწვებოდათ, ოაგრამ რატომღაც ხმას ვერ იღებდენ.

სდუმდა მემედ ალიც. ის შესცქეროდა ხალვაშს, თითქოს მისგან მოელოდა ამღვრეულ მორევის დაცხრომას.

სულეიმან ნოღაიდელი ჰუსეინთან მივარდა. ის უსიტყვოდ ეკითხებოდა: „როგორ მოვიქცეთ?“ მაგრამ ჰუსეინს პასუხის მიცემა არ შეეძლო. ძას მხოლოდ ის სჯეროდა, რომ იმ დღეს კოლექტივი უნდა ჩამოყალიბებულიყო, იცოდა ისიც, რომ კულაკები აუცილებლად გამოსვლას მოუწყობდენ, კრების ჩაშლას შეეცდებოდენ.

— ამხანაგებო, — უცბად იგრიალა ხალვაშმა. სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმემ გამბედაობა შეჰმატა ხალვაშს. თვალი გადაავლო მიწყნარებულ ხალხს და იმავე სიძლიერით განაგრძო:

— ღარიბებო! კლასიური მტრები თქვენს გვერდით სდგანან. კლასიური მტერი თქვენს გონებაში შეჭრილა, თქვენს აზრსა და გულს ეპოტინება. მათ უნდათ ძველებურად სისხლი გწოვონ, ძველებურად გიმსახურონ. უნდა შეებრძოლოთ მათ გამოსვლებს. სოციალიზმი მოვიდა თქვენთან, თქვენს ეზოში, სახლში, სადაცაა კერიასთან ჩამოჯდება და თქვენ კი მას გაურბიხართ. ვისაც არ უნდა, ის ზედმეტია ამ კრებაზე, მას შეუძლია წავიდეს.

ხალვაშისაგან სწორედ ამ სიტყვას მოელოდენ ერთი სურვილით მოაზროვნე ღარიბი გლეხები. თითქოს მან მათ ძარღვებში გამამხნევებელი, სისხლის ახალი და ძლიერი ნაკადი ჩაასხაო. ისინი ახმაურდენ და გარკვევით მოითხოვდენ:

— კულაკები გავყაროთ... კულაკები წავიდენ... ხელს გვიშლიან, ხელს!..

ხალვაში სდუმდა. კულაკების საწინააღმდეგოდ აღშფოთებულ ახალ ტალღას გასცქეროდა. და სახეზე შეუმჩნეველი ღიმილით ელოდა უკანასკნელ ზედმეტ ადამიანის წასვლას.

მიდის ახმედ ტაგიძე. ხალვაში ფიქრობს: „კულაკია“.

მიაბიჯებს მემედ ანანიძე: სულეიმანმა იცის, ესეც ტაგიძის სისხლისაა.

მოსწყდა ადგილს რამიზი: ჰუსეინი ამბობს: „კულაკების დამქაშია“.

მიიპარება შებანი. მიდიან ჩაქურებში გამოწყობილნი. მიდიან ისინი, ვისაც კერასთან მჭადიც დაუხვდება, ფლავით, შეჭამადიც. ვისაც გამოსახდელი აქვს კარაქი, ყველი, მოსაწველი ჰყავს ძროხა, ვისაც დასაბიმნათობი.

ნავებელი ჰყავს საქონელი, მიდიან და მათ კვალდაკვალ მიჰყვება თავლაფ-
დაძსხმელი ყიჟინა.

უკვე საღამოა.

მთებზე და სოფელში ბინდი ეშვება და საბალახოებიდან ბრუნდება
ხარი, ძროხა, ცხვარი. უკვე გაისმის მათი ბღავილი, ძახილი, ხმაური.

ხალვაში, ჰუსეინი, სულეიმანი და მათთან ერთად საერთო რწმენის
კოლექტივი აქ რჩება. მათ მტკიცედ სჯერათ, რომ ისინი, ვინც ამ კრებას
ჩამოსცილდენ, მათი მტრები არიან და რომ მომავალში უფრო ძლიერი
ბრძოლა გადაჰხდებათ მათთან.

კრებაზე ოცდაათამდე გლეხი დარჩა.

ეს იყო სოფლის ოცდაათი მოსახლე. მათ გვერდში ედგათ პირსა-
ბურავიანი ცოლები, პატარა მშრომელი ბავშვები. მათ შინ მჭადი და
დაძმარული პრასაც კი არ მოელოდათ.

— ამ განცხადებაზე სათანადო ორგანომ მსჯელობა იქონია. გადა-
წყვეტილია მოიძებნოს ოცდაათი ჰექტარი მიწა, რომელიც საფუძვლად
უნდა დაედოს თქვენს კოლექტივს, — წარმოსთქვა ხალვაშიმ.

ამ პატარა კოლექტივის წევრებმა ერთმანეთი თითქოს ახლა გაიცნეს,
ახლა დაინახეს, თითქოს ერთმანეთში ერთი და იგივე გრძნობა შეამჩნიესო.
შეჯგუფდენ, ერთმანეთს გულღიად შეხედეს, გულღიად დაელაპარაკენ.
ყველა ასე ფიქრობდა: „მიწა გამოვნახოთ, მთავრობას თესლი ვთხოვოთ,
დავირაზმოთ ეს ოცდაათი მოსახლე და ჩვენც საგაზაფხულო თესვის კამ-
პანიაში ჩავებათ. აგრონომი გეგმებს შეგვიდგენს, გაზეთებში წაგვიკითხავს,
როგორ იბრძვიან გეგმებისათვის. ჩვენც გვექნება ჩვენი გეგმები და ჩვენც
ვიბძოლებთ მისი შესრულებისათვის. უნდა მოვიყვანოთ სამუშაოზე ცო-
ლები, შვილები, ოღონდ საგაზაფხულო თესვის კამპანია კარგად ჩავა-
ტაროთ“. — ამას ფიქრობს თითოეული მათგანი. ეს უნდათ სთქვან, მაგ-
რამ არ იციან, შეუძლიათ თუ არა სიტყვით გამოსთქვან ეს აზრი, ისე კი
ამას ფიქრობენ, ამას გრძნობენ, ღრმად განიცდიან...

— რომ გაზაფხული არ გაგვიცდეს, მიწა საჩქაროდ უნდა გამოვნა-
ხოთ, — დაიწყო ხალვაშმა, — თქვენც უნდა შეუდგეთ თესვას, უნდა დაა-
ნახოთ სოფლის ღარიბთა მტრებს, რომ ერთად მუშაობა შეგიძლიათ. გეგ-
მები უნდა შევადგინოთ და შევასრულოთ...

თითოეულმა მათგანმა გაიფიქრა: „ეს ხომ ჩემი აზრია, მეც ხომ ამის
თქმა მინდოდა. რათ გავჩუმდი, რატომ არ ამოვიღე ხმა?..“ — და გული
კმაყოფილიც აქვთ და ნატკენიც.

— მიწის გამოძებნა ჰუსეინ კვესეიშვილს, სულეიმან ნოღაიდელს და
აგრონომს მივანდოთ! — სთქვა გამარჯვებით აღფრთოვანებულმა მემედ
ალიმ.

მისი რჩევა მიიღეს. კრება კმაყოფილი დაიშალა.

მიწის გამოძებნას შეუდგენ.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მოტაცება

VII. ძაგული.

მე სათუთი ვარ, როგორც
ქორფა ყვავილი ვაშლის,
ჩუმი და სათნო ვით
ქურციკი ორიოდ კვირის,
ჩემს ნაზ ოცნებას
ერიდება ფრთებისა გაშლის,
და ჩემს ნაზ სულში
ცეცხლი ღვივის და ცეცხლი სტირის.

არზაყან მთელი დღე დაეძებდა დაბაში თამარს. მოჰკრავდა თუ არა თვალს მოლაღურისფერ ბერეტს, თამარი ეგონა, გული აუტოკდებოდა. ისეთი ვინმე მაინც შეხვედროდა, თუნდაც უბრალოდ რომ უხსენებდა თამარის სახელს. ნაცნობებიც ხვდებოდნენ, მაგრამ არავის დასცდენია მისი სახელი. ისე გამოდიოდა, თითქოს წინასწარშეთქმულიყვნენ არავის ეხსენებინა თამარი. შეხვდებოდა თუ არა რომელიმე ნაცნობს თამარისას მოკრძალებული, მორცხვი არზაყან ქუჩას გადასერავდა, თავაზიანად მიესალმებოდა, დარდიანი თვალებით შესცქეროდა, თითქოს ემუდარებოდა კიდევაც: ეთქვათ მისთვის ორიოდე სიტყვა, მისი სახელი, მაინც ეხსენებინათ ანაზდად.

როყიოდ, უსაბაბოდ მოეკითხა თამარი? ასეთი რამ პატარა და ჭორიკანა დაბაში არ ივარგებდა.

წინალამეს ენგურთან ნაბრძოლი და უძინარი ძლივს დალასლასებდა. ტროპიული ციებით დაავადებულს ხურვების ჟამი მოსვლოდა. მუხლებში სისუსტესა გრძნობდა, ოდნავ თავი სტკიოდა, პირი უშრებოდა მალი-მალ. სასტუმრო „ოდიშის“ რესტორანში შეყიალდა, პილპილიანი საჭმელი მოითხოვა, ორიოდე ჭიქა არაყი დალია, აგრეთვე პილპილიანი.

კერძი უგემური ეჩვენა. ერთ ადგილას ჯდომას ვერ ეგუებოდა. ადგა ისევ რკინის გზის სადგურისაკენ გაემართა.

ტფილისის მატარებელი იგვიანებდა. ყველა და ყველაფერი მოსაწყენი ეჩვენებოდა. ამხანაგებს შეხვდა. პური ვჭამოთო, უთხრეს. დაპატიჟებული ვარო, მოიბოდიშა და გაეცალა.

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3—1934 წ.

მზეს გასცქეროდა დასავლეთისაკენ გადახრილს, ჩალისფერად გაყვითლებულს, დაღამება ეჩქარებოდა, რადგან იცოდა, ნახუცარი ადრე წვებოდა და მერმე შესაძლებელი იქნებოდა შერვაშიძეანთ ოჯახში მისვლა.

ერთ პატარა შუკას მიჰყვა არზაყან ანაზდეულად. ბატები ეკლესიაში ბალიშებზე ნენ ქვაფენილზე ახალ ბალახს. ფილაქანების გასწვრივ ჩარაზმულ მესრებს მწვანე ხავსი მოსდებოდა. ერთსართულიან ხის სახლებიდან ობისა და ნესტის სუნი გამოდიოდა.

სპეციფიური ოდიშური სუნი, ციების სუნი.

ასეთი სუნი ასდის ბარის ოდიშში სახლებს და ავეჯს. ეს სუნი სდგას ქუჩაზე, ბაღებსა და ბოსტნებში. განსაკუთრებით ნაწვიმარზე, როცა ჭებსა და თხრილებში მღვრიე და მომწვანო წყალი ჩასდგება ხოლმე.

დაბაში ილლუმინაცია იწყებოდა. წითელი დროშები ფრიალებდა სამეგრელოს მთავრის ორივე სასახლის შტანდარტზე, სახურავებსა და ჭიშკრების სვეტებზე.

ეს პატარა შუკა ეუცხოვა, ცალმხარეზე მესრები დაენგრიათ, სამალარიო დისპანსერს აშენებდნენ. ხარაჩოების მთელი ტყე გარს ერტყა აგურით ნაგებ შენობის ჩონჩხს. აგურების ყორებზე ჩამოჯდა. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. მიჰყვა ისევე ამ შუკას, ეცნაურა სასაფლაოს ლოდებისა და ძეგლების სახელოსნო. გულარეული შესცქეროდა უგემურად გამოჩორგვილ ფრთიან ანგელოსებს, ჯვრებს, ლოდებს და მავზოლეების თავკიდურეებს. რა უშნოდ, რა ულამაზოდ გაეხორციელებინა ცუდი ოსტატის ხელს გაფრენილი ადამიანის იდეა! ამ მფრინავ ადამიანს, ანგელოსის სახით წარმოდგენილს საუკუნოების მანძილზე პირჯვარს აწერდა, თაყვანს სცემდა კაცობრიობა...

და ახლა... ჩვენს დროში, — იქრობდა არზაყან, როცა თავათ ადამიანი დაფრინავს ეთერში, როცა ვარსკვლავებს და მთვარეს ეახლა ადამიანის გენიისმიერ გამონაგონი მოტორი, როცა ცეპელინების გუგუნმა დააფრთხო ანგელოსებით დასახლებული ცა..

ასეა, ცაში, ღმერთს აეჭრა ადამიანი და რა სისულელეა ჩვენს საუკუნოში ამ უმგვანო ანგელოსების ჯოგი ამოდენა მიწას რომ იკავებს შუაგულ დაბაში!

ეს ანგელოსები, როგორც სჩანს, დიდი ხნის შენაკვეთი ყოფილან; წვიმებსა და თქეშს აეფერადებინათ უბრალო თეთრი ქვა, მოშავო, მოყვითალო ზოლები ზედვე ეტყობოდათ: უპატრონოთ მირჩენილიყვნენ ეს ანგელოსები რაკი მყიდველი არ გამოჩენილიყო. როგორ არ შვენოდა ამ უშნო და უზარმაზარ ტიტველ ქალებს ბატისფრთები! ამ ფრთებზე ისვენებდნენ, როგორც სჩანს ფრინველები და ფრინველთა სკორეთი დასკინტულნი იყვნენ სავსებით ანგელოსების თავები, ფრთები, მავზოლების ჯვრები და თავკიდურები.

უაზროდ ეჩვენა არზაყანს ეს ეკლესიეური ქართულით წარწერილი ეპიტაფიები, სადაც შენდობის, ცხონების, მოგონების და ხსენების მუდარა

იყო ამოკვეთილი... ახალი დროის ჭალიკონს მოესწრო ამ გვერდებისა და ანგელოსებისათვის და იმ მიცვალებულთა სამარხებამდის არ მიეშვათ, ვისთვისაც აუგია ოდესღაც ისინი გემოვნებამოკლებულ ოსტატის გამოუცდელ ხელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი გაჯგიმული ანგელოსი უშველებელ მწვანე კვარცხლბეკზე იდგა მხარჩამოლეწილი. კვარცხლბეკზე ეწერა: „და უცხოთაგან იცავ მონა შენი, არა თუ მეუფლნენ მე: მაშინ უბიწო ვიყავ მე: და განგწმინდე მე ცოდვებისაგან დიდისა: იყავნ შენდა სათნო სიტყუანი პირისა ჩემისანი და ზრახვანი გულისა ჩემისანი შენ წინაშე მარადის უფალო: მწეო ჩემო და მსხნელო ჩემო: ცანი და ქვეყანანი წარხდენ და სიტყვანი ჩემნი არ წარხდენ“...

იდგა და მაჯაგანით კითხულობდა არზაყან ამ წარწერას. ღიმი მოჰგვარეს მას ამ სიტყვებმა და მით უმეტეს უაზროდ ეჩვენა ეს ყოველივე, რადგან გაუგებარი იყო ვინ ამბობდა ამას, სად და ვის მიმართ?

გაეცალა არზაყან ამ სანახაობას, მაგრამ უაზროდ შთენილი სიტყვები წამოჰყვნენ თან. ხვალ უსათუოდ გავივლი ადგილობრივ უღმერთოთა საზოგადოებაში, ვეტყვი: აიღონ და მოაშორონ აქედან ეს ანგელოსები, რადგან ეს სიტყვები ამ ანგელოსებზე უფრო საშიშარნი არიან. სდგანან ეს შიშველი სიტყვები ამ შარაგზაზე, რამდენი მოცლილი წაიკითხავს მათ, სიტყვა ბრმა ტყვიასავით სახიფათოა, მაგრამ ყველაფერზე უფრო სახიფათოა უკვე დაწერილი სიტყვა.

ასე ფიქრობდა არზაყან. ჭანდრების ხეივანს მიაღწია. ზუგდიდის ერთადერთი დიდი პროსპექტი და დადიანისეული სასახლე დროშებით იყო დახუნძული. ის ის იყო სასახლიდან გამოდიოდა ანტირელიგიური პროცესია კომკავშირელების და ახალგაზრდების მეთაურობით. პროცესიას წინ მიუძღოდა რამოდენიმე მწვანითა და ნეშოთი შემკული მსუბუქი ავტომობილი, ავტომობილებს ერთი ჯავშნოსანი ავტომობილი მისდევდა, რამოდენიმე ტანკი და ქართული წითელი კავალერიის ერთი ესკადრონი, რომელსაც მანევრების შემდეგ გზად გამოეარა ზუგდიდში. არზაყანმა ცხენებს შეავლო თვალი. რამოდენიმე ცხენი მოეწონა. ტანკი უშველებელ კუსავით მიბობღავდა შუაგულ გამზირზე. ბავშვები ყურაცქვეტილი მისდევდნენ უცხო ჩვენებას. ტანკს უკან მოყვებოდნენ ტრაქტორები, ერთი უშველებელი ტრაქტორი „მაკ კორნიკ დირინგის“ ფირმისა, სახელგანთქმული „ჰოლტი“, უზარმაზარი „კატერ პილერი“ და „ფორმოლ“.

ამათ შემდეგ საქართველოს პროფკავშირების ზუგდიდელი განყოფილების მუშაკნი მოდიოდნენ, ხოლო ცენტრში ანტირელიგიური ნიღაბები. საბარგო ავტომობილზე იჯდა ვიღაც პარიკიანი მაჯლაჯუნა კაცი, რომელსაც სიმინდის ფოჩვებისაგან შეხანხლული გრძელი თმა-წვერი მოსავდა, მჭვარტლით შემურლს. ეს უნდა ყოფილიყო ურიების ღმერთი საბაოთ.

ეს „ღმერთი“ საკმაოდ ღიპიანი ყო, მას ძველი გახუნებული ანაფორა ეცვა და უშველებელი ფუტბოლის ბურთი ედვა მუხლზე. ბურთი ალბად დედამიწის ალეგორიად უნდა ყოფილიყო აქ მოტანილი. „ღმერთი“ გა-

უნძრევლად იჯდა საბარგო ავტომობილზე. ზედვე ეტყობოდა — მსახიობს ძლიერ უჭირდა ამ როლის შესრულება. „ღმერთს“ უკან მისდევდა გაძვალტყავებულ ვირზე შემჯდარი „ქრისტე“, ხოლო „ქრისტე“ ძლიერ წააგავდა ზეთის მხატვრობის ბოგომაზების უნიჭო ყალმით შესრულებულ რუსულ ხატების იესოს. შავწვერა იყო. ნაგვემი სახე ჰქონდა, მუქი ფერადით შეთითხნილი და თვალის ქვედა უპე ისე ჩაშავებოდა, როგორც ეს სჩვევიათ ხოლმე პროვინციის სცენისმოყვარეებს, როცა ისინი გულით მოწადინებული არიან საზოგადოებამ ვერ იცნოს როგორმე.

„ღმერთსა“ და „ქრისტეს“ უკან მიჰყვებოდა ჯაგლაგ ჭაკზე შემჯდარი ხუცესი, იგიც „ღმერთსავით“ ფაშვიანი იყო (თუმცა ზედვე ეტყობოდა: ეს ფაშვები ბალიშის შემწეობით გაეკეთებინათ), და ისევე ღაწვებ ღაჟღაჟა, როგორც ძველ დროში სოფლის მღვდელი გვინახავს ჩვენში. თავზე რალაც საოცარი წოწოლიკა ჩაჩი ეხურა ხუცესს, მკერდზე თითბერის ჯვარი ეკიდა, ხელში საცეცხლური ეჭირა და გამვლელებს სახეში აკმევდა კვამლიან საცეცხლურს, თავადაც თხის ღმერთივით უშნოდ ილრიჭებოდა. ფეხშიშველა ბავშვების მთელი ლაშქარი უკან მისდევდა ხუცესს, დასცინოდნენ, აპამპულავებდნენ, გაძვალტყავებულ ზერდაგს ძუაზე ჰკიდებდნენ ხელს; და ეს ცხენი მაინც ისე საცოდავი ამოერჩიათ, რომ მხოლოდ ცხენი ჰქმნიდა მწუხარე შთაბეჭდილებას ამ მხიარულ მასკარადში. რადგან „ღმერთი“-ს გარდა ყველა იჯღანებოდა — „ქრისტეც“ და მღვდელიც — და მათი მხლებელი მოციქულები და ასაჩიები, მხოლოდ ხუცესის ცხენი მიდიოდა სადავემიშვებული, თავჩაქინდრული. თვალებში, კისერზე და კვირისტავებთან გაჩენილ წყლულებს ბუზების მთელი ლეგეონი ესეოდა. მიჩაქჩაქებდა საბრალო ცხოველი, უმწეოდ მიაკანტურებდა თავს, თითქოს სწყევლიდა კიდევაც თავის გამჩენს.

აქ ერთბაშად თავშიშველ ლუკაიას თვალი მოჰკრა არზაყანმა. შუკის კუთხეში ბავშები დადევნებოდნენ უკან. ლუკაია ილანძღებოდა, ყვიროდა, მუშტებით ემუქრებოდა ყველას.

„აუუ, ლუკაია, აუუ“, მისძახოდნენ ბავშვები. მიხვდა არზაყან: ლუკაიას ვეღარ მოეთმინა, ალბად უნდოდა ენახა თუ როგორ დასცინოდნენ კომკავშირელები „ღმერთს“. არზაყანს განაგონი ჰქონდა: იგი ყოველწლიურად თავს ესხმოდა ამგვარ ანტირელიგიურ პროცესიას, მაგრამ მისი „თავდასხმები“ იმით მთავრდებოდა, რომ ლუკაიასაც ისევე გააპამპულებდნენ, როგორც მის ღმერთს. ის იყო მხოლოდ: ლუკაია წყევლით, ლანძღვითა და ყვირილით მოიჯერებდა ხოლმე გულს.

არზაყანმა გამზირის ბოლომდე გააცილა დემონსტრაცია. მხარმარჯვნით შეუხვია. მახლობელ ეზოს ჭიშკარში შესდგა. ბავშვები ლახტს თამაშობდნენ ხავსმოდებულ სახლის ლაფაროში. მოზრდილებს სახე და წვივები დასწვოდათ მზეზე. უმცროსებს მოხარშული კომშის ფერი სახე ჰქონდათ. იდგნენ, თამაშს შესცქეროდნენ და მელანქოლიურად ილიმებოდნენ. ყველაზე უმცროსს მოხდენილი სახე ჰქონდა, მაგრამ სიყვითლე

მორეოდა პატარას, გუგეებიც კი ლიმონივით გაყვითლებოდა, მუცელი გაბეროდა, თავი და ნიკაპი მუწუკებს დაეფარა.

სწორედ ამ ბიჭუნას შეაჩერდა არზაყან, ეცნაურა ამ ბალღის სახე.

ჰმ, ციება, ციება!.. გაიფიქრა არზაყანმა და გონებაში ... ...ოლხიდის ჭაობებისაკენ გაექცა. ორი წელი იმუშავა არზაყანმა კოლხიდის ჭაობის დასაშრობად. ბოლშევიკები უთუოდ ამ მიუვალ ციხესაც ავიღებთ და სამარადჟამოდ მოისპობა მალარია—კოლხიდის ბავშვების მმუსვრული. გაუელვა არზაყანს თავში.

გაუღიმა არზაყანს ბზუკებიანმა ბალღმა.

„უტა ხარ?“

შომღიმარი ბავშვი თავს უქნევს.

„ძაბული სახლშია?“

ძაბული შინ ყოფილიყო. ბავშვი წინ შეუძღვა.

წინად ძაბულის სავსებით არა რცხვენოდა არზაყანის, რამდენჯერ ერთად უბანავნიათ, მაგრამ ახლა, როცა დავაჟკაცებული მეგობარი თავზე წამოადგა, ანაზდეულად, ცალი ხელი საკინძეს მოსჭიდა, ცალითაც მუხლებზე გადაიჭინთა ისედაც მოკლე კაბა, მაგრამ ვერც მკერდის სისავსე დაფარა და ვეღარც მუხლის თავების სიშიშვლე.

ქალი აიმღვრა, თუმცა მოკრძალებულად, მაგრამ მაინც ჯიქურად მისწვდა — არზაყანის მზერა ძაბულის მსხვილძვალა მოწითანო წვივებს, რომელნიც მუხლისთავებთან ერთბაშად ფაფუკი ხორცის ხვავიან მასსაში გადადიოდნენ.

ამ ფერებში არ იყო არც ხაზების გრაცია, არც ფორმების ელასტიური მოქნილობა, მაგრამ მარტოოდენ სიჭარბემ და სიშიშვლემ ხორცისამ ანაზდეულად ააღელვა ჭაბუკი. არზაყანის თვალი ძაბულის განიერსა და მომრგვალებულ თეძოსთავებს მისწვდა, ქისაიის სამოსში გამოკრულ სიმრგვალეს და მასსიურობას, და მან მომეტებულის მღელვარებით გადახედა ამ ჰარმონიულად მრგვალსა და ვნებიან სხეულს.

თუმცა თამარის დარდი გულზე შემონთებოდა არზაყანს, იჯდა იგი, შესცქეროდა ძაბულის და ამ ქალის აღნაგობიდან ამდგარი სილბო და სიტფო განუსაზღვრელ სასოებას ჰგვრიდა მის დაქანცულ სხეულსა და სულს.

ოდნავ წელში მოდრეკილი იჯდა არზაყან სკამზე. ორივე ხელით პირუკმოდ მოსჭიდებოდა სკამის ზურგს. თითქოს სხეულს მისას სიმძიმის ცენტრო დაჰკარგვოდა... ეშინოდა: სკამიდან არ გადმოვარდნილიყო. სწორად ჯდომის უნარი დაჰკარგოდა, უკვე აღარ შეეძლო ცალკეულად სივრცეში ყოფნა და მაგნეტურის ძალით იტაცებდა მას ტახტზე წამოწეული ქალის სხეული. აბხაზური კრძალვა ქალის წინაშე ბოჭავდა არზაყანს ამ წუთში, თორემ უთუოდ წამოდგებოდა, ან უკვე ტახტზე ფეხმორთხმულად წამომჯდარ ძაბულის კალთაში ჩაუდებდა თავს, ძაბულის როგორც დას, როგორც დედას, ან როგორც ცოლს. და სწორედ ასეთი საქციელი თუ

დააშოშმინებდა მასში უკანასკნელი დღეების მღელვარებას და აღტყინებული სხეულის ქეჯნას.

ძაბულიმ შეამჩნია არზაყანის მღელვარება წმინდა ქვეშეცნიერული ქალური ინსტიქტით. თავათაც აღელდა ოდნავად, მაგრამ დიფცული მოთმინების ძალით დასძლია მყისვე თავის თავს და [illegible] ტაქტიკით დაუწყო ლაყბობა არზაყანს: აგონებდა ბავშობას და სიჭაბუკეს, როცა ორივენი ფეხშიშველი დარბოდნენ სკოლაში და არც ერთმა არ იცოდა თუ რა იყო მათ შორის ქალი და კაცი.

ამ საუბარმა გაანელა არზაყანის ვნება. მან ხელები შეუშვა სკამის ზურგს. წელში გაიმართა ისევ, იცინოდა თავათაც, მაგრამ მომეტებულად ყურს უგდებდა ძაბულის. მორჩილად, უდრტვინელად უცდიდა ახლა არზაყან ისეთ მომენტს, როცა ძაბული მოათავებდა ცისა და ბარის ამბებს, სიცილის, კისკისის და უვნებელი ჭორაობის ტონით მოთხრობილს და ბოლოს ერთხელ მაინც ახსენებდა თამარს. და მაშინ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად უთუოდ შეეკითხებოდა არზაყან თუ სად უნდა ყოფილიყო თამარი.

მთელი დღე მშიერი, დაქანცული ეძებდა არზაყან ისეთ ადამიანს, რომელსაც შეეძლო თამარი ეხსენებინა. არავინ შეუსრულა წადილი. ახლა ძაბულისთან მისულიყო, მხოლოდ იმისათვის, რომ გაეგო სად იყო თამარი? მხოლოდ იმისათვის, რომ ვინმეს პირიდან გაეგონა თამარის სახელი. და ახლაც ძაბულიც ერიდებოდა თითქოს არზაყანთან თამარის ხსენებას. ძაბული დოღის ამბებით დაინტერესდა. უგუნებოდ აძლევდა არზაყან პასუხს მისდამი მიმართულ შეკითხვებზე და სწორედ იმ წუთში, როცა არზაყან დარწმუნდა, რომ ამ საღამოს სულაც არ ახსენებდა თამარის სახელს ძაბული, სავსებით მოულოდნელად მიატოვა ძაბულიმ ცხენების ამბავი და თამარის ნაცვლად თარაშ ემხვარი ახსენა.

არასდროს ასეთი დიდი სიძულვილი არ უგრძვნია არზაყანს თარაშის სახელის ხსენებისას. ოდესღაც მისი საფიცარი ძმა იყო თარაში, დედის ძუძუსთან დამეგობრებული.

აწ ვინ იქნება ამ ქვეყნად იმაზე უტკბესი, ვისთვისაც დედის ხსენი გაგიზიარებია? ვინ იქნება ამ ქვეყნად იმაზე უძვირფასესი, ვისთანაც პირველი ნაბიჯის გადადგმა გისწავლია? ერთი და იმავე ჯამიდან რძე გისვამს ბალღობისას, ბავშობისას ბურთი გითამაშნია, ვისთანაც პირველი სიხარული გაერთებს და ამ ქვეყნად მოსვლის პირველი ლხენა?!

ასეთი იყო ოდესღაც არზაყანისათვის თარაშ ემხვარი და ახლა ასე ემწარა ეს სახელი არზაყანს, როგორც ცრუმორწმუნეს — მორიელის სახსენებელი.

ძაბულისაგან გაიგო არზაყანმა — თარაშს ოჩამჩირის მატარებლით ჩამოუსწრია დაბაში არზაყანისათვის. მაგრამ თამარი სადღაა? ფიქრობდა არზაყან. აწრიალდა არზაყან ამ ამბის გამგონე, აბხაზურმა თავშეკავებამ წასძლია. პირი მოკუმა.

ძაბული ხელაღებით განაგრძობდა თარაშ ემხვარის ქებას. ევროპაში სამეცნიერო ხარისხი მოუხვეჭიაო. თარაშის პირველი მეცნიერული გამოკვლევა აბხაზური ენის შესახებ, პრუსსის სამეცნიერო აკადემიას გამოუცია და ვიღაც მსოფლიო სახელის მეცნიერს წინასიტყვაობა დაუწერია. ამ მეცნიერს აღუნიშნავს: აბხაზური ენის მეცნიერულად შესწავლა ამ ენის ქვეყანაზე სულ ორიოდე კაცი მოიპოებაო. ტფილისის სამეცნიერო წრეებიც ახალგაზრდა აბხაზ მეცნიერზე დიდ იმედებს ამყარებენო, მაგრამ ეს არისო, აღიარებდა ძაბული, თავათ თარაში ნამეტნავად აბხაზობსო და ვიღაც ქართველ მეცნიერს უთქვამს თურმე ამ დაბაში თარაშთან ერთად სამეცნიერო მუშაობისათვის ჩამოსულს, თარაშს მეცნიერისათვის საჭირო სიდინჯე აკლიაო. თუმცა უნდა ითქვას, თარაშ ემხვარმა ყველას გვაჯობაო, დასძინა ძაბულიმ.

ახლა ძაბული პროვინციალურ ჭორების მიმოხილვას შეუდგა: თარაშის ინგლისური კოსტიუმების აღწერა დაიწყო, — აღნიშნავდა, რომ იგი წარამარა იცვლისო კოსტიუმებს, მუდამ წვერგაპარსული რომ დადის და პროვინციელი ქალები რომ ამჩნევენ მისი მრავალფეროვანი ყელსახვევების და წინდების ცვლას. ტექნიკუმის მოწაფე ქალები რომ ლექსებს უძღვნიან... და თურმე ზოგიერთი პატივცემული მანდილოსანიც ველარ იკავებსო თავს თარაშის ახოვანი ბეჭების, დიდრონი ორბული თვალების, გრძელი და პატარა ფეხების, აბხაზური ჯენტლმენობისა და უცხოური აღნაგობის პირისპირ.

ისიც გამოამჟღავნა ძაბულიმ, რომ თარაში ტფილისში ნაცხოვრება თურმე სასტუმრო ორიანტში, ვიღაც ამერიკელ ქალთან ჰქონია ფლირტი და ერთ კვირაში თვით არარომანტიულ ამერიკელ ქალს თავი მოუწამლავს სტრიხნინით. ტფილისში ვიღაც დიდი კაცისათვის ცოლი წაურთმევია თურმე თარაშ ემხვარს, მაგრამ თაფლის თვეს გაუვლია და ისევ დაუბრუნებია ის ქალი მადლიერი ქმრისათვის.

უცხოეთში ყოფნისას მრავალი დუელი გადაუტანია თურმე ქალების გამო თარაშს. ორგზის ყოფილა დაჭრილი და პარიზში, ვიღაც ამერიკელი ფაბრიკანტი შემოკვდომია დუელში, რადგან ამერიკელს გეოგრაფია კარგად არა ცოდნიაო და არც ის, აბხაზები გაჭენებული ცხენიდან მათრახს რომ სყვეტენ ტყვიით. და ქალის გულისათვის თარაშ ემხვარს მრავალი ავანტიურა ჰქონია თურმე გავლილი.

უზომოდ იტანჯებოდა ამ ამბების გამგონე არზაყან, მაგრამ მხნეობას იკრებდა. არც ის უნდოდა: ძაბულის ეს შეემჩნია და თავათ ძაბული და მისი სხეული, ჭრელი გველივით შესძულდა არზაყანს. ახლა ამჩნევდა იგი, რომ ძაბულის ძალიან თხელი და განიერი ტუჩები ჰქონია თურმე.

ის ის იყო არზაყანი ადგომას აპირებდა, რათა ამ საუბარს გასცლოდა როგორმე, მოულოდნელად თამარი მოიგონა ძაბულიმ და ისე უბრალოდ, მიამიტად და გულგრილად ახსენა მან თამარის სახელი, რომ არზაყანს გაუკვირდა კიდევაც: როგორ შეიძლებოდა ასე უბრალოდ ეხსენებინა ვინმეს მისი სახელი. არზაყანს არც კი გაუგონია იმ წუთში თუ რის გამო

მოიგონა ძაბულიმ თამარი. ეს სიტყვა, „თამარი“, მეორე პირიდან განაგონი ისე მოედო მის გულს, როგორც ანაზდეულად შეყრილი ხერვება. და ამ ერთმა სიტყვამ მთელი მისი სხეული გაათბო, გაანათა, გამსჭვირვალე გახადა, როგორც რენტგენის სხივმა გააშუქოს სასხლეტია, და ხორცით გავსილი და დაბნელებული სხეული რამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაბული უკანასკნელ ხანებში ავადმყოფობდა თურმე და თამარს ერთხელაც არ გამოუვლია მასთან. ტფილისს წასვლას აპირებდაო, შესაძლოა კიდევაც წასული იყოსო, ამბობდა ძაბული. თამარს ახლა ინსტიტუტში შესვლის მეტი არაფერი აინტერესებსო. ძაბულიმ ისევ სხვა საგანზე გადიტანა საუბარი. არზაყანი უკვე ყურს აღარ უგდებდა ძაბულის ნათხრობს, ანალიზს უკეთებდა თავის გულში ამ წუთში განაგონს. უნდოდა: კიდევ ეთქვა ძაბულის მისი სახელი. თამარ, თამარ, თამარ, კიდევ და კიდევ, კიდევ და კიდევ...

რად მიიწევდა თამარი ტფილისისაკენ?

ვინ იცის ეგებ იმიტომაც, რომ უახლოესს შემოდგომაზე არზაყანიც ინსტიტუტში შესვლას აპირებს. მაგრამ არა, აქ სულ სხვა მიზეზია. თარაშ ემხვარს იწვევენ ტფილისის უნივერსიტეტში. და ალბად ამ ქალბატონს ეს უნდა: თარაშის ახლოს იქნეს, მისი მსმენელი გახდეს და მერმე...

მერმე ვინ იცის... და ამ „მერმეში“ მთელს უფსკრულს ჰხედავს არზაყან. ჯერ ახლაც, როცა თარაში ლაპარაკს დაიწყებს, თამარი ისე გაინაბება, როგორც ნაქერალში მწყერი. თავის მარაოსებურ გრძელსა და შავ წამწამებს მოსწურავს, გატრუნული ყურს უგდებს.

ერთი რამ ძლიერ აეჭვებს არზაყანს: თამარი უფრთხის თარაშის ნათქვამის გამო რაიმე აზრის გამოთქმას. ამას მრავალგზის დაკვირვებია არზაყან. კაროლინა მყისვე მივარდება თარაშს, როგორც კი თავის გაუგონარ პარადოქსებს მოჰყვება თარაში.

მაგრამ თამარი?

თამარი არასდროს, არავის აგრძნობინებს, თუ რას ფიქრობს თავათ თარაშის ნათქვამის გამო. რამდენჯერ უცდია კიდევაც არზაყანს, გამოეკითხა მისი აზრი თარაშის ნათქვამის გამო, მაგრამ თამარი ან სდუმდა, ან ბანზე აუგდებდა სიტყვას. და ამ დუმილისათვის მუდამ სძაგდა არზაყანს თამარი.

ისინი მისი ბავშვობის ამხანაგებია, მაგრამ მისთვის მაინც სხვებია ისინი, მაინც თავადებია ისინი და თავადები დუმილითაც უკეთ გაუგებენ ურთერთს.

ააჰ, რამდენჯერ გაუხელებია ამ ნესტიან კედელსავით ყრუ დუმილს თამარისას, არზაყან ზვამბაია!

ძაბულიმ ისევ თამარზე ჩამოაგდო სიტყვა. ისევ თავის ავადმყოფობას მიუბრუნდა და თამარის გულმავიწყობა აძაგა. როგორც ყოველი ლამაზი ქალი, თამარი უზომოდ ეგოისტიაო, როგორც ყოველი თავადის ქალი, თამარი ქარაფშუტაოო, მეგობარს წარამარა იცვლისო, თუ მუდამ გუნდრუკი არ უკმია, უთუოდ გულს აგარიდებსო. საერთოდ გულჩათხრობილიაო და

შერვაშიძესეულ სიამაყეს ახალ დროშიაც ვერ გადაჩვეულიაო. არზაყანს ენიშნა ძაბულის ნათქვამი. მართლაც და იგიც კარგად ამჩნევს, რაც თარაშ ემხვარი უცხოეთიდან დაბრუნდა, თამარი ოდნავ გულცივად ეპყრობა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თარაშის გაპარსულმა კისერმა, ინგლისურად შეკრეჭილმა ულვაშებმა, მოხდენილმა კოსტიუმებმა, გალაქულმა ფრჩხილებმა, ჟამიდან ჟამზე მისმა მრავლისმეტყველმა დუმილმა, სხვანაირმა თავდაჭერამ, გესლიანმა ლაპარაკმა, პარიზული ნელსურნელების სუნმა, მის ყელსახვევს, მის ტანისამოსს, მის ცხვირსახოცს რომ ადის მუდამ.

აბხაზი ვაჟკაცის თვალსაზრისით ეს ყოველივე გულისამრევია უთუოდ. თამარი მის სიახლოვეს წონასწორობას ჰკარგავს, ეთამაშება, ეციგლიგება, ხან მის ჟღალ ქუდს დაიხურავს, ხან ზამშის ხელთათმანებს იცვამს, ხანაც პიჯაკს გახდის, თავათ გადიცვამს. ასე ეთამაშება, მაგრამ როცა თარაშ ემხვარი ლაპარაკს დაიწყებს, კაროლინას შეეკამათება, თამარი სულგანაბული ზის და ყურს უგდებს.

კაროლინა თუმცა აბხაზის ცოლია, მაგრამ მაინც გერმანელი ქალია, მას მიეტოვება მამაკაცთან სითამამის გამოჩენა, მაგრამ თამარი ხომ აბხაზი ქალია. არზაყან იმასაც ამჩნევს, რომ თამარი კაროლინასადმი ეჭვიანობს კიდევაც. გასულ თვეს სადღაც დღეობაზე იყვნენ. თარაშ კაროლინასა და თამარის შორის იჯდა. თამარს მხარმარჯვნივ არზაყან უჯდა. სანამდის ღვინის სმა დაიწყებოდა, თარაში თამარს ართობდა საუბრით, არზაყან მდუმარედ სჭამდა. როცა ორიოდე ყანწი ძალით გამოაცლევინა თამადამ თარაშს, ერთბაშად თარაშმა თამართან საუბარი მიატოვა, კაროლინას დაუწყო საუბარი. კაროლინას ფართო, ფართო დეკოლტეში აპარებდა მზერას. თამარისა და არზაყანისათვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკებოდა.

თამარმა თავის ტკივილი მოიგონა, ჯერ ნაშატირის სპირტი მოითხოვა, მერმე ადგა და გავიდა. ორიოდე საათის შემდეგ ძლივს მოიყვანა სუფრასთან დიასახლისმა.

ძაბული განაგრძობდა თამარზე ლაპარაკს. მის ღირსებებსაც ეხება ძაბული, უთუოდ ლამაზი და ჭკვიანი ქალიაო,—ასე ამბობს ძაბული.

არზაყანს კი ის ურჩევნია თამარს რომ აძაგებდეს ძაბული. ყურს უგდებს მის საუბარს არზაყან და გონების თვალით ადარებს თამარსა და ძაბულის ერთი მეორეს. ვინ იცის, ეგებ მამა მართალი იყოს, ეგებ ახალ დროსაც ვერ ამოეცალოს თავადსა და გლეხს შორის არსებული უფსკრული.

ძაბული გლეხის ქალია, ჯანსაღი, ლამაზი, თავდაბალი გლეხის ქალი.

ახლა, ამ წუთში ძაბული რომ აძაგებდეს თამარსაც და თარაშსაც, ამ წუთში რომ ძაბული ისეთ რამეს იტყოდეს, რაც სავსებით აღმოკვეთოს თამარისადმი სიყვარულს მისი გულიდან, ისე როგორც გლეხი ანწლს ამოგლეჯს ხოლმე თავის ყანიდან. არზაყან სამუდამოდ შეიძულებდა თამარს, სამუდამოდ შეიძულებდა ამ „ცისფერ სისხლიან“ თავადის ქალს,

უზომოდ ამპარტავანსა და თავმოთნეს და უთუოდ ძაბულის შეეყვარებდა არზაყან. ისინი უფრო კარგად გაუგებდნენ ურთიერთს. ძაბული უთუოდ კეთილი ქალია, იგი არც ისე გააწვალებდა არზაყანს, როგორც ამას ჩადიოდა მის მიმართ თამარი. ახლა. ამავე წუთში ადგებოდა არზაყან, თავის დაქანცულ თავს მიაყრდნობდა ძაბულის სავსე [illegible] [illegible] [illegible]

ლი ხალხი. ისინი სხვებს არა გვანდნენ, მუდამ კარაქზე, ხორცზე და ნავთზე მოწუწუნე ფილისტერებს. არც ძველი პოეტების წარმოსადგენი აღნაგობა და სიდარბაისლე გააჩნდა მათ, მაგრამ რაღაც თავგანწირული სიყვარული ჩხაოდა მათ გაუწვრთნელ წარმოთქმიდან. [illegible] დაჩიავებულნი იყვნენ. თმაგაბურძგვნილნი, წვერგაუპარსავნი, ბლუზაშემოხეულნი. მთვრალი გამოდიოდნენ სცენაზე, მაგრამ ლექსების კითხვას რომ დაიწყებდნენ, თითო მტკაველს წაიმატებდნენ, აიქოჩრებოდნენ, აზვავდებოდნენ, თვალები უბრწყინავდათ და შარვლის ჯიბეებში ინახავდნენ მჯილებს.

ასე უყვარდა პოეტები ძაბულის, რადგანაც მხოლოდ პოეტების ლექსებში ჰხედავდა იგი უანგარო თამაშის სიხარულს. ზოგი მათგანი იმითაც არა ჰგავდა ძველ პოეტებს, რომ ესენი მოტორებს უმღერდნენ თავიანთ ლექსებში, ჰაეროპლანს და ლოკომოტივებს ასხამდნენ ხოტბას. ველებს შესეულ ტრაქტორებს და პოლჯუსების საძებრად გაჭრილ რაინდებს.

არ ახსენებდნენ ისინი ძველ ციხეებსა და კოშკებში დავანებულ საიდუმლოს, არც გამითებულ დედოფლების, რაინდების ამბავი ისმოდა მათ ლექსებში, არც უნუგეშოდ შეყვარებულთა გამიჯნურება, არც მთვარიანი ღამეების რომანტიკა და უსასოო თაობების ზარი უჟამოდ გაღაესული ძველი დიდებისათვის.

არ აქებდენ არც ერეკლე მეფის რკინის პერანგს, არც თამარ მეფის ზღვაში ჩაშვებულ, ალმასებით შემკულ ხომალდს, არც სვიმონ მეფის თავდადებას. სამაგიეროდ დიდ რევოლჯუციონერებს უძღვნიდნენ დიფირამბებს, ვინც ბორკილებით, ტყვიით და ბრძოლით დღევანდელობას ანაგი დასდო. თავიანთ ლექსებში აძაგებდნენ იმ პოეტებს, ვინც სიყვარულის, მთვარის და ბულბულის ქებას კიდევ ბედავდნენ. მათ არ ესმითო, რომ სიყვარული ისევე ძველიაო, როგორც მთვარე და ხოლო ბულბულს უბრალო მიკიფონიც კი სჯობიაო.

და ნუ იტყვით, თურმე თარაშ ემხვარიც ლექსებს სწერს ჩუმად, არ ბეჭდავს, არც არავის უჩვენებს, თავის გასართობად სწერს და მარტოდენ თამარს უკითხავს ხოლმე. ასე ამბობსო: აბხაზური ლიტერატურა ჯერ არ არსებობსო, ქართულად ლექსების წერა არც ისე იოლიაო, თუმცა ჩვენში ყოველი კაცი ცოლის შერთვამდის ლექსებში სინჯავსო ბედს, მაგრამ ქართული ხალხური პოეზიისა და რუსთაველის შემდეგ შატაბუტა ლექსების გამოქვეყნება დიდი სირცხვილიაო. არც ისაა საკვირველი თარაში კარგი მოქართულე რომ იყოს, ემხვარისა და შერვაშიძეების ოჯახში მუდამ ქართველი იჯაბნიდაო თურქულსა და რუსულს. იმეორებდა ძაბული სადღაც განაგონს.

არზაყანს მოთმინებამ უღალატა, დაჰხედა ფიცხლად სამაჯურ საათს, თარაშის მიერ ევროპიდან სახსოვრად მოტანილს და ეს ისე მოუვიდა, როგორც თარაშ ემხვარს სჩვევია ხოლმე. თავაზიანად გამოეთხოვა ძაბულის და მიაშურა ბნელსა და ნესტიან ქუჩას.

VIII. კოლხური ღამე.

„შენში ისე ხრჩოლავს კოლხური შხამი, როგორც ის ქურა, რომელშიც ხის ამზადებენ“.
ლუკანი.
Epistolae ex Ponto.

არ სწვიმდა, მაგრამ ცრემლის ნაშხეფის ოდენა წინწკლები ეცემოდა ჟამგამოშვებით უქუდოთ მიმავალ არზაყანს. ცა ვარსკვლავებით მოჩითულიყო. მცირე რამ ბურუსი მაინც იდგა ქუჩებში. დასავლეთისკენ გაშოთილიყო გრძელი, ნახევარკუნძულისებური, ლეგა ღრუბელი, რომელსაც მხარმარცხნით მეორე მოსდგომოდა მრუმე, ოდნავ შუაში გაკვეთილი და ეს ორი ფრთა მრუმე ღრუბლისა ისე მოსჩანდა იასპისფერ ცაზე, როგორც უზარმაზარი შავფრთიანი მღამიობი, ცის სილაჟვარდესა და ხმელის სიმრუმეს შორის დაკიდული. იქით, ენგურისაკენ თეთრი, ხუჭუჭა, კრაველისებურად შევერცხლილი ღრუბლის ქულები ისე მოსდებოდნენ ცის ვეება სარტყელს, თითქოს ვიღაცას გზად უნდა გამოეარნა და მის საპატივცემულოდ დაუგიათო.

ელექტრონის შუქი უღიმღამოთ ბჟუტავდა აქა იქ. ხანგამოშვებით დაბალი საუბარი ისმოდა სიბნელეში და აუჩქარებელი ნაბიჯების ტკაპუნი არღვევდა მყუდროებას მთვარიან ღამისას. გზის პირად გაწკაპულ ძეწნებსა და ალვებში, მესრებს გადაღმა მდებარე ბაღებსა და ბოსტნებში ჩასაფრული ვასაკები თავიანთ მონოტონურ კრრ... სრრრ...-ს გასძახოდნენ ურთიერთს.

ეს ხმა ისეთი გაბმული, ერთობლივი და მოსაწყენი იყო, რაღაც უნუგეშო მელანქოლიით ავსებდა სხვა დროს მხნესა და მხიარულ არზაყანს. ძაბული აგონდებოდა არზაყანს. აკვანში მისთვის დანიშნული ძაბული. დაენანა კიდევაც ბნელ სახლში მარტო რომ დასტოვა ძაბული. დედაც და მამაც მონდომილნი იყვნენ ძაბული შეერთო არზაყანს, რადგან ძაბული აკვნიდან ახსოვდათ. ხელისგულზე ჰქონდა არზაყანს ძაბულის უბიწო სიქალწულე და მისი გაწამებული ყმაწვილქალობის პირველი წლები. დედა ახლაც თავის სარძლოს ეძახდა ძაბულის, სოფელში ჩასვლისას დიდრონ, შავ თვალებში ჰკოცნიდა მას, ხოლო ძაბული—მარცხენა ძუძუზე, არზაყანის ძუძუზე.

ახლა დედას მისწვდა არზაყანის ფიქრი. დარდისგან გასრესილ, უდროოდ წელში მოდრეკილ დედას, რომელსაც უდროოდ ჭაღარა გაერია, მას შემდეგ რაც ყაჩაღების და ცხენის ქურდების სადევნად მიავლინა პოლიტსამმართველომ არზაყან.

„ჯერ ძვლები არ დაგმაგრებია ნან, რა დროს ყაჩაღების დევნაა შენთვის, ნან!“ ასე მოსტიროდა დედა თავის გამწარებულ დედობას. და დედა მოენატრა ამ წუთში არზაყანს, ისევე როგორც ბავშვობაში მონატრებია ხოლმე დაბაში სასწავლებლად წასულს. არც თამარი უნდა ამ წუთში

არზაყანს, არც ძაბული და არც არავინ, დედის მკერდთან დაეწყებდა არზაყან თამარსაც და ძაბულისაც.

თვალებზე სისველე იგრძნო, ღამის ცვარი იყო ეს ნეტავი, თუ ჩუმი, უმიზეზო ცრემლი თავშეკავებული ვაჟის თვალიდან ამოსულა ნაკონი? ეს დოლის ამბები უხერხულ დროში წაეჩხირა არზაყანს. ძალიან აბხაზები მოაგონა დოლზე ჩამოსული და სადგურს მიაშურა ისევ. დოლის სამზადისზე უნდა ეფიქრნა. იცოდა არზაყანმა წინასწარ: აბხაზები გამოდიოდნენ სადგურზე ახლად მოსულ მატარებლის სამზერად.

ტფილისის მატარებელი მოსულიყო. რამოდენიმე მგზავრი ბაქანზე გამოდიოდა. არც ერთი ნაცნობი სახე არა სჩანდა არსაიდან. იდგა არზაყან სვეტთან ატუზული და თავათაც აბხაზებსავით შესცქეროდა მჭვარტლით გამურულს, მარტორქასოდენა ორთქლმავალს.

თითქოს პირველად ჰხედავსო მანქანას.

ამ უშველებელი, ძალოვანი, მსოფლიო ენერგიის ფალავანის დანახვამ სიმხნევე შეჰმატა არზაყანს. წელში გასწორდა ისევ, გაახარა პრიალა ფოლადის სახსრების შეხედვამ, გავარვარებულ საჭის ბრიალმა.

მოუსვენრად ბორგავდა, თუხთუხებდა ლოკომოტივი, ნაბულრავებ კუროსავით ქშინავდა. მოუთმენლად ცახცახებდა მისი დევური კუნთები ღა მუხლები, თითქოს ამ უამრავი ვაგონების აკიდება ეჩქარებაო.

მოულალავი და შეუპოვარი მიესწრაფოდა აბხაზეთისაკენ ახლად ვაცვანილ გზას, თითქოს იმიტომაც რომ ეს გზა ჯერაც არ მოსწყენოდა. თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ აბხაზებს ასე უყვართ ახლად ჩამოსული მატარებლის ცქერა.

ტფილისის მატარებელმა ისევ თამარი გაახსენა არზაყანს. ვინ იცის ეგებ ეს ლოკომოტივი გზაში ენახოს კიდევაც თამარს.

და ამ ლოკომიტივმა თამარზე დარდი წაჰკიდა მის გულს.

რა განუსაზღვრელად ეშორა არზაყანს როგორც ტფილისი, ისე თამარი. იდგა დოინჯშემოყრილი არზაყან. ბავშვივით, უბრალო აბხაზივით შესცქეროდა ორთქლმავალს, როგორც ერთადერთ კავშირს მასა და თამარს შორის. ერთადერთ საშუალებას თამარის სანახავად დარჩენილს. და ისე გამოდიოდა: ევროპის გენიოსებს ლოკომოტივის იდეის გარშემო იმისთვის უფიქრნიათ თითქოს, რომ არზაყანი თამარის საძებრად წაიყვანოს ამ ლოკომოტივმა, თუნდაც ამ ბნელ ღამეში. და დოლის ამბები რომ არ აწუხებდეს არზაყანს, ამაღამვე დაუცდიდა მეორეს, ოჩამჩირიდან მომავალს, ამაღამვე გასწევდა ტფილისისაკენ, თამარისაკენ...

დეე, თარაშ ემხვარი უყვარდეს თამარს. არზაყანს ისიც ეყოფა თუნდ ერთხელ მაინც თვალმოკვრით ნახოს თამარი, თუნდაც ერთხელ ჩაჰხედოს მოლიბრო თვალებში თამარს. და არსად, არასდროს ამგვარი თვალები არ უნახავს არზაყანს.

ვინ ძაბული, ვინ შეედრება თვალებით თამარს!

ახლა ესა წყურია არზაყანს — თამარის თვალები ნახოს თუნდ ერთხელ მაინც, თვალები და ცისფერი ძარღვები. წვრილი, აბრეშუმის ძაფივით წვრილი ცისფერი ძარღვები თამარის საფეთქლებზე გავლებული.

ცისფერი, დიახ ცისფერი ძარღვები და ცისფერი სხსნლი, ... ვის უნდა ჰქონოდა არზაყანზე მეტი უფლება ამ ცისფერი სისხლის დაუფლებისა?

ათასწლობით ემსახურებოდნენ შერვაშიძეებსა და ემხვარებს ზვამბაია, ეშბა და ლაკობა. მრავალი საუკუნის მანძილზე ჭირისოფლი უღვრიათ მათთვის და მადლობის ნაცვლად სულ ორმოცდაათიოდე წლის წინად სტამბოლში ყიდდენ ისინი ზვამბაიას, ეშბას, ლაკობას გვარის ნაშიერებს. მათ მაგივრად უთოხნიათ, მათ მაგივრად უხნავთ. ზვამბაიების ქალებს ემხვარების და შერვაშიძეების ქალების ბავშვები უხრდიათ, რათა ძუძუმკერდი არ დაშრეტოდათ შერვაშიძეებისა და ემხვარების ქალებს. ახლა ზვამბაიების დროა, ახლა ჩვენი დროა, ფიქრობდა არზაყან ზვამბაია. სახნავიც ჩვენია და სათესიც, ზღვაცა და ცაც.

ზღვისფერი თვალებიც და ცისფერი სისხლიც.

როგორ? მტერს რომ მოერიო ბედაურზე მჯდარს, განა იმ ბედაურზე იმიტომ არ უნდა შეჯდე, რომ იგი მტრის ნაჯდომია? მაშ არზაყანმაც უნდა შეიძულოს თავისი საყვარელი ულაყი?

როგორ? მტერს რომ მოერიო და სახლკარი წაართვა, განა იმიტომ არ უნდა მოსწყვიტო მის ბაღში მოსული ვარდი, რომ ეს ვარდი მტრისეულ ბაღშია მოსული? ან ბულბული ვის შესძულებია მხოლოდ იმისათვის, რომ ბულბულს მტრის ბაღში უმღერია ოდესღაც, შემთხვევით?

ვინა სთქვა მერმე ეს არ ივარგებსო?

ისევ ტფილისი მოაგონდა არზაყანს. ოცნებამ შეიპყრო გონება მისი. არზაყან ტფილისის უნივერსიტეტში შევა. პარტია დაეხმარება არზაყანს. მისთვის პარტია თითქოს ზენარული რამ ერთარსება იყო მუდამ, რომლისთვისაც ყოველწუთში გასწირავდა სიცოცხლეს. და განა ერთხელ ბეუგდია არზაყანს სასწორზე თავისი ჭაბუკური სიცოცხლე პარტიის ბოძანებით, პარტიის გულისთვის?! პირდაპირ რელიგიური ფანატიზმით უყვარდა არზაყანს პარტია და ცხადია, პარტია უთუოდ დაეხმარებოდა არზაყანს და წინ წასწევდა.

უნივერსიტეტს ბრწყინვალედ ასრულებს არზაყან. დიდი ხანია რაც მედიცინა აინტერესებს არზაყანს.

მერე?

მერე კათედრასთან დასტოვებენ არზაყანს და ვნახოთ თუ კიდევ იტყვის ძაბული: თარაშ ემხვარმა ყველას გვაჯობაო. თავის უშველებელ ჭაბუკურ ენერგიას შესწირავს არზაყან ამ მიზანს, ოდითგანვე გულში ამოჭრილს და მაშინ ვნახოთ თუ თავადებმა აჯობონ არზაყანს თუნდაც შეცნიერებაში.

ვიღაცამ აბხაზური სალამი მისცა.

არზაყან შეკრთა. ლუკაია იდგა მის წინაშე და ილიმებოდა. ბერი კაცი შინ მისვლას აჩქარებდა.

უკვე ზედმეტი მორცხვობის და ყოყმანის დრო აღარ იყო. ლუკაიასთვის უნდა ეკითხნა არზაყანს თუ სად იყო თამარი? მაინც მოერიდა ჯიქურად კითხვას. ჯერ ხერიპსი მოიკითხა. ხერიპსი ტფილისში გაუწვევია კომისსარიატს. საღამოს მატარებლით წასულაო. მერმე თამარი იკითხა არზაყანმა. ხმადაბლა ახსენა თამარის სახელი, ისე მოკრძალებულად, ისე მოშიშარად ახსენა, თითქოს თამარის სახელს ტაბუ ჰქონებოდა დადებული.

თამარი შინ დავტოვე, თარაშ ემხვარს ნარდს ეთამაშებაო.—ამბობდა ლუკაია.

თარაშ ემხვარს ნარდს ეთამაშებაო?

გულმა რეჩხი უყო არზაყანს. დაფიქრდა მცირე ხანს. ალბად ნახუცარი ძზის ჩასვლისას წამალს დალევდა და დაიძინებდა. კაროლინა თავის ბავშვს მიუჯდებოდა. თარაში და თამარი მარტო დარჩებოდნენ. არზაყან ლუკაიას შესცქეროდა დაბინდულ და დალეულ სახეში, მაგრამ ერთბაშად განზე გაექცა მზერა. ლუკაია ანტირელიგიურ პროცესსის გამო სჩივოდა. ეხვეწებოდა არზაყანს ჩარეულიყო ამ საქმეში და „ხეპრე ახალგაზრდობისათვის“ აღეკვეთათ ღმერთის გამასხარავება. ისე გულმოდგინეთ ეევედრებოდა ლუკაია, თითქოს არზაყან სტალინი ყოფილიყო და ერთი რომ ეთქვა არზაყანს, მყისვე შეაწყვეტინებდა ასეთი პროცესსიების გამართვას.

„სად გაგონილა ასეთი რამ დიი!!“... სჩივოდა ლუკაია. ამ ღლაპებმა, ამ ზღმურტლიანებმა ქვეყანა აუჯანყეს ღმერთს... დიიი!!... თანაც არზაყანს ლილებზე ავლებდა ხელს, პირში ანერწყვავდა. თვალს თვალში უყრიდა, უნდოდა გაეგო არზაყანიც თუ იზიარებდა ასეთ „საშინელ“ რამეს. უშვერი სიტყვით ლანძღავდა ზუგდიდელ პარტიელებს, ამტკიცებდა რომ ტფილისში ეს არ იცის ჯერ კიდევ მთავრობამ, თორემ ამ კომკავშირელებს დაფერთხავდნენ.

ტფილისში თურმე ზარებიც ყოფილა, წირვაც და ცისკარიც, კათალიკოსი წირავს თურმე ტფილისში. ლუკაია იმუქრებოდა რომ ის ფეხით წავიდოდა ტფილისს, საქართველოს მთავრობასთან, საქართველოს კათალიკოსთან დაასმენდა ამ „თავხედ კომკავშირელებს!“ და უკიდურესს შემთხვევაში სტალინს მისწერდა წერილს.

„ღმერთს რას ავნებს ჩვენისთანა ჭიაღუების დაცინვა, არა“?—ეუბნებოდა არზაყანს და უფრო და უფრო მიიწევდა მისკენ. „ღმერთი სულგრძელია და ის მხოლოდ გაიცინებს ასეთ ურჯულოებაზე, არა?“ უნდოდა „ჰო“ დასცდენოდა როგორმე პირიდან არზაყანს, მაგრამ თავაზიანი არზაყან უკანუკან იხევდა. ერთი კი გაიფიქრა „ჰო“ ეთქვა და მოეცილებინა თავიდან ბერიკაცი, მაგრამ იცოდა: მეორე დღესვე მთელ დაბას მოსდებდა ლუკაია ამ „ჰო“-ს.

„არა“ ეთქვა? მაშინ უნდა შეჰკამათებოდა ამ შლუს. ამიტომაც ვერც ერთი ვერ ეთქვა და „ჰო“-სა და „არა“-ს შორის იხრაკებოდა. ლუკაია კი უფრო გაცხარებული ქაქანებდა, უფრო და უფრო მაგრად ჰკიდებდა ხელს

ღილებზე, ბლუზის საკინძეზე, ხანაც მარჯვენა მკლავზე შეავლებდა ხელს, ამაოდ უმტკიცებდა კომკავშირელს, რომ „ღმერთი ფიქრსავით უხილავია“, „ცეცხლსავით ხელშეუვლები“, „წყალსავით შეუშხურავი“, „ქარსავით მიუღწეველი“ და „ზღვასავით უფსკერო“.

არზაყანმა სიტყვა ბანზე აუგდო. „ერთი მითხარი ტუკანაკაძეთუ გცემს მღვდელი?“

ლუკაია შეხტა და შეკვინტრიშდა. „კიდევაც მცემს, მერმე თქვენ რა გინდათ, დიი?!“

„პროფკავშირში განაცხადე და დავსჯით“.

ლუკაიამ მაგრად შეუკურთხა პროფკავშირებს. „მცემს, მე მცემს თორემ თქვენ ხომ არ გცემთ, დიი!! მცემს, დიახაც მცემს, ჩემი ბატონია და მცემს, გასქდით გულზე! მცემს, მცემს, მცემს“. ისტერიულად ყვიროდა ლუკაია. არზაყანმა შენიშნა მათ გარშემო ხალხი მოგროვილიყო და მათ საუბარს ყურს უგდებდნენ. გარდა ამისა, არზაყანს სძაგდა, როცა მოლაპარაკე ხელს შეავლებდა, ამ წუთში მაინც სულ სხვაგან ჰქონდა მისი გონება. ისიც იცოდა რომ ლუკაიას ისე საუბარი არ შეეძლო, თუ საუბრის მისის ობიექტს ხელს არ წაავლებდა. ბოლოს თავაზიანად მოჰკიდა ხელი ლუკაიას ჩალისღეროსავით გამხმარსა და მილეულ მაჯას და ფრთხილად მოიცილა. სადღაც კრება მაქვსო, გვიან გამოვალო დააბარა მამასთან. სწრაფად გასცილდა აბეზარ ბერიკაცს და რკინისგზის ლიანდაგს მიჰყვა უსაზმნოდ.

როგორც სჩანს, ძაბულის სწორი ცნობები არა ჰქონია. თამაი აქ ყოფილა თურმე, ნარდით და ლაყბობით ერთობიან ალბად და არზაყან ისე დაწრიალებდა მთელი დღე დაბაში, თითქოს ეშმაკი ჩასვლოდა გვამში.

მთვარის შუქზე ლაპლაპებდნენ გაკრიალებული რელსები, ზუზუნებდნენ ტელეგრაფის მავთულები. მიდიოდა არზაყან ულონო ნაბიჯით. რკინისგზის გალმა-გამოლმა გაყოლებულ თხრილების პირად ჩაწკაპულ ძეწნებში ისევ თავიანთ ღამეულ კრრ... კრრრ-ს მღეროდნენ ვასაკები.

ცალმხარეს ერთი დაიწყებდა: კრრრ... კრრრ...ს, შემდეგ მეორე, შორიდან, ძლიერ შორიდან გამოეხმაურებოდა. მიდიოდა უმიზნოდ არზაყან ღამისაკენ, ენგურის ჭალებისაკენ, და უფრო და უფრო მატულობდა ვასაკების გაბმული კრრრ... კრრრ... კრررررررრ...

ელავდნენ მთვარის შუქზე ძეწნების გალაქული, ვერცხლისფერი ფოთლები, ბუჩქებსა და ძეძვებში კიანთობდნენ ციცინათლები.

მიდიოდა თავჩაქინდრული არზაყან, ქუდი ხელში ეჭირა და ნიავი ეალერსებოდა ოფლიან შუბლზე გადმოღვრილ გიშრისფერ კულულებს. ახლა ჭალებიდან მოჰქონდა ნიავს ჭაობის ბაყაყების შორეული ორკესტრის ხმა. ერთნი სულ წვრილად, წვრილად იძახოდნენ და შორეულნი მომეტებულის სიმძაფრით, — ხანგამოშვებით, სხვადასხვა მხრიდან მოისმოდა ქორალური ვიშვიში და ეს გაბმული, მორიგეობით ნათქვამი ზარისებური მოთქმა აყრუებდა მიდამოს ზაფხულის ძილში გართულს.

არზაყან გზის პირად შესდგა. გზის მუშებს ქვიშის საზიდი ურემი დარჩენოდათ. ვილაც საკინძეგახსნილ მუშას დასძინებოდა ზედ. იწვა პირაღმა კაცი, ოდნავ ღიად დარჩენოდა პირი, მადიანად ხვრინავდა გულ-ხელდაკრეფილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი მშვიდი, აუმღვრეველი სახე ჰქონდა მძინარეს, თითქოს საზ-რუნავი გამოლეოდა. მთვარე დასცქეროდა მშვიდი, მშვიდსა და სათნო მუშაკის სახეს. როგორის ნეტარი ძილით ჩასძინებია ამ ბედნიერ კაცს!! — გაიფიქრა არზაყანმა.

ასეთი აუმღვრევი ძილი ინატრა თავათაც.

ხელურემის კიდეზე ჩამოჯდა არზაყან. გადასცქეროდ ჭალებს. ეს ენგური ლაპლაპებდა შორიდან, მთვარეს და ღამეს ელამუნებოდა ძი-ლისპირული შუილით. და წყლიდან ამდგარმა ნათელმა ისევ ტფილისის უნივერსიტეტის თეთრი შენობა მოაგონა არზაყანს.

არზაყან ზვამბაია სახელგანთქმული მეცნიერია. მაღალი თეთრი სახ-ლის მარმარილოს კიბეზე ადის, მარჯვნივ და მარცხნივ ქუდს იხდის მო-ზიმზიმე ახალგაზრდობა. კრძალვა და რიდი ეხატება არზაყანს ჭაღარის შეხედვაზე. არზაყანი კათედრაზე ადის, ათასი, ცნობის და ცოდნისმო-ყვარე თვალი შემოსცქერის, უცდიან რას იტყვის ახალს, უკვე ჭარმაგი მეცნიერი არზაყან ზვამბაია.

გაზეთებში ხატავენ მის სურათებს და მთავრობა სიგელებს უბოძებს არზაყანს. არზაყანს შრომის გმირის საპატიო სახელი შესთავაზეს კოლ-ხიდის ციებასთან გმირული ბრძოლისათვის.

უფრო და უფრო ძლიერდება მთვარის კაშკაში სათანჯოს ციხის გადაღმა მოლიბრო, მომწვანო მთებზე თეთრი ღრუბლების კოშკები დაზვინულან. ისინი ღრუბლებს არა ჰგვანან, არამედ უშველებელ მარმარილოს ბახტრიო-ნებს. სდგანან ეს ღრუბლები ცამდის ალანძული, ზვიადი, უსწორმასწორო, როგორც თავაწყვეტილი ჭაბუკის ოცნება. უფრო და უფრო ძლიერდება მთვარის კაშკაში და ბაყაყების მოთქმაც მატულობს თითქოს. მხარ-მარჯვნით მოყიყინე ბაყაყებს, სხვანი და სხვანი გამოეხმაურნენ, მხარმარ-ცხნით მდებარე ჭაობებიდან, ახალი და ახალი პარტია ჩაება ამ ღამეულ ტურნირში.

კრრრრ... კრრრრ... გასძახიან ურთიერთის ძეწნებსა და თხმელებში ჩასაფრული ვასაკები. და ეს ძახილი ამძაფრებს არზაყანის გულში მარტო-ობის და მიუსაფრობის გრძნობას.

ახლა კი დროა! — გაიფიქრა არზაყანმა, — მხარმარცხნით გადასერა ველი, მომცრო გორაკს მიაღწია, უკვე დასცქერის ხეციასეულ სასახლეს მთვარის შუქზე თეთრად მოკიანთეს. მდინარის ღამეული შუილი მოისმის შორიდან და ჭოტის მარტოხელა ძახილი ძველი ფეოდალის ბნელი მუხ-ნარიდან. იმ მუხნარისაკენაა თამარის ოთახი და შერვაშიძეების ხილის ბაღი. ფიქრობდა არზაყან.

ვინ იცის ეგებ თარაშ ემხვარი თამარის ოთახში იჯდეს და ოთხი ხელით უკრავდნენ პიანინოს, მკლავები მკლავებს ეხებოდეს, მხრისთავი მხრისთავს; ეგებ თამარის ლოყა თარაშის ღაწვიდან ამდგარ ცხუნვარეებასაც გრძნობდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგესლა ამ ფიქრმა არზაყანის გული, ძეძვიან ღობეს ადგომოდა, გამხმარი წნელების ლიწინმა შეაკრთო ღამის მყუდროება. ბარდებში, ეკლებში, ძეძვებში იკაფავს გზას არზაყან. ბილიკს ვერ მიაგნო ვერც ერთს, რადგან მთვარეს წაეშალა ადამიანის ნატერფალი. ისე მძაფრად პრიალებდა ბალახი, ძეძვიანი ბუჩქები და ეკლნარის ფოთლები. ფშალით და ავრეხით დაბლანდულ ეწერში მიდის არზაყან, ველარ ერევა ქაცვებს და ეკლიან შტოებს. მთვარის შუქზე ისინი ისე უწყინარნი მოსჩანან, მაგრამ ჩაუვლის არზაყან თუ არა, ხან ტანისამოსზე მოედებიან, ხან ლოყაზე, ხანაც ფაფახის ქუბაზე. მარჯვენა ლოყა მძაფრად გაეკაწრა არზაყანს, გრძნობს: სისხლი მოწანწკარებს ტფილი. გარინდებულან მსხლისა, ვაშლისა და ალუბლის ხეები. მთვარე ზედ დასდგომია მდუმარე ბაღს და ისეთი მშვიდი ღამეა, როგორც ბავშვის უწყინარი სიზმარი. აქ ვერცხლის სამოსელში მორთულა ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი და ძგიდეების ჯაგნარი. აკაციები სდგანან ჯაგნარებს გადაღმა, თავიდან ტერფამდის მთლად ვერცხლში ჩამჯდარნი.

მისწვდა არზაყანის ყნოსვას აკაციების ყვავილის სუნი. ყველა და ყველაფერი ტკბილ რულს შეუპყრია, მხოლოდ ჭოტი იძახის სადღაც. მხოლოდ არზაყანის გულში ჩასულა იჭვიანობის ამბოხი. და ასე უმწეოა არზაყან, მზადაა მიწაზე დაენარცხოს და ჰგმოს სიცოცხლის, სიყვარულის და სიკვდილის გამჩენი.

ტოტების მოთალხო აჟურში კიანთობდა თამარის ოთახის ფანჯარა, ელექტროს მოთეთრო შუქი ვერცხლისფრად ჰქარგავდა ფანჯრისკენ გადახრილ მდუმარე ტოტებს. რამოდენიმე ტოტი ზედ ფანჯარასთან მისულიყო. ამ უეცრად გამომკრთალმა სინათლემ სიხარული მოჰგვარა არზაყანს ძრწოლანარევი. ვერ დაიძინებს ამაღამ არზაყან სანამდის არ გაიგებს მარტოა თუ არა თამარი?

ეს რომ იცოდეს თუ სადაა თარაშის ბინა დაბაში, იქ წავიდოდა და გაიგებდა შინ იყო თუ არა თარაში? სუნთქვა მოიპარა არზაყანმა. მიჰყვა ხეივნების ლანდებს.

თეთრად შესუდრული ვაშლის ხე იდგა თამარის ფანჯრის პირდაპირ. მიაყურა არზაყანმა ფანჯარას: ჩქამიც არ ისმოდა არსიდან. ორივე ხელით შემოეჭდო არზაყან ხის ტანს. ხელფეხით მოეჭიდა, აცოცდა, ისე როგორც ბავშვობაში უქნია. სულ მცირედი ტკაცანი გაჰქონდა მის მკერდზე ხის ტანზე შემხმარ ქერქს. ხელები ეტკინა ოდნავ. ფეხებს ვერ იმაგრებდა ხის ტანზე, რადგანაც აზიური წაღები უცურდებოდა მალიმალ. ჩოჩვით ჩამოვიდა ისევ და დიდხანს ეწვალა, ვიდრე ვიწროდ შემოსხეპილ წაღებს გაიხდიდა. ისევ მივიდა ხესთან. ისევ შემოჰხვია ხის ტანს მკლავები და ახლა ფოცხვერის სიმარდით მოექცა ზევით.

მოზრდილ ტოტს მოსჭიდა ხელი თამარის ფანჯრისაკენ მიდრეკილს... ანაზდეულად შეირხნენ შტოები. იგრძნო ვაჟკაცის სიმძიმე, ვაშლის ხემ და თოვლის ფიფქივით თეთრი ყვავილის ნამუსრევი გადაეყარა არზაყანს სახეზე. სურნელითა და სიხარულით ივსებოდა არზაყანის გული. იდგა ამგვარად გაბრუებული და გატრუნული არზაყან შუათანა ტოტს აფარებული და შესცქეროდა პიანინოს გვერდით მდგარ მაგიდასთან მიმჯდარ თამარს. და არზაყან ისე გრძნობდა თავს, ესაო და სიზმარში ვარო.

თამარი იჯდა შილიფად ჩაცმული, უაბაჟურო ელსანათი უდგა მაგიდაზე. ხელები საფეთქლებზე მიებჯინა. იჯდა და წიგნს კითხულობდა. წარბები მოეღუშა ოდნავ და ხეზე მიჩქმალული არზაყან ნათლად ხედავდა თამარის გრძელი წამწამების ქვეშ მიმდგარ ჩრდილს. განუზომელი ბედნიერება იგრძნო არზაყანმა ამ წუთში, რა დარწმუნდა: იგი მარტო იყო გვიანი ღამით. განუზომელად მადლიერი იყო არზაყან, თარაში რომ არ იჯდა თამარის გვერდით. არზაყანის მოსიყვარულე თვალი თამარის პატარა და ჯიშიან თავს შემოევლო, გამოხუნებულ სპილენძისფერი თმა ელასტიურად შემოტმასნოდა ჰარმონიულ ფორმას თავისას.

უმცირესს დეტალებს ამჩნევს არზაყან: მოთეთრო ხარვეზს თავზე გავლებულს, მის გრძელსა და ჩრდილიან წამწამებს და ოდნავ წამობურცვილ პირს.

ხელები ჩამოიღო თამარმა, ორივე ხელებით დაკეცა წიგნი, აუჩქარებლად წამოდგა სავარძლიდან. წელში გაიმართა და ვაშლის ხისკენ გამოიხედა პირდაპირ. შედრკა არზაყან მყისვე, ანაზდეულად დაცუცქდა ტოტზე. მერმე მოაგონდა სავსებით ელემენტარული ფიზიკის კანონი, რომლის ძალითაც განათებული სივრციდან ბნელში მყოფი საგნების დანახვა არ შეიძლება. ისევე გაიმართა წელში და შეჰყურებდა თუ როგორ გაიზმორა თამარმა, მარჯვენა ხელის თითები მარცხენას თითებს გადააწნა და ორივენი ერთბაშად წინ წამოსწია. შემდეგ გულმკერდი წინ გამოსწია და ურთიერთს გადაწნული ხელები კისერზე შემოიჭდო. თვალები მოხუჭა და ისე იდგა ცოტა ხანს. ლანდიც კი შენიშნა არზაყანმა, თამარის ტანკენარ სხეულიდან კედელზე მიმდგარი. ამის შემდეგ მხარმარცხნით მობრუნდა. თმები გაიშალა. ეტყობოდა: სარკის პირისპირ უნდა მდგარიყო; სხვილკბილებიანი თეთრი ძვლის სავარცხელი აიღო და სათითაოდ დახსნა ორივე ნაწნავი, ხეზე გასული ვენახის სიმსხო. სათითაოდ დახსნა და დაშალა ნაწნავი, ზანტად ივარცხნიდა თმას და ისეთი ნაზი რუდუნებით ივარცხნიდა თამარი თმას, თითქოს ეფერებოდა ყოველ ღერს თმისას.

ეტყობოდა ძლიერ ჰყვარებია თამარს თავისი გრძელი და გრუზა ნაწნავები. ფიქრობდა არზაყან: რამდენჯერაც არ სთხოვა არზაყანმა, თამარმა ყური არ ათხოვა, ბიჭურად არ შეიკრიჭა თავი. თარაშ ემხვარს მოსწონს ალბად, რადგან თარაშ ემხვარს ყველაფერი მოსწონს, რაც ატავიზმის და ტრადიციების წიაღიდან გამოდის.

ბავშვობა მოაგონდა არზაყანს. თამარი წინა მერხზე ეჯდა სკოლაში. რამდენჯერ დაუწიწკნია ეს თმები არზაყანს! რამდენჯერ წასწვდომია ამ გრუზა ნაწნავებს? ახლა რა მოხდა ასეთი, ხილის ქურდსავით ხეზე რომ გასულა არზაყან? რატომ არ შეუძლია ეფიქრა: „თამარ“. მოახედოს და გააცინოს სკოლის მეგობარი. ადამიანებს სისადავე აკლიათ, თამარსაც, არზაყანსაც და ყველას. ბაღში ასეთი მშვენიერი მთვარეა, ძილნასვამი და ჩრდილნასვამი ხეები ნაზად ჰქინდრავენ წვეროკინებს. ტოტები ტოტებს ეალერსებიან, ყვავილის მტვერი ყვავილის მტვერს დაეძებს ბნელში. ბაღში ღამეა და მთვარე. სიყვარულს და ბნელს ჩაუკრავს გულში ეს მთვარეც, ეს ღამეც, ეს ხეებიც, ეს ცაც და ეს მბჟუტავი და თვალმილეული ვარსკვლავებიც. და არზაყან ზვამბია ხესთან მიჩქმალულა. შორიდან შესცქერის თამარს, თითქოს ეს სიცხადე არ იყოს ღამის, არამედ შორიდან ნახული კინოსურათი. შესცქერის და ხმა ვერ გაუცია, თითქოს ხმა წართმეოდეს და სუნთქვაც ვერ გაუბედნია, თითქოს სუნთქვაც არ შერჩენოდეს. სიყვარულის სიტყვაც ვერ გაუმხელია, თითქოს არც სიყვარული გააჩნდეს და არცა სიტყვა.

თამარი ფანჯრისკენ წამოვიდა, არზაყან შეკრთა. შეეშინდა: არ შემნიშნოსო. ისევ დაცუცქდა ტოტზე. თამარი შესდგა, საკინძე გაიხსნა. საბელოებიდან ხელი გამოიღო. ისევ გაიმართა წელში არზაყან და მისი თვალი თამარის ზემოტანს შემოევლო გარს. ხედავს თამარის მომცროსა და მკვრივს ძუძუებს, ვაშლის ყვავილივით თეთრ ნაქსოვიდან გამომკრთალს და როცა ხელები ზეალმართა თამარმა, არზაყანმა შენიშნა იღლიას ქვეშ ახლად ამოსულ მოლივით მოვლებულ თმა და ისე აღელდა, როგორც აღლვებდა ხოლმე მას თამარის ტუჩების კუთხესთან ამოსული პაწია ულვაშების მინაგვარი ბუსუსები. და ახლა როცა მკერდგაღეღილი, პერანგის ამარა იდგა მის თვალწინ თამარი, არზაყანმა შენიშნა ისეთი რამ, რაც არასოდეს შეუმჩნევია: თამარს ჯვარი ჰქონია კისერზე და ძუძუებს ზემოდ, ძუძუებს შორის, ჯვარის ტარებისაგან ოდნავ დაშავებოდა გაფცქვნილი ნარინჯის მინაგვარი, გამსჭვირვალე და სათუთი კანი.

თამარმა ცალი ფეხი სკამზე შესდგა, ვარდის ფერ ბანტს შეავლო ხელი, არზაყანმა მკაფიოდ გაიგონა თუ როგორ ატკაცუნდა ბანტი, როცა იგი მუხლის თავიდან გადაიძრო თამარმა. რეზინის ბანტის მონაჭერი წითლად დასტყობოდა მის სათუთ სხეულს. არც არასოდეს უნახავს არზაყანს ეგზომ ფიქალი და თეთრი ფეხები ქალისა. ფეხები, რომელთაც ასეთი ელასტიურობა და მოქნილობა ეტყობოდა, როგორიც ფაქიზად მოვლილ ხელებს ქალისას. სხვა ქალწულების შიშველი ფეხებიც ენახა არზაყანს, მაგრამ მათ წვივებზე თმები და ბუსუსები შეუმჩნევია ყოველთვის, ან არა და გაპუტული ბატის კანზე დარჩენილ პაწია ხორკლების მინაგვარი წერტილები.

სულგანაბული ადევნებდა არზაყანი თვალს, თუ როგორ გაიძრო თამარმა მეორე წინდაც.

ახლა მომეტებულად გაოცდა არზაყან, როცა თამარმა აღმოსავლეთისაკენ პირი შეიბრუნა და სამჯერ ზედიზედ პირჯვარი გადაისახა. ცალი ხელით ელექტროს სანათურს მისწვდა და ლანდივით ჩაქრა სიბნელეში თამარის შიშველი სხეულის მშვენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არზაყან ძირს ჩამოვიდა, წაღები ჩაიცვა. მუხლები ეკვეთებოდა. სიარული სცადა. მთვრალივით დაბარბაცდა. მივიდა ისევ ვაშლის ხესთან, შემოეხვია ისე, როგორც დას, როგორც საყვარელს. ნედლი ხის საამო სუნი იგრძნო, იამა გახურებულ ლოყაზე ცივი და გასიპული ხის კანის შეხება და ატირდა ჩუმად, როგორ ბავშვი, რომელსაც ეშინია ტირილისათვისაც არ დამსაჯონო.

ალარც კი ახსოვდა არზაყანს თუ როგორ მოაღწია ლუკაიას ხულამდის. კარის ჭუჭრუტანიდან მოკიაფე მცირე რამ სინათლის შუქმა გამოაფხიზლა იგი ნაღვლიან ფიქრებისაგან. ალბად არა სძინავთ. — გაიფიქრა არზაყანმა, რაკი ხმადაბლა საუბარი მოესმა.

დააკვირდა სიტყვებს, არც აბხაზურად, არც მეგრულად არ ლაპარაკობდნენ. ორთა საუბარსაც არა ჰგავდა. არზაყან დაინტერესდა თუ რას როშავდა ლუკაია?

ეგებ დავითნის ლოთხულობსო.—გაიფიქრა არზაყანმა, და ყური მიადო კარის ჭუჭრუტანას.

„გამოვიდა კაცი ზღვით, ხელდებოდა ვითა ვეფხვი: ვითა შეემთხვიეს მთავარანგელოსნი მიქაელ გაბრიელ, ჰრქვეს მას: ზღვასა შინა ვიყავ, ქვასა მისა ვჭამდი და ქვიშათა მისთა ვლრიჭნიდი: აწ გამოველ კაცისა თავისა ნახევარსა. შევალ თავსა ამისა შევჭამ, შევჭამ და შევადგენ ბნელსა თვალთა მისთა, ჰრქვეს მიქელ და გაბრიელ: ვერ შეხვალ თავისა ნახევარსა, ვერცა შესვამ სისხლსა, ვერცა შეადგენ ბნელთა თვალთა მისთა. აწ წარვედ, ზღვასა შინა დაემკვიდრე, მას შინა ქვასა მისა სჭამდე და ქვიშათა ღლარჭნიდე. სახელითა მამისათა და ძისათა ამენ“.

ის ის იყო კარის შეღებას აპირებდა არზაყან, ისევ აბუტბუტდა ლუკაია: „ფინეზ: ფინფანო: ზისა: მეტხანო: ჰაიოზ: მისნი: მინარო: ბისლელ: ქვალმანდი: ქინა, სტინა, სირა: ატალა: მისტაკინა: კატალატინ: ნამ: ვათალად: წითალ: სალამალად: ოღარ: აგრე: მონასა: შენსა: კაც ზვამბიას... ამენ“.

მთლად გადარეულა ეს უბედური ლუკაია!—ფიქრობდა არზაყან.

არზაყან ხულაში შევიდა, ეცინებოდა ამ გაუგონარი უაზრობის გამგონეს. კაც ზვამბაია გრძელ ტაბაკზე წამოწოლილიყო. თავი ასტკივნოდა ლუკაია ულოცავდა.

„ჰეჲ, ვარა სადა იყავი აქამდის?“ უსაყვედურა მამამ. ამის თქმა მოასწრო კაც ზვამბიამ და ლუკაია ჯარგვალიდან გადავარდა. ხელფეხის სხმარტალი დაიწყო. არზაყანმა მყისვე მიაშურა წაქცეულს. დუჟი გამოსვლოდა ლუკაიას ტუჩის კუთხეებში, უპეები უზომოდ გაგანივრებოდა, თვალის გუგები მოუსვენრად უბრიალებდა, ბორგავდა ლუკაია, კვნესოდა. არზაყანმა ხელები შეუკრა და ცალი მუხლი მკერდზე დააჭირა. მთლად და-

ლეული ეჩვენა საცოდავი ლუკაიას სხეული. თავისი მტაცებელ ბაკინისებური მკლავებით შეჰკოჭა არზაყანმა მოხუცი. ლუკაია ენას უყოფდა დუჟმორეულს, მომნუსხველი თვალებით მიშტერებოდა ლუპენარისფერწვრილ თვალებში კვესავდა სიგიჟის ნაპერწკლები. კაცი ზეიმობდა გამოერკვა. მას საოცარი შიში ჰქონდა ბნედიანისა და როცა ლუკაიას სხეული გაიჭინთა, დაცუცქდა კაც მის თავთან, ახალოხის სახელოთი უხოცავდა შუბლზე გადმოლვარულ ოფლს და ბავშვივით ეფერებოდა ბერიკაცს. იწვა სოხანაზე ფეხგაჭინთული ლუკაია და უაზრო თვალებით შესცქეროდა მჭვარტლიან სხვენზე ჩამოსულ ბნელ ღამეს.

არზაყანმა ბავშვივით ხელში აიტაცა ლუკაია, თავის საწოლზე დააწვინა და ჭრაქი ჩააქრო.

დიდხანს ტრიალებდა საწოლში არზაყან. კერაზე დარჩენი ღველფს მისჩერებოდა. კოშმარივით იგონებდა გასულ დღეს. თავპირი ბალიშში ჩაერგო, იგონებდა თამარის სხეულის ყოველ დეტალს. ვაშლის ხედ გახდომას ნატრობდა არზაყან ამ სიბნელეში. თამარის სარკმელთან მოდარაჯე ვაშლის ხედ ქცევას.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი

რუსული ზღაპრები

თითონაც იცოდა, რომ სილამაზისა ნატამალიც არა ჰქონდა და სთქვა:

— სილამაზე თუ არა, ჭკუა ხომ მაქვს. ბრძნად გავხდები, — ამაზედ ადვილი არაფერია ჩვენში.

და დაიწყო სხვილ თხუზულებების კითხვა. მართლა და სულელი არ იყო და ხედავდა, რომ სიბრძნის დასამტკიცებლად წაკითხულ წიგნებიდან ამოკრებილი ციტატები იყო საჭირო და სხვა არაფერი.

და როდესაც იმდენი წაიკითხა, რამდენიც საჭირო არის ადამიანის გასაბეცებად, მაღლა აიწია სათვალეების სიმძიმით გაწითლებული ცხვირი და დაიძახა:

— ახლა კი ველარ მომატყუებთ. ხომ ვხედავ, რომ ცხოვრება მახეა, ბუნების მიერ ჩემ დასაღუპავად დადგმული.

— სიყვარული? — ჰკითხა სულმა სიცოცხლისამ.

— მადლობა ღმერთს, მე პოეტი არა ვარ! გიჟი კი არა ვარ, რომ ერთი ლუკმა ყველისათვის დაუსრულებელ ვალდებულებათა მახეში შევყო თავი.

მაგრამ ადამიანი იყო, არც თუ ნიჭიერი, და გადასწყვიტა, — ფილოსოფიის პროფესორის თანამდებობის თხოვა.

მივიდა სახალხო განათლების მინისტრთან და მოახსენა:

— თქვენო მაღალამტებულებავ! აი, მზად გახლავართ ვასწავლო, რომ უაზროა ცხოვრება და არ უნდა ვემორჩილებოდეთ ბუნების მოთხოვნილებათ.

ჩაფიქრდა მინისტრი, — ხომ არ ეწინააღმდეგება ეს მიმართულება მთავრობის მოძღვრებასაო. მერე ჰკითხა:

— მთავრობის ბრძანებას? არც იმას უნდა ვემორჩილებოდეთ?

— უნდა ვემორჩილებოდეთ და აგრე! — შეჰყვირა ფილოსოფოსმა და მოწიწებით დაღუნა წიგნებით მოტვლეპილი თავი. — რადგან ვნებანი ადამიანისანი...

— კარგი და პატიოსანი. წადით და აძვერით კათედრაზედ. ჯამაგირი — თექვსმეტი მანეთი... მაგრამ მოგვიდეთ თუ არა ჩემი ბრძანება, რომ უნდა ვემორჩილებოდეთ თვით ბუნების კანონებსაც კი, გეყურებათ? — სრული მორჩილება! — არავითარი თავისუფლება მსჯელობისა! თქვენ ფიქრობთ და მსჯელობთ ისე, როგორც მე გიბრძანებო.

ჩაფიქრდა მინისტრი და ნაღვლიანად დაუმატა:

— იმისთანა დროს შევესწარით, რომ სახელმწიფოს მთლიანობის გასაძლიერებლად იქნება თვით ბუნების მოთხოვნილებანიც კი ვაღიაროთ არა მარტო არსებულად, სავალდებულოდაც კი... საბოლოოდ...

— ეგ არის, დიაღ! თქვენ და მანდამდე მიხვიდეთ. — დაიფიქრა ფილოსოფოსმა, მაგრამ თქმით კი არა სთქვა რა.

მოეწყო ფილოსოფოსი: კვირაში ერთხელ აძვრებოდა კათედრაზე და მთელი საათის განმავლობაში ჭკუას ასწავლიდა ახალგაზრდობას:

— ყმაწვილებო! შეზღუდულ არს ადამიანი გარედან, შეზღუდულ არს შიგნიდან. ბუნება მტერია ჩვენი, დედაკაცი ბრმა იარაღია ბუნებისა, კაცის მაცთუნებელი, და ყოველივე ამისა გამო უაზრო არის ჩვენი ცხოვრება.

უკვე მიჩვეულიყო ამ მსჯელობას და ხშირად აღტაცებით, გულწრფელად, მჭერმეტყველებით გამოთქვამდა თავის ფილოსოფიას. ყმაწვილი სტუდენტები ტაშს უკრავდენ და ისიც კმაყოფილი, ალერსიანად ღუნავდა მოტვლეპილ თავს, საამოდ უბრწყინავდა ჩაწითლებული ცხვირი... ტკბილად მიმდინარეობდა მისი ცხოვრება.

რესტორანის სადილს ვერ აიტანდა, რადგან იმასაც, როგორც ყოველ პესიმისტს, წამხდარი ჰქონდა კუჭი, ადგა და ცოლი შეირთო. ოცდა ცხრა წელიწადი შინა სჭამდა პურს, თავისდაუმჩნევლად ოთხი შვილი შეეძინა და თქვენი ჭირი წაიღო.

მიცვალებულის ცხედარს მისი სამი მგლოვიარე ქალი მისდევდა თავიანთ ქმრებით და შვილი პოეტი, რომელსაც გატაცებით შეჰყვარებოდა საცა კი ლამაზი ქალი ენახა. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი—გალობდნენ მხიარულად, ქვეყნის გასაგონად სტუდენტები, მაგრამ ცუდად გალობდნენ. ამხანაგმა პროფესორებმა მიცვალებულის საფლავის პირას აღფრთოვანებული სიტყვები წარმოსთქვეს, აღნიშნეს მისი ღვაწლი და მისი მეტაფიზიკის აღნაგობა.

წესიერად იყო ყველაფერი, დიდებულად და წუთობით გულსაწყლავადაც.

— წავიდა ჩვენი ბებრუცუნა! — უთხრა ერთმა სტუდენტმა ამხანაგს. სასაფლაოდან რომ გამობრუნდენ.

— პესიმისტი იყო.—უპასუხა მეორემ.

მესამემ გაიკვირვა:

— კარგით, ერთი! მე ვერც კი შევნიშნე. ის მელოტი, ისა!

მეოთხე ღარიბი ბიჭი იყო და უიმედოდ ჰკითხა:

— ქელეხში მიგვიწვევენ?

დიაღ, მიიწვიეს.

განსვენებულ პროფესორს რამდენიმე კარგი წიგნი დაეწერა თავის სიცოცხლეში, რომლებშიაც მოხდენილად და აღტაცებით ამტკიცებდა უმიზნოვნობას სიცოცხლისას,—წიგნები კარგად იყიდებოდა, სიამოვნე-

ბით კითხულობდა საზოგადოება, — რაც უნდა იყოს, ყველა უყვარს ადამიანს, ოლონდ ლამაზად იყოს ნათქვამი.

ოჯახი უზრუნველყოფილი იყო, — პესსიმიზმსაც შესძლებია, უზრუნველჰყოს ადამიანი, — და კარგი ქელეხი ჰქონდათ. საწყალმა ინტელიგენტმა ჯავრი ამოიყარა ტკბილი საჭმელ-სასმელისა, და შინ რომ მიდიოდა, კმაყოფილებით იღიმებოდა და ფიქრობდა:

— არა! ხანდახან პესსიმიზმიც სასარგებლო ყოფილა.

2.

ერთხელ კიდევ ამისთანა ამბავი მოხდა:

კაცი ვინმე იყო, თავი პოეტად მიაჩნდა, ლექსებს სწერდა, მაგრამ უვარგისებს და ემდურებოდა წუთისოფელს.

ერთხელ ქუჩაში მათრახი დაინახა, მეეტლეს ჩამოვარდნოდა.

მათრახის დანახვა და პოეტის ზეგარდმო ნიჭის აღფრთოვანება ერთი იყო.

იქვე, ქუჩაში წარმოსთქვა ლექსი:

ვით შავი ჭირი, შარა გზის მტვერში
გდია გასრესილ გველისა მძოვრი.
ზედ დასტრიალებს ბუნების გუნდი,
გარს ახვევია ქორი და ღორი.
აღარსადა აქვს უბედურს ქაცვი,
გამოჭლადრია ნეკნები წვრილი...
გველო, შენებრივ უცბად გამიქრა
მე სიყვარულის ნექტარი ტკბილი.

წამოიწია მათრახმა, წამოდგა, გასწორდა და რხევით მიმართა:

— აბა, რად სტყუი? ცოლიანი კაცი ხარ, წიგნი იცი, და აგრე კი სტყუი! არა, შენ არ გაგქრობია ნექტარი სიყვარულისა. შენ ცოლი გიყვარს და კიდეც გეშინია შენი ცოლისა.

განრისხდა პოეტი:

— ეგ შენი საქმე არ არის.

— ლექსიც არ გივარგა. გროშად არა ღირს.

— შენ მაგისთანასაც ვერ იტყვი. ტყლაშუნის მეტი არა იცი რა, და ისიც სხვის დახმარებით.

— მაინც, რადა სტყუი? ხომ არ გამქრალა შენი სიყვარული.

— რა ვუყოთ, რომ არ გამქრალა? რომ გამქრალიყო?

— ოჰ, ძალიან გაგლახავს შენი ცოლი. ამიღე, შენ ცოლთან მიმიტანე...

— მამა გიცხონდება.

— არ გინდა, და ნუ გინდა! — დაუძახა მათრახმა, დაეშვა მიწაზედ და დაიწყო ფიქრი, — ადამიანზედ.

პოეტი კი დუქანში შევიდა. ერთი ბოთლი ლუდი მოითხოვა და დაიწყო ფიქრი, — თავის თავზედ:

— თუმცა ხეპრე არის მათრახი, მაგრამ არც ჩემი ლექსი ვარგა, რაც მართალია მართალია. საკვირველია სწორედ: ზოგი სულ ცუდ ლექსებს სწერს, ზოგი კი ცუდსა სწერს, მაგრამ ხანდახან კარგსაც გამოურევს. უსამართლობის მეტი არაფერია ამ ქვეყნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯდა, სვამდა და უფრო და უფრო ღრმად იფლობოდა ქვეყნის შეგნებაში. და ბოლოს მართლაც მიაღწია მტკიცე ჭეშმარიტებას, რომ არაფრად ვარგა ეს ქვეყანა და ჩვენი შერცხვენა არის აქ ცხოვრება. ორ საათამდე იჯდა ამ ფიქრით მოცული და სთქვა:

ვნების, ოცნების ჭრელი მათრახი
გვცემს, სიკვდილისკენ მიგვერეკება.
ვით ბრმანი დავრწით ჟინის ბურუსში,
დროა, მოვიკლათ ყოველი ვნება,
რაღაც შორეულ ლანდს რომ გვისახავს,
მიუწდომელსა და მატყუარსა.
მივალთ — მივიწევთ ვაებით, ტანჯვით
და ვპოვებთ მარტო სიკვდილსა მწარსა.

და სხვა ამგვარივე, ოცდა რვა სტრიქონი.

— აი, ლექსი ამასა ჰქვიან! — წამოიძახა პოეტმა და კმაყოფილი მივიდა შინ.

ლექსი თავის ცოლს წაუკითხა. იმანაც ძალიან უქო.

— მაგრამ,—უთხრა ცოლმა,—პირველი ხანა თითქო როგორღაც...

— ჩახეთქავენ! პუშკინმა რომ დაიწყო, იმასაც მოსდიოდა „თითქო როგორღაც“...

— შენ წყობა, სთქვი, წყობა! პანაშვიდია!

მერე თავის პატარა ბიჭთან თამაშობა დაიწყო, მუხლზე შეისვა, ახტუნებდა და ტენორის ხმით მღეროდა:

ახტა ბიჭიკო, ახტა,
მამას მუხლზედ დაახტა.
ნეტავ მამა გამდიდრდეს,
კარგ აჩუას მიყიდდეს,
შევჯდები, გავაჭენებ,
ქვეყანას გავაკვირვებ.

მხიარულად გაატარა ის საღამო და მეორე დღეს დილითვე მიუტანა ლექსი რედაქტორს. წაიკითხა რედაქტორმა და დიდაზროვანად — დიდაზროვანნი არიან ყველა რედაქტორები და ამიტომ არის, რომ ასე მოსაწყენია ჩვენი ჟურნალები, — წაიკითხა და დიდაზროვნად უთხრა, თან ცხვირს იფხანდა:

— მართლა და არაუშავს რა, სწორედ დროის შესაფერია. ძლივს. ოქვენ უკვე მიაღწიეთ თქვენს დანიშნულებას. დიაღ, ასევე განაგრძეთ... ოექვსმეტი კაპეიკი სტრიქონში, ოთხი მანეთი და ორმოცდა რვა კაპეიკი... მომილოცავს.

ლექსი დაბეჭდეს, პოეტმა თავის სახელწოდების დღესავით ისასწაულა თავისი გამარჯვება, ცოლი კი ჰკოცნიდა და ალერსით ჩასძახოდა:

— შენ გენაცვალე, ჩემო პოეტო.

ძალიან მხიარულად გაატარეს ის დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთმა ყმაწვილმა კაცმა, — მეტად კარგი რამ იყო ნაცოცხავი, სულ იმის ფიქრში იყო, რა აზრი აქვს სიცოცხლესაო, — წაიკითხა პოეტის ლექსი და თავი მოიკლა.

დარწმუნებული იყო, რომ ლექსის დამწერიც იმასავით ეძებდა სიცოცხლის აზრს: ეძებდა, ვერა ეპოვა რა და... რას წარმოადგენდა საბრალო, რომ ეს გულსაკლავი სიტყვები თექვსმეტ კაპეიკად ღირდა სტრიქონი.

ის კი არ იფიქროს მკითხველმა, — ავტორს ნებავს დაგვარწმუნოს, რომ ხანდახან, მათრახის ხმარებაც სასარგებლო არის ადამიანისათვისაო.

3.

იყო თავისთვის ჩუმად, თავმდაბლად ევსტიგნე ზაკივაკინი, გაუბედავ შურით აღვსილი, და უცბად, მოულოდნელად თავი ისახელა კაცმა.

აი, როგორ მოხდა ეს მაბავი: ერთხელ, კარგი ქეიფის შემდეგ, უკანასკნელი სამი აბაზი დახარჯა ზაკივაკინმა და, მეორე დღეს რომ ადგა ნაბახურევი, მოქურუშებული შეუდგა თავის ჩვეულებრივ საქმეს: „დამსაფლავებულ პროცესიის უსახელო ბიურო“-სთვის განცხადების ლექსად წერას.

დაჯდა, ოფლში გაიწურა და დასწერა:

ყბა ჩაგიმტვრიონ, თუ მთლად ნეკნები,
ნურას ინაღვლი: დღეს ხვალ მოკვდები.
პატიოსანი იყავ თუ ფლიდი,
ჯილდოდ გერგება შენ პანაშვიდი.
ტკბილ ტყუილს იტყვი, თუ მწარე მართალს,
ვერსად წაუხვალ კუბოს და საფლავს...

და სხვანი და სხვანი. არშინ ნახევარი გააჭრელა.

მიიტანა თავისი ნაშრომი ბიუროში და იქ კი უარი სტკიცეს:

— უკაცრავად, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ამის დაბეჭდვა; მიცვალებულები დაგვემდურებიან, ძრწოლას დაიწყებენ საფლავში. ცოცხლებს კი რა ჩვენი შთაგონება უნდათ? თითონაც კარგად იხოცებიან ღვთით.

შეწუხდა ზაკივაკინი:

— შეგარცხვინათ ღმერთმა! მიცვალებულთათვის გული გტკივათ, ძეგლებს უდგამთ, პანაშვიდს უხდით, და ცოცხალი კი სიმშილით კვდებოდეს, განა?

დაღვრემილი დადიოდა ქუჩაში და უცბად სხვილი წარწერა ეცა თვალში, შავი ასოებით იყო გამოყვანილი თეთრ თუნუქზედ:

„მკა სიკვდილისა“.

ერთი დამსაფლავებელი ბიურო კიდევ ყოფილა და მე კი არ ვიცოდი — გაიხარა ევსტიგნემ.

მაგრამ დამსაფლავებელი ბიურო კი არა, რედაქცია იყო, უპარტიო პროგრესიულ ჟურნალისა, მოზარდთაობის და თვითგანვითარებისა. ზაკივაკინი ალერსიანად მიიღო თითონ რედაქტორ-გამომცემელმა, მოკეი გოვორუხინმა, სახელოვან მესაპნე და მექონე გოვორუხინის შვილმა. ყმაწვილი ბიჭი იყო, სიცოცხლით აღსავსე, მაგრამ გამოფიტული.

გადახედა მოკეიმ ლექსებს, მოეწონა:

— თქვენი აღმაფრენა ის ახალი, ჯერეთ, უთქმელი სიტყვა არის პოეზიისა, რომლის საძებნელად დღეს მე აღვიჭურვე, როგორც არგონავტი ეროსტრატი.

ტყუილს როშავდა, რაღა თქმა უნდა, მოწიალე კრიტიკოსის ლაზარე სივოროცკის შთაგონებით, რომელიც ყოველთვის ტყუილს როშავდა და მით მოიხვეჭა სახელი.

შეჰყურებდა მოკეი ევსტიგნეს მუშტრის თვალით და აქებდა:

— მასალა სწორედ საჩვენო არის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ლექსებს მუქთად არა ვბეჭდავთ.

— მეც ის მინდა, რომ ფული მომცეთ, — შესცინა ევსტიგნემ.

— რარ, ფულიო? ლექსში ფული მოგცეთ? მეხუმრებით? — იცინოდა მოკეი, — ჩვენ ბატონო, სულ სამი დღეა, რაც გამოვაცხადეთ „მკა სიკვდილისა“ და უკვე სამოცდაცხრამეტი საჟენი ლექსი მივიღეთ, და ყველას თავისი სახელი აწერია.

მაგრამ ზაკივაკინიც მაგრად დაუდგა და ბოლოს შეთანხმდენ, — სტრიქონში შაური.

— ეგეც მარტო იმიტომ, რომ შიგ გულში ეცემა მკითხველს, — თავს იმართლებდა მოკეი. — ახლა ერთი კარგი პსევდონიმი მოვიგონოთ, თორემ „ზაკივაკინი“ ბევრი არაფერია. აი, მაგალითებრ... სმერტიაშკინი, ჰა? ცახცახს დააწყებინებს მკითხველს.

— ჩემთვის სულ ერთია, მე ჰონორარი მინდა მივიღო. — ძალიან მშია... გულწრფელი ბიჭი იყო.

და რამდენიმე დღის შემდეგ ლექსი დაიბეჭდა ახალი ჟურნალის პირველი წიგნის პირველ ფურცელზედ სათაურით:

„ხმა მარადი ჭეშმარიტებისა“.

იმ დღიდან მოიხვეჭა ზაკივაკინმა დიდება. წაიკითხეს იმისი ლექსი და დაიძახეს:

— სწორედ სწურავს ის დედამკვდარი, ისა!.. ვიღვწვით, ვიტანჯებით... ეს ესაო, ეს ისაო, და არც კი გვაგონდება, რომ ჩვენს სიცოცხლეს არავითარი აზრი არა აქვს, არავითარი. ყოჩაღ სმერტიაშკინ!

ხან ლხინში მიიწვევენ, ხან ქორწილში, ქელეხში და ყველა „მოდის“ ჟურნალში იბეჭდებოდა იმისი ლექსები, ათ შაურად სტრიქონი. ისე არსად გაიმართებოდა სამწერლო საღამო, რომ არ გამოსულიყო გულმკერდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამობერილი ქალი და გულისწარმტაც ღიმილით არ წარმოეთქვა სმერტიაშკინის „პოეზია“.

დღე და ღამ, ყოველ წამს
სიკვდილი თან გვახლავს.
მეუფე ქვეყნისა
ხვედრნი ვართ მატლისა...

— ვაშა! გმადლობთ! — გაჰყვიროდენ მსმენელები.

— ბიჭო! იქნება მართლა პოეტი ვარ. — ჩაფიქრდა ევსტიგნე და მოჰყვა ნელნელა თავმოწონებას: ჭრელი წინდები ჩაიცვა, შავი შალვარი თეთრ განივ ზოლებით... რომ ლაპარაკობდა, სიტყვას აბტყელებდა, თან აქეთიქით იცქირებოდა:

— ოჰ, რა საზიზღრობაა ჩვენი სიცოცხლე!

ანდერძის აგების ლოცვანი წაეკითხა და ახლა სულ ღრმა სიტყვებს ხმარობდა: მერმე და მერმე, მას ჟამსა შინა, და რქვა მას და სხვ.

თავს დასტრიალებდენ სხვადასხვა გვარი კრიტიკოსები, სჭამდენ, სვამდენ იმის ჰონორარს და აქეზებდენ:

— ჩალრმავდი, ესვტიგნე, ჩვენც დაგეხმარებით.

და მართლაც, როდესაც გამოვიდა წიგნი „ოცნებათა ნეკროლოგები“ და „ვნებათა ეპიტაფიები“, ლექსები ევსტიგნე სმერტიანსკისა, კრიტიკამ მეტად გულკეთილად აღნიშნა ავტორის მიმართულების ღრმა აკლდამოვნება. თითონ ავტორი ისე იყო გახარებული, რომ გადასწყვიტა, ცოლის შერთვა. მივიდა ნაცნობ „მოდერნ ქალთან“, ნიმფადორა ზავალიაშკინთან, და უთხრა:

— ო, უსახურო, უდიდებოვ, არმქონო გვამის...

ქალი, დიდი ხანია, მოელოდა ამას, გულში ჩაიკრა და მოჰყვა ღუღუნს, თან იშლებოდა ნეტარებისაგან:

— მეც შენთანა ვარ. ერთად წავიდეთ სიკვდილისაკენ...

— მოსასპობად განწირულო. — უალერსებდა ევსტიგნე.

და ნიმფადორა, სიყვარულის ჟინით გახელებული უპასუხებდა:

— ჩემო უკვალოდ, ლპობით სახრწნელო!

მაგრამ მაშინვე დაუბრუნდა ცხოვრებას და უთხრა:

— საგანგებოდ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ „სტილი“ ჰქონდეს.

სმერტიაშკინი ამისთანებს უკვე მისჩვეოდა და მაშინვე მიხვდა:

— მე რომ მკითხო, მე მიუწდომლად მაღლა ვდგევარ ჩვენს ცხოვრებაზედ, მაგრამ, თუ აგრე გინდა, ჯვარი სასაფლაოს საყდარში დავიწეროთ.

— თუ გინდაო? მინდა და აგრე! და მეჯვარეებმა, ქორწილის შემდეგ მაშინვე თავი მოიკლან!

— ყველა არა, და კუკინი კი შეიძლება დავითანხმოთ. შვიდჯერა სცადა თავის მოწამვლა.

— და მღვდელიც საიქიოელი იყოს, ბებრუცუნა, სიკვდილის მიერ დავიწყებული...

ისხდენ და ოცნებობდენ თავის „პოეზით“ გატაცებულნი, ვიდრე სივრცის საფლავიდან, სად დამარხულ არიან მირიადობენ ... მზენი და მკვდარ ცეკვით ტრიალობენ გაყინული ... ...

— რეპორტიორები არიან?

— დიაღ, და ფოტოგრაფიც...

— არ გაინძრე, ნიმფა...

პოეტის პატივისცემით რეპორტიორებს მემაშხალეობა ... ჩა-ეცვათ, და ფოტოგრაფს—ჯალათისა, იდგა და შეცქეროდა საზოგადოება,—იმისათვის სულ ერთია, რას უყურეს, ოღონდ სანახავი ჰქონდეს რამე, რომ სეირით დატკბეს. უყურებდენ მეფე-დედოფალს და იძახდენ: gue Cchic!

და ერთი მარად დამშეული გლეხიც კი დაეთანხმა: Charmant!

დიაა-აღ, — ეუბნებოდა პატარძალს სმერტიაშკინი, რესტორანში ვახშმად რომ დასხდენ, — საგანგებოდ დავმარხეთ ჩვენი სიყმაწვილე. აი, ამასა ჰქვია სიცოცხლის დათრგუნვა.

— ხომ გახსოვს, რომ ეგ სულ ჩემი აზრებია? — ჰკითხა ნაზად ნიმფადორამ.

— შენი? ნუ თუ...

— ჩემია, ჩემი.

— ჰოო... ეგ სულერთია:

მე და შენ ერთნი ვართ სულით და ხორცით,
სიკვდილის ბრძანებით შეერთებულნი,
სიკვდილის მონები, სატელიტები,
სიცოცხლით — ავხედით გამწარებულნი...

— ძალიან კარგი, მაგრამ მე ნებას არ მოგცემ, რომ გააუქმო ჩემი ინდივიდუალობა. და, გარდა ამისა, სატელიტები ორი და ორი ლ-ით გამოითქმის... და აქ სატტელლიტები უადგილოდ მიმაჩნია...

სმერტიაშკინმა ერთხელ კიდევ სცადა ლექსით დაეჯაბნა თავისი დედოფალი:

რა არის ნეტავ, ჩვენი „მე",
ჩემო საფლავო?
ნეტავ რად გვინდა, რაზ გვარგებს.
ფუჭი, ამაო?
მომქმედი ხარ, ბუ უქმი, უსაქმური,
სიკვდილისა ლუკმა ხარ უმადური.

—არა, ეგ სხვებისთვის დავტოვოთ, — უთხრა პატარძალმა.

მრავალამგვარ და სხვაგვარ შეტაკების შემდეგ სმერტიაშკინს შვილი მიეცა, გოგო, და ნიმფადორამ უბრძანა:

— აკვანი კუბოს მსგავსი გააკეთებინე.

— ეგ კი მეტისმეტი იქნება, ნიმფაჯან.

— არა, არა. სასტიკად დავიცვათ სტილი, თორემ კრიტიკა და საზოგადოება საყვედურით აგვიკლებს, — თავის წმინდათა წმინდას უღალატესო, — იტყვიან, გულწრფელები არა ყოფილანო.

ძალიან დიასახლისი გამოდგა ნიმფადორა: თითონვე ჩასდებდა ხოლმე კიტრის წნილს, გულმოდგინედ აგროხებდა რეცენზიებს თავის ქმრის ლექ-

სეპისას. ყველას წაიკითხავდა, — ლექსს უწუნებდნენ პოეტს? მაშინვე დაფხრიწავდა და ცეცხლში!.. უწონებდენ? აგროვებდა და ბატარ-პატარა წიგნაკებად ბეჭდავდა... პოეტის თაყვანისმცემლების ხელოვნებ[illegible]

კარგად სჭამდა, კარგად სვამდა, გასუქდა, დასრ[illegible] ევაკაციისადმი ჟინის ამღვრეულ ოცნებით ჰქონდა მოღრუბლული — ერთი კრიტიკოსი გაიშინაურა, ქერაფერის ჭარმაგი ბიჭი. გვერდით მოისვამდა, შიგ გულში სცემდა მოღრუბლულ თვალს, განგებ ჯუჯღუნით უკითხავდა თავის ქმრის ლექსებს და ჰკითხავდა:

— ხედავთ, რა სიღრმეა აზრისა, რა სიმძლავრეა სიცოცხლის გმობისა?

ისიც, მანამ მიეჩვევოდა, რაღასაც ბღაოდა გაუგებარს. მერე კი მოჰყვა და ყოველთვე სწერდა, აღტაცებული სმერტიაშკინის პოეზიით: „პოეტი მიუწდომელ სიღრმით შთაიჭრა იმ შავ საიდუმლოების უფსკრულში, რომელს ჩვენ, საცოდავნი, სიკვდილს ვუწოდებთ, და იმან კი შეიყვარა გამჭირვალე ბავშვის წმინდა სიყვარულით. მისი ქარვის სული არ შებნელდა სიცოცხლის უმიზნობის საშინელების შეგნებით, არამედ გარდაქმნა ეს საშინელება წყნარ სიხარულად, ტკბილ მოწოდებად, — მოვსპოთ, აღმოვფხვრათ ძირიანად ის დაუსრულებელ ავბედობა, რომელს ჩვენ, სულით ბრმანი, სიცოცხლეს ვუწოდებთ“.

ქერა კრიტიკოსის კეთილდახმარებით, — მიმართულებით მისტიკი იყო ქერა კრიტიკოსი, ესტეტი, ხელობით — ვარსამი, გვარად პროხარჩუკი, — ნიმფადორამ საზოგადოების წინაშე გაიყვანა პოეტი: ავიდოდა ესტრადაზედ სმერტიაშკინი, ფეხს გაშლიდა მარცხნივ, მარჯვნივ, გადაჰხედავდა მსმენელებს ბატკანის თეთრი თვალით, აათამაშებდა მოკუთხვილ თავს, რომელზედ სსხვადასხვა გვარი ჭილი ამოსულიყო, და წარმოსთქვამდა ცივად, უგრძნობლად.

საიქაო სადგურია რკინისგზის,
საიქაოს მიმავალ მატარებლის.
მშვიდად, წყნარად, არხეინად იმგზავრებს,
ვინც ამ ქვეყნად სულ არაფერს დასტოვებს.
მაშ ვიცხოვროთ უბრალოდ, უზრუნველად,
მიწიერი განვიშოროთ გულწრფელად:
მოკლე არის გზა აკვნიდან კუბომდე,
შავი მიწის გაყინულ წიაღამდე.

— ვაშა, გაუმარჯოს! — ყვიროდა სრულიად დაკმაყოფილებული მსმენელი, — გმადლობთ! და ერთმანეთს ეუბნებოდენ:

— ძაან ლექსი სთქვა, იმ მამაცხონებულმა. შეჰხედავ,—ჩამომჭკნარია და ლექსი კი დიდებული აქვს.

და ვინც იცოდა, რომ სმერტიაშკინი წინად ლექსებს სწერდა დამსაფლავებელ პროცესიის უსახელო ბიუროსთვის, მაინც დარწმუნებული იყო, რაღა თქმა უნდა, რომ თავის ლექსებს მღერის ახლაც ბიუროს რეკლამისათვის, მაგრამ გულცივად უყურებდენ ყველაფერს და ჩუმად იყვნენ, **რადგან კარგად ახსოვდათ ერთი მცნება:**

— კუჭი აქვს და ჭამა უნდა.

— იქნება, მართლა გენიოსი ვარ!—ფიქრობდა სმერტიაშკინი, მსმენელების ქება-დიდებას რომ ისმენდა. — ვაი ის არის, რომ არაფერ-იცის, რა არის გენი?.. ზოგნი ატკიცებენ, რომ გენიოსები — ჭკუათხელები არიანო. — თუ ასეა...

ნაცნობებს რომ შეხვდებოდა, იმას კი არა ჰკითხავდა,—როგორ ბრძანდებიო. არა სულ სხვა მხრივ მიესალმებოდა და ჰკითხავდა: — როდის კვდებით?

ამით უფრო გაითქვა სახელი.

ნიმფადორამ სასტუმრო დარბაზი აკლდამურად მორთო: პატარ-პატარა, მწვანე მერხები დასდგა, სასაფლაოს ბორცების სტილისა და კედლებზედ ჩამოჰკიდა გოთის და კიდევ გოთის სურათების პირი და აგრეთვე ვიურცისა. და თან იბერებოდა, იბღინძებოდა:

— ჩემს სახლში ბავშვების ოთახშიც კი სიკვდილის ნიავი ტრიალებს. ბავშვებს კუბოებში სძინავთ, ძიძა სქიმოსნად არის ჩაცმული — შავი კაბა აცვია და კაბაზედ თეთრად აქვს გამოქარგული თავის ქალა და ძვლები. საინტერესო სანახავი გახლავთ. ევსტიგნე, აჩვენე ქალებს ბავშვების ოთახი. თქვენ, ბატონებო, საწოლ ოთახისაკენ წამობრძანდით.

მომხიბლავ ღიმილით შეჰყავდა კაცები თავის საწოლ ოთახში. ცხედარ-! ზემოდან სასაფლაოს მატურისავით ამართულიყო შავი ბალდახინი ეერცხლის არშიით. ბალდახინი გათლილ მუხის ჩონჩხებს ეჭირათ, ზედ ამოქარგული პატარა ჩონხები საფლავის ჭიებით თამაშობდნენ.

— ევსტიგნე ისეა გატაცებული თავის იდეეიით, რომ ღამეც კი სუდარით სძინავს.

განცვიფრებულნი იყვნენ სტუმრები:

— სუდარით სძინავს?..

ნიმფადორა მგლოვიარედ იღიმებოდა.

ევსტიგნეს კი — პატიოსანი ბიჭი იყო — ხანდახან თავის უნებურად შეეპარებოდა ხოლმე ეჭვი:

— თუ მეც გენიოსი ვარ, მაშ... კრიტიკა სმერტიაშკინის გავლენას აღნიშნავს... სმერტიაშკინის სკოლას... და მე კი, რა ვქნა რომ არა მჯერა?

მოვიდოდა პროხარჩუკი, კუნთებს გაშლიდა, დააცქერდებოდა და ჰკითხავდა ბოხი ხმით:

— დასწერე რამე? შენა, ძმავ, სწერე და სწერე, რაც შეიძლება, მეტი. დანარჩენი ჩვენ ვიცით, მე და შენმა მეუღლემ. ძალიან ქალი შეირთე, ღვთის წინაშე, და ძალიანაც მიყვარს.

სმერტიაშკინი თითონაც კარგად ხედავდა ამას, მაგრამ მოუცლელად იყო, მოსვენება უყვარდა, და არაფერს ამბობდა.

ან არა და, გაიშხლართებოდა სავარძელში პროხარჩუკი და დაიწყებდა თავის ქებას:

— ძალიან ბევრსა ვწერავ... ისე მაქვს დაბებრებული ხელი... ნაპოლეონს არ ექნებოდა ასე...

— საწყალი ბიჭი. — ოხრავდა ნიმფადორა. სმერტიაშკინი კი ყავას შეექცეოდა და ფიქრობდა:

— სწორედ არის ნათქვამი: ქალისთვის დიდებულ მარტო ზორბა ბიჭია, და მსახურისთვის—ვინც ფულს ჩაუჩხრიალებს.

ასე ფქრობდა, რადგან ასე ფიქრობს ყველა კაცი, — და — რაღა თქმა უნდა, სცდებოდა თავის ცოლის შესახებ, რადგან ნიმფა გულმოდგინედ ცდილობდა მის ენერგიის აღდგენას:

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, — უალერსებდა შეყვარებულის ხმით, — გუშინაც არა დაგიწერია რა... ნიჭს გამოყენება უნდა, ჭირიმე, და არა მიწაში დაფლა. — წადი, სულიკო, შეუდეგ შენს საქმეს... მე ყავას მოგართმევ...

მივიდოდა პოეტი, მიუჯდებოდა მაგიდას და სთხზავდა... სრულად მოულოდნელს:

ნეტავი რად დავწერე ამდენი საზიზღრობა,
ჩემი შემარცხვენელი უგზილი უაზრობა?
ნუ თუ მისთვის, რომ ნიმფას ბლომად ჰქონოდა ჩვრები —
მაქმანი და ხავერდი, აბრეშუმის კაბები!

დასწერა და თან შიში ერევოდა:

ბავშვები?

სამი ბავშვი იყო. შავი ხავერდის ტანისამოსი ეცვათ. ყოველ დილით ათ საათზედ მიადგებოდა კოხტად მოკაზმული ბალდახინი. ჩასხდებოდენ და მიბრძანდებოდენ სასეიროდ სასაფლაოსკენ... ამას ფული უნდოდა...

და იჯდა სმერტიაშკინი თაკრაქინდრული, იჯდა და სწერდა ბრძანებისამებრ.

ყველგან მსუქანი ლეშის სუნი დგას,
სიკვდილის მიერ გამეფებული...
სიკვდილს სიცოცხლე ბრჭყალით უჭირავს,
როგორც მგელს კრავი მოტაცებული....

— რა გითხრა, სტიგნე! — ეუბნებოდა ალერსით ნიმფადორა. — ეგ როგორლაც... როგორა ვსთქვა?.. როგორა ვთქვა, ბატონო კრიტიკოსო? — მიმართა პროხარჩუკს.

— ეგ შენი არ არის, ევსტიგნე, — უთხრა ბოხი ხმით და საგნის სრული შეგნებით პროხარჩუკმა. — შენ ხარ ავტორი „სიკვდილის ჰიმნებისა“ და ჰიმნებს უნდა სწერდე...

— კი, მაგრამ ახალ ნაგრძნობს ნუ ვიტყვი?

— რა დროს ახალი ნაგრძნობია, აჰა, ღმერთო! — შეჰყვირა ნიმფადორამ, — იალტაში მივდივართ და შენ კი რაღაცას მიედ-მოედები...

კრიტიკოსი კუბოდან გამოძახილ ბოხით უსაყვედურებდა:

— მაშ აღარ გახსოვს, რას გვპირდებოდი?

— იმასაც მიაქციე ყურადღება, რომ ქვეყნად ლეშის სუნს ამეფებ... მეიძლება სიტყვას პოლიტიკური აზრი მისცენ და... ხომ იცი, რა სულელია საზოგადოება და რა საზიზღრობაა პოლიტიკა.

— კარგით, აღარ დავწერ... სულერთია, ეგეც სისულელა.

— ისიც იქონიე მხედველობაში, რომ შენი ლექსით ამ უკანასკნელ დროს მარტო შენი ცოლი კი არ არის უკმაყოფილო, — სიტყვა გაუკრა პროხარჩუკმა.

ერთხელ ბაღში გადაიხედა სმერტიაშკინმა, დაინახა ფანჯარა ... ხუთი წლის გოგო, — ყვავილებს ჰკრეფდა, და დასწერა:

ბაღში დადის კოხტა გოგო, დარბის, ხტის და ციალებს,
ნაზი ხელით, საცა ნახავს, ჰგლეჯავს სურნელ ყვავილებს.
კოგნუცავ მოუსვენარო, რად აფუჭებ მაგ ვარდსა,
ნაზს, კოპწიას, როგორც შენა, და შენსავით ლამაზსა?
ეს გახსოვდეს, ცუგრუმელავ, შენც თან დაგდევს სიკვდილი,
შენ რომ ყვავილებსა ჰკრებავ, იმას მოსდის სიცილი.
ამხანაგურად ირჯებით: — შენ არ ინდობ მცენარეს,
და ის ცელით მუსრავს, ჰხოცავს შენებრ ჩვილ ანგელოზებს.

— საზიზღრობაა, ევსტიგნე, გულჩვილობაა. ეს რა დაგიწერია? — შეჰყვირა ნიმფადორამ, — სად მიხვალ, ადამიანო, სად? რად ჰლუპავ შენს ნიჭს?

— აღარ მინდა! — სთქვა ზიზღით სმერტიაშკინმა.

— რა არ გინდა?

— ეგ სიკვდილი და სიკვდილი! კმარა, შემაზიზღეთ ეგ სიტყვა!

— უკაცრავად, მაგრამ დიდი სულელი ხარ.

— აგრე იყოს... არავინ იცის, რა არის გენი. მე კი მეტი აღარ შემიძლია. ღმერთმა შეარცხვინოს სიკვდილანობაც და აკლდამოვნებაც. მეც ადამიანი ვარ...

— მაშ აგრე? — შეუტია ნიმფადორამ, — მაშ შენ მხოლოდ ადამიანი ხარ?..

— ადამიანი ვარ და მიყვარს სიცოცხლე.

— თანამედროვე კრიტიკამ კი დაამტკიცა, რომ პოეტს არაფრად უნდა მიაჩნდეს სიცოცხლე და მისი ავბედიანობა.

— კრიტიკაო? გაჩუმდი, შე უნამუსო, შენა! ჩემი თვალითა ვნახე, როგორ გკოცნიდა ფარდის უკან თანამედროვე კრიტიკა.

— შენი ლექსების სიყვარულით.

— ჩვენი ქერა ბავშვები? ისიც ლექსების სიყვარულით?

— რა ბინძური ყოფილხარ! ბავშვები?.. ეგ არის შედეგი ინტელექტუალურ გავლენისა.

მერე უცბად სავარძელზე დაეშვა და შეჰყვირა:

— აჰ, მე შენთან ცხოვრება აღარ შემიძლია!

იამა ევსტიგნეს და შეშინდა კიდეც:

— ბავშვები?

— გავიყოთ.

— სამი?

მაგრამ ნიმფადორა თავისას გაიძახოდა. ამ დროს პროხარჩუკიც მივიდა. რა გაიგო საქმის ვითარება, შეწუხდა და პირში ახალ პოეტს:

— მე დიდი კაცი მეგონე და შენ კი პატარა კაცუნაც არა ყოფილხარ.

წამოვარდა და დაიწყო ნიმფადორას კაბების მოგროვება: და მანამ ის ამით იყო გართული, ნიმფადორა სრულ სიმართლეს ეუბნებოდა თავის ქმარს:

— გამოიჩუტე, გამოიფიტე, შე უბედურო, შენა. აღარც ნიჭი გაქვს და აღარც არაფერი. გეყურება? აღარაფერი ხარ, აღარ-რა-ფერი!..

პატიოსან აღშფოთების დორბლი მოერია და ძლივსლა გამოსთქვა:

— და არც როდისმე ყოფილხარ! არც ნიჭი გქონია და არც არაფერი!.. მე რომ არა ვყოფილიყავ და პროხარჩუკი, შენ სიცოცხლეში ვერას დასწერდი გარდა შენ ლექსად თქმულ განცხადებებისა... შე ნეხვის ჭიავ!.. ჩემი სიყმაწვილის და სიტურფის მომსრავო!..

ასე იცოდა: გაჯავრებული ყოველთვის მჭერმეტყველებით ილანძღებოდა.

გალანძღა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ პროხარჩუკის დახმარებით და იმის უშუალო მონაწილეობით გახსნა „ინსტიტუტი კეკლუცობისა“ — მადამ ჟიზან პარიზიდან, — სპეციალობა ძირიანად აღმოფხვრა მეჭეჭებისა.

პროხარჩუკმა მაშინვე გამოაცხო ლანძღვით სავსე წერილი — „შეგნებული სიფხიზლე“, საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ სმერტიაშკინს არა ჰქონდა არავითარი ნიჭი და, შეიძლება ეჭვიც კი აღეძრას მკითხველს, — იყო როდისმე ქვეყნად ამ სახელის პოეტი, თუ არა. და თუ იყო და საზოგადოებას მიაჩნდა რადმე, ეს არის ბრალი აჩქარებულ, დაუფიქრებელ, წინდაუხედავ კრიტიკისა...

ცოტა ხანს იდარდა ევსტიგნემ და — რუსმა მალე იცის დარდის მონელება, მერე — ბავშვებს ცხოვრება უხდებოდათ. — შეაფურთხა წარსულს, თავის მომაკვდინებელ პოეზიას, და შეუდგა თავის მიჩვეულ ძველ საქმეს — ძხიარულ განცხადებების შედგენას ახალ დამსაფლავებელ ბიუროსთვის. სწერდა და ანუგეშებდა ხალხს:

ხანგრძლივად და განცხრომით
გვიყვარს ქვეყნად ცხოვრება,
მაგრამ დადგება ჟამი
და მოვა განსვენება.
ჰოდა, ამ განსვენებას
მრავალი რამ სჭირია,
ჩვენსა იაფად ჰპოვებთ,
რაც ყოველგან ძვირია.
ჩვენი სულ ყველა ბრწყინავს,
სხვას არ უნად უყუროთ.
მობრძანდით და იხილეთ
ჩვენი „ახალი ბიურო“

აკლდამის ქ. 16

და ამგვარად ყველანი თავიანთ ძველ გზას დაუბრუნდენ.

4.

ერთი დიდების მოყვარული მწერალი იყო.

გალანძღავდნენ, — უსაბუთოდ და უმართებულოდ შეაქებდნენ, — ცოტად მაქეს და სულელურადაო. ამ გვარად, ბედს ემდურ-ოდა თავისი დღენი და სიკვდილის კარს მიადგა.

ჩაწვა ლოგინში და დაიწყო მოთქმა:

— ორი რომანი დამრჩა დასაწერი... ათი წლის სამყოფი მასალა კიდევ მქონდა. სად არის სამართალი? შეარცხვინოს ღმერთმა ეს კანონი ბუნებისა და სხვა ყველა კანონებიც ამასთან ერთად. ნეტავი ვინ იყო ის რეგვენი, რომ ამისთანა საყოველთავო ვალდებულება შემოიღო?.. თითქო უამისოდ კი არ შეიძლებოდა ცხოვრება. მერე, რა უდროოდ მოდის ყოველთვის. მოთხრობაც ვერ გავათავე...

ჯავრობდა მწერალი, ბრაზობდა, ავადმყოფობა კი ძვლებს ულრღნიდა და ყურში ჩასჩურჩულებდა:

— ძრწოდი? აჰა, რადა ძრწოდი?.. ღამეს ათევდი? აჰა, რატომ აო იძინებდი? სვამდი, ვაისგან სვამდი? აჰა. სიხარულისაგანაც სვამდი, ვანა? აჰა...

ილრიჯებოდა მწერალი, ილმიჭებოდა, მაგრამ ნახა, რომ ველარას გააწყობდა. გამოიტირა თავისი დაუწერავი რომანები, და მოკვდა.

ძალიან კარგი. გაჰბანეს, შემოსეს, თავი დავარცხნეს, მაგიდაზედ დასვენეს. გაიჭიმა, თითქო სალდათი ყოფილიყოს, ქუსლები ერთმანეთს მიაკრა, ფეხის წვერები განზედ გაშალა, ცხვირი დაუშვა. წევს თავისთვის, აღრაფერსა გრძნობს, ოღონდ უკვირს:

— უცნაურია სწორედ, აღარაფერსა ვგრძნობ. ეს პირველად დამემართა, აქამდე ამისი არა ვიცოდი რა. ტირის ჩემი ცოლი... ახლა ტირის და აქამდე კი სულ უბრალოზედ იმისთანა ვაივაგლახს ამიტეხავდა ხოლმე... ბიჭიკოც ტირის... ცუღლუტი, უსაქმური კაცი გამოვა... მწერლების შვილები, ვინც კი მინახავს, ყველა უკეთური გამოდის... ალბად აქაც რაიმე კანონი მოქმედობს ბუნებისა... ღვთის რისხვაა სწორედ ეს კანონები. ვის რად უნდა, ნეტავი? — იწვა ამ ფიქრებით მოცული და უკვირდა თავისი გულცივობა... ჩვეული არ იყო გულცივობას...

სასაფლაოზედ რომ წაასვენეს, იგრძნო უცბად, რომ კუბოს ცოტა ხალხი მისდევს.

— ამას კი ვერ ავიტან.—შეჰყვირა გაშმაგებულმა,—დიდი მწერალი არა ვარ, მაგრამ პატივს უნდა ვცემდეთ მწერლობას.

გამოიხედა კუბოდან და, მართლაც, თავის ოჯახის გარდა, სულ ცხრა კაცი მისდევდა მიცვალებულს, მათში ორი მათხოვარი იყო და ერთიც მეფარნე თავის კიბით.

გაშმაგდა მწერალი, სულ ცოფსა ჰყრიდა:

— ღორები. სკორის ჭამია ღორები.

და ისე მოერია შეურაცხყოფა, რომ გაცოცხლდა. აღდგა, შეუმჩნეველად გადმოხტა კუბოდან, შევარდა ვარსამთან, წვერულვაში მოიპარსა,

შავი პიდჟაკი გამოართვა, იღლიაში საკერებლით დამშვენებული, თავისი ტანისამოსი იმას დაუტოვა, მგლოვიარის გამომეტყველება მიიღო... გაცოცხლდა კაცი მკვდარისა ალარა ჰქონდა რა.

და მწერალთა სენით — ცნობის მოყვარეობით — ჰკითხა ვარსამს:

— ხომ არ გაკვირვებთ ეს უცნაური შემთხვევა?

იმან ულვაში შეისწორა და ლმობიერად უპასუხა:

— აბა, რას ბრძანებთ? რუსეთში ვცხოვრობთ და რას არ მივეჩვევენით?..

— არა, მაინც. მიცვალებული და ტანისამოსის გამცვალა?

— მოდა გახლავთ, ბატონო. ან რითი ჰგევხართ მიცვალებულს? გარეგნობით მარტო, თორემ ნეტავ ყველა მაგრე იყოს. დღეს ცოცხალნი უფრო უძრავად ყრიან.

— ძალიან უფერული ვარ?

— დროის შესაფერად. სწორედ ისე, როგორც უნდა იყვეთ. რუსეთში გახლავართ, უფერული კი არა, მკვდარივით გაყვითლებულია ჩვენი ცხოვრება.

ხომ მოგეხსენებათ, ვარსამისთანა პირმოთნე და მოლაქუცე არავინ არის დედამიწის პირზედ.

გამოეთხოვა მწერალი და გამოუდგა კუბოს, რომ ღირსეული პატივი ეცა მწერლობისთვის. დაეწია, ათად შეასრულა მიცვალებულის პატივისმცემელთა რიცხვი, გაადიდა მწერლის ღირსება. ხალხს კი უკვირდა:

— ჰხედავთ, როგორ ასაფლავებენ მწერალს! ვაიმე,, ვაიმე!

შეგნებულები კი გვერდით გაუვლიდენ კუბოს, თავ-თავის საქმეზე მიეჩქარებოდენ და იმედიანად ფიქრობდენ:

— როგორ ეტყობა, რომ მწერლობის მნიშვნელობას უფრო და უფრო იგნებს ხალხი.

მისდევს მწერალი თავის კუბოს, როგორც თაყვანისმცემელი მწერლობისა და მეგობარი მიცვალებულისა.

— იცნობდით განსვენებულს?

— როგორ არა. ცოტა რამ სარგებლობაცა მქონდა მისგან.

— ძალიან სასიამოვნოა.

— დიაღ... რას იზამ?.. ასეა ღარიბი კაცი... ბელურა ჩიტივით: საცა რამ დავარდება, მივარდება და ჰკენკავს...

— რომ ვერ გავიგე.

— მაგას რა გაგება უნდა?

— მაინც?

— საქმე ის არის, ვინ რა თვალით შეჰხედავს... ერთი მხრით, რა თქმა უნდა, ცოდვაა... მაგრამ, რას იზამ, რომ უცოდველად ცხოვრება სიმშ..ლით სიკვდილია.

— დარწმუნებული ხართ?..

— ცხადზედ ცხადია. ფანარი სწორედ მიცვალებულის ფანჯრის პირდაპირა დგას. ის ცხონებული კი გათენებამდე არა წვებოდა. მეც ალარ

ვანთებდი ფანარს. სინათლე იმის ფანჯრიდან გამოდიოდა, სრულიად საკმარი... და ერთი ფანარის ხარჯი წმინდა მოგებად მრჩებოდა ჯიბეში. ძალიან სასარგებლო კაცი იყო.

ამგვარ ტკბილ ბაასით ხან ერთთან და ხან მეორესთან მივიდა მწერალი სასაფლაომდე და იქ იძულებული გახდა სიტყვა წარმოთქვა თავის შესახებ, რადგან სხვებს ყველას კბილი სტკიოდა იმ დღეს. ეს ამბავი რუსეთში მოხდა და, ხომ იცით, ყველას და ყოველთვის სტკივა რამ ჩვენ ქვეყანაში.

კარგი სიტყვა წარმოსთქვა მწერარმა და ერთ გაზეთში ქებითაც კი აღნიშნეს:

„საზოგადოებიდან ვიღაც უცნობმა, გარეგნობით სცენისმოყვარის მსგავსმა, გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, თუმცა, ჩვენი შეხედულობით, ძალიან გადააჭარბა და გააზვიადა. სხვა რომ არა ვთქვათ, სუსტი მოღვაწეობა მიცვალებულისა, ძველი სკოლის მიმდევარ და თაყვანისმცემელ მწერლისა, რომელიც არავითარ ღონისძიებას არ ხმარობდა ამ სკოლის ნაკლის — ბავშვურ დიდაქტიზმის და მედიდურ მოქალაქეობრივობის — ასაცდენად, რომელმაც უკვე დიდი ხანია თავი მოაბეზრა ქვეყანას. მიუხედავად ამისა, სიტყვა წარმოთქმული იყო მწერლობისადმი უეჭვო სიყვარულის გრძნობით“.

და როდესაც გათავდა ყველაფერი რიგიანად და წესიერად, ჩაწვა მწერალი საფლავში და ფიქრობდა კმაყოფილი და დამშვიდებული:

— მორჩა და გათავდა. კარგად ჩაიარა ყველაფერმა, ღირსეულად, როგორც საჭირო იყო.

და თქვენი ჭირი წაილო.

აი, როგორ უნდა ადიდებდეს კაცი თავის საქმეს, თუნდა მწერლობაც იყოს ეს საქმე.

5.

ერთი ბატონი იყო. კარგად ხნიერი კაცი. იყო და უცბად იგრძნო, რომ რაღაცა აკლდა. ძალიან შეწუხდა.

თათვა დაუწყო თავის თავს, თავით ფეხამდე გაისინჯა. ყველაფერი მთელი ჰქონდა, თავთავის ალაგას და მუცელი ხომ კიდეც გამოჰბეროდა. ჩაიხედა სარკეში — ცხვირი, თვალები, ყურები და სხვა ისევე ჰქონდა, როგორც შეეფერება პატიოსან კაცს. დაითვალა თითები, ხელებზედ ათი, ფეხებზედაც ათი გამოვიდა... და მაინც რაღაცა აკლდა... აი, დასწყევლა ღმერმა!

კოლსა ჰკითხა:

— რას იტყვი, მიტრადორა, წესიერადა მაქვს ყველაფერი?

— გიჟი ხომ არა ხარ!..

— მე კი რაღაცა მეჩვენება...

ცოლი ღვთისმოსავი ადამიანი იყო და უთხრა:

— თუ გეჩვენება, ლოცვა სთქვი: — აღსდეგინ ღმერთი და განიბნევენ ყოველნი მტერნი მისნი...

ნაცნობები შეხვდებოდა, იმასვე ჰკითხავდა, და ისინიც სიტყვის უთქმელად, ეჭვიანად უყურებდენ, თითქო გრძნობდენ, რომ ამ კაცს რაღაც უნდა ჰქონოდა სასტიკად დასაძრახი.

— რა ვქნა, რა მემართება? — ფიქრობდა დაღვრემილი ბატონი.

გაიხსენა წარსული, მაგრამ არა. იქაც რიგზედ იყო ყველაფერი: სოციალისტიც იყო, ყმაწვილკაცობასაც აჯანყებდა... მერე უარჰყო ყოველივე და თავის ფეხით გულმოდგინედ გასთელა თავისი ნათესი... ერთობ ეცხოვრა ისე, როგორც ყველა სხვას, — დროის მოთხოვნილებათა შეგუებით.

იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მიხვდა:

— ღმერთო ჩემო. მე მაკლია ეროვნული პირადობა.

მივარდა სარკეს, მართლაც გამოურკვეველი სახე ჰქონდა, თითქო უცხოურიდან უთარგმნია რამე ვილაც უვიცს, უზრუნველ მთარგმნელს, არც მძიმე დაუსვამს სადმე, არც წერტილი, ისე რომ ვერ გაიგებს მკითხველი. — რა სწერია ამ ფურცელზედ: თითქო მოითხოვს, თავი შევწირო ხალხის თავისუფლებასაო, და თანაც ამტკიცებს, — წმინდათა წმიდად მიგაჩნდეთ სახელმწიფოო.

— ჩემს მტერს ნუ მისცეს ამისთანა სახეო, — გაიფიქრა ბატონმა და გადასწყვიტა: — ამისთანა სახით ცხოვრება არ შეიძლებაო...

ყოველდღე ძვირფას საპნით იბანდა პირს, მაგრამ ვერა გააწყო რა: კანი უბრწყინავდა და უპირადობა კი უცვლელად რჩებოდა. ენით ლოკვა დაუწყო თავის სახეს, — ძალიან გრძელი ენა ჰქონდა და მოუსვენარი, — ბატონი ჟურნალებში იღებდა მონაწილეობას. — მაგრამ ენამაც ვერა უშველა რა. მერე იაპონურ მასაჟს მიმართა, სახე დაუბებრდა, დაუსკდა, თითქო კრიზში ყოფილიყოს, და გარკვეული ვამომეტყველება კი — არა და არა.

ეწვალებოდა, იტანჯებოდა, მაგრამ ამაოდ. გირვანქანახევარი დაიკლო წონაში და უცბად გაიგო თავის საბედნიეროდ, რომ იმის უბნის ბოქაული, ფონ იუდენკრესსერი, ძალიან განთქმულია ერთოვნულ მისწრაფებათა შეგნებით, და გაექანა მის სანახავად.

მივიდა და მოახსენა:

— ასე და ასე, თქვენო კეთილშობილებავ. იქნება მიშველოთ რამე.

ბოქაულს ძალიან იამა, რომ იმასთან ასე ნდობით მივიდა განათლებული კაცი, გუშინ, თუ გუშინ წინ მთავრობის მტერად ცნობილი, ეახლა და დახმარებასა სთხოვს, — როგორ შევიცვალო სახეო. ხარხარი დაიწყო ბოქაულმა და სიხარულით აღტაცებულმა უპასუხა:

— მაგაზედ ადვილი რა იქნება, ჩემო კეთილო, ჩემო ალმასო ამერიკულო. წადით, გაეხახუნეთ ვისმე უცხოელს, მაშინვე გამოჩნდება ნამდვილი თქვენი სახე და პიროვნება.

გაეხარდა ბატონს, საპალნე ჩამოხსნეს ზურგიდან. დაიწყო იმანაც კაბონიერი ხარხარი და თანაც უკვირდა:

— განა მე კი ვერ მოვიაზრებდი?.. ეჰ!.. ეგა სთქვით, და...

გულითად მეგობრებად გამოეთხოვნენ ერთმანეთს და ბატონი მაშინვე ქუჩაში გავარდა. აიტუზა ერთ სახლთან და ელის. დაინახა ერთი ებრაელი, მივარდა და დაუწყო შთაგონება:

— თუ ებრაელი ხარ, რუსი უნდა იყო, და თუ არ გინდა...

ებრაელები — ეს უკვე ცნობილია ყველა ანეკდოტებით, — მხდალი და ნერვიანი ხალხია. ეს კი მეტისმეტად ჟინიანი კაცი გამოდგა და ჭირივით სძულდა ებრაელების დარბევა... ერთი კარგი სილა ჰკრა ბატონს და შინისაკენ გაეშურა.

დგას ბატონი, კედელს მიჰყუდებია, ლოყას იფხანს და იძახის:

— არც ისეთი ტკბილი ყოფილა ეროვნული სახის აღმოჩენა... რა გაეწყობა. ბევრი არაფერი იყო ნეკრასოვი, მაგრამ მაინც მართალი სთქვა:

— გაუჭირვებლად ვერას მიიღებ.

ბედი მსხვერპლს ითხოვს შესაწირავსა.

და უცბად ერთი კავკასიელი დაინახა, კაცი — როგორც დამტკიცებულია ანეკდოტებით, — გაუთლელი და ფიცხი. მოდის და გაჰყვირის:

„მიყვარს ფაცხა მე მეგრული“!..

მივარდა ბატონი: — არა, ბატონო, აგრე არ შეიძლება. თუ თქვენ ქართველი ხართ, მაშასადამე რუსი ხართ და მეგრული ფაცხა კი არა. ის უნდა გიყვარდეთ, რასაც გიბრძანებენ და საპატიმრო კი უბრძანებლადაც...

გაჰკრა ქართველმა, ბატონი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დასტოვა და წავიდა კახურის სასმელად. ბატონი კი წევს და ფიქრობს:

— ეს ორი... ახლა თათრები, სომხები, ბაშკირები, ყირგიზები, მორდველები, ლიტველები... ვაიმე, ვაიმე! კიდევ სხვები, ვინ მოსთვლის? მერე თვითონ ჩვენი სლავები...

და სწორედ ამ დროს გამოჩნდა უკრაინელი. მოდის, აჯანყების სულით სავსე ლექსსა მღერის:

Добре було нашим батькам
На Вкраини жити*).

წამოვარდა ბატონი, წინ აეყუდა:

— არა, ბატონო! იხმარეთ, было, და არა було. ამ ასოს რომ არ ხმარობთ, თქვენ არღვევთ სახელმწიფოს მთლიანობას.

დიდხანს ელაპარაკა, რაღაცას ჩასჩიჩინებდა, ის კი იდგა. იდგა, ყურს უგდებდა, რადგან საბოლოოდ არის დამტკიცებული მცირეროსელ ყველა ანეკდოტების კრებულებით, რომ უკრაინელი მეტისმეტად ნელი, აუჩქარებელი ხალხია, და ზლაზნით აკეთებს ყველაფერს... ამასთან ბატონიც ღირსეულ კაცსა ჰგავდა...

---

*) ბედნიერნი მაშინ ვიყავით, როდესაც თავისუფალი იყო უკრაინა.

...შეიბრალეს ბატონი, ასწიეს, წამოაყენეს, ჰკითხეს:

— სადა დგეხართ?

— დიდებულ რუსეთში...

რა გაეწყობოდა. ჩასვეს ეტლში და უბნის ბოქაულთან წაიყვანეს.

მიჰყავთ ეტლით ბატონი, ის კი მედიდურად ხელს იქნევს, განსხლიანებულ თავპირზედ და ჰგრძნობს, რომ ძალიან გაუგანიერდა სახე, და უხარია:

— მგონია, რომ უკვე მოვიპოვე...

მიიყვანეს ფონ იუდენკრესსენთან, რომელიც მეტად ლმობიერად ექცეოდა თავისიანებს. იმანაც მაშინვე კაცი გაჰგზავნა პოლიციის ექიმის მოსაყვანად. მოვიდა ექიმი. გასინჯა ბატონი და დაუწყო ბოქაულს ჩურჩული. ეჩურჩულება რაღაცას და იცინიან ორივენი, ხარხარებენ... რაც სრულიად არ შეეფერებოდა გარემოებას.

— პირველი გახლავთ ჩემს პრაქტიკაში ეს შემთხვევა, — ჩურჩულებს ექიმი,—ვერ გაიმიგია, რაშია საქმე?

— რას ჩურჩულებენ, ნეტავი? — ფიქრობდა ბატონი. მერე ჰკითხა:

— ჰა, რას იტყვით?

— ძველი მთლად წაშლილია, — უპასუხა ფონ იუდენკრესსენმა.

— სახე? სახეც შეცვლილია?

ექიმმა ნუგეშისცემა სცადა:

— ახლა თქვენ, ბატონო, იმისანა სახე, გაქვთ, რომ თუნდა შალვარი ჩააცვით...

და ამ სახით დარჩა ბატონი სიკვდილამდე.

დასკვნა — არავითარი.

6.

ერთი კიდევ სხვა ბატონი იყო. უყვარდა თავის ნათქვამის ისტორიით დასაბუთება. რომ განიზრახავდა სიცრუის თქმას, უბრჩანებდა დაგეშილ კაცს:

— იაგორკა! აბა ჩქარა! ამოკრიფე ისტორიიდან ფაქტები დასამტიცებლად იმისა, რომ ისტორიამ განმეორება არ იცის და აგრეთვე წინააღმდეგ ამისა...

მეტად მოხერხებული კაცი იყო იაგორკა. თვალის დახამხამების უმალ ამოუკრებდა საჭირო მასალას. ისიც აღიჭურვებოდა გარემოებათა მოთხოვნილების შესაფერ საბუთებით და ამტკიცებდა, რასაც მოისურვებდა... კრინტსაც ვერავინ დასძრავდა მის წინააღმდეგ.

სხვებთან ერთად ბატონი ამბოხების თესლსა სთესავდა... ერთხანად საახელოდ მიაჩნდათ ეს მიმართულება და საცა კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ხმამაღლა გაჰყვიროდენ:

— ინგლისს ჰაბაას კორპუსი აქვს, და ჩვენ კი ცირკულიარების მეტი არაფერი...

და მახვილ სიტყვით განმარტავდენ ერთა შორის განსხვავებას...

განმარტავდენ, მოქალაქობრივ მოვალეობას აასრულებდენ და ჩაუსხდებოდენ ბანქოს, თამაშობდენ, ვიდრე მესამედ იყივლებდა მამალი. როდესაც მამლის ყივილით დარწმუნდებოდენ, რომ გათენებულა, ბატონი ბრძანებას გასცემდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იაგორკა! აბა ერთი საიმედო სთქვი რამე, დროის შესაფერი!

გამოიჭიმებოდა იაგორკა, თითს აიშვერდა და მოსთქვამდა ღრმა-აზროვნათ:

— ყივის მამალი წმინდა რუსეთში...

მაშ გვეღირსება ჩვენც განთიადი!

— ნეტავი მალე! — ბრძანებენ ბატონები, — უნდა ინათლოს თორემ... და დაიშლებიან დასასვენებლად.

ძალიან კარგი, მაგრამ უცბად რაღაცა მოძრაობა, არეულობა დაეტყო ხალხს... დაინახა ბატონმა და ჰკითხა:

— იაგორკა, რა უნდა ამ ხალხს?

და იმანაც სიხარულით მოახსენა:

— ხალხს ადამიანური ცხოვრება უნდა.

გაიფხორა ბატონი: ვინ ჩააგონა ხალხს ადამიანური ცხოვრების მოთხოვნილება? მე, მე ჩავაგონე. ორმოცდაათი წელიწადია, სულ ამას ჩავჩიჩინებთ ხალხს მე და ჩემი წინაპრები... ძლივს! დრო არის ჩვენც ადამიანური ცხოვრება გვეღირსოს.

და ამ მოძრაობით ატაცებული, ხან საით გაჰგზავნიდა იაგორკას, ხან საით:

— იაგორკა! ამომიკრიბე ფაქტები ევროპის აგრარულ მოძრაობის ისტორიიდან... სახელებიდან... თანასწორობის დასამტკიცებლად... საკუთრების აღორძინების და განვითარების ისტორიიდან... ჰა, ჩქარა!

უხაროდა იაგორკას, დარბოდა, ეძებდა, ოფლის მოწმენდას ვეღარ ასწრებდა.

სულ მთლად დაფხრიწა, რაც წიგნები ჰქონდა ბატონს, ყდები ღა დარჩა. ულაგებს ბატონს დასტა-დასტად ციტატებს, ხალხის სულისჩამდგმელ საბუთებს. ბატონიც აქეზებს და უმადლის.

— აგრე, იაგორკა!... ეცადე! კონსტიტუციას რომ ვეღირსებით, თავისუფალ მიმართულების გაზეთს დავაარსებ და რედაქტორად შენ დაგსვამ...

გაშაგრდა ბატონი, გათამამდა, თითონვე უქადაგებდა გლეხკაცობას:

— ჯერ ისევ რომში — ძმები გრაკხები... მერე ინგლისში, საფრანგეთში... და ყოველივე ეს აუცილებელი ისტორიული მოთხოვნილება არის... და მოჰყავდა ფაქტები, ციტატები.

ისტორიულ ფაქტებით უმტკიცებდა, რომ ხალხი ვალდებულია მოითხოვოს და მოიხვეჭოს თავისუფლება, თუნდა მთავრობას არც კი ნებავდეს ხალხის თავისუფლება.

გლეხებიც გახარებული იყვნენ და ყვიროდნენ:

— უმორჩილესად გმადლობთ!

ძალიან კარგად მიდიოდა საქმე, ერთსულოვნად, ქრისტიანულ ერთმანეთის სიყვარულით და ნდობით. და მოულოდნელი კითხვით მიმართეს გლეხებმა ბატონს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როდის მიბრძანდებით?

— სად უნდა მივბრძანდებოდე?

— როდის აიყრებით აქედან?

— როგორ თუ ავიყრები?

— როდის წახვალთ ამ სასახლიდან?

და იცინიან... რა ხეპრეები არიან!.. რა ყველაფერი შეიგნეს და ეს უბრალო რამ კი ვერ შეუგნიათ!..

ბატონი კი ჯავრობს:

— მოითმინეთ, მოითმინეთ! რა ვქნა, სად უნდა წავიდე, რომ მამული ჩემია?

გლეხებსა აღარა სჯერათ:

— როგორ თუ შენია? შენ არა ბრძანე, — მიწა ღვთისა არისო და ჯერ ისევ ქრისტეს შობამდე ქადაგებდენ ამას სიმართლის შვილნიო?..

ბატონმა გლეხებისა ველარა გაიგო რა, და გლეხებმა ბატონისა.

მივარდა ბატონი იაგორკას:

— აბა, ჩქარა! მომიძებნე ისტორიული ფაქტები...

გადაჰხედა იაგორკამ ბატონს და მოურიდებლად ახალა:

— სულამ დებულების საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად დავხიეთ, რაც ისტორიები გვქონდა!

— სულ ამ დებულების საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად დავხიეთ, მაგრამ მართალი იყო. შევარდა ბატონი წიგნთსაცავში და დაფხრეწილი ყდების მეტი ველარა იპოვა რა. ჭირის ოფლი დაასხა და სასოწარკვეთილმა, წინაპართ გადააბრალა თავისი უბედურება:

— არა, რა ღმერთი გაგიწყრათ, რომ ასეთი, ერთხმრივი ისტორია შეჰქმენით! მოდი შენა და!.. ისტორია კი არა, მეორედ მოსვლაა სწორედ!

გლეხები კი თავისას გაიძახოდენ:

— ჰო და, რა კი აგრე კარგად დაგვიმტკიცე, მოგვშორდი აქედან, თორემ აგყრით!

იაგორკა სულითხორცამდე გლეხებს მიემხრო, ბატონს აღარც კი უყურებდა და დასცინოდა:

— ჰაბეას კორპუსს იძახდა! ლიბერალური ბრძანდებოდა!

გაჭირდა საქმე. გლეხებმა სიმღერა დაიწყეს და — გამარჯვება ჩვენიაო, — ერთი ძირი თივა ბატონისა შეიტანეს თავიანთ ეზოებში.

და უცბად მოაგონდა ბატონს, რომ ჯერ კიდევ ჰქონდა რაღაცა მომარაგებული: ბაბუის ბებია ჰყავდა ცოცხალი, მთლად გამოყრუებული, დიდი ხნიდან სიკვდილისაგან მივიწყებული. იმდენად ხნიერი იყო უბედური, რომ ადამიანისა აღარა შერჩენოდა რა, ორი სიტყვა ღა გააჩნდა:

— ნუ მისცემ...

წარსულ საუკუნის სამოცდაპირველ წლიდან სულ ამ ორ სიტყვას იძახდა.

მივარდა ბებერს ბატონი, ჩაიკრა გულში და შეჰლაღადა:

— წინაპართ დედავ! შენ ხარ ცოცხალი ისტორია...

ის კი თავისას ჩიფჩიფებდა:

— ნუ მისცემ!

— მერე როგორ არ მივსცე, რომ...

— ნუ მისცემ!

— შემომესევიან, ამიკლებენ...

— ნუ მისცემ...

— არ მინდა გუბერნატორს ვაცნობო... მივცე თუ არა აღსრულება ამ სურვილს?

— ნუ მისცემ!

აასრულა ბატონმა ბრძანება ცოცხალი ისტორიისა და თავის ბებიის სახელით მიმართა გუბერნატორს, თითონ კი გლეხებთან გავიდა და უთხრა:

— რათ შეაშინეთ აგრე საბრალო მოხუცებული? ჯარი გამოითხოვა... მაგრამ დამშვიდდით, ნუ გეშინიათ, მე თქვენამდე არ მოვუშვებ სალდათებს.

ცხენების ჭენებით შეცვივდენ მრისხანე სალდათები სოფელში. ზამთარი იყო, ჭირხლი ედებოდა გაოფლიანებულ ცხენებს. შეეცოდა ბატონს, თავის თავლაში შეარეკინა და მიმართა გლეხებს:

— ამასწინად რომ ჩემი თივა დაირიგეთ, — არც თუ კანონიერი იყო ჩემი საკუთრების წაღება, მაგრამ ჩემი და თქვენი ვის გაუყვია? — ამ ცხენებს მოუტანეთ ის თივა. ცხენებს ხომ არაფერი დაუშავებიათ, რომ სიმშილით ამოჰხოცოთ. მართალს არ ვამბობ?

დამშეულიყო ჯარი, ისე ამოჰხოცეს სოფელში ფრინველი, მამლაყინწა არსად გადარჩათ, რომ გათენებისას დაეყივლა.

იაგორკა, რასაკვირველია, ისევ ბატონისაკენ გადავიდა და ძველებურად უგროვებდა საბუთებს და ციტატებს.

ბატონმა სულ ახალი წიგნები შეიძინა და უბრძანა, — მთლად ამოშალე ფაქტები, რომლებს ოდნავადაც არის თავისუფლების სუნი უდის, და თუ გაგიჭირვეულდა რომელიმე და ვერ ამოშალე, ახალი აზრით შეავსეო.

იაგორკას რა? ფულმა ხომ სუნი არ იცის! ახალის მომხრედ არავის ვეჩვენოო, პარნოგრაფიას მიჰყო ხელი. მაგრამ გულში კი მაინც შერჩენოდა მბჟუტავი ნაშთი და, ბატონის ბრძანებისამებრ რომ ისტორიას რყვნიდა, თავის სინდისისამებრ ლექსებსა სწერდა თა ბეჭდავდა პსევდონიმით: დ. რ., რაც ნიშნავდა დამარცხებულ რევოლუციონერს:

აღარ ყივის მამალი...
ქანდარაზედ ჭოტი ზის!
ახლა ვიღა გვახარებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცაზედ ციალს მზის სხივის?
მომავალი სძულს ბატონს,
დღე და ღამ წარსულს ნატრობს.
მამალს ყველგან დაჰხოცავს,
კურტუმით პირს დაიტკბობს.
თუ მამალი არა გვყვავს,
განთიადს ვინ გვახარებს?
ვეყრებით ძველებურად.
ძილს თავს ვილა დაახწევს?

გლეხები კი დამშვიდდნენ, რაღა თქმა უნდა, და დროს გასატარებლად უშვერ ლექსსა მღეროდნენ:

მალე გაზაფხულდება,
სიმშილი დაგვერევა...
კვნესით ვერას გავხდებით,
სიმშილით ამოვწყდებით.
— მხიარული ხალხია რუსი.

7.

ებრაელები ცხოვრობდენ ერთ ქვეყანაში. სულ უბრალო ებრაელები: ხან ცილისწამებას განიცდიდენ, ხან დარბევას, ხან ამოწყვეტას — საჯელმწიფოს საჭიროებათა მიხედვით.

ასეთი წესი არსებობდა იმ ქვეყანაში: როგორც კი შეამჩნევდენ, რომ ძირითადი მოსახლეობა რაიმე უკმაყოფილებას გამოთქვამს თავის გაჭირებისა გამო, წესიერების დამცველ წერტებიდან გაისმოდა მომავლის იმედით მომხიბლავი ხმა მათ კეთილშობილებისა:

— მოვედენ, ხალხო, წიაღსა შინა მთავრობისასა.

ხალხი გარს ეხვეოდა და მათ კეთილშობილებანი ცდილობდენ ჭკუაზედ მოეყვანათ უკმაყოფილონი:

— რად ღელავთ, ხალხო?

— თქვენო კეთილშობილებავ, აღარა გვაქვს რა დასაღეჭავი...

— კბილები კი გაქვთ?

— ცოტა კიდევ შეგვრჩა...

— ჰხედავთ. ყოველთვის ახერხებთ და უმალავთ რასმე მთავრობას!

და თუ ჰპოვებდენ მათ კეთილშობილებანი, რომ მღელვარების მოსპობა შეიძლებოდა დანარჩენ კბილების ჩამტვრევით, დაუყოვნებლივ გამოიყენებდენ ამ საშუალებას. მაგრამ, თუ ამით ვერ დამყარდებოდა სასურველი წესიერება, მომხიბლავ სიტყვით ცდილობდენ ხალხის თვალის ახვევას:

— მაინც, რა გინდათ?

— ცოტა რამ მიწა... რომ მოვხნათ, მოვთესოთ...

ზოგნი კი, უვიცნი სახელმწიფოს ინტერესებისა, მოუკრებავშიც გადადიოდენ:

— ცოტა რამ „ლეფორმები"... რომ კბილები, ნეკნები, წელები ჩვენ საკუთრებად იყოს ცხობილი და უმიზეზოდ ხელს აღარავინ ახლებდეს.

აქ კი მათი კეთილშობილებანი შთაგონებას ცდილობდენ:

— რას ამბობთ, ხალხო? რაში გამოგადგებათ ეგ ოცნებანი? არა პურითა მარტო ოდეხაო, ნათქვამია საძღვთო წერილში. და ეგეც რომ არ იყოს, არ გაგიგონიათ: გათლილში ორ გაუთლელს იძლევიანო:

— მერე თანახმანი არიან?

— ვინა?

— გაუთლელები.

— აბა, ღმერთო! თანახმანი იქნებიან, მაშ არა? შარშან წინ, ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ, ინგლისელები გვეეედრებოდენ, დიაღ გვეეედრებოდენ, — თქვენი ხალხი სულ ციმბირში გადარეკეთ, იმათ მაგივრად ჩვენ დაგვასახლეთო, და პირობას გაძლევთ, ხარჯსაც ყოველთვის დროზედ გადავიხდით, და არაყსაც — სულზედ თორმეტ ვედრას — ვიყიდით წელიწადშიო — და ერთობ... მერე იცით, რა ვუპასუხეთ? რადაო და რისთვისაო? ჩვენ ჩვენი ხალხი გვყავს, გულკეთილი, მშვიდი, მორჩილი... ჩვენს ხალხთანაც კარგად ვიცხოვრებთ... რა გითხრათ, იცით... მაგ მღელვარებას ის არა სჯობია, წახვიდეთ და... ებრაელების ჯავრი ამოიყაროთ... სულ იმათი ბრალია, იმ...

დაფიქრდებოდა ხალხი. ხედავდა, რომ სახეირო არა გამოვიდოდა რა, მათ კეთილშობილებათა მიერ განძრახულის გარდა, და:

— წავიდეთ, ბიჭებო. ღმერთო, შენ გვიშველე!

წავიდნენ...

ასამდე სახლი აიკლეს, ებრაელები დაჰხოცეს... ძალიან გაისარჯნენ, დაიღალნენ, დაუმშვიდდათ მღელვარება და... აღდგენილი იქმნა წესიერება.

ამათ კეთილშობილებათა, ძირითად მოსახლეობის და ებრაელების გარდა, იმ დალოცვილ სახელმწიფოში თვალისასახვევად და მოქალაქეობრივ ვალდებულების ასასრულებლად პატიოსანი, კეთილსინდისიერი კაცებიც იყვნენ და ყოველთვის, ებრაელების დარბევის შემდეგ, შეკრიბებოდენ უკლებლივ ყველანი, 16 კაცი, და პროტესტს აცხადებდენ, დაწერილს და ხელმოწერილს, რომელს მთელ ქვეყანას აცნობებდენ:

„თუმცა ებრაელები რუსეთის ქვეშევრდომნი არიან, მაგრამ გვწამს და ვალიარებთ, რომ არ ივარგებს მათი დედაბუდიანად ამოწყვეტა, და ამით, გარემოებათა ყოველმხრივ განხილვის შემდეგ, ვუცხადებთ ჩვენს პროტესტს ცოცხალ ადამიანთა უზომიერო ჟლეტას. ჰუმანისტოვი, ფიტოედოვი, ივანოვი, კუსაიგუბინი, ტორპიგინი, კრიკუნოვსკი, იოსებ ტროეუხოვი, გროსალოვსკისა, რაზმის უფროსის თანაშემწე, სამსახურიდან გამოსული ნეპეიპივო, ვექილი ნარიმოვი, ხლოპოტუნსკი, პრიტულიხინი, გრიშა ბუდიშევი — შვიდი წლის ბიჭი.

და მებრვე ყოველ დარბევის შემდეგ იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ იცვლებოდა წლოვანება გრიშასი და ნარიმის მაგივრად, რადგან ის მოულოდნელად იმავ სახელის ქალაქისაკენ მიემგზავრებოდა, ხელს აწერდა კაპიტოლინა კოლიმსკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდახან ამ პროტესტს პროვინციაც ხმას აძლევდა.

„თანაგიგრძნობთ და გიერთდებით". — ტელეგრამით აცნობებდა დრეზოვიდან რაზდერგაევი. მიამლინიდან ზატორკინი იწერებოდა და ოკუროვიდან — სამოგრიზოვი და სხ., და, რაღა თქმა უნდა, ყველა ჰხედავდა, რომ ეს „სხ". სამოგრიზოვის მიმატებული იყო პროტესტის გასაძლიერებლად, რადგან ოკუროვში არავითარი „სხ." არავინ იყო.

კითხულობდენ ებრაელები პროტესტს და უფრო მწარედ ტიროდენ და ერთხელ წინადადება შეიტანა ერთმა ებრაელმა, მეტის მეტად ვერაგი კაცი იყო:

— იცით რა? არ იცით? მოდით მომავალ დარბევის წინ მივმალოთ სადმე ქალალდი, საწერ-კალამი... სულ მთლად, რომ შოვა აღარ შეიძლებოდეს, და ვნახოთ, რას იზამენ მაშინ ის თექვსმეტი და იმათი გრიშა.

ერთსულოვანი ხალხია ებრაელები. სთქვეს და აასრულეს კიდეც: შეისყიდეს, საცა კი ქალალდი მოიპოებოდა, კალამი, ფანქარი, მელანი... ჰო, მელანი სულ შავ ზღვაში ჩაასხეს... სხედან და ელიან...

დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირდათ: ნებართვა გამოვიდა, დარბევა მოხდა, საავადმყოფოები ებრაელებით გაივსო.

დარბიან ჰუმანისტები მთელ პეტერბურგში, ქალალდს ეძებენ, კალამს... აღარც სადმე ქალალდი იყო, და აღარც კალამი. საწერკალამი მარტო მათ დიდებულებათა სამდივნოში და იყო, მაგრამ იმათ რად მისცემდენ...

— ვიცით, ვიცით, რასაც გვიპირებთ... ვნახოთ, ახლა რას იზამთ?

ხლეპოტუნსკი ეხვეწებოდა:

— ცოტა! მაშ რა ვქნათ?

— სულ ხომ ჩვენ არ გასწავლით! თქვენ თითონ მოიფიქრეთ რამე.

პატარა გრიშა, — უკვე ორმოცდასამი წლის კაცი იყო, ტიროდა:

— პლოტესტი მიდაა!..

კი, მაგრამ რაზედ დასწერონ?..

დალვრემილი ფიგოფობოვი მიხვდა:

— მოდით ლობეზედ...

პიტერში კი ლობე არსად არის, სულ მოაჯირებია.

გარეთუბანში გავიდენ, შორს, შორს, სასაკლავოს იქით ერთი ძველი ლობე იპოვეს და ის იყო პირველი ასო გამოსახა ჰუმანისტოვმა ცოცხით, რომ უცბად, თითქო ციდან ჩამოფრინდაო, თავს დაადგათ პოლიციელი და საყვედურით უთხრა:

— რას შვრებით. ემაგ წარწერისათვის ბავშვებს გალახავენ და თქვენ ხომ დარბაისელი კაცები ბრძანდებით.

ვერ მიუხვდა პოლიციელი: ეგონა, მწერლები არიან, რომელნიც 1001 მუხლს არღვევენო. შერცხვათ ჰუმანისტებს და შეკდომილნი დაიფანტენ, — შინისკენ მოჰკურცხლა ყველამ.

ამ გვარად უპროტესტოდ დარჩა ერთი დარბევა, და ბუნებრივად ჰუმანისტები.

სწორედ მართალს ამბობს ეროვნებათა ფსიხოლოგიის მცოდნე ქვეყანა, — მეტად ვერაგი ხალხია ებრაელებიო.

8.

ორი ქურდბაცაცა იყო, ერთი შავგვრემანი, მეორე — ქერა, მაგრამ უშნოები იყვნენ ორივე: ღარიბს არაფერსა ჰპარავდნენ, და მდიდარი კი მიუწვდომელი იყო. და იყვნენ ასე მშიერ-მწყურვალნი, სულ იმასა ფიქრობდენ, — როგორ მოვახერხოთ, რომ დაგვიჭირონ, დაგვატუსაღონ და სახელმწიფო ხარჯზედ გადაგვიყვანონო.

ცუდი დღე დაადგათ ერთხელ: ქალაქში ახალი გუბერნატორი მობრძანდა, ფონ-დურ-პესტი, მიიხედ-მოიხედა და გამოსცა ბრძანება:

— „ამიერიდან ყველა მცხოვრები რუსულ სარწმუნოებისა, განურჩევლად სქესისა, წლოვანებისა და საქმიანობისა ხმის ამოუღებლად უნდა ემსახურებოდეს სამშობლოს“.

შეიშმუხნენ შავგვრემანის და ქერა ბიჭის ამხანაგები, ოხვრით მოიოხეს გული და დაიფანტნენ: ზოგი ჯაშუშად გახდა, ზოგი პატრიოტად, და ვინც უფრო მოხერხებული იყო იქაც იყო და აქაც. მარტოდ მარტონი დარჩნენ შავგრემანი და ქერა, მარტოდ მარტონი და ფრიად საეჭვონი... ერთი კვირა გაუძლეს, როგორც იყო რეფორმას, შემდეგ... მუცელი ეწვოდათ სიმშილით, ველარ აიტანეს ეს ვაება, და ქერამ გაბედა ხმის ამოღება:

— მოდი, ბიჭო, ჩვენც ვემსახუროთ სამშობლოს.

შერცხვა შავგვრემანს, თავი დაღუნა:

— სირცხვილია.

— რად არის სირცხვილი? რამდენი არიან ჩვენზედ მაძღარნი, რომ ამ გზას დაადგნენ.

— ისინი, სულერთია, ტუსაღების რაზმში უნდა გაეგზავნათ, ვადა უსრულდებოდათ.

— ნეტავი შენა! ვერა ჰხედავ, დღეს თვით მწერლობაც კი იმას გვიქადაგებს, — როგორც უნდა იცხოვრო, სულერთია მოკვდებიო.

— არა, ძმაო, — გადაჭრით უთხრა შაგვრემანმა, — შენ ემსახურე და მე კი ქურდბაცაცად დავრჩები.

და შეუდგა თავის საქმეს: ხონჩიდან პური ასწაპნა. პირში ლუკმის ჩადება ვერ მოასწრო, რომ დაიჭირეს, კარგად მიბეგვეს და... სასამართლოში წარადგინეს. იქ დაწვრილებით გაარჩია საქმე მსაჯულმა და დაადგინა, — სახელმწიფო ხარჯზედ იყოს გადაყვანილი ქურდიო.

ზის შავგვრემანი ციხეში ერთი-ორი თვე, კუჭს გაიძღობს, მუცელს მოიმაგრებს. გამოუშვებენ ციხიდან და გარბის ქერას სანახავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰა, როგორა ხარ?

— ვემსახურები.

— რას აკეთებ?

— ბავშვებს ვმუსრავ.

განცვიფრებული შესცქერის შავგვრემანი, რადგან სრული ოტროველა არის პოლიტიკაში.

— რად? რას აშავებენ?

— დასამშვიდებლად. ბრძანება არის, მშვიდად იყავითო, — უამბობს ქერა და ცრემლი მოსდის.

თავს იქექავს დარდიანად შავგვრემანი და მიეშურება თავის საქმის გასარიგებლად...

დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს კუჭის გასაძლობად, მუცლის განსაკურნავად. ზის ციხეში შავგვრემანი, მაძღარიც არის და არც სინიდისის ქენჯნა აწუხებს.

გამოუშვეს და მაშინვე ამხანაგის ხანახავად წავიდა, — მეტად უყვარდათ ერმანეთი.

— მუსრავ?

— მაშ რა ვქნა?

— არ გეცოდება?

— ავადმყოფებს ვირჩევ, სნეულებს...

— და ყველას კი ვერა?

დუმს ქერა, ფერი მისდის, გულსაკლავად გმინავს...

— მერე? როგორ არჩევ?

— რა ვიცი! დაიჭერენ სადმე, მომგვრიან და მიბრძანებენ, — მართალი ათქმევინეო.. მე რა უნდა ვათქმევინო, რომ თითონვე კვდებიან... არა, არ ვარგივარ, არა.

— ერთი მითხარ, თუ ძმა ხარ, რა საჭიროა მაგ?..

— სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს, — უპასუხებს ქერა, — და ხმა უკანკალებს, ცრემლს ვეღარ იმაგრებს.

ჩაფიქრდა შავგვრემანი, — მეტად ებრალებოდა ამხანაგი, — იქნება სხვა საქმე იყოს რამე, დამოუკიდებელი, რომ ასე არ იტანჯებოდეს კაცი?

და მოიფიქრა.

— მოპარული ფული ბევრი გაქვს?

— მაშ, რა ვქნა! ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო...

— რა გითხრა, იცი? მოდი გაზეთი გამოუშვი.

— რადა?

— განცხადებას დაბეჭდავ, რეზინის ნაწარმს გაავრცელებ...

მოეწონა ქერას, ღიმილი მოერია:

— რომ ბავშვები აღარ იბადებოდენ?

— ჰო და რა? საჭიროა მოსაკლავად დაბადება?

— რაც მართალია, მართალია... მაგრამ გაზეთი რაღა საჭიროა?

— ვაჭრობის დასაფარავად.

— თანამშრომლები არ დაგვეთანხმებიან.

შავგვრემანმა სტვენა დაიწყო:

— შენ ფული დაანახვე და თუნდა ასკიკუკას ითამაშევენ შენი თანამშრომლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვეს და აასრულეს კიდეც. დაიწყო ქერამ ბეჭდვა ვაზეთისა, რომელში მონაწილეობას იღებდენ საუკეთესო ძალები მწერლობისა... რედაქციასთან გამართა მუდმივი გამოფენა რეზინის ნაწარმოებისა და რედაქციის ზემოდან, — რომ ზნეობა არ შეთრგუნვილიყო, — ბინა მოაწყო, სადაც ლამაზ ქალების სანახავად დაიარებოდენ მაღალწოდების მოხელენი.

საგანგებოდ წავიდა საქმე. ბედნიერი იყო ქერა, გაბერილი, ჩასუქებული, კმაყოფილი ჰყავდა მთავრობა და სავსე ჰქონდა ჯიბე. სადარბაზო ბარათზედ დაბეჭდილი ჰქონდა:

„განივ სიგრძივ.

ყოველმხრივ.

რედაქტორი-გამომცემელი გაზეთისა „აქეთაც და იქითაც", დირექტორი, — დამაარსებელი კანონიერების დაცვით მოქანცულ ადმინისტრატორების „ტკბილ დასვენებისა". იქვე — ვაჭრობა პრეზერვატივებით, ნარდად და წვრილმანად.

გამოვიდა შავგრემანი ციხიდან, ჩაიზედ ეწვია ამხანაგს... და ქერა კი შამპანურით დაუხვდა. თან თავს იქებდა:

— მე, ძმავ, ახლა პირსაც შამპანურით ვიბან, ღმერთმანი.

და ნეტარებით აღსავსე, თვალდახუჭული, მადლობას უხდიდა შავგვრემანს:

— ძალიან ჭკუა მასწავლე! აი, თურმე, რაში მდგომარეობს სამშობლოს სამსახური. ყველა კმაყოფილი მყავს.

გული უკვდებოდა ამხანაგის სიბრალულით და სთხოვდა:

— მოდი, ბიჭო, რეპორტიორად შემოდი გაზეთში...

შავგვრემანს სიცილი წასკდა:

— არა, ძმავ, ეტყობა, — ძაან კონსერვატორი ვარ და ძველებურად ჭურდბაცაცად დავრჩები...

ჭკუის მასწავლებელი აქ არაფერია, იოტის ოდენაც კი.

9.

მოიქანცა, მოსწყინდა მის აღმატებულებას სხვაფრივ მოაზროვნეებთან ბრძოლა და გადასწყვიტა:

— კმარა. დრო არის, დავისვენო, ოღონდ გამარჯვების გვირგვინით შემკულმაო, — და უუსასტიკესი ბრძანება გამოსცა:

„ამით გავალებთ, აღმოაჩინოთ და ცხადჰყოთ ყველა სხვაფრივ მოაზროვნე, დაურიდებლად და შეუწყნარებლად ამოაძვრინოთ ყოველგვარ სამალავიდან და საფარიდან, და, რა აღმოაჩენთ, ძირიანად აღმოფხვრათ ყოველგვარ საშუალებათა დახმარებით".

ასრულება ამ ბრძანებისა მიანდეს სამსახურში თავის ნებით შესულს, ცოცხალ არსებათა განურჩევლივ სქესისა და ხნიერებისა მმუსრავ ორონტ სტერვენკოს, მის დიდებულების ფუეგელ მეფის და ცეცხლის ქვეყნის მპყრობელის ყოფილ კაპიტანს, რისთვისაც უასიგნეს თექვსმეტი ათასი მანეთი.

იმიტომ კი არა მიანდეს ეს საქმე ორონტს, რომ თავისიანები არა ჰყოლოდათ ბრძანების ასასრულებლად, არა. მარტო იმიტომ, რომ უცნაურად საშინელი რამ იყო... იმისთანა ბალანი ესხა, რომ ტიტველი დადიოდა ყველა ჰავაში, და ორ წყობად ჰქონდა კბილები, სამოცდა ოთხი ცალი უკლებლივ... ამით დაიმსახურა სტერვენკომ უსაზღვრო ნდობა მის აღმატებულებისა.

მაგრამ მიუხედავად ამ ღირსებისა, მწარედ ჩაფიქრდა ორონტი.

— როგორ აღმოვაჩინო, რომ დუმს დიდი და პატარა?

და მართლაც, იმ ქალაქის მცხოვრები უკვე კარგად იყო გაწრთვნილი. ერთმანეთისა ეშინოდათ. რადგან პროვოკატორად მიაჩნდათ ყველა, და დაბეჯითებით, დადებით არაფერს ამტკიცებდენ. მშობელ დედასთანაც კი პირობითი სიტყვებით ლაპარაკობდნენ და უცხო ენით:

— nest-ce pas!..

— Maman, სადილის დრო არის? nest-ce pas?

— Maman, მოდი დღეს კინემატოგრაფში წავიდეთ, nest-ce pas?

ჰო და, მრავალი ფიქრის შემდეგ მიაგნო სტერვენკომ საშუალებას საიდუმლო ფიქრების აღმოსაჩენად: თმა წყალმბადის ჟანგით გაიბანა, საჭირო ალაგები გაიპარსა, დაღონებული სახის თეთრ კაცად იქცა, თალხი ტანისამოსი ჩაიცვა... შეუძლებელი იყო მისი ცნობა.

გავიდოდა საღამოზედ ქუჩაში, დადიოდა ჩაფიქრებული და, რომ დაინახავდა ვისმე ბუნების მოთხოვნილებისამებრ სადმე პარვით მიმავალს, მივარდებოდა მარცხნივ მხარიდან და, იქნება წამოროშოს რამეო, — ჩასჩურჩულებდა:

— ამხანაგო, ნუ თუ კმაყოფილი ხართ ამ წესწყობილებით?

მიმავალი ჯერ ნაბიჯს უკლებდა, თითქო რაღასაც იგონებსო, მაგრამ, როგორც კი დაინახავდა შორს სადმე პოლიციელს, ნათლად გამოაჩენდა თავის პიროვნებას:

— პოლიციელო, დაიჭირე ეს!..

სტერვენკო ვეფხვივით გადახტებოდა ხოლმე ღობეზედ, ჩაიმალებოდა ჭინჭარში და ფიქრობდა:

— ასე ვერავის გავაბამ... კანონიერად იქცევიან ეს ოჯახდასაქცევები.

ნაასიგნავი კი ნელნელა იხარჯებოდა.

ძერე უფრო მხიარული ტანისამოსი ჩაიცვა და სხვა საშუალებას მიმართა: მივარდებოდა უცბად მცხოვრებს და რიხიანად ჰკითხავდა:

— ხომ არ ინებებთ, ბატონო პროვოკატორობას?

მცხოვრები გულგრილად ჰკითხავდა:

— რამდენია ჯამაგირი?

ან ზრდილობიანად უარს ეუბნებოდა:

— გმადლობთ. უკვე გახლავართ.

— ჰხედავ! — ფიქრობდა ორონტი, — მოდი შენა და ვინ ტალახიდან ამოიყვანე!

ნაასიგნავი კი ნელნელა დნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიხედა „გამოფიტულ კვერცხების ყოველმხრივ გამოყენების საზოგადოებაში“, მაგრამ საზოგადოება თურმე ჟანდარმების გენერლის და სამი ეპისკოპოსის წმინდა წნევის ქვეშ იმყოფებოდა. იკრიბებოდა წელიწადში ერთხელ და ისიც პეტერბურგიდან მიღებულ საგანგებო ნებართვით მხოლოდ.

დალონდა სტევრვენკო და ნაასიგნევიც, თითქო სწრაფ მომქმედი ჭლექი შეეყარაო, უფრო და უფრო დნებოდა. და განრისხდა ორონტი:

— მაშ აგრე?.. ახლა მე ვიცი!

მივარდებოდა მცხოვრებს და, არც ბოდიში, არც წინასიტყვაობა. პირდაპირ ახლიდა:

— ცხოვრებით კმაყოფილი ხარ?

— სრულიად.

— ჰოო? მთავრობა კი კმაყოფილი არა გყავს... წამოდი! და თუ, წამოსცდებოდ ვისმე, — არაო, იმას, რალა თქმა უნდა, დარაჯს გადასცემდა,

— წაიყვანე!

— მომისმინეთ, ბატონო...

— რაო!..

— კმაყოფილი არა ვარ, რადგან არ არის საკმარისად მძლავრი!..

— ჰოო?.. წაათრიეთ!

ამ გვარად სამი კვირის განმავლობაში ათი ათასი კაცი დაიჭირა, — კაცი, ქალი, ბავშვი, — ჯერ იქ მოათავსა, საცა ჯერ არს, მერე კი სახრჩობელები დასდგა და ზედ ჰკიდებდა, ოღონდ ყაირათისა გამო მცხოვრებთა ხარჯით აწარმოებდა საქმეს.

საუცხოოდ ასრულებდა ბრძანებას, მაგრამ, როგორლაც მოხდა, მის აღმატებულება ეწვია. კურდღლებზედ სანადიროდ წამოსულიყო... ქალაქგარეთ რომ გავიდა, მოძრაობა დაინახა ხალხისა და სურათი მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებისა:

ერთმანეთს აბეზღებდენ, გამამტყუნებელ საბუთებს უძებნიდენ, სახრჩობელაზედ ჰკიდებდენ, მიწაში ჰფლავდენ... სტრვენკო კი დადიოდა კვერთხით ხელში და აქეზებდა:

— ჰა, აჩქარდით! შენ ეი, დაღვრემილო, მხიარულად!.. თქვენა, პატივცემულო, რას გაჩერებულხართ? ხლართი მზად გახლავთ, შეჰყავით თავი... რად აცდენთ ხალხს? ბიჭიკო, შე საძაგელო შენა! ჯერ მამაშენი, მერე შენ. წინ რადა ძვრები?.. ნუ ჩქარობთ, ბატონებო, რამდენი ხანია, მოთმინებით ელოდით მოსვენებას, და ახლა რამდენიმე წუთი ველარ მოგითმენიათ?.. გლეხო, წინ რას მიძვრები, შე უზრდელო, შენა!..

ფიცხ მერანზედ იჯდა მისი აღმატებულება. კმაყოფილებით აღსავსე გადასცქეროდა სურათს და ფიქრობდა:

— ყოჩაღ ბიჭო! რამდენი აღმოუჩენია და! განა არა, მთლად მიყრუებულია ქალაქი, დარაბებით დაბნელებულია ფანჯრები...

და თვალში ეცა საშინელება: მის აღმატებულების დიდიდედა ეკიდა ფეხებით მიწას ვერა სწვდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცვიფრდა მისი აღმატებულება:

— ვისი ბრძანებით?

სტერვენკო წინ გამოეჭიმა:

— ჩემით, თქვენო აღმატებულებავ.

— მთლად გამოტვინებული ყოფილხარ, შე მხეცო, შენა!.. ამაოდ დაგიხარჯავს სახელმწიფო ფული! წარმოადგინე ანგარიში!

წარადგინა სტერვენკომ ანგარიში:

„აღსასრულებლად ბრძანებისა თქვენისა, რომლით დამავალეთ სხვაფრივ მოაზროვნეთა სრული აღმოფხვრა, მოგახსენებთ: აღმოჩენილ არის ჩემ მიერ სხვაფრივმოაზროვნე 10.107 ორივე სქესისა.

აქედან.		
დაფლულია.	729	ორივე სქესისა,
ჩამომხვრჩალია.	541	„ „
განუკურნავად წამხდარია. .	937	„ „
ვერ იცოცხლებს. . . .	317	„ „
თავის თავად.	63	„ „

სულ აღმოფხვრილია 1876, ღირებული 16884 მანეთად. თითო შვიდ მანეთად. ზედმეტად არის დახარჯული 884 მანეთი".

ელდა ეცა მის აღმატებულებას, კანკალებდა და დუდღუნებდა:

— მეტად არის დახარჯულიო?! ეგ როგორ გაბედე, შე ფუეგელო?.. რვაას მანეთად მთელ შენს ცეცხლის ქვეყანას ვიყიდდი თავ... მეფით და შენისთანა ბედასლ მოხელეებით!.. არა, შე უბედურო, შენ რომ მაგოდენას იპარავ, მე რაღა... ათჯერ მაინც ვიქნები შენზედ დიდი... ასე მადიანად თუ ვისარგებლეთ, სამ წელიწადსაც ველარ გაგვიძლებს რუსეთი... განა მარტო შენ გწყურია სიცოცხლე... 380 მანეთი მეტი მიგიწერია... რომ იძახი, ვერ იცოცხლეხო, თავის თავად... იმათ რაღად ანგარიშობ, შე ქურდო?..

— თქვენო აღმატებულებავ, მე გავუწბილე, მე შევაზიზღე სიცოცხლე-

— და მაგაში შვიდ-შვიდი მანეთი?.. ვინ იცის, რამდენი ჩვენებრ მოაზროვნე დაჭლუპე! ქალაქში სულ თორმეტი ათასი მცხოვრები იყო... არა, შენ ეგ არ ჩაგივლის, სამართალში მიგცემ!

დანიშნეს სასტიკი გამოძიება ორონტი სტერვენკოს მოღვაწეობისა და აღმოაჩინეს, რომ 916 მანეთი ჰქონდა შეჭმული, სახელმწიფო ფული.

განიხილეს მიუდგომელ სასამართლოში დამნაშავის საქმე, სამი თვის ციხე მიუსაჯეს, კარიერა შეურცხვინეს და დაჭლუპეს კაცი... სამი თვით.

ადვილი არ არის მის აღმატებულების გულისმოგება!

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალაქია ტოროშელიძე

ეგნატე ნინოშვილი

I. ეგნატე ნინოშვილი და 90-იანი წლები.

გაიარა ორმოცმა წელიწადმა, რაც გარდაიცვალა ეგნატე ნინოშვილი და დღეს, გაცილებით მეტად ვიდრე ოდესმე, ის ცოცხლად დგას ჩვენს თვალწინ და თავისკენ იჯაჭვავს ჩვენს ყურადღებას. დროთა მიმდინარეობა კი არ ასუსტებს მის ხსოვნას, უფრო მეტი შუქმფენი შარავანდედით მოსავს მის სახელს. მართალია, მის მიერ განსახიერებულ დავით დროიძეებს უკვე გამოუვიდათ წირვა, მისმა მოსე მწერლებმა კარგა ხანია აიკრეს ბარგი, ტარიელ მკლავაძეებიც ჩაბარდენ ისტორიის სასაფლაოს, — ყველა ესენი ველარ აწიოკებენ მშრომელ გლეხკაცობას და ველარ სუქდებიან მის ზურგზე; მეორე მხრით, ძირიანად გამოიცვალა ეგნატეს სათაყვანებელი, ოდესღაც დაჩაგრული კლასის მდგომარეობა: სიმონა ძალაძეები ტყეში არ გარბიან ფირალებად, გოგია უიშვილები თავს არ იკლავენ ახალ წლის ღამეს, კაცია მუნჯაძეები რკინისგზის ლიანდაგზე არ სდებენ დაღლილ-დაქანცულ თავს, არ ისრისებიან დიდკაცის მატარებლით, დესპინეები სულით ავადმყოფობის და ჭლექის მსხვერპლი არა ხდებიან, ქრისტინეებს ვერ ითრევს გარყვნილების მორევი — ყველა ესენი გამალებით აშენებენ ახალ სოციალისტურ ქვეყანას; ერთი სიტყვით, მართალია, ნინოშვილის მიერ დახატული ცხოვრების ვითარება საუკუნეების მანძილით დაგვშორდა ჩვენ, მაგრამ ამავე დროს უფრო მეტად დაგვიახლოვდა, უფრო ძვირფასი შეიქნა მისი ამსახველი, მხატვრულად დამსურათებელი, მუდამ დაუვიწყარი ეგნატე.

რა არის ამის მიზეზი?

ჩვენ ყოველდღიურ საქმიანობაში ცხოვლად გვაინტერესებს არა მარტო ის, საითკენ მივისწრაფვით, არამედ ისიც, საიდან მოვდივართ, — გვაინტერესებს არა მარტო მომავლის პერსპექტივები, არამედ წარსულის გაკვეთილებიც. ნინოშვილმა დაგვიხატა ის გარდამავალი ეპოქა, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა რევოლუციონურ მოძრაობას, ხოლო ამ მოძრაობის დამაგვირგვინებელი შეიქნა მთელ ისტორიაში უდიდესად აღიარებული ოქტომბრის რევოლუცია. მართალია, ნინოშვილი არ მოსწრებია თვით ამ მოძრაობას, არ უწარმოებია მასში ხელჩართული ბრძოლა. მაგრამ მან განჭვრიტა იგი გონების თვალით და თავისი წვლილი შეიტანა მის მომზადებაში; მდიდარი ნიჭით დაჯილდოვებულმა მან უარყო პირადი კე-

თილდღეობა და უდიდესი სიყვარულით დახატა იმ დაჩაგრული კლასის ვითარება, რომელსაც მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ მოეწევდა ისტორიულ სარბიელზე გამოსვლა. რევოლიუციის მოღვაწეთა შორის ეგნატეს უეჭველად უკავია თავისი საპატიო ადგილი და [illegible] ლიტერატურულ მემკვიდრეობას ასეთივე საპატიო [illegible] მთელ ლიტერატურაში, წარმოადგენს სამაგალითო, მისაბაძ და კვლევა-ძიების საგანს.

დავახასიათოთ მოკლეთ მისი ეპოქა და აქედან გავითვალისწინოთ მისი შემოქმედების უმთავრესი მომენტები.

90-ანი წლები, როდესაც მოღვაწეობდა ეგნატე ნინოშვილი, დაშორებულია ბატონყმობის გაუქმების ხანას 25—30 წლით და წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების განმტკიცებას. ძველი ნატურალური მეურნეობა სწრაფად ირღვევა, ძლიერდება ვაჭრობა და რამოდენიმედ მრეწველობა. მიწის მესაკუთრე თავად-აზნაურობა ვალიანდება და გაკოტრების გზას ადგება. მის ადგილს იჭერს ფულის პატრონი — ვაჭარი, მევახშე, მრეწველი. მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას სოფლის მოსახლეობა წარმოადგენს, რომელიც დიდ ეკონომიურ ცვლილებას განიცდის; ხდება დიფერენციაცია; უმნიშვნელო უმცირესობა ფულის პატრონი ხდება, მევახშეობას ეწევა, მდიდრდება; დიდი უმრავლესობა გაჭირვებით სულს ღაფავს, — მას არა აქვს სამყოფად მიწა; რაც აქვს, — დატვირთულია უთვალავი ხარკებით; ის სიღატაკეში ვარდება, პაუპერი ხდება. ქალაქი ვერ ნთქავს სოფლიდან გამოქცეულ მუშა-ხელს; ის ადმინისტრატიულ ცენტრს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სამრეწველოს. ამიტომ სოფლის მუშის გადაქცევა პროლეტარად მძიმე ნაბიჯით მიმდინარეობს. საერთოდ, გლეხობის პროლეტარიზაცია მეტად მტკივნეულ ფორმებში სწარმოებს. სოფლიდან გამოქცეული გლეხობა სამუშაოს შოულობს უმეტესად არა ფაბრიკა-ქარხნებში, რომელთა რიცხვი ერთობ მცირეა, არამედ შინამრეწველობაში, წვრილ ხელოსნობაში, შინამოსამსახურეობაში და საერთოდ ისეთ დარგებში, სადაც მუშაობას სეზონური ხასიათი აქვს. ის ვერ სწყვეტს კავშირს თავის გამოფიტულ მიწის ნაჭერთან და ქალაქში შიმშილ-წყურვილით შემონახულ ორიოდე გროშს სოფელში უნაყოფოდ ხარჯავს. ის ვერც ქალაქში მაგრდება, ვერც სოფელში ირჩენს თავს.

ამნაირად, გაკოტრების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა, სიღატაკეში ჩაფლული გლეხობა, ახლად ფეხამდგარი ვაჭრობა-მრეწველობა და ამის შესაფერისად ჯერ კიდევ სუსტი და მცირე-რიცხოვანი მუშათა კლასი — აი რა სურათს წარმოადგენს 90-ანი წლების საქართველო, აი რა სოციალ-ეკონომიური ურთიერთობაა აქ გაბატონებული.

როგორ გამოძახილს პოულობს ყოველივე ეს მაშინდელ ლიტერატურაში? უნდა ითქვას გადაჭრით, რომ თუ იდეოლოგია საერთოდ ჩამორჩება ეკონომიურ განვითარებას, აქ ეს ჩამორჩენა მთელ უფსკრულს წარმოადგენს. ლიტერატურაში გამეფებულია ილია ჭავჭავაძის და აკაკის მიერ განმტკიცებული პატრიოტულ-რომანტიული მიმართულება, რომელსაც ახა-

სიათებს სამშობლოს სიყვარული, მისი ქება-დიდება, გოდება მისი ბრწყინვალე, მაგრამ დაუბრუნებელ წარსულზე და ოხვრა მის ყიმეტო მომავალზე. ეს მოტივები შეეფერება სამარისკენ მიმავალი თავადაზნაურობის სულისკვეთებას. „რა უშველის თავადაზნაურობას!“—ეს [illegible] ხშირი სიგრძე-სიგანით სდგას როგორც პუბლიცისტიკაში, ისე ხელოვნურ ნაწარმოებში და ამაოდ იმტვრევენ თავს მის გადასაწყვეტად. ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, დაწერილი 1887 წელს, გარს უტრიალებს ამ საკითხს და ცდილობს გამონახოს ისეთი ურთიერთობა თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის, რომელიც გადაარჩენს ბრწყინვალე წოდებას განადგურებისაგან. აქ სცენაზე გამოდიან საუკეთესო გლეხი გიორგი და საუკეთესო თავადები არჩილი და კესა, მაგრამ ესენიც ვერ ახერხებენ ავტორის სანუკვარ დაკავშირებას, მჭიდროდ შეერთებას, და ეს მაშინ როცა ავტორის მიერ იდეალურად წარმოდგენილი გლეხი თითქმის მზადაა ამ კავშირისათვის. საერთოდ ხომ გლეხობის და თავადაზნაურობის გაერთიანებაზე ლაპარაკიც მეტია: ხიდია ჩატეხილი მათ შორის. გლეხობის უნდობლობა თავად-აზნაურობისადმი ისე დიდია, რომ პირველი მეორის სიკეთეს სიკეთედ არ მიიჩნევს და მტრულად უყურებს. ნამდვილი ტრაგედიაა მისთვის, ვისაც მორიგება და გაერთიანება იდეალად დაუსახავს და ულმობელი სინამდვილე კი სრულიად საწინააღმდეგოს აჩეჩებს ხელში. სად არის ხსნა. რა გამოსავალია აქედან? ეს გამოსავალიც მდგომარეობის შესაფერისი გამოუნახავს ილია ჭავჭავაძეს: ეს არის ოხვრა. ტირილი, ცრემლი. დიახ, ცრემლი, რომელიც იმის შეგნებით არის გამოწვეული, რომ ხიდია ჩატეხილი და რომელიც იმდენი უნდა დაიღვაროს, რომ ხრამი ამოივსოს და დაშორებული ნაპირები ერთმანეთს შეუერთდეს.

სხვა საკითხია, რამდენად სწამდა თვით ჭავჭავაძეს, რომ ამ გზით გადასწყდებოდა მის მიერ წამოყენებული პრობლემა. ფაქტია, რომ მთელ ლიტერატურაში სუფევდა ასეთი უიმედობა, უილაჯობა და მისი შესაფერი პრაქტიკული უმოქმედობა. წარსულის ნანგრევები თვალწინ და მომავალის უქონლობა სავსებით გამოხატავდა ოდესღაც ძლიერი კლასის, თავადაზნაურობის მდგომარეობას.

აი ასეთ პირობებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ეგნატე ნინოშვილი.

ვინ იყო ეგნატე თავისი წარმოშობით თუ სოციალური მდგომარეობით?

ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული, ექვსი თვის ძუძუს-ბავშვობის დროს დაობლებული, ბიძის და მამიდის ამარა დატოვებული, ის, შეიძლება ითქვას — თვალის პირველ გახელისთანვე სვამს დუხჭირი ცხოვრების სამსალას და მთელ თავის სიცოცხლეს ისე ატარებს, რომ ოდნავაც არსად გრძნობს რაიმე პირად კეთილდღეობას. ამ პროლეტარის ეგრეთწოდებული პირადი ცხოვრება: აქ არის ძიება ლუკმაპურის, რომელიც არასოდეს არ არის ტკბილი, ძიება სწავლა-განათლების, რომლის კარი დახშულია, აურაცხელი ტანჯვა იმ უკურნებელი სენის მიერ მოყენებული, რომლის

წინააღმდეგ ბრძოლა უნაყოფოა. ნუ გამოვუდგებით მისი მრავალტანჯული ცხოვრების სრულ აღწერას, რომელიც მხოლოდ გააძლიერებდა ისედაც მძიმე შთაბეჭდილებას. მიღებული სურათიც საკმაოა იმის ნათელსაყოფად, რომ ეგნატე ვერ შეეთვისებოდა ვერც ერთ [illegible] ლიტერატურულ წრეს, ვერ შეეგუებოდა ვერც ერთ არსებულ ლიტერატურულ მიმდინარეობას. მას თავისი გზა უნდა მოეძებნა, თავისი მიმართულება უნდა ეპოვა.

2. ე. ნინოშვილის მსოფლმხედველობა

როგორ უნდა ყოფილიყო არსებულ პირობებში ეს გზა და მიმართულება?

ზოგიერთები წარმოადგენენ ეგნატეს, როგორც პროლეტარიატის იდეოლოგს. ეს შეცდომაა. მთელი მისი მხატვრული შემოქმედების საგანი გლეხობაა და არა პროლეტარიატი. შეუძლებელია გლეხობის სულისკვეთების, მისი ინტერესების საფუძველზე აღმოცენდეს პროლეტარული იდეოლოგია. ეს უკანასკნელი პროლეტარიატის მოძრაობას გულისხმობს, გულისხმობს არა მარტო იმას, რომ არსებობს პროლეტარიატი როგორც ასეთი, როგორც გაბატონებული კლასების ექსპლოატაციის საგანი, როგორც პროლეტარიატი თავისთავად, არამედ — როგორც პროლეტარიატი თავისთვის, რომელიც იწყებს თავისი ინტერესების შეგნებას და იბრძვის თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შემთხვევთი როდია, რომ ეგნატემ თავისი შემოქმედების საგნად გლეხობა აიღო და არა პროლეტარიატი. იმ ხანებში პროლეტარიატი მეტად სუსტი იყო, თავის სულისკვეთებას თითქმის ვერ ამჟღავნებდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენას ვერ ახდენდა. მის საგრძნობ ნაწილს გუშინდელი გლეხები წარმოადგენდენ, რომლებიც ხვალ ისევ სოფელს, ისევ გლეხურ ცხოვრებას დაუბრუნდებოდენ და ამ გლეხური ნაკადის წყალობით დიდი ადგილი ქონდა წვრილბურჟუაზიულ განწყობილებას თვით პროლეტარიატის ძირითად მასაში. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ეგნატემ თავისი ყურადღება მშრომელი ხალხის იმ ნაწილს მიაპყრო, რომელიც უფრო მრავალრიცხოვანი და ტრადიციითაც ძლიერი იყო.

მართალია ეგნატე ითვლება ეგრეთწოდებული მესამე დასის დამაარსებლად და იდეოლოგად, მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ის იყო პროლეტარიატის იდეოლოგი. თვით მესამე დასი იმდენად პოლიტიკურ მიმართულებას არ წარმოადგენდა გარკვეული პროგრამით და ტაქტიკით, რამდენადაც ერთგვარ ლიტერატურულ წრეს, რომელიც სხვადასხვა წამოჭრილი საკითხების გარკვევის დროს ოპოზიციაში უდგა უკვე განმტკიცებულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს და ჯგუფებს. თავადაზნაურობის და თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, რაც უნდა პროგრესიულიც იყოს ეს, თავისთავად არ მოასაწვებს პროლეტარიატის იდეოლოგობას. ცნობილია, რომ რუსეთის ლეგალური მარქსისტები ძლიერ ეტმას-

ნებოდენ მარქსიზმს — აქაო და ის კაპიტალიზმს პროგრესიულ მოვლენად აღიარებს ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგო; ისინი ცდილობდენ კაპიტალიზმის თეორიად გადაექციათ მარქსიზმი. მესამე დასე კი ერთგვარი სახეობა იყო ლეგალური მარქსიზმისა. მასში გაცილებით ადრე ეგნატეს სიკვდილის შემდეგ ბევრი თვით სახელითაც არამარქსისტი იყოფდა თავს. მაგრამ ამის პასუხისმგებლად ეგნატეს ვერ გავხდით. მან თავის დროზე სასარგებლო საქმე გააკეთა მესამე დასის დაარსებით. მაგრამ, ვიმეორებთ. ამით არ შეიძლება დამტკიცდეს, რომ ის პროლეტარიატის იდეოლოგი იყო. ამისთვის საჭირო იყო მარქსისტული მსოფლმხედველობის შეთვისება და მისი ზედმიწევნით სისტემატიური და განუხრელი გატარება პრაქტიკაში. ამის შესაძლებლობა კი ეგნატესათვის არ არსებობდა.

მართალია, მისი პუბლიცისტური წერილები ააშკარავებენ, რომ მისთვის უცხო არ იყო მარქსისტული იდეები, რომლებსაც ის მოხერხებულად იყენებდა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. „კაცობრიობის ცხოვრება ისე არ გაუმჯობესდება, — ამბობს ის — თუ არსებულ პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიურ ყოფაში ძირითადი ცვლილება არ მოხდა". ეს მარქსისტული აზრია და რომ მის დამწერს მარქსისკენ დიდი მისწრაფება ქონია, ამას ამტკიცებს შემდეგი ადგილი მისი ნაწერებიდან: „ის თაობა, რომელსაც მოხუცებამდე ჭეშმარიტებად მიაჩნდა მალტუსის, სეის, ბასტიას და სხვა მისთანა პოლიტიკო-ეკონომიური მოძღვრება. რა თქმა უნდა, მოხუცების დროს ველარ შეითვისებდა კარლ მარქსის პოლიტიკურ-ეკონომიურ მოძღვრებას, რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერებაში". აქ მარქსი პირდაპირ არის დასახელებული და მისი ღვაწლიც სწორად არის აღნიშნული. კიდევ მეტი ადგილების დასახელება შეიძლება, სადაც სჩანს, რომ ავტორი ეკონომიურ საკითხებში ემყარება პირდაპირ მარქსიდან თუ მეორე წყაროებიდან ამოღებულ მარქსისტულ აზრებს. მაგრამ ეს არის ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ამა თუ იმ შემთხვევის დროს და ამტკიცებს მხოლოდ, რომ ავტორს დიდი სურვილი ქონია მთელი მოძღვრების შეთვისებისა. შესაძლოა მან კიდეც მიაღწია ამას რამოდენიმედ, მაგრამ ეს მოხდა ალბად ცოტა ხნით ადრე მისი სიკვდილის წინ, როდესაც მას უკვე დაწერილი ან გამოქვეყნებული ქონდა თავისი ნაწერების უმრავლესობა, რომელიც უეჭველად ატარებს არამარქსისტული აზროვნების ბეჭედს.

მიუხედავად ამისა, თავისი შემოქმედების დროს ის ახლო იდგა მარქსიზმთან, პროლეტარულ მსოფლმხედველობასთან. ამას აადვილებდა თვით საგანი მისი წერისა: ღარიბ-ღატაკი გლეხობის მდგომარეობა მისი დაპირდაპირებით კლასობრივ მტრებთან. ეს ნახევრად პროლეტარები და მომავალი პროლეტარები იყვნენ, რომლის ტიპებს ის ასეთი ოსტატობით ხატავდა. კლასთა ბრძოლის თვალსაზრისი უნათებდა მას გზას სოციალური მოვლენების ასახვა-გაშუქების დროს. შესანიშნავი დაკვირვების ნიჭით აღჭურვილი, ის მხატვრული ინტუიციით სწვდებოდა მოვლენებს იმ სიღრმეს, რომელიც ჯერ თეორიაში არავის გაეშუქებია. საბოლოოდ

აქ ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრის ინტუიციასთან, რომელიც იხილავა სინამდვილის შესანიშნავ სურათს, მხატვრულად განსახიერებულს. მაგრამ ეს შეიძლება მოეპყრობოდეს არაპროლეტარულ იდეოლოგსაც. მხატვრის ინტუიცია სხვაა და შეგნებულად ჩამოყალიბებული, ობიექტური მსოფლმხედველობა კიდევ სხვაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, ვისი იდეოლოგი იყო ეგნატე ნინოშვილი? ის იყო გლეხობის სულისკვეთების გამომხატველი, მაგრამ არა მთელის, არამედ მისი ღარიბლატაკი, უკმაყოფილო, პროტესტის მატარებელი ნაწილის, მომავალში რევოლუციის მოკავშირის. მას სისტემატიური განათლება არ მიუღია და ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლის დროს ის თავის არსებაში ებრძოდა წიგნებიდან შემთხვევით შეთვისებულ სხვადასხვა შეუფერებელ შეხედულებებს, რომლის მსგავსი, მაგალითად ერთ წერილშია გამოთქმული: „...(ის) მთელ მის გულის სიღრმეში ჩაახედვებს, გულის სიღრმეში, სადაც პატიოსნება, კეთილშობილიური გრძნობები და ლტოლვილებანი გაცხოველებულან და ცხოველდებიან — ერთი სიტყვით, ის არის ტიპი ნამდვილი ივერიელისა, თავგანწირული პატრიოტი, რომელიც დარწმუნებული ვარ, ოდესმე შესწირავს სიცოცხლეს თავის სამშობლოს“. ეს, რასაკვირველია, ძველი ლათაიებია, რომლებიდანაც მალე განთავისუფლდა ეგნატე. თავისი ცხოვრების პირობებით ის პროლეტარი იყო, მთელი ძალღონით ცდილობდა შესაფერი მსოფლმხედველობა შეეთვისებია და მის შემოქმედების პროცესში მასში უეჭველად ისახებოდა, ფეხს იკიდბდა პროლეტარიატის იდეოლოგია. ამას ინსტიქტურად გრძნობდენ მისი მტრები და აკი სასტიკადაც ებრძოდენ მას. რომ დასცლოდა, რომ მოსწრებოდა მუშათა მოძრაობის ქარტეხილებს და ამასთან ერთად გასცნობოდა მარქსიზმს პირველ წყაროებიდან, ის სრულიად ბუნებრივად, უმტკივნელოდ, ყოველივე რყევის და შინაგანი ბრძოლის გარეშე უეჭველად გახდებოდა პროლეტარიატის იდეოლოგი, და მეტად თვალსაჩინო იდეოლოგიც. საამისოდ ყველა ელემენტი ჭარბად მოიპოვებოდა მის ძლიერ სულიერ არსებაში. მაგრამ ის არ მოხდა, სიკვდილმა შესწყვიტა მისი იდეოლოგიის დასრულების პროცესი და ეს იდეოლოგია დარჩა გაურკვეველი, უპერსპექტივო, სწორედ ისე, როგორც გაურკვეველი და უპერსპექტივოა ღარიბი გლეხობის მდგომარეობა, სანამ ის არ გადასულა პროლეტარიატში, ან არ დამდგარა პროლეტარიატის თვალსაზრისზე.

მაგრამ დავანებოთ თავი იმის გამორკვევას, თუ რა იქნებოდა ეგნატე მომავალში და განვიხილოთ ის იმ სახით, როგორც ის წარმოგვიდგება თავის შემოქმედებაში. ეს შემოქმედება, როგორც ძვირფასი მემკვიდრეობა, მოქცეულია პროლეტარიატის კულტურულ ღირებულებათა ინვენტარში.

როგორც ვთქვით, ეგნატემ თავის შემოქმედების საგნად გლეხობა აიღო. ამით განისაზღვრება მისი ნაწარმოებების უმთავრესი მომენტები. რა პროგრამა, რა იდეალი უნდა დაესახა მას გლეხობის სამოქმედოდ? რა გზა უნდა ამოერჩია მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? წვრილი მესაკუთრე გლეხი, როგორც ასეთი, ბურჟუაზიული წყობილების პირო-

ბებში, თანაც იმ დროს, როდესაც ქალაქის პროლეტარიატი ჯერ კიდევ სუსტია, ვერ იძლევა შესაძლებლობას მძლავრი მოძრაობის შეიქმნელად. ამის მიზეზია მთელი მისი ცხოვრების პირობები... აქ საყურადღებოა მარქსის ცნობილი აზრი, რომელიც მან გამოთქვა საფრანგეთის გლეხობის შესახებ „18 ბრიუმერში“.

თვით ნინოშვილის ნაწერების მიხედვით, რა გამწარებულიც უნდა იყოს გლეხის მდგომარეობა, რა პროტესტიც უნდა დუღდეს მის არსებაში, სანამ ის თავის ამარაა მიტოვებული, მას მეტი არაფერი შეუძლია რომ ან თავი მოიკლას, ან ყაჩაღად გავარდეს.

3. ე. ნინოშვილის შემოქმედება.

ავიღოთ მოთხრობა „გოგია უიშვილი“. შეუძლებელია მეტი სიმძაფრით გამოიხატოს გლეხის ილაჯ-გაწყვეტილი მდგომარეობა, როგორც აქ არის მოცემული. ის წელებზე ფეხს იდგამს, რომ ოჯახი ნახევრადმშივრულ მდგომარეობაში მაინც ამყოფოს და ამავე დროს მას თავზე დასწოლიან და უკანასკნელ სისხლს სწოვენ მემამულე, ხუცესი, სახელმწიფო. აი როგორ მოსთქვამს, უიშვილი თავის ბედს: „...ახლა ნადელის ფული. ახლა ხუცესის ფული, ახლა ფოშტის ფული, ახლა გზის სამუშაო და რა ვიცი, ათასი ჯანაბა უნდა გადაიაროს ამ ჩვენს ზურგზე! ამასაც აღარ დაგვიჯერეს, თქვენში ავი კაცები ბუდობსო, ასწიეს შარშან და ეკუციით დააფსეს ჩვენი სოფელი! ახლა კიდევ ეკუციაო! ბარემ ამოგვხადონ სული!“.

თვით ავტორი ამ სიტყვებით გვისურათებს გოგია უიშვილის მდგომარეობას: „მუდამ მოუსვენარი ხარივით შრომა, ოფლის ღვრა, ჭაპანლლეტა და მაინც ცოლშვილი შიშველი-ტიტველი, ხშირად მშიერიც; მიწამამული მის ბარაზე არსად მოიპოვება ნაბატონარი—საბეგრო მიწის გარდა; გადასახადი დღითი-დღე მატულობს, უფროსი, მებატონე, მღვდელი, მამასახლისი, ასე გასინჯეთ, ნაცვალიც კი უწყრება და იჯაბნებს... სახსარი ცხოვრების გაუმჯობესებისა არსადა სჩანს. ნუთუ არ დაღონდება და არ მოსძულდება თავი!“

ავტორის გმირი მით უფრო უნდა დაღონდეს, რომ ის თითონ ცხადად ხედავს თავის მდგომარეობას. მას ჭკუის გამჭრიახობა არ აკლია და იცის, სად არის მიზეზი მისი უმწეობისა. გოგია „ხშირად ისეთ რამეებსაც ლაპარაკობდა, რომ მაყურებლები ამბობდენ — ადგილზე რომ მიაღწიოს ამ სიტყვებმა, გოგიას უციმბიროთ არ დაარჩენენო“. ეტყობა გოგია არ ერიდებოდა თვით მეფის შეურაცხყოფასაც. არც ღმერთის და მის მსახურს ინდობდა გოგია: „ერთხელ ეკლესიაზე გოგია ჩაერია ლაპარაკში და ისეთი რამეები წამოროყა, რომ მღვდელი ოქმის შედგენას უპირებდა, თუ ხალხს არ ეთხოვა მღვდელისათვის — შეუნდეთ, ესეთი უსტავლელი, ბრიყვი კაცია, არ გაეგება რას ლაპარაკობსო“.

გოგია საახალწლოდ ემზადება, უნდა ერთი ბედნიერი დღე გაითენოს ცოლშვილში. — ამ დროს მოვლენ მთავრობის აგენტები გადასახადისთვის-

საახალწლო მარაგს წაართმევენ, თითონ გოგიას გალახავენ, თავს გაუტეხენ და სამართველოშიაც წაათრევენ შემდეგი სასჯელის მოსახდელად. აქ მას როზგს დაარტყამენ და დაატუსაღებენ. განთავისუფლებული გოგია მოდის სახლში და ახალწლის შეგებების ნაცვლად ფოფეთ თავს იკლას.

ავტორის მთელი თანაგრძნობა გოგიას მხარეზეა, მაგრამ ის მას ვერ ურჩევს სხვანაირად მოქცევას. გოგიამ დააპირა თოფით დაეცვა თავი, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. შემდეგ კი შეურაცყოფილს და გათელილს სხვა გზა არ დარჩენოდა: ასეთი ბოლო ულმობლად მოსდევს მის მდგომარეობას.

გლეხი უნდა იტანჯოს და თუ ვერ აიტანა ტანჯვა, უნდა გაეცალოს ამ წუთისოფელს. ასეთია გლეხის ცხოვრების ულმობელი კანონი! გოგია გაეცალა მას თვითმკვლელობით. მეორე გლეხი სიმონა ძალაძე, რომელიც უსამართლოდ ციხეში ჩასვეს და ცოლი გაუუპატიურეს, ეცლება ამ წუთი-სოფელს ყაჩაღად გავარდნით. მესამე გლეხი—ივანე—ბუნების სტიქიონური ძალის, პალიასტომის ტბის მსხვერპლი ხდება.

რა უნდა ურჩიოს, რა გამოსავალი უნდა მონახოს ავტორმა ყველა ამ შემთხვევებში? მხოლოდ ის, რომ შვილებს უსურვოს, მამების ბედი აშორებოდეს მათ, როგორც ეს მან უსურვა გოგია უიშვილის ვაჟს.

ნინოშვილმა იცის, რომ აქედან გამოსავალი მხოლოდ ერთია — ეს არის რევოლუცია. მაგრამ ეს მეტად ზოგადი ცოდნაა. ერთი კაცი ხომ რევოლუციას ვერ მოახდენს. ერთი რევოლუციონური აქტი, ვთქვათ ტერორი, რომელსაც ასე თანაუგრძნობს ნინოშვილი, ხომ ვერ სწყვეტს საქმეს! რუსეთის რევოლუციონერებმა თვით მეფეც კი მოკლეს. მაგრამ მოკლულის შვილი, მხეცი ალექსანდრე მესამე თავისუფლად დათარეშობდა და სულშემხუთავ რეაქციას აგრძელებდა. მხოლოდ პარიზის ინტერნაციონალურ კონგრესზე 1889 წელს გადმოისროლა პლეხანოვმა, რომელიც მაშინ რევოლუციონური მარქსიზმის წარმომადგენელი იყო, შესანიშნავი ლოზუნგი: რუსეთის რევოლუციონური მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან სრულიად ვერ გაიმარჯვებსო. მაგრამ ეს იყო გამოხატულება რუსეთში უკვე ფეხადგმული და გაძლიერებული მუშათა მოძრაობისა, რომლის ტალღას ჩვენამდე კიდევ ვერ მოელწია; გარდა ამისა თვით ეს ლოზუნგიც მიუწვდომელი იყო ევროპიდან მოწყვეტილი ნინოშვილისთვის.

4. ნამდვილ ამბების ტიპიურ ამბებად გადაქცევის ოსტატი.

მაგრამ ნინოშვილმა იცის რევოლუციაზე წერა, როდესაც მას ამის შემთხვევა ეძლევა, იცის ისეთი მხატვრული სახეების მოცემა, რომელიც შედევრად აქცევს მის ნაწარმოებს. ასეთია მისი „ჯანყი გურიაში“. განსვენებულმა სიმონ ხუნდაძემ გამოიკვლია, რომ ყველა ფაქტი და მომქმედი პირი, რომელიც გამოყვანილი ყავს ავტორს, ისტორიულ სიმართლეს შეეფერება. აი როგორი დასკვნა გამოყავს მას ისტორიული ფაქტებისა და რომანის ფაქტების შედარების შემდეგ: „როდესაც, ერთის მხრივ,

ეცნობით ამ აჯანყების ფაქტებსა და, მეორეს მხრივ, კითხულობთ ჩვენი ავტორის რომანს, — თქვენ ნათლად გრძნობთ, რომ ავტორს ავტორად თავისი რომანის ამბები ისტორიული ფაქტების ჩარჩოებში ჩაუყენებია და ამ გარკვეულ ისტორიულ ფონზე გაუშლია რომანის შინაარსი. ავტორი არა მარტო ასახელებს აჯანყებაში მომქმედ ისტორიულ პირებს — **ამბაკო შალიკაშვილს, ბრუსილოვს, ნაკაშიძეს, ხასან-ბეგ თავდგირიძეს, იმერეთის მილიციის უფროსს წერეთელს, დადიანს, მთელ რიგ გლეხებს — თოიძეს, მჭედელს** და სხვა — არამედ ნამდვილი ისტორიული ვითარების მიხედვით ასახავს რომანში აჯანყების მსვლელობასაც... აღსანიშნავია, რომ ისტორიული სისწორით არის აღნიშნული ჯარისა და შეტაკების გეოგრაფიული მდებარეობა და ამ შეტაკების შედეგები, ოზურგეთის გარემოცვა ჯანყებულთა მიერ, დადიანის მოსვლა მეგრელთა მილიციით... და სხვა".

ნაფიცმა კრიტიკოსებმა სხვა ნაკლი რომ ვერ უპოვეს ნინოშვილს, შარი მოსდეს — ნამდვილ ამბებს სწერს, პროტოკოლისტია და არა მხატვარი. ის ნამდვილ ამბებს კი არა, სინამდვილეს ასახავდა და ამაშია მისი ღირსება. მან იცოდა ხერხი ნამდვილი ცალკეული ამბების ტიპიურ ამბებად გადაქცევისა, მაგრამ ეს იმიტომ ეხერხებოდა მას, რომ სინამდვილის ნიადაგს არასოდეს არ სცილდებოდა, გულდასმით სწავლობდა და იკვლევდა მას და დაიპყრობდა რა მასალას, მაშინ შეუდგებოდა მის მხატვრულ ტილოზე გადატანას. ამიტომაც არც ერთი ფანტასტიური ან დაუჯერებელი ამბავი არ მოიპოვება მის ნაწერებში. და ეს კი არ ვნებს მისი ნაწერების მხატვრულ მხარეს, პირიქით, უფრო მაღლა აყენებს მას. თუ სხვა რომანების წერის დროს ის პირად დაკვირვებას ემყარებოდა, „ჯანყი გურიაში" მისგან მოითხოვდა დიდი ხნის წინად მომხდარი ფაქტების შესწავლას, მაგრამ არა პროლეტარიატის თვალსაზრისით, არამედ ნამდვილი მკვლევარის მიდგომით. ნინოშვილმა გულდასმით შეისწავლა რომანის მასალა და განსაცვიფრებელია, რომ ყველა ფაქტს და ყოველ დეტალს თავისი ალაგი მიუჩინა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ეს რომანი მისი პირველი მხატვრული ნაწარმოებია და უკვე აქ დასრულებულად მოსჩანს ნინოშვილი, როგორც მხატვარი და როგორც მოაზრე. აქ პირველად გაილაშქრა მან იმ დროს საყოველთაოდ გაბატონებული ნაციონალისტური მიმართულების წინააღმდეგ და აქ გამოთქმული აზრები გადიტანა მშრომელი ხალხის სამოქმედო პროგრამად. არა რუსების სიძულვილი და მათი განდევნა, როგორც ეს ეწერა ყოველი ნაციონალისტის დროშაზე, არამედ კავშირი რუსეთის მშრომელ ხალხთან და მისი ბედის გაზიარება — აი რა წამოაყენა მან თავისი გმირის გიორგის სახით, რომლის პრითაც თვით ავტორი ლაპარაკობს.

არა ნაკლებ შესანიშნავია ისიც, რომ ნაციონალურ ომს ის უპირდაპირებს სამოქალაქო ომს, თავად-აზნაურობის მიერ წამოყენებულ და რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მორაობას ის სასტიკად აკრიტიკებს და ამის მაგივრად ცდილობს დარაზმოს გლეხობა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ,

ე. ი. თავისი ქვეყნის გაბატონებული კლასის წინააღმდეგ. მხატვრის ინტუიცია და მოაზროვნის შორსმჭვრეტელობა აქ ერთმანეთს ეხმარება და გვაძლევს საკვებით სწორ ორიენტაციას დიდ მოძრაობაში სწორი გზის გასარკვევად.

მართალია, ეს რომანი მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა (ალბათ უმთავრესად ცენზურის მუხრუჭების გამო), მაგრამ ის ნინოშვილის პროგრამას წარმოადგენდა, რომლის პროპაგანდას ის ენერგიულად ეწეოდა როგორც მწერლობით, ისე სიტყვიერად.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ყოველი წვრილმანი მას აწონ-დაწონილი აქვს, ორგანიულად ექსოვება მთელ ნაწარმოებს და ამგვარად უკვე აღარ წარმოადგენს წვრილმანს ჩვეულებრივი გაგებით. აი მაგალითიც:

რა იყო აჯანყების მიზეზი? ჯერ ერთი, თავად-აზნაურობის მისწრაფება თავიანთი შელახული უფლებების აღდგენისა და მეორეც კომლზე ფულადი გადასახადის შემოღებით გამოწვეული მღელვარება გლეხთა შორის. ეს გადასახადი, თუ დღევანდელი საზომით მივუდგებით, მეტად მცირე და უმნიშვნელო იყო, სულ რაღაც ხუთი შაური. ამიტომ სიმონ ხუნდაძე ფიქრობს, რომ ეს გადასახადი მხოლოდ საბაბი იყო და არა მიზეზი; „პირველად მათი (გლეხების) აღელვების საბაბად გადაიქცა რუსეთის მთავრობის განცხადება — ჩვენს ხაზინას ყოველწლიურად კომლზე ფული უნდა აძლიოთო“. ნინოშვილი ასე არ უყურებს საკითხს; ის სწერს: „რუსეთის მთავრობამ გამოუცხადა გურიის გლეხკაცობას, რომ ჩვენს ხაზინას ყოველწლიურად კომლზე ფული უნდა აძლიოთო. ამ გამოცხადებამ ალმურიანი ცეცხლი დაანთო გურიის ხალხის, ამ დროს უიმისოთაც აღრინებულს გულში. ამ შემთხვევით ისარგებლა ცბიერმა თავდგირიძემ, აღუთქვა გურიის ხალს შემწეობა ტყვია-წამლით, თოფ-იარაღით, ჯარით, ფულით და სხვებით და 1841 წელს ააჯანყა ისინი რუსეთის წინააღმდეგ“. ამ გადასახადის მნიშვნელობას ნინოშვილი არც მაშინ ეხსნება, როდესაც ის იმდენად ანვითარებს თავის რომანს, რომ უკვე ბატონ-ყმობის გაუქმებას მოითხოვს აჯანყებული ხალხი; „ახლა კი ყველამ იცოდა, რომ მისი აჯანყების მიზანი ბატონყმობის დარღვევა და ახალ გამოცხადებულ გადასახადზე უარისყოფა იყო“.

თითქო ეს წვრილმანია, მაგრამ დამახასიათებელია ეგნატეს სწორი ალღოსთვის და მის მიერ საგნის კეთილსინდისიერი შესწავლისათვის. საქმე იმაშია, რომ ხუთ-შაურიანი გადასახადის შემოღება იმ დროს არ იყო „სრულიად უმნიშვნელო ფაქტი“, როგორიც ეს ბევრს გონია. საქმე ხუთი შაურის ოდენობის ღირებულებაში კი არ არის, საქმე თვით გადასახადის ფორმაშია. ნატურალურ მეურნეობაში გადასახადიც ჩვეულებრივ ნატურალური ფორმისაა, და ამ გადასახადის ფულადი ფორმით აღება ადვილი არ არის, ამას ეწინააღმდეგება თვითონ წარმოების პირობები, გურიაში 1841 წ. (ე. ი. აჯანყების ხანაში) ნატურალური მეურნეობა იყო გამეფებული; ხუთი შაურის გაღების ნაცვლად გურულებისაგან რომ

მოეთხოვათ ერთი ან ორი დღის მუშაობა, შეიძლება ამაზე მათ ხმაც არ ამოეღოთ, ფულად გადასახადს კი სრულიად ბუნებრივად შეეძლო მათი აღელვება გამოეწვია. ამას ღრმა ეკონომიური მიზეზი უდგა საფუძვლად. მარქსი განსაკუთრებული ყურადღებით იხილავს ამ მოვლენას და მეგნაირად გამოგვცემს მას: „საქონლის წარმოების განვითარების განსაზღვრულ დონეზე და ფარგლებში, ფულის, როგორც გადასახადის საშუალების, ფუნქცია არ კმაყოფილდება საქონლის მიმოქცევის სფეროთი, ფული ყოველი ხელშეკრულების საყოველთაო საქონელი ხდება, რენტა, ხარკი და სხვ. ნატურალური გადასახადიდან ფულად გადასახადად იქცევა. თუ რა ძლიერ დამოკიდებულია ასეთი გადაქცევა წარმოების პროცესის საერთო ხასიათზე, ამას გვიჩვენებს მაგალითად, ორჯერ მომხდარი უნაყოფო ცდა რომის იმპერიისა, რომ ფულით აკრეფილიყო ყველ გადასახადი. საფრანგეთის გლეხების საშინელი სიღარიბე ლუი მე-14 დროს, ასე მჭერმეტყველურად დაგმობილი ბუაგილბერის, მარშალ ვობანის და სხვების მიერ, გამოწვეული იყო არა მარტო ხარკების სიდიდით, არამედ მათი გადაქცევით ნატურალური ფორმიდან ფულად ფორმაში; აზიაში მიწის რენტის ნატურალური ფორმა იმავე დროს სახელმწიფო ხარკების მთავარ ელემენტს შეადგენს; იგი დამყარებულია საწარმოო ურთიერთობაზე, რომელიც უცვლელად მეორდება მსგავსად ბუნების მოვლენათა და უკუქცევითი გავლენით განამტკიცებს თავის მხრივ წარმოების ძველ ფორმას. იგი წარმოადგენს ოსმალეთის იმპერიის გამძლეობის ერთ-ერთ საიდუმლოებას. თუ საგარეო ვაჭრობა, რომელიც ევროპამ იაპონიას თავზე მოახვია, გამოიწვევს ამ ქვეყანაში ნატურალური რენტის ფულად რენტათ გადაქცევას, მაშინ იაპონიის სანიმუშო სამიწათმოქმედო კულტურის აღსასრულიც დადგება და დაინგრევა მისი არსებობის ვიწრო ეკონომიური საფუძველი“ („კაპიტალი“, ტ. 1, გვ. 102 — 103).

როგორც ხედავთ, ფულადი გადასახადის აღება ნატურალური მეურნეობის ქვეყანაში ადვილი საქმე არ არის, ეს ეხება თვით წარმოების საფუძველს და მისი გატარება მოასწავებს მთელ რევოლუციას. ეგნატე ნინოშვილი ვერ შეიყვანა შეცდომაში გადასახადის რაოდენობამ (ხუთმა შაურმა) და ფაქტი ისე გადმოგვცა, როგორც ნამდვილად უნდა ყოფილიყო. თუ ვერ ვიტყვით, რომ ამას საფუძვლად ედვა პოლიტიკური ეკონომიის ღრმა ცოდნა, ის უეჭველია, რომ პირადი დაკვირვებით ამ მოვლენის მნიშვნელობას ის მიმხვდარი იყო. ერთ ჩვეულებრივ კორესპონდენციაში გურიიდან ის შემდეგს მოგვითხრობს:

„ვინ მოსთვლის რამდენი სიმწარე და მწუხარება უნახავთ გზის საკეთებლად გაწვეულ გლეხებს! რამდენ თოვლ-ჭყაპიან და ყინვიან ტაროსებში გდებულან უსახსროდ ტრიალ მინდორში! ვინ მოსთვლის იმასაც, რამდენჯერ გზის საკეთებლად გაწვეულ გლეხებს „ნაზირატელის“ ოჯახშიაც უმსახურია მთელი კვირაობით, უზიდავს წყალი, შეშა, ფქვილი და სხვანი „ნაზირატელის“ ოჯახისათვის. მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდე რაკი გზის კეთება მარტო გლეხების მკლავზე იყო დამოკიდებული და

არა იმათ ჯიბეზე, ისინი როგორც იყო უძლებდენ ყველაფერს. ამ უკანასკნელ დროს კი, გლეხების სამწუხაროდ, სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე. „ტარშინებმა“ გამოუცხადეს გლეხებს — გზის კეთებლად გაწვევა გვიპატიებია, მაგრამ სამაგიეროდ გზის გასაკეთებელ ფულებზე ბევრი ჭინჭილ-მინჭილი არ იყოსო! ფულით გზების კეთება ჩვენ სად შეგვიძლია, მამასახლისო? ჩვეულებრივი თავის ფხანით უპასუხებს გლეხობა: ჩვენი ფული ჩვენივე მკლავიაო“ („მნათობი“ № 5—6, 1932 წლისა, გვ. 237).

თუ ასეთ პასუხს აძლევს გლეხობა 90-იან წლებში, როდესაც კაპიტალისტურ მეურნეობას უკვე გაკაფული ქონდა გზა, რა იქნებოდა ნახევარი საუკუნის წინად, როდესაც საქონლის და ფულის მეურნეობა უცხო ხილს წარმოადგენდა.

5. კლასთა ბრძოლის გამოხატულება ნინოშვილის შემოქმედებაში.

ჩვენ იმისთვის შევჩერდით ამდენხანს ამ საკითხზე, რომ ის ნათლად გვიჩვენებს — რა სერიოზულად და კეთილსინდისიერად ეკიდებოდა საქმეს ჩვენი ავტორი. ყოველ მის მოთხრობაში სჩანს, რომ მას თემა ყოველმხრივ გაშინჯული აქვს, ტიპები ღრმად მოფიქრებული, მოქმედების განვითარება მრავალჯერ აწონ-დაწონილი. ის გასართობად არა სწერს თავის მოთხრობებს და ამიტომ არ მისდევს ეფექტიან სცენებს. მისთვის საკმარისია თუ თავის იდეას ხორცი შეასხა და ცოცხალი ტიპების სახით ცოცხალ მოქმედებაში წარმოგვიდგინა. ეს იდეები მუდამ რომელიმე საზოგადოებრივი საჭირბოროტო საკითხითაა გამოწვეული. კლასობრივ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლაა ის ღერძი, რომლის ნიადაგზე ვითარდება ადამიანთა ურთიერთობა. ეგნეტემ კარგად იცის ეს და შეგნებულად იღებს მას თავის სახელმძღვანელო პრინციპად.

ეს ტენდენციურობაა—გვეუბნებიან, რომელიც ნაწარმოების მხატვრულ მხარეს ვნებსო. ტენდენციურობა ეს კი არ არის, ამის მიჩქმალვა და მიფუჩეჩებაა ყველაზე უარესი ტენდენციურობა. რა დაკარგა ეგნატეს ნაწარმოებმა, მით, რომ კლასთა ბრძოლის თვალსაზრისი იქ წითელი ზოლივით არის გავლებული! თქვენ აქ ხედავთ თვით ცხოვრების სიღრმიდან ამოღებულ ადამიანებს და მათ ურთიერთობას, შეჯახ-შემოჯახებას, ბრძოლას, ინტერესთა ერთობას ან სხვადასხვაობას. აქ ტიპები კლასებს, წრეებს, ჯგუფებს წარმოადგენენ და გვიჩვენებენ ინტერესთა გადახლართვას სწორედ ისე, როგორც ეს ცხოვრებაში სწარმოებს. განა დავით დროიძე და სიმონ ძალაძე მოგონილი ამბავია? თვითნებურად შეთხზული ან ტენდენციური ტიპებია? ეს ხომ ორი სხვადასხვა კლასის წარმომადგენელია და მათი შეჯახება სრულიად ბუნებრივია. განა ტარიელ მკლავაძე და სპირიდონ მცირიშვილი არ ამჟღავნებენ, რომელ კლასს ეკუთვნიან მდგომარეობით და მისწრაფებით? განა გოგია უიშვილი უსწორო ბრძოლაში არ არის ჩართული მთავრობის მთელ რიგ მოხელეებთან?

და განა ამით ამ ტიპების სიცხოველეს რამე აკლდება? ან იქნებ ყველაფერი ეს გადამეტებულად არის წარმოდგენილი და დამაჯერებლად ვერ არის მოცემული? ან იქნებ ინტერესით არ იკითხება და მოსაწყენ რამეს წარმოადგენს? ამას ვერავინ იტყვის ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებზე. მაშ რაღაშია მხატვრული ხარისხის საზომი? სად უნდა ვეძიოთ, თუ არა ნაწარმოების იდეურობაში, ტიპების ცხოვლად განსახიერებაში, მოქმედების ბუნებრივად განვითარებაში და მისდამი მკითხველი მასის მხრივ შეუნელებელ ინტერესის გამოჩენაში.

ყველა ეს თვისებები ახასიათებს ნინოშვილის ნაწერებს და ისინი უეჭველად მაღალი ხარისხის მხატვრული ნაწარმოებია. სოციალური თემების დამუშავების, კლასთა ბრძოლის ხაზის გატარების მხრივ ნინოშვილს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელ ქართულ ლიტერატურაში, — ამ მხრივ მას თანამედროვეთა შორის და (იქნებ შემდეგაც, დღემდე) ბადალი არა ყავს.

იდეურობის მხრივ რა თქმა უნდა თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძეს. მაგრამ ეს მხოლოდ მისი დროისთვის. ნინოშვილი შემდეგი ეპოქის შვილია და გასაკვირიც არ არის ის უფრო მაღლა იდგეს თავის წინამორბედებზე. ავიღოთ თუნდ მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც სრულიად არ გააჩნია ილია ჭავჭავაძეს, ხოლო ნინოშვილში ნათლად სჩანს ბუნებისმეტყველური მატერიალიზმი. ეს მომენტი მათ ნაწარმოებს თავის ბეჭედს ასვამს. მაშინ როდესაც ჭავჭავაძის ნაწერები გაჟღენთილია ქრისტიანულ-რელიგიური ელემენტებით („გლახის ნაამბობის“ მღვდელი და სხვ.), ნინოშვილის გმირები აშკარად უარყოფენ ღმერთს და რელიგიის რიტუალებს.

ნინოშვილსაც ახასიათებს შესამჩნევი ნაკლი, რომელიც შემდეგი თაობის მწერლებისათვის უკვე მიუტევებელია. ის, მაგალითად, ხშირად ეხება ხალხის ცრუმორწმუნეობას, ჩამორჩენილობას და ფიქრობს, რომ ამის მიზეზი გაუნათლებლობაა და არა პირიქით, რომ ჩამორჩენილი ცხოვრების პირობები ამტკიცებენ და ასაზრდოებენ ხალხის უმეცრებას. ეს ცხადად სჩანს ისეთ ნაწარმოებში, როგორიც არის „უცნაური სენი“.

ჩვენ ვერ გამოვუდგებით ყველა მისი მოთხრობების დახასიათებას. საკმარისია ერთი მათი გახსენება, რომ თვალწინ დაგვიდგეს მთელი გალერია განსაკუთრებული ტიპებისა, თუნდაც ისინი ერთი და იმავე წრიდან იყვნენ აღებული და დაახლოებით ერთსა და იმავე თემატიურ მასალას წარმოადგენდენ. ერთ მხარეზე დგანან დროიძეები, მკლავაძეები, იასონები, მოსე მწერლები, მეორე მხარეს — ერთმანეთის უფრო მონათესავე ტიპები: უიშვილები, ძალაძეები, მუნჯაძეები, აგრეთვე მცირიშვილები. მეტად ცხოვლად ყავს ნინოშვილს დახატული ქალები და მათი ორმაგი დაჩაგვრა მამაკაცთან შედარებით. თქვენ თვალწინ გაივლის ქრისტინე, როგორც მსხვერპლი გაბატონებული წრის წარმომადგენელი მამაკაცის უდიერობისა, დესპინე, როგორც მსხვერპლი ასეთივე მამაკაცის აღვირახსნილობისა, შემდეგ მელანია („პარტახში“), როგორც მსხვერპლი

ჩამორჩენილი ცხოვრების პირობებისა, დარია — ეს ფანატიკური, და თავდადებული მოსაქმე ოჯახის კეთილდღეობისა, მარინე, რომელიც უკანასკნელ წვეთამდე სვამს იმავე ფიალას, რომელიც მისმა ქმარმა უკვე დაცლია და სხვ.

ნუ თუ ქალთა ტიპების მხრივ ასეთი სიმდიდრე [illegible] მოვლენაა და არ მოწმობს მათი შემქნელის მაღალ მხატვრულ ნიჭს?

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტური ნაწერების შესახებ. მას დიდი მიდრეკილება ქონდა პუბლიცისტური მოღვაწეობისაკენ და გარემოებას რომ ოდნავ მაინც ხელი შეეწყო (მაგალითად, საკუთარი ბეჭდვითი ორგანო რომ ქონოდა), ის გაცილებით მეტ პუბლიცისტურ ნაწერს დაგვიტოვებდა. რაც დაგვიტოვა, იმაშიაც აშკარად სჩანს მისი უტყუარი ნიჭი. საკითხის ნათლად დაყენება და მისი ყოველმხრივი გაშუქება ახასიათებს მის პუბლიცისტურ ნაწერებს.

იმ ხანად ცხარე კამათი სწარმოებდა ერთის მხრივ ეგნატე ნინოშვილსა და მეორე მხრივ პლებსსა და მეველეს შორის. სადავო საგანათ იყო კაპიტალიზმის დანერგვა საქართველოში და მისდამი დამოკიდებულება სახალხო მოღვაწისა. თუ წინეთ იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ დამღუპველია კაპიტალიზმის შემოსვლაო, ახლა, როცა იგი ფაქტი შეიქნა, საკითხი წამოიჭრა ქართველი კაპიტალისტების სასურველობაზე. რასაკვირველია, ეგნატეს მოწინააღმდეგენი ამ საკითხს ეროვნული ინტერესების საფარველ ქვეშ აყენებდენ და მით მის ნამდვილ არსებას ჩქმალავდენ.

ნინოშვილი შემდეგნაირად ეკამათება მათ:

„თუ მეველესა ან პლებსს ამჟამად მხოლოდ „უფროსთა“ (თავადაზნაურობა უნდა ვიგულისხმოთ) გამდიდრება აქვთ მხედველობაში, „ჩვენს ერზე“ ლაპარაკით რაღად გვაძულებენ თავს! ნუ თუ არ იციან, რომ მარტო „უფროსნი“ არ შეადგენენ ერს?! მართალია, პლებსი ადვილად იშორებს ამ კითხვას თავიდან ერთი გაცვეთილი ანდაზით: ღვინო არსად იყო და გუდას ალბობდენო, ვითომდა, ჯერ რა დროს „უმცროსებზე“ ლაპარაკია, „უფროსნი“ არ გამდიდრებულანო. აცათ, ჯერ ეგენი (უფროსნი) დამდიდრდენ და შემდეგ ნახეთ, თუ „უმცროსნი“ არ გავიხსენოთო. მაგრამ ვერ დავუჯერებთ პლებსს. მისი სიტყვით, ჯერ სიმდიდრე არსად არის, მაგრამ მაინც კი აიღო პლებსმა და „უფროსებს“ და მათ **ძაღლებს** არგუნა. ნუ თუ წარმოსადგენია ამის შემდეგ, რომ როცა სიმდიდრე გაჩნდება და „უფროსნი“ და მათი **ძაღლები** დაისაკუთრებენ, „უმცროსთ“ გაუყონ?!“.

მეორე ალაგას იმავე აზრს შემდეგნაირად განმარტავს ჩვენი ავტორი: „იქნება გვითხრან: რაც უნდა იყოს, მაინც უნდა გიხაროდეთ, რადგანაც ქართველი კაცი, შენი მოძმე გამდიდრდებაო. ვერაფერი ნუგეშია, ჩემო კარგო, თუ კი ჩვენ, უმცროსნი შიმშილით დავიხოცებით. ჩვენებური ანდაზაა: თუ შემჭამს, გინდა შავი ტყის მგელს შეუჭამივარ და გინდ შინაურ ძაღლსაო, მაინც შეჭმაო. მაგრამ დროა, დავეხსნათ ჩვენს პაწაწინა ბურჟუებს, იმათ თუნდ პლებსობა დაირქვან თუნდ გრაკხობა. ეს

სულ მოსატყუებელი სახელები იქნება, რადგანაც ისინი ყოველთვის და ყოველგან პატრიციების ინტერესებს დაიცავენ".

აღარ გავაგრძელებ ამონაწერების მოტანას. ეს დავა 90-იანი წლების მიწურულში კვლავ წამოიჭრა, იმხანად არჩილ ჯორჯაძემ გამოიტანა ეგრედწოდებული „საერთო ნიადაგის" საკითხი, რაიცა ნიშნავდა მოწინააღმდეგე კლასების შერიგებას — იმ დრომდე, ვიდრე ქართველი კაპიტალისტები მოღონიერდებოდენ და უცხო კაპიტალისტების კონკურენციას უვნებელს გახდიდენ.

ჟორდანია, რომელიც პასუხს აძლევდა ჯორჯაძეს, მით უფრო ადვილად იცავდა მოწინააღმდეგე პოზიციას, რომ მას გაკვალული ქონდა გზა ეგნატე ნინოშვილის მიერ. თვით მას არსებითად ახალი არაფერი უთქვამს.

როგორც ხედავთ, ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტურ ნაწერებსაც უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. მართალია, დღეს ჩვენ აქედან ველარას ვისწავლით, მეტად წინ ვართ წასული და მეტად დაახლოვებული ვართ ეგნატესთვის მიუწვდომელ გენიოს მასწავლებლებს, დაახლოებული ვართ მარქსს, ენგელს, ლენინს, სტალინს, რომელთა მოძღვრება, უდიდესი პრაქტიკით განაყოფიერებული, წინ მიგვიძღვის მთელს ჩვენს საქმიანობაში, მაგრამ ეგნატეს მხატვრული შემოქმედება, მის კლასიკურ ნაწარმოებში განსახიერებული, მუდამ იქნება ჩვენი წიგნსაცავების და კაბინეტების დამამშვენებელი, უდიდესი სიტკბოებით საკითხავი და ახალგაზრდა მწერალთათვის სამაგალითო ნიმუში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე კაპანელი

ფაშიზმი ბურჟუაზიული ევროპის აზროვნებაში

თანამედროვე ოფიციალური ევროპის კულტურა თავის ხელოვნებით, მეცნიერებით, ფილოსოფიით, ტექნიკით იმპერიალიზმის ფაშისტურ ზრახვებს გამოსახავს. დაწყებული აგრარული და ქიმიური საკითხებით, დამთავრებული ფოქსტროტით და დადაიზმით, ჩვენ წინ გაშლილია მთელი სიმწვავე იმ წინააღმდეგობის, რომელსაც ვხედავთ ევროპის საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობის განვითარებაში და რომლის ერთადერთი გამოსავალია, როგორც ამას ამბობს ამხ. სტალინი,—სოციალისტური რევოლიუცია.

ჩვენი ნარკვევი მიზნად ისახავს კაპიტალისტური ევროპის ფაშისტური იდეების ანალიზირებას მათი განვითარების მთავარი ტენდენციის მიმართებით: კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობიდან ორგანიულად გამომდინარე ძალები—ფაშიზმი და კომუნიზმი პირისპირ დგანან ისტორიის არეზე და ისტორიული აუცილებლობა დღითიდღე ამზადებს ნიადაგს სოციალისტურ რევოლიუციისთვის. რა იდეებს ატარებს ამ დროს ის კლასი, რომელიც გადის ისტორიიდან, რომლის სიკვდილი გადაწყვეტილია ისტორიულად?

კაპიტალისტური კულტურის დღევანდელი ეტაპისათვის ფრიად და მახასიათებელია ფერდინანდ ფრიდის წიგნი Das Ende des Kapitalismus. ჯერ თვით სათაური—Das Ende des Kapilalismus „კაპიტა ლიზმის დასასრული"—ყურადღებას იწვევს თავის სენსაციური თქმით. წიგნი დაწერილია ორი ავტორის მიერ (ჰანს ცერერი — „ფოსიშე ცაიტუნგის" პოლიტიკური რედაქტორი და ფრიდრიხ ციმერმან — „ბერლინერ მორგენპოსტიის" სავაჭრო განყოფილების რედაქტორი). გაშლილი სტილით და სერიოზული ტონით: წიგნში დიდ ყურადღება ექცევა მუშების, გლეხების, წვრილი მესაკუთრეების და ინტელიგენციის ცხოვრების პირობებს; მაგრამ ყურადღება გამომსახველია მუშათა ორგანიზაციებისადმი უდიდესი მტრული განწყობილების: მიუხედავად იმისა, რომ წიგნი გამოცემულია 1931 წ., იგი უკვე რამოდენიმეჯერ გამოიცა: ეს იმას მოწმობს, რომ წიგნმა საზოგადოებრივი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში, სხვათა შორის საფრანგეთსა, იტალიასა დი ინგლისში; გაშლილი კრიტიკით შეხვდა მას კომუნისტური სოფლმხედველობაც.

წიგნის შინაარსი შეიცავს კაპიტალიზმის შესწავლას მის დასაწყისიდან დღემდე სოციალ ფაშისტურ თვალთახედვით. როგორც სათაურიდან ჩანს, წიგნი ერთგვარად მოგვაგონებს შპენგლერის წიგნს, მაგრამ ფრიდი მიზნად ისახავს არა ფილოსოფიური კონცეპციის მოცემას, [illegible] ერთგვარ სოციოლოგიურ-პრაქტიკულ ანალიზს კაპიტალისტური [illegible]ბისას: ფრიდი თავის წიგნს კაპიტალიზმის ისტორიით, მისი განვითარებით იწყებს: „კაპიტალიზმი, — ამბობს ფრიდი, — მეურნეობის სისტემაა, დამყარებული კერძო საკუთრებაზე, თავისუფალ კონკურენციაზე და სახელმწიფოს შიგნით სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ სამეურნეო ცხოვრებაზე". ფრიდი ხაზს უსვამს იმ მდგომარეობას, რომ დიდი კაპიტალისტები ატრიალებენ სახელმწიფოს და თვით სახელმწიფო თავისი იურიდიული ნორმებით არ ერევა სათანადოდ კაპიტალისტური საზოგადოების მიმდინარეობაში; ისტორიული დანიშნულება კაპიტალიზმის, ფრიდის აზრით, არის ტექნიკის პროგრესი: იწყება რა ქსოვის მექანიზაციით, — ამბობს ფრიდი, — კაპიტალიზმი გადადის ლითონისა და მანქანათმშენებლობის სტადიაში, რომელიც ორგანიულად ერთვის ორთქლმავლებისა და რკინის გზების ეტაპს კულტურისას. ამ ეტაპს ემატება ეპოქა ქიმიისა და ელექტრონის, რომელიც დასახულ უკანასკნელ სტადიაში გადადის ბენზინური მოტორებისა და ავტომობილების სტადიაში.

ამით თავდება კაპიტალიზმის ერა: მართალია, მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენ ავიაციისა და რადიოს განვითარებას ვამჩნევთ, მაგრამ ეს უკანასკნელი გაელვებაა მომაკვდავი კაპიტალიზმის; „მექანიკური და მრეწველობითი რევოლიუცია დამთავრებულია, — ამბობს ფრიდი, — ტექნიზაცია და ტექნიკური შეიარაღება მეურნეობისა დასრულებელია და ახალს, უფრო დიდ მიღწევებს აღარ უნდა ველოდეთ" *) კაპიტალისტური „კულტურა ასორმოცდაათ წელიწადს ვითარდებოდა და ეხლა, დათავდა რა დინამიური პერიოდი კაპიტალიზმის ვითარებისა, ისტორიულად სტატიკა იწყება, რომელიც გვავალებს კაპიტალისტური საზოგადოება ჩვენს გემოზე მოვაწყოთ.

ფრიდის აზრით, კაპიტალიზმი განვითარებითა და შესაძლებლობით მოხმარებისა და კეთილმოწყობის პერიოდში გადადის; ვითარდებოდა რა კაპიტალიზმი საუკუნე ნახევარი, ის იყო გარკვეულ ისტორიული სტრუქტურის მატარებელი; ეს სტრუქტურა იყო შემცველი ნთავარი თვისების — კონკურენციისა.

ამ ჟამად მონოპოლისტურ სისტემაში გადავდივართ, სადაც წვრილი და საშუალო წამოწყება-წარმოება ვიწროვდება, ისპობა და ძათ ადგილს მსხვილი წარმოება იკავებს, სადაც მწარმოებელი კარგავს უშუალო კავშირს, კონტაქტს მუშებთან და მოსამსახურეებთან; მსხვილი წარმოება კონცერნებსა და ტრესტებში შედის და მწარმოებელი თანდათანობით

*) Fried: Das Endes de Kapitalismus, 21

შორდება რა წარმოების ყოველდღიურ საქმიანობას და მუშებს, იკავებს ადგილს მმართველ ჩინოვნიკისას.

ამრიგად, წარმოების სული — მწარმოებლის ენერგია „ვიკინგურ“ მძლეობას კარგავს და ადგილს ქაღალდურ წარმოებას, მეწერ-მწერას, კანცელარიას უთმობს. გერმანული კაპიტალიზმის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ დიდ ორგანიზატორებს, ფრიდის თქმით „ვიკინგებს“. აწეთია კრუპპი, ვერნერი, სიმენსი, ტისენი და სხვები. მაგრამ „დიდი მამები“ს ცეცხლი ჰქრება: წარმოება იღებს კონცერნებისა და ტრესტების ფორმებს, საერთოდ კაპიტალიზმს „ჭირთა უფრო ძნელი“ სიბერე ჭირს. ქიმტრესტი „ფირბენინდუსტრი“ 67 წლისაა; „სიმენსი და გალსკე — 63 წ, ბანკი „დისკონტ-ჰეზელშაფტი“ — 60 წლის.

კაპიტალიზმი დაბერდა, განვითარების უნარი, წინსვლის საშუალება აღარ აქვს; ვიკინგები აღარ არიან; ამ ადგილას ფრიდი ერთგვარად მოგვაგონებს ინგლისელ პოეტს ბაიერონს, რომელიც დგას ათინის ნანგრევებზე და სევდიანად ამბობს: „ათინა, დიდო მოხუცო, შენი გმირები დღეს აღარ არიან“. ფრიდიც ეგრე შეწუხებულა: მას აწუხებს, რომ კაპიტალიზმის ვიკინგები გაჰქრენ; ეგრე სწუხდა ჩვენი გრიგოლ ორბელიანიც, რადგან ვერ ხედავდა ცოცხლებში გორგოსლანებსა და პატარა კახებს. კაპიტალიზმი გადაგვარდა და თან მის გადაგვარებაში გაითხარა უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის. კაპიტალიზმის უბედურება მის სიბერის ჟამს მდგომარეობს განსაკუთრებით წინააღმდეგობაში კერძო საკუთრებისა და მისი უქონლობის შორის; კერძო საკუთრება ღვთაებრივია, — ამბობს ფრიდი, ის უნდა ჰქონდეს ყველას: კერძო საკუთრების უარყოფა „ებრაული ხრიკია“, კომუნისტების მიერ, განსაკუთრებით კარლ მარქსის მიერ აზის გამოგონილი და გაფორმებული.

ფრიდი დიდი მტერია კომუნისტური მოძრაობის. ფრიდის აზრით თანამედროვე კაპიტალიზმის წინ ორი გზაა ერთი სვლა უმაღლესი (Hochkapitalismus) ფორმისაკენ, რაც ნიშნავს კარტელების და ტრესტების მოსპობას, მოსპობას აგრეთვე პროფკავშირების; ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ფრიდის აზრით, ხალხთა ნაციონალური მოძრაობანი თავიანთი რეალური ინტერესებით ამის წინააღმდეგია. მეორე გზაა — კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ სისტემაში შემოერთება ტრესტების და პროფკავშირების. ამით სახელმწიფო გამაგრდება და მიიღებს გადამწყვეტ ეკონომიურ ძლიერებას: ხალხთა მოძრაობანი და ფაქტები ისტორიისა ამბობენ — განაგრძობს ფრიდი — რომ ცხოვრება ამ გზით წავა.

ფრიდი 1918—1930 წ. ისტორიულ—სოციალურ მოძრაობაზე ჩერდება. ის აქცევს ყურადღებას ლენინის გამოსვლებს, რურის საკითხს, მეტალურგიულ კრიზისს გერმანიაში, მაღაროს მუშების გაფიცვას ინგლისში და უკეთებს დასკვნას თავის ისტორიისათვის გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პროგრამული პრინციპებით: სოციალიზმი უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი, ესე იგი კარტელები და პროფკავშირები უნდა შემოვიდენ სახელმწიფოში: ამრიგად, ფრიდი მუსოლინთან ერთად იძლევა

კაპიტალისტურ სახელმწიფოს ახალ ფორმას—ეგრედ წოდებულ კორპორატიულ სახელმწიფოს იდეას (Stato corporotivo): ასეთი სახელმწიფო განადგურებაა ყოველგვარი პროფესიონალური მოძრაობის: ეს მუშებს, მოსამსახურეებს, ხელოსნებს, გლეხებს და მთელ მოსახლეობას ისეთ მუხრუჭს მოუჭერს, რომ მისი მსგავსი ისტორიას მონათმფლობელობის ეპოქის შემდეგ არ ახსოვს. ამის განხორციელებას ცდილობს ფაშიზმი.

ფრიდის თეორია არის თეორია კაპიტალისტური საზოგადოების და სახელმწიფოს ფაშიზაციის. შეიერთებს რა მუშათა ორგანიზაციებს სახელმწიფო მთლიანობაში, ფაშიზმი ამზადებს მუშებისათვის რკინის უღელს ახალი სახელმწიფო ნორმებით. „კორპორატიული სახელმწიფოს იდეა, წამოყენებული ფრიდის მიერ, რეგლამენტაციაა, განრიგება და მოწესრიგება კაპიტალიზმის ფაშისტური ბატონობისათვის. საინტერესო ის არის, რომ ეს პოლიტიკური იდეალი ფაშიზმის, როგორც ნათლად ჩანს ფრიდის თეორიაში, ისტორიის განვითარების შესაძლებლობას უარჰყოფს.

ფრიდი აცხადებს, რომ კაპიტალიზმმა პროგრესი დაამთავრა და ეხლა ამ პროგრესის გამოყენების ეტაპი დადგა. წინსვლა, ტექნიკური და მეცნიერული განახლება აღარ იქნება. იწყება სტატიური პერიოდი კაცობრიობის ისტორიის, იწყება მდორე, ჟეძრავი ხანა, რომელიც ტრესტებს, კარტელებს და პროფკავშირებს შეიყვანს ფაშისტურ კორპორატიულ სახელმწიფოში და ტრესტების მაგნატებს ექნებათ „სიმშვიდე და ბედნიერება მარადიული“: ფაშისტურ ბურჟუაზიას არ ესაჭიროება ტექნიკის და მეცნიერების განვითარება, მას სიმშვიდე და ჭამა უნდა. მუშები, პროფკავშირები თავიანთი გაფიცვებით, გამოსვლებით, რევოლუციებით ხელს უშლიან ტრესტებსა და კაპიტალზე შემჯდარ ჯგუფებს; ასეთია დედააზრი ფაშიზმის, რომელიც გამოიყურება ფერდინანდ ფრიდის წიგნიდან და რომელიც წარმოადგენს აკომპანიმენტს შპენგლერის, ჰოიაკის და ჩეიზეს რეაქციონურ იდეებისას.

ფერდინანდ ფრიდის წიგნი თავიდან ბოლომდე კაპიტალიზმის ფაშუსტურ ფილოსოფიას შეიცავს. ამ წიგნში გაშლილია თვალთახედვა ნაციონალ-„სოციალისტური“ პარტიისა და კაპიტალიზმის დასასრული ავტორს ესმის არა რევოლუციონური გაგებით, არა კაპიტალიზმის სრული უარყოფით, არამედ ფაშისტურად, ესე იგი ავტორი უარჰყოფს კაპიტალიზმს, რომელიც თავისუფალ ვაჭრობასა და ეკონომიურ ლიბერალიზმზეა აშენებული.

თავისუფალი ვაჭრობის კაპიტალიზმი ავსებს ცხოვრებას, მის სამეურნეო განვითარებას ფულით, „ფულებრივი გონებით“ და იძლევა კლასების განსხვავებას. თავისუფალი ვაჭრობის კაპიტალიზმი თავდება იმით, რასაც იძლევა მსოფლიო მეურნეობა და ერთი წყება ქვეყნების მეორე წყების მოხარკე ხდება.

დღევანდელი კრიზისი, ფრიდის აზრით, დასასრულია არა კაპიტალიზმისა საერთოდ, არამედ ისეთი კაპიტალიზმისა, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას ემყარება; ასეთი კაპიტალიზმი უნდა შეიცვალოს სხვა სახის კა-

პიტალიზმით, როსელიც შესაძლებელია მხოლოდ „კორპორატიულ სახელმწიფოში“, ესე იგი ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც იტალიაში აწყობს მუსოლინი. ეს ბურჟუაზიული დემოკრატიზმის უარყოფას ნიშნავს, პროფორგანიზაციების შემოერთებას სახელმწიფოსათვის და ნაციონალური ავტარკიის გამოცხადებას, რომელიც უნდა გამოისახებოდეს აღმოსავლეთის დამორჩილებაში — Drang nach Osten — მოძრაობა აღმოსავლეთისაკენ. ბოლოს და ბოლოს აქ გარკვევით მოჩანს იმპერიალისტური გერმანიის ძველი ნაციონალისტურ-აგრარული ტენდენციები. გამტარებელი ამ ტენდენციის ბურჟუაზიული დემოკრატია კი არ არის, არამედ ფაშისტური დიქტატურაა.

ფრიდის მთელი წიგნი ადასტურებს ლენინის დებულებას, რომ იპერიალიზმი და ბურჟუაზიული დემოკრატიზმი პოლიტიკაში შეუთავსებელია. ფრიდის წიგნი ფილოსოფიაა ფაშიზმის, რომელიც „გამარტივებას“ და ფინანსიური კაპიტალის ინტერესებისადმი დამორჩილებას მოითხოვს, ხოლო პოლიტიკაში ფაშისტურ დიქტატურას და კაპიტალიზმის „შეკეთებას“, „შეპანჩინკებას“.

ასეთივე მიზნით არის დაწერილი ჰანს რეუპკეს წიგნი, რომელშიაც განხილულია პრობლემა მსხვილი ინდუსტრიისა. ავტორი წინააღმდეგია მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის და იძლევა რჩევას გეგმიანი მეურნეობის დამყარებისას. მაგრამ, უტოვებს რა მსხვილ წარმოებას კერძო მესაკუთრეს, ავტორი მერყეობს: ის ვერ იძლევა გარკვეულ რჩევას, თუ როგორ, რა გზით შეუძლია სახელმწიფოს შეადგინოს სამეურნეო გეგმა, როდესაც მსხვილი წარმოება კერძო კაპიტალისტების ხელშია. რეუპკე, როგორც მსავილი ჩინოვნიკი გერმანული კაპიტალიზმის, ცდილობს არც მსხვილ კაპიტელისტებს აწყენიოს და არც პოლიტიკის მესვეურებს. მისი შეხედულება კომპრომისული ხასიათისაა და სავსეა შინაგან წინააღმდეგობით.

გერმანულ გაზეთში „ბერლინერ ტაგებლატ“ 1932 წ. 9 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი: „წყევლა-კრულვა ტექნიკას“. წერილი ეხება კაპიტალიზმის კრიზისს. ავტორი ამბობს, რომ „კაპიტალიზმმა თავისი საწარმოო ძალა დაჰკარგა“, დონავში რუდოლფ შტეინერი უშვებს წიგნებს სათაურით: „ანთროპოსოფიული სკოლა“, სადაც ამტვიცებს, რომ ქიმიური განყოფიერება მიწის სისულელეა. (Freie. Hochschule Geistwissenschaften) უნდა ავაშენოთ, — ამბობს შტეინერი — „ანთროპოსოფიული“ ფერმები, სადაც დიდი მანქანა არ იქნება საჭირო, სადაც ძველებური თოხით და სახნისით ვიმუშავებთ, რადგან დიდი მანქანა ანადგურებს კაცობრიობას, ადამიანობას, ანთროპობას.

ასეთივე მიმართულების წიბნი გამოვიდა 1931 წელს პარიზში ლუი ჰოიაკის (Louis Hoyack. Ou valle machinisme) ფრანგი ავტორი დიდი წინააღმდეგია ტექნიკის და მეცნიერების. ჰოიაკი ამბობს: დღეს, მიუხედავათ მსოფლიო ომის გაკვეთილებისა, მიუხედავად საყოველთაო უკმაყოფილებისა, თანამედროვე კრიზისისა და პოლიტიკური აგიტაციისა, კიდევ

არ უნდათ თავი დაანებონ მაშინიზმის ფანტასტურ ილუზიას. როგორც ჯიუტი ძაღლი, რომელიც ძიძგნის დიდხნიდან გაძიძგნულ ძვალს, თანამედროვე კაცობრიობა ბედნიერებას მაშინიზმისაგან ელის. [illegible], რომელიც ამერიკიდან ედება მთელს ქვეყანას, ანადგურებს [illegible] და იწყებს ეპოქის არევ-დარევას (82—83). მომავალ მსოფლიო კონფლიქტებში მანქანა კიდევ უფრო ჯოჯოხეთურ (dyabolique) როლს შეასრულებს, ვიდრე მსოფლიო ომის დროს შეასრულა. უნდა ველოდოთ, რომ სამი მეოთხედი ან ოთხი მეხუთედი კაცობრიობისა მოისპობა. „დანარჩენი ნაწილი მხოლოდ მაშინ მოვა ჭკუაზე".

ჰოიაკი განაგრძობს: „ამ წიგნში (168—169) მე მინდოდა მეჩვენებია მხოლოდ, რომ მანქანიზმის იდეოლოგია მეტაფიზიკური თვალთახედვით ყალბია, რომ მისი საფუძვლები მიუღებელია. (მეტაფიზიკური იგულისხმე „მეცნიერული").

მაშინიზმი ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს შეუცვლელად, სანამდე ჩვენ ვაზროვნობთ მატერიალისტურად და სხვა... ავტორი უპირდაპირებს მატერიალიზმს ოკულტიზმს, მისტიციზმის, ღვთაებრივ ჭვრეტას, როგორც თვითონ ამბობს:

„ორში ერთი, ან კაცობრიობის ბოლშევიზაცია მოხდება. ან კიცობრიობა იგრძნობს ღვთაებრივ ცქერის აუცილებლობას",

სოციალიზმის ქვეყანას ჰოიაკი ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ე თ ს—ჭიანჭვილების ქყეყანას უწოდებს. „სასურველია მოვიდეს მარქსის სამოთხე?"—კითხულობს ჰოიაკი. ასეთი ოცნება მხოლოდ მატერიალისტებს აქვთ, რომლებიც იცნობენ ცხოვრების მხოლოდ გარეგან მხარეს. მაგრამ სპირიტუალისტი და „მაცქერალი კაცობრიობა", რომლებიც სამყაროს საიდუმლო კანონებს იცნობენ, უარჰყოფენ ამგვარ ჭიანჭველურ არსებობას.

ამისათვის ავტორი პრაკტიკული ხასიათის დარიგებებს იძლევა: იგი წარმოების დეცენტრალიზაციას მოითხოვს. საჭიროოა, რომ წარმოება იყოს არა მსოფლიო პრობლემა, არამედ მხარებრივი, წარმოება უნდა იყოს განსაკ[illegible]თრებით სოფლებში და უნდა ატარებდეს ოჯახურ, ხელოსნურ ხასიათს. შეიძლება სოფლად მანამდე შევიტანოთ მანქანები, სანამდე იგი მექანიზმად, კულტად არ იქცევა. რომ კაცობრიობამ ხელახლა არ შეტოპოს კაპიტალიზმის ბადეში, მრეწველობა ცეხების სისტემით უნდა მოეწყოს. ჰოიაკი აქ ძალიან უახლოვდება ვენის ფროფესორს ფაშისტს ოტმარ შპანს, რომელიც გერმანულ ბურჟუაზიულ პოლიტ-ეკონომიაში დიდ როლს ასრულებს და თავის სოციალ-პოლიტიკურ იდეალს წოდებრივ-ცეხობრივ საზოგადოებაზე აშენებს.

სოფლის მეურნეობის მოწყობას ავტორი ისე აპირებს, როგორც რუდოლფ შტეინერი, ავტორი „ანტროფოსოფიული ფერმების" მანქანური კულტურის მინიმუმამდე დაყვანით. „მაშინიზმი,—ამბობს ავტორი,—საყოველთაო კატასტროფას ნიშნავს სოფლის მეუნეობაში, არა ვართ რა კმაყოფილი ნიადაგის ბუნებრივი პროდუქციით, ჩვენ ვძიძგნით დედამიწას ქიმიური განოყიერებით, რათა ვაიძულოთ მიწა მეტი მოსავალი მოგვცეს, მაგრამ ჩვენი კე-

თილი მასაზრდოებელი მიწა ბოლოს და ბოლოს ჯიუტ ვირს ემსგავსება, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მათრახს საჭიროებს. კეთილშობილი, საუკუნოებრივი ტრადიციები მიწის დამუშავებისა შეიცვალა პ[illegible] ეკონიერებით; ხელოვნური, მინერალური განოყიერება იწვევს [illegible]ალიზაციას, სიკვდილს. ავტორი, ივიწყებს რა თავის პირვანდელ შეღავათიან დამოკიდებულებას მანქანებისადმი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მოითხოვს სოფლ:ს მეურნეობიდან გაიდევნოს აგრონომიული მეცნიერება, ტოაქტორები, კომბაინები და სხვა. სამაგიეროდ დაუბრუნდეთ მამაპაპურ სახნისებს, ხარებს, ცხენებს, თოხებს და ძველებურად ვიმუშაოთ.

ეს წიგნი მშვენიერი მაჩვენებელია კახიტალისტური კულტურის შინაგანი გაძოფიტვის, გამოცალიერების, მეცნიერებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების. იმ დროს, როდესაც ჩვენს სოციილისტურ სოფლის მეურნეობაში ასეთი დიდი გასავალი აქვს მანქანებს, ევროპის კაპიტალიზმი მეცნიერებისა და ტექნიკის სრულ უარყოფამდე მიდის.

ავტორი უფრო შორს მიდის, ყოფა-ცხოვრებაში ავტორს სრული ნატურალიზმი, პრივიტივიზმი შემოაქვს; ჰოიაკი ამბობს, რომ სათბობი მასალით გათბობა სიცივის დროს საჭირო არ არის, სიცივეს უნდა შევეჩვიოთ და ჩვენი ბავშვებიც შევაჩვიოთ. ცეხცლი საჭირო არ არის (160 გვ.).

საავადმყოფოები სამარცხვინოა: ჩვენ საავადმყოფოებით ვტრაბახობთ, სინამდვილეში კი უნდა გვრცხვენოდეს. საავადმყოფო არის მექანიზაცია, სტანდარტიზაცია იმის, რაც უნდა იყოს ყველაზე ინტიმიური საქმე ჩვენი მახლობლებისა (126 გვ.)

მომავალში ბაქტერიებისა აღარ შეგვეშინდება. მეცნიერება დაინახავს, რომ მიზეზი ყოველგვარი ავადმყოფობის და ინფექციისა, ჩვენვე ვართ, რომ ბაქტერიები ჩვენი სხეულის უჯრედებში მრავლდებიან (125). ქირურგია მომავალში არქივს ჩაბარდება როგორც საშინელება. ვივისექცია ბავშვობა, უგუნური ქცევა გახდება (126). სიჩქარე უდიდესი მტერია კაცობრიობის (105). თუ ცხოვრება დღევანდელი აჩქარებული ტემპით გაგრძელდება, კაცობრიობა ვეება საგიჟედ გადაიქცევა (10 გვ.) ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ ფეხით მოგზაურობას, ტრანსპორტი მომავალში უნდა მიმოდიოდეს ცხენების საშულებით (48) (ჩალვანდრები და საშუალო საუკუნეები). დიდი გემები და თბომავლები საჭირო არ არის, არც რკინის გზები და ავტომობილებილები, მაგრამ რაღაც ნაირად ჰოიაკი შორეული გზებისათვის სტოვებს ჰაეროპლანებს; თან იგონებს ძველი ინდოეთის ლეგენდების მფრინავი „კიმეჯის“ შესაგებ და ფიქრობს, რომ პირამიდები და ძეგალიტები აშენებულია წარსულში ლევიაციის გზით.

ავტორის აზრით დიდი ქალაქები თავიანთი ქარხნიბით მომავალში გაქრება და ქვის სატეხ ადგილად გადაიქცევა. დარჩება მხოლოდ დიდი მოედნები მისტიკური ფილოსოფიის სამლოცველო საჭიროებისათვის.

ჰოიაკისა და ფრიდის ჰანგზე მლერის ჩეიზე*). სტიურატ ჩეიზე ამერიკელი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს

[1]) Stuart Chase: Out of the depression and after A, Bonhecy, Neu york. 1931.

ბურჟუაზიულ წრეებში; ბოლო ხანებში ჩეიზე გარდა ჩვეულებრივი წერილებისა უმუშევრობის, კაპიტალიზმის, კრიზისსა და სხვათა შესახებ სერიოზულ ნარკვევებს წერს. მათ შორის აღსანიშნავია: „გამოსავალი დეპრესიიდან“ და „რა იქნება შემდეგ.“ „წინასწარმეტყველი“ სტიურატ ჩეიზე ბოდიშობენ საზოგადოებას, რომ მძიმე მდგომარეობა შეიქნა და საჭიროა მოინახოს გამოსავალი. რაში გამოიხატება ჩეიზის აზრით ეს გამოსავალი? ერთად ერთი გზა არსებობს, — ამბობს ჩეიზე, — ეს არის გზა საწარმოო იარაღების განვითარების შეჩერების, ყოველ შემთხვევაში შენელების იმ სიჩქარისა, რომელსაც ადგილი აქვს ამ განვითარებაში. ჩეიზე, ჰოიაკი, ფრიდი, შპენგლერი და სხვები, ისტორიის უკუღმართობას მანქანურ კულტურაში ხედავენ.

ცხოვრების ნორმალიზაცია შეიძლება, — ამბობს ჩეიზე, — მხოლოდ მაშინის შეკავებით; ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ორგანიზაციული ნაბიჯის გიდადგმა, რომელიც უნდა გამოიხატებოდეს მრეწველობის დეცენტრალიზაციაში, კუსტარულ წარმოებისაკენ დაბრუნებაში, დიდი მანქანების ნაგიერ პატარა მანქანების გამოყენებასა და ხმარებაში, დიდი ქალაქების მოსპობაში.

ჩეიზე აყენებს მთელ რიგ დებულებებს: როგორ უნდა მოისპოს კაპიტალიზმი, განსაკუთრებით მისი მსხვილი ფორმა და როგორ უნდა დაუბრუნდეს კაცობრიობა არაკაპიალისტურ ეპოქას? „რძე სასარგებლოა პატარა ბავშვისათვის, — ამბობს ჩეიზე, — მაგრამ ყოველ საათში თითო კვარტი თუ დავალევიეთ ბავშვს, ცხადია რძე მავნებელი იქნება.“ ეგრეა ტექნიკის განვითარებაც ისტორიაში. ის სისწრაფე, რომელსაც ჩეიზის აზრით, ადგილი აქვს კაპიტალისტური კულტურის საწარმოო ძალების განვითარებაში, საჭირო არ არის კაცობრიობისათვის, გაცილებით უკეთესი იქნება, თუ მსხვილი წარმოებისა და მანქანების სწრაფი განვითარების ნაგიერ მოწინავე ერები თავიანთ საქმიანობათა ტემპებს შეანელებენ, თავიანთ ყოფა ცხოვრებას უფრო სადად მოაწყობენ, წარმოების ნატურალურ ფორმებს დაუბრუნდებიან.

ფრიდის, ჩეიზეს, ჰოიაკის, შპენგლერის იდეები მაჩვენებელია იმის, რომ ბურჟუაზიული კულტურის მესვეურები გარკვევით ამჩნევენ საწარმოო ძალების და საწარმოო ურთიერთობის განვითარების რევოლუციონურსა და მათთვის არახელსაყრელ მხარეს. ბურჟუაზიის იდეოლოგები აშკარად ამბობენ, რომ საწარმოო ძალების განვითარებაში ისეთი მომენტი დადგა, რომელიც არ არის მისალები კაპიტალიზმისათვის. ეს არის რევოლუციონური მომენტი. საწარმოო ძალების განვითარება დღევანდელი კაპიტალისტური კულტურისა ვერ ეტევა თავის ისტორიულ ჩარჩოებში: გამწვავდა წინააღმდეგობა საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთერთობის შორის და, როგორც მარქსი ამბობდა, პროლეტარული რევოლიუცია ერთად ერთი გამოსავალია ამ მდგომარეობიდან. სრულდება მარქსის წინასწარმეტყველება კაპიტალისტური კულტურის რევოლუციონური გადატრიალების აუცილებლობის შესახებ. ფაშისტური აზროვნება ეძებს საშუალებას შეაჩეროს განვითარების პროცესი, რომელიც ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის ინტერესებს

და საწარმოო ძალებს ისეთი მიმართება, ისეთი ხასიათი და ტემპი მისცეს, რომელიც არ იქნება საშიში ბურჟუაზიულ კულტურისათვის. ვინაიდან მდგომარეობა გამწვავებულია, წინააღმდეგობა საწარმოო ძალების და საწარმოო ურთერთობის შორის მწვავე ხასიათს იღებს, ბურჟუაზია ხტოვებს გზას პარლამენტარულ ბრძოლისას, ლიბერლიზმისას და ფაშისტურ დიქტატურაზე, ტერორზე გადადის. პოზიტივისტებისა და ნეოკანტიანების იდეები ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავენ, აღარავინ ფიქრობს ბურჟუაზიულ წრეებში „ობიექტურ" ჭეშმარიტებაზე: დიდ მწერლებსა და ფილოსოფებში თავიანთი კლასობრივი მიზნებისათვის გამოსადეგ აზრებს ეძებენ; დაიწყო პარციალიზაცია და ფალსიფიკაცია ისტორიის, მეცნიერების, კულტურის, კაცობრიობის წარსულიდან ბურჟუაზიას მეტყველების და აზროვნების რეაქციონური, რეგრესიური იარაღები ამოაქვს, მათ თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად ამზადებს. გიოტეს და ჰეგელის იუბილეები ბურჟუაზიამ ნაციონალისტურ, ანტისემიტურ და მისტიკურ აგიტაციად გადააქცია.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია ისე ატარებს ნიშნებს ფაშიზაციისას, როგორც კულტურა და სპეციალური მეცნიერებანი, ტექნიკა და ხელოვნება. ყველა მემარჯვენე-რეაქციონური მიმართულება აზროვნებისა, რომელიც წინათ ხშირად ედავებოდენ ერთმანეთს შინაურ საკითხებში, ეხლა ერთად ირაზმებიან მარქსიზმის წინააღმდეგ. ემაიზმი, ჰუსსერლიანების ლოგიზმი, ნეოკანტინური მიმდინარეობანი, რომელნიც წინათ ჰეგელის ფილოსოფიას ებრძოდენ, ეხლა მშვენიერად ეწყობიან მემარჯვენე ჰეგელიანიზმს ჰარტმანი, ბრუნო, ბაუხი იონას კონი, გეორგ მიში; ჰეიდეგერი და სხვები ერთ გზაზე დგანან მიზნობრივად. დილტაის ცდები რიკერტისა და ჰეგელის ფსიქოლოგიზაციის იწვევს ჰედეგერის „ცხოვრების ფილოსოფიას", და „არსებობის დიალექტიკას" (Lebensphilosophie, Sxitfonril pleuomeu logre *) რომელიც დიდ მოდაშია ფაშისტურ გერმანიაში და რომლის დიალექტიკა არის მისტიციზმის დემონსტრაცია და სქოლასტიკა; განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰეიდეგერის „არსებობა და დრო", სადაც ავტორი ცდილობს მოგვცეს არისტოტელისებური philosophia prima. ამ ცდებში ჰეიდეგერი უახლოვდება ჰუსსერლს: გეორგ მიში ჰეიდეგერის ფილოსოფიას არსებობის ფენომენოლოგიას (Sxistenriolqdè nomenlogre) უწოდებს. დროს ცნების ნიადაგზე ჰეიდეგერი იძლევა არსებობის დიალექტიკას, დროს ცნება თანდათანობით იღებს ინტოლოგიურ სახეს და კულტურულ-ისტორიულ პრობლემაში გადადის, როგორც ამას მოითხოვს ფაშისტული ინტერესები; ჰეიდეგერის დრო იქცევა მეტაფიზიკურ ობიექტად და მისი დიალექტიკა არსებობის მეტაფიზიკად. ჰეიდეგერი ერთგვარად უახლოვდება ძველ ელეატებს რამდენადა „ცხოვრების ფილოსოფიის" ავტორი დილტაი უარყოფით უყურებდ მეტაფიზიკას, იმდენად ჰედეგერი გულმოდგინედ და გერმანული ინტენსივობით მიისწრაფის თავის აზროვნების აგებულებაში მეტაფიზიკისაკენ, რასაც აღნიშნავს მიშიც.

---

[1]) Georg Mische. Lebensphi losophie nnd phenomenologie 1931.

კარგა ხანია კოჰენმა თავის „ეთიკაში“ მარქსი „დიდი პათოსის“ მოღვაწედ მოიხსენია, რომელსაც რევოლუციური კონცეპცია მორალური სანქციით დადასტურებული არ აქვს: „სოციალიზმი, — ამბობს კოჰენი — საჭიროებს მორალურ სანქციას“. ამ ყალბ დებულებიდან, რომელსაც ავიწყდება, რომ მორალი რევოლუციასა და სოციალიზმს თან მოაქვს და არ ეჭიროება ერთი მორალის პრინციპებით, მეორე მორალის გაზომვა, გამომდინარეობს თანანამედროვე გერმანიის სათაყვანებელი ფილოსოფოსი რიხ. კრონერი*). რიხ. კრონერი, ყოფილი ნეოკანტიანელი, კელნის პროფესორი, რიკერტის მოწაფე დგება ნეოჰეგელიანურ პოზიციაზე; გერმანული ნეოჰეგელიანიზმი, საერთოდ ევროპაში არის არსებითად ჰეგელის ფილოსოფიის ფაშიზაცია.

მსოფლიო ომით დაზარალებული წვრილი ბურჟუაზია, დაღარიბებული სოფლის მეურნეები, აფიცრობა და უმუშევარი ინტელიგენცია, რომელნიც შემოიერთა ნაციონალ-სოციალისტურმა მოძრაობამ, ნეოჰეგელიანური ფილოსოფიით, მისი ფაშისტური ვარიანტებით იკვებებიან.

კელნის უნივერსიტეტის პროფესორი კრონერი იცნობს რუსეთიდან გაქცეულ ემიგრანტურ წრეებს, თვალყურს ადევნებს მსოფლიო პოლიტიკას და უდიდესი მტერია საბჭოთა კავშირის, მისი საქმიანობის. თავის წიგნში „პოლიტიკის კულტურულ ფილოსოფიური დასაბუთება“, კრონერი არკვევს სახელმწიფოს არსებობის და გამართლების საკითხს: „სახელმწიფო — ამბობს კრონერი — არის აზრობრივი სინამდვილე — смысловая действительность — Sinvirkhchkeit, რომელიც სწყვეტს ერთგვარ ამოცანას. როგორია ეს ამოცანა? ეს ამოცანა არის ცალკე ადამიანების ცხოვრების უზრუნველყოფა. სწორედ სახელმწიფო ქმნის შესაძლესლობას ადამიანთა ცხოვრების უზრუნველყოფისას იმით, რომ ცალკე ადამიანებს აერთებს უფლებით, უფლებრივი კავშირით. სახელმწიფო არის ადამიანთა უფლებრივი კავშირი. საყოველთაო სახელმწიფო ნება, რომელიც აერთებს ადამიანებს, არსებითად ადამიანების შეკავშირების ზნეობრივი სანქციაა უმაღლესი ხასიათის.

ყოველგვარი ცდა სახელმწიფოს დაშლის და სოციალიზმის შენების — ამბობს კრონერი — არის მოძრაობა კულტურისა და ცივილიზიციის უარყოფისაკენ, იგი მობრუნებაა პირველყოფილ ცხოველურ მდგომარეობისაკენ. სახელმწიფო უმაღლესი ზნეობრივი სანქციის კონკრეტიზაციაა. ყველა უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფოს, რადგან სახელმწიფო ატარებს აზრს არსებობისას. ინდივიდის, ცალკე ადამიანის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, არის სახელმწიფოებრივი არსებობის აზრის გამოვლენა. აქედან გამომდინარეობს ზნეობრივი შეგნება: დაძლევენ რა თავიანთ მეობათა განსაზღვრულობას, ადამიანები შეადგენენ მორალურ საზოგადოებას, რომელიც არის საფუძველი სახელმწიფოს აზრობრივი სინამდვილისა.

„ადამიანი, — ამბობს რიხ. კრონერი, — არის ბედისწერის შემოქმედება, ის დამწყვდეულია (eingekert) ქვეყნად, რომელსაც ხედავს თავის წინ და რომლის გადაკეთება მას შეუძლია მხოლოდ ოდნავ. ბუნება და

*) R. Kroner. Kulturphilosophiche grundlegcung der Polifik. Rerln, 1931.

ისტორია გაოს შემორტყმიან მას (ადამიანს) და თავის თავისუფლება, თავის შემოქმედება, მას შეუძლია გამოავლინოს მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში და თავის დროული არსებობის გალიმიტებულ ნიადაგზე. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია ჰეგელს, — ამბობს კრონერი — ჰეგელი გვასწავლის, რომ ბუნებით და საზოგადოებით განსაზღვრულ ადამიანში არის რაღაც განუსაზღვრელი. საბოლოოდ, ადამიანი არის „უსაზღვროების შესაძლებლობა", რომელიც ებრძვის საგნობრივ შევიწროვებას, რეალობის მიწოლას (das dem Drucke der Realitaten vit. dersteht.) ადამიანის ეს ძალა გამოისახება სახელმწიფოს აზრობრივ სინამდვილეში, რომლის წიაღში ერთდებიან ობიექტური ადამიანური ზრახვანი და ობიექტური, ისტორიული შესაძლებლობანი. სახელმწიფო, როგორც ამბობდა ჰეგელი, არის დაკონკრეტება ზნეობრივი იდეის, დამორჩილება აზრობრივი სინამდვილეს, როლის საბოლოო სანქცია არ შეუძლია მეცნიერებას, ის რელიგიის საქმეა. ამრიგად სახელმწიფოს არსებობის სიკითხი გადატანილია რელიგიის ტრანსცენდენტურ სამყაროში; სახელმწიფო, — განაგრძობს კრონერი, — არის ერთგვარი ამოცანის გადაჭრა, აზრი მთელი არსებობის არის ამ ამოცანის გადაწყვეტილება, იგი არ არსებობს თავის დანიშნულების გარეშე და იმათ თვალებისათვის, ვისაც ეს აზრი, მისი დანიშნულება გაეგება... სახელმწიფო არ არსებობს როგორც გრძნობადობაში მიღებული წამოწყება, არამედ როგორც აზრობრივი გაფორმება, აზრობრივი სინამდვილე, სულიერი არსება. ის რაც თქმულა ღვთაების შესახებ, შეიძლება და უნდა ითქვას სახელმწიფოს შესახებაც. სახელმწიფო არის სული და ვისაც უნდა შეცნობა მისი, უნდა შეიცნოს იგი სულსა და ჭეშმარიტებაში" *)

ამრიგად, გამოდის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო თავის ექსპლოატაციით, პოლიციით, ციხეებით, შიმშილით, უმუშევრობით, შინაგანი წინააღმდეგობით, ფოქსტროტით და საროსკიპო სახლებით არის „სულიერი კათეგორია", „აზრობრივი არსობა", რომელსაც ამჩნევს მხოლოდ მემარჯვენე ჰეგელიანური ფილოსოფია თავის ღვთისმეტყველებით.

მარქსისტულ-ლენინურ გაგებას ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შესახებ, კრონერი უპირდაპირებს ფაშისტურ გაგებას: თუ მარქსიზმი ამბობს — სახელმწიფო აპარატია კლასობრივი ბატონობისათვის, კრონერი ამტკიცებს — სახელმწიფო კონკრეტიზაციაა მორალური მთლიანობის, რომელსაც შეადგენენ დამორჩილებული და გაბატონებული; მორალური პრინციპი სახელმწიფოსი მოითხოვს ბატონ-მორჩილების მუდმივობას. დიალექტური იდეა წინააღმდეგობათა მთლიანობისა (Jdee der Einheit der gégensäthe) წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიანობას. წინააღმდეგოგობა, რომელიც სახელმწიფოს მთლიანობაში არსებობს, აუცილებელია როგორც კონკრეტული გამოსახულება დიალექტიური მთლიანობის იდეისა, ერთი მხრით — მუშათა მოძრაობა, დემონსტრაციები, მათი დახვრეტა, მეორე მხრით —

*) R. Kroner. Kulturphlilosophische Grundlegung der Politik. Berlin. 1931.

სამხედრო სიმკაცრე გაბატონებული კლასისა, მეტაფიზიკური და რელიგიური ზრახვები კაპიტალის და ეკლესიის მაგნატებისა — აი კონკრეტული დიალექტური წინააღმდეგობანი სახელმწიფოს „ზნეობრივ მლიანობაში“.

„ხალხის ნება, — ამბობს კრონერი, — მხოლოდ მმართველობის ნებაში გამოისახება. სახელმწიფო ძალა გამომდინარეობს სახელმწიფოს იდეიდან, რომელიც ხორციელდება ხალხის საშუალებით მმართველობის მიერ. სახელმწიფოში გაერთიანებულია ხალხი და მმართველობა და ამ გაერთიანებაში მოცემულია უმაღლესი მორალური სანქცია ბატონ-მორჩილებისა.

ეგრე ასაბუთებს ფაშიზმის სახელმწიფო პოლიტიკას რეაქციონერი ფილოსოფოსი რიხარდ კრონერი. მისი თეორია მოგვაგონებს დანტე ალიგიერისა და ნიკოლოზ კუზანელის მონარქიულ იდეებს. რიხარდ კრონერი თანამედროვე კლასთა ურთიერთობას, იმათ ერთმანეთთან ბრძოლას სწორედ ისე უყურებს, როგორც ნიკოლოზ კუზანელი უყურებდა სიკეთესა და ბოროტების ერთიანობას ცხოვრების სინამდვილეში. კრონერის გაგებით საზოგადოების დაყოფა კლასებად მუდმივია ისე, როგორც მუდმივია ქვეყნად სიკეთე და ბოროტება ნიკოლოზ კუზანელის თეორიის მიხედვით.

სახელმწიფოს ღირსი მხოლოდ ისეთი ხალხია, რომელსაც დილექტიურად დაპირისპირებული ძლიერი მთავრობა ჰყავს. სახელმწიფოს სული მდგომარეობს ერთისა და მრავლობის გაერთიანებაში, რომლის სათავეში კონსტიტუციით შეიარაღებული მონარქი, ან რეჯენტი უნდა იდგეს, მაგარი და ძლიერი ნებისყოფით შეიარაღებული. სახელმწიფოში ყოველთვის იქნება დაყოფა ადამიანებისა სამ ჯგუფად: სახელმწიფო მოღვაწეობისა, სამეურნეო მშენებლობისა და სულიერ ღირებულებათა შემოქმედების კათეგორიებათ. „უკლასო საზოგადოებაშიაც კი, — ამბობს კრონერი, — იქნებიან წოდებანი და კლასები მხედრებისა, მრეწველებისა და სასულიერო ჯგუფის“ *) ცხადია, რომ რეაქციონერი ფილოსოფოსი ცუდი მცოდნეა სოციალისტური კულტურის. უკლასო საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მოწყობის.

მეურნეობა, პოლიტიკა და რელიგია, რიხარდ კრონერის თეორიის სამი დედაბოძია. ამ საფუძველზე დგას სახელმწიფო: კერძო საკუთრება და პროფესია, მეცნიერება და ტექნიკა ვასალები არიან რელიგიისა. შეუძლებელია არსებობა სახელმწიფოებრივი, მუშაობა მეცნიერული და ტექნიკური, თუ არი არის რელიგია თავისუფალი „ღვთაებრივი“ იერარქიით.

მეცნიერების უარყოფა, ტექნიკის დაყვანა პრიმიტიულ ფორმამდე, ლტოლვა რელიგიისაკენ წარმოადგენს ფაშისტური აზროვნების დამახასიათებელ თვისებას. პლანკი ამბობს: „უკანასკნელი მიზეზი იმისა, რაც ბუნებაში ხდება, ბედია, იმ კითხვაზე, თუ ვინ შთაბერა სული პროტოპლაზმას, მისტერ დარვინმა ვერ შეძლო გაეცა ვერავითარი პასუხი“ **).

ოდესღაც მოხუცი ფიზიკოსი უფრო მატერიალისტურ პოზიციისკენ იხრებოდა. დღეს სხვა ფაშისტებთან ერთად ის ქადაგებს მისტიცაზმს,

*) Koner. Kulturphilosophirche Grundlegung der Politik. 92.

**) M. Planck. Kausalgesetrsund. Willensrei. heit. 1923.

ებრძვის მეცნიერებას, ნიადაგს უმზადებს რელიგიისა და ეკლესიის ბნელ ზრახვებს. ფაშიზაცია კაპიტალისტური სოფლმხდველობისა დიალექტიურად მიდის მეცნიერების უარყოფამდე. ოდესღაც კაპიტალიზმი ებრძოდა ფეოდალიზმს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის, ადრინდელი კაპიტალიზმი რევოლუციონური სითამამით იკაფავდა გზას მეცნიერებისა და კულტურისაკენ. დღეს კაპიტალიზმის ფაშიზაცია, მისტიციზმი, რელიგიით და ტელეოპატიით აფორმებს თავის რეაქციონურ სოფმხედველობას. ბურჟუაზიის სოციალ-კლასობრივი ინტერესი მეცნიერებისა და ტექნიკის პრიმიტივიზაციას მოითხოვს. აქაც მართლდება ლენინის დებულება — „ფილოსოფია (სოფლმხედველობა) პარტიულია“ *). ამიტომ იყო, რომ მარქსი გენიოსურად უსვამდა ხაზს სოციალური მომენტის ძლევადურ ფორმას. სწორედ თანამედროვე კაპიტალიზმის ძლევადური მომენტი თავის ფაშიზმით იღებს „აგრესიული პრაქტიციზმის“ სახეს, იბრძვის მეცნიერებისა და ტექნიკის წინააღმდეგაც, ოღონდ შეინარჩუნოს გაბატონებული მდგომარეობა, ოღონდ კი შესძლოს საკუთარი კლასობრივი ინტერესის დაცვა.

ამრიგად, თანამედროვე ევროპის გაბატონებული კლასების აზროვნება ფაშისტური დიქტატურის ინტერესის მიმართ არის დაგრეხილ-დაწნული. ჩეიზე, ჰოიაკი, კრონერი — ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდისტებია. მათი თვალთახედვა კაპიტალიზმის უკანასკნელი ეტაპის ინტერესიდან გამომდინარეობს და როგორც მეცნიერებაში, ისე ტექნიკასა და ხელოვნებაში საშუალებას ეძებს რევოლიუციის ზრდა-განვითარების წინააღმდეგობა შეაჩეროს. ამ თვალთახედვაში პრინციპიულად გაერთიანებულია ნეოკანტიანელები და მემარჯვენე ნეოჰეგელიანელები. უკანტოდ შეუძლებელია ჰეგელი, — აცხადებს რიხარდ კრონერი ჰეგელის კონგრესზე და ამ განცხადებაში ისმის მთელი მონდომება ფაშისტური იდეოლოგიისა გამოიყენოს თავის საჭიროებისათვის ყოველგვარი საშუალება, ყოველგვარი კონცეპცია...

ოდესღაც გერმანული ფილოსოფია და გერმანული ლიტერატურა თავშესაფარი იყო პოლიტიკიდან გაქცეული ფილოსოფოსებისა და მწერლებისათვის. ჰეგელი, გოეტე, შილლერი ანაღდებდენ აზროვნებასა და ლიტერატურაში იმას, რაც გერმანიაში გაუნაღდებელი რჩებოდა პოლიტიკურად. ეს იყო ისტორიული მომენტი, როდესაც გერმანიას სახელმწიფოს ინტერესები და პოლიტიკური საქმიანობა აზროვნებასა და მხატვრული ლიტერატურის ლიანდაგზე გადაჰყავდა.

დღევანდელი გერმანია ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად დიალექტიურად საწინააღმდეგო გზას ადგია. ფაშიზმი ცდილობს აზროვნება და მხატვრული ლიტერატურა საკუთარი კლასობრივი ინტერესისათვის ბრძოლის უშუალო იარაღად გახადოს. თუ გოეტესა და ჰეგელის გერმანია ბურჟუაზიული კულტურის მოუმწიფებლობის გამო, მისი ისტო-

*) Ленин. Собрание соч. т. X; изд. I. стр. 303-

რიული გამოუცდელობის გამო ვერ ბედავდა პოლიტიკურ გაბრძოლებას ფრანგული სტილით და გამბედაობით, რიხარდ კრონერის და ოსვალდ შპენგლერის გერმანია ყოველგვარ ღონეს ხმარობს კულტურის—ყველა ფორმა და მათ შორის ფილოსოფია და ხელოვნებაც კლასობრივი ბრძოლის უშუალო იარაღად გახადოს. უარყოფა მეცნიერების, კულტურის, დაყრდნობა ეკლესიასა და რელიგიაზე მაჩვენებელია აზროვნების და იდეოლოგიის ფაშიზაციისა. ყველაფერი, რაც ხდება დღევანდელ გერმანიასა და საერთოდ ევროპაში, საუცხოვო საბუთია მარქსიზმის ისტორიული გამართლების და სოციალისტური კულტურის ტრიუმფის:

ფაშიზმის იდეოლოგია დასისტემებულია ფაშიზმის კლასობრივი ინტერესით. კაცობრიობის წარსულს, მის კულტურას, ხელოვნებასა და მწერლობას, ფილოსოფიასა და მეცნიერებას ფაშიზმი უყურებს როგორც საფუძველს, დასაყრდენს, აზარმაცს თავის პოლიტიკისას.

მთელი კულტურა, მისი ღირებულებანი, მეცნიერების ყველა სახე ფაშიზმისათვის მასალაა სოციალ-პოლიტიკური მიზნებისა. არა მარტო ის, რაც დღეს იწერება, არამედ ისიც, რაც უკვე დაწერილია და წარმოადგენს ისტორიის საგანძურს, იმდენად ღირსეულია, რაოდენად პოლიტიკურად გ ა მ ო ს ა დ ე ბ ი ა და ს ა ჭ ი რ ო.

აზროვნების ფაშიზაცია აერთებს სხვადასხვა მიმართულებას: ნეოკანტიანური ნაკადი, ჰუსერლიონური სწავლება ეიდოსების შასახებ, ფროიდის სოციოლოგია, კრონერის კულტურ-ფილოსოფიური დასაბუთება პოლიტიკის—ერთი გარკვეული სინთეზის სახით გვევლინება ნეოჰეგელიანების ხელმძღვანელობით. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს მიმართულებანი დაობდენ, ერთმანეთს ებრძოდენ თავიანთი პრინციპებისა და მიზნებისათვის. დღეს ესენი გაერთიანებულია ერთი მიმართულებით, რომელსაც აგრესიული, მებრძოლი ხასიათი აქვს—ბრძოლა რევოლუციონურ იდეოლოგიასთან.

საგულისხმოა, რომ ამ მებრძოლ გაერთიანებაში არის უაღრესი პრაქტიციზმი, გამომსახველი ბურჟუაზიული ჯგუფების იდეოლოგიის და განცდების. ამ გაერთიანებაში ისმის ხმა ინდივიდუალიზმის სხვადასხვა კუთხიდან, ამ ხმაში ეკლესიის ლიტურგიაც შედის, მისტიტიზმიც, მილიტარისტული ზრახვა და კერძო საკუთრების პათოსიც. მთელს ამ მიმართულებას რაღაც ინტენსიური, აგრესიული და მეომარი ხასიათი აქვს.

იტალიელი ფილოსოფოსი ჯენტილე გამომსახველია ამ აგრესიული და ინტენსიური სოციალური განცდების. ჯენტილე ღირსეული თანამედროვეა შპენგლერისა, ჰარტმანის და კრონერის, ჯენტილეს ფილოსოფია არის აქტუალობის და ინტენსივობის ფილოსოფია. საჭიროა სულის განთავისუფლება დროსა და სივრცის ზღუდეებისაგან, ყოველგვარი გარეგანი პირობებისაგან; „ერთადერთი ჩვენი იმედი, — ამბობს ჯენტილე, — არის მოქმედებით გამოვლენა ჩვენი სულის, რომელიც ღელავს ჩვენში. ამ კლდეზე ადამიანს მართლა შეუძლია იცხოვროს სულით, რომელიც თავისუფალია იჭვებისა და შიშისაგან“. „ყოველგვარი აზროვნება, რომელიც ნატურა-

ლისტურად იღებს ცხოვრებას, გარეშე ჩვენი სურვილებისა შესცვალოს ცხოვრება, ლოგიურად უნდა დამთავრდეს პესიმიზმით"*) ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ჯენტილე აქტუალიზმს ქადაგებს. ინტენსივობის და აქტუალიზმის ქადაგება აიძულებს ჯენტილეს თქვას საგულისხმო სიტყვები: „კონკრეტულად ფილოსოფოსობა ნიშნავს პიროვნული აქტუალობის შეყვანას თავისი ქვეყნის პოლიტიკის სისტემაში" დააკვირდით ამ სიტყვებს. ოდესღაც იდეალიზმი უძრაობას, ჭვრეტას, ცქერას ეტრფოდა, დღეს კი ფილოსოფოსობა თურმე პოლიტიკის სისტემაში პიროვნული აქტუალობის შეყვანას ნიშნავს. ეს სიტყვები ერთი მხრით მაჩვენებელია ყოველგვარი პარლამენტალიზმის, ინდიფერენტიზმის, ნეიტრილიზმის სიკვდილის, მეორე მხრით აზროვნების ფაშიზაციის, ფაშისტური დიქტატურის პოლიტიკური სამსახურის; ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინის დებულებას დიქტატურის აუცილებლობის შესახებ. სოციალური აზრი ჯენტილეს სიტყვებისა ამბობს, რომ აუცილებელია პოლიტიკური აქტუალიზაცია.

ყოველი პიროვნება,—განაგრძობს ჯენტილე,—უნდა შეუერთდეს აბსოლუტურ და კონკრეტულ ყოვლობას (რომელშიაც ჯენტილეს აზით გამოისახება ფაშისტური სახელმწიფო). ჰარტმანი, როგორც ჯენტილე, ეძებს კონსოლიდაციას „უმაღლესი კათეგორიული კანონებისა" და სუბდომინანტური ძალებისას. ჯენტილეს გაგებით სურდომინანტური პიროვნული აქტუალობა შედის უმაღლესი კატეგორიული კანონების ძალაში, რომელიც განხორციელებულია ფაშისტურ სახელმწიფოში და რომლის მორალური სანქცია მოცემულია ფაშისტური მთავრობის ნებაში.

ჯენტილე უკიდურესი სუბიექტივისტია, მაგრამ სუბიექტივისტი აგრესიული, მეომარი. „რაკი ქვეყანა არის ქვეყანა ჩვენი ცდისა, რაკი ქვეყანა არის ნაწარმოები ჩვენი „მე"-სი, მაშასადამე შემოქმედებითი ენერგიის და ცნობიერებათა ნიჭიერების, ყოველგვარი სახის იდეების, რომელთაც აქვთ მიდრეკილება სინამდვილის ჩვენი მეობის ძიების, აუცილებელია მთელი გადაწყვეტილებით, მედგრად, დამშვიდებით, გმირულად, პასუხისმგებლობის შეგრძნობის სიძლიერით, ვნებიანობით ვამტკიცოთ ეს ჭეშმარიტება, რომელიც შეიცავს ყველაფერს: ჭეშმარიტება ჩვენ ვართ; არსებობა არის ცნობიერება, ცნობიერება, რომელიც არის არსებობა **).

ობიექტი მთლიანად შეთქვეფილია სუბიექტში, მაგრამ არა ძველი კანტის გაგების სუბიექტში, არამედ მეომარ, აგრესიულ სუბიექტში. არაფერი არ არსებობს სულის გარეშე, აზროვნება აბსოლუტური, ყველაფრის შემცველი და ძ ლ ე ვ ა დ უ რ ი ა; არა მარტო საგნები, არამედ ადამიანებიც არ არსებობენ აზროვნების გარეშე. ქვეყნის სუბიექტივაცია—მეომარ სიძლიერეში შემოტანა ყველაფერის, რაც ადამიანის გარშემო არსებობს, გაბატონება პირადი ზრახვების, სურვილების, სუბიექტიური სამყაროს — ასეთია არსი ჯენტილეს ფაშისტური სოფლმხედველობის. ეს არის კლდე,

*) G. Gentile Sistema di Logica. v. II p. 188.

**). G. Gentile. Sistema di logica. v. II, p. 144.

რომელსაც ეტრფის ფაშიზმის ფილოსოფოსი, რომლის იმედიც აქვს, რომ ლისგანაც ის ელის შველას. მხოლოდ ამ კლდეზე შეუძლია ცხოვრება ადამიანს სულით, რომელიც თავისუფალია იქვისა და შიშისგან. ეხეიმბობს ჯენტილე. ფაქტიურად ეს არის ფილოსოფია შეშინებული [illegible]ის, ფილოსოფია იმის, ვინც გრძნობს რომ სახიფათო მდგომარეობაშია.

ჰუსსერლის ერთ-ერთი მოწაფე ლიტტი შემდეგნაირად ახასიათებს კაპიტალიზმის სოციალურ არეს: „თუ დავაკვირდებით გარეგან პირობებს, რომლებითაც განსაზღვრულია არსებობა ჩვენი ხალხის გამოურკვეველ დრომდე, ან თუ მივაქცევთ ყურადღებას შინაგან დანაწილებას ტომებისას, წოდებების, კლასებისას, ან თუ ვიკითხავთ პოლიტიკურ, რელიგიურ, ზნეობრივ შეხედულებებს ხალხის სიღრმეში, დავინახავთ ყოველგან მძიმე ბრძოლას, შევიწროების ინტენსივობას, შერევასა და რყევას შეურიგებელი ელემენტებისას, ყოველგან შეტაკებანი არსებობისათვის ბრძოლებისა ასე თუ ისე ტლანქ ფორმებში... მოკლედ, პირველ შეხედვით არეულობას ათასგვარ მოძრაობათა, რომლებშიაც ყველა ყველას წინააღმდეგია. ჰუმანიზმის იდეისადმი რწმენას ამ შეუბრალებელ ქვეყანაზე ადგილი არა აქვს" *) ეს სასოწარკვეთილებით ნათქვამი სიტყვები ჰუსსერლის ჰეგელიანურად გაწყობილი მოწაფისა საკმაოდ დამახასიათებელია სოციალური ფსიქოლოგიისათვის, რომელიც წარმოშვა კაპიტალიზმის დღევანდელ ეტაპმა და საიდანაც დემონიური ბრაზით გამოიყურება აგრესიული ფაშიზმი.

საბოლოოდ შეირყა სოციალ-ისტორიული ფონი კაპიტალიზმის და ფაშიზმი ყოველნაირად ცდილობს შეაჩეროს ამ რყევის გამომწვევი ისტორიული აუცილებლობა. მაგრამ ეს ცდა უტოპიურია და ფაშიზმის ბედიც ისტორიულად განწირული...

*). Th. Sitt, Die philosophie der Gegenwart. s. 74—75.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. ივ. ბერიტაშვილი

რეფლექსი და ქცევა*)

ჩემი მოხსენების მთავარ ამოცანას შეადგენს თქვენთვის ახალი მეცნიერების, ქცევათ მეცნიერების გაცნობა. ეს მოხსენება ეფუძვნის უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის ჩვენ მიერ წარმოებულ გამოკვლევათა მონაცემებს. მაგრამ, რადგანაც ქცევის ელემენტარული ანალიზი ააშკარავებს, რომ იგი რეფლექსურ ელემენტებისაგან შესდგება და ამასთანავე — იმის გამო, რომ ხშირად განსაკუთრებით კი რამოდენიმე წლების წინ, რეფლექსთა შესახებ მოძღვრებას აიგივებდენ ქცევათმეცნიერებასთან, მე ჩემ მოხსენებაში პირველყოვლისა რეფლექსის დახასიათებაზე შევჩერდები. ეს მე ქცვის სპეციფიურ თავისებურებათა გამოკვეთას გამოადვილებს.

უკვე ას წელზე მეტია, რაც რეფლექსი ექსპერიმენტალურად შეისწავლება. რეფლექსი შეისწავლებოდა იოჰანეს მიულერის მიერ წარსული საუკუნის ორმოციან წლებში. შემდეგში იგი შეისწავლებოდა პფლიუგერისა და სეჩენოვის მიერ ორმოცდაათიან და სამოციან წლებში, და უკანასკნელ ხანაში მის შესწავლას მიუდგენ ისეთი დიდი ფიზიოლოგები, როგორც შერინგტონი, პავლოვი და სხ. მიუხედავად ამისა **დღემდე რეფლექსის ზუსტად განმარტოებას თქვენ ვერ იპოვით.** არსებობს რეფლექსის მრავალი განმარტება. ერთი განმარტების მიხედვით რეფლექსი წარმოადგენს გალიზიანების საპასუხოდ ორგანიზმის მიერ წარმოებულ ყოველგვარ რეაქციას. რეფლექსის ასეთ გაგების ნიადაგზე უმარტივეს ერთუჯრედიანთა მოძრაობებიც — ე. წ. ტროპიზმები — რეფლექსად იწოდებიან (მეტალნიკოვი). აგრეთვე, როგორც თავმოკვეთილი, ისე ნორმალური ბაყაყის და უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა მოძრაობანიც იწოდებიან რეფლექსებად; სწორედ ასევე ადამიანის ქცევის აქტებიც რეფლექსებად მიიჩნევიან. ასე მაგალითად გაბატონებული შკოლა აკად. ი. პავლოვისა სცდილობს ადამიანის ქცევას რეფლექსური საზომით მიუდგეს. მეორე განმარტებით რეფლექსი ორგანიზმის მხოლოდ სტერეოტიპული, უცვლელი რეაქციაა. ამ აზრს ადგია მრავალი ფსიქოლოგი. მათი აზრით, რეფლექსური რეაქცია არ განიცდის ცვალებადობას შინაგან და გარეგან პირობათა ზეგავლენით. ის რეაქცია კი, რომელიც იცვლება შინაგან და გარეგან პირობათა ნიადაგზე, წარ-

---

*) მოხსენება მოსკოვის ფსიქოლოგიის, პედოლოგიის და ფსიქოტექნიკის სახელმწიფო ინსტიტუტში, 2/II 1934 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენს ქცევის აქტს და არა რეფლექსსო. ამერიკაში არსებობენ ისეთი ფსიქოლოგები, რომელნიც ფიქრობენ, რომ რეფლექსი საერთოდ არ არსებობს; არსებობს მხოლოდ ქცევა, რეფლექსი კი ფიქცია. მე არ შეუდგები რეფლექსზე ამ დიამეტრალურად მოწინააღმდეგე თვალსაზრისთა ვრცელ კრიტიკას. მაგრამ აღვნიშნავ, რომ ამ ჟამად შესაძლოა რეფლექსის ცოტად თუ მეტად სწორი განმარტება.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, თუ რა ჰქონდათ მხედველობაში, როგორც დ ე კ ა რ ტ ე ს, რომელმაც პირველმა მოგვცა რეფლექსის ცნება (როგორც უნებური რეაქციისა გარეგან გაღიზიანების საპასუხოდ), ისე ი. მ ი უ ლ ე რ ს, პ ლ ი ე ბ ი ს და რეფლექსის სხვა მკვლევარებს, მაშინ ასეთი ისტორიული მიდგომის ნიადაგზე შესაძლოა ნათელი გახდეს, თუ რას წარმოადგენს რეფლექსი. ასეთი ისტორიული განხილვისას აშკარავდება, რომ **რეფლექსი წარმოადგენს ერთ ორგანოს ან ორგანოთა ამათუიმ იმ სისტემის გარეგან რეაქციას, გამოწვეულს ცენტრალური ნერვული სისტემის მიერ გარეგან ან შინაგან გაღიზიანებათა საპასუხოდ.** რეფლექსის დანიშნულებაა როგორც ერთი ორგანოს, ისე ორგანოთა სისტემის მოძრაობათა კოორდინაცია; ამით ხორციელდება ორგანიზმში, როგორც თითოეული ორგანოს ნორმალური მოქმედება, ისე ერთი ორგანოს მეორე ორგანოსადმი შეგუება. მაგალითად, თუ ავიღებთ თავმოკვეთილ ბაყაყს, კატას ან ძაღლ' და გვერდზე კანს გაუღიზიანებთ, გაღიზიანების მხარეზე უკანა ფეხი მიიხიდება გაღიზიანებულ ადგილს და მოახდენს მოცილების ან ფხანვის მთელ რიგ მოძრაობებს. ამის ერთდროულად წინა ფეხზე და აგრეთვე მეორე უკანა ფეხზედაც ადგილი აქვთ ქარაქტერულ მოძრაობებს. ამ მოძრაობათა შესწავლიდან ჩვენ ვხედავთ, რომ თითოეულ ფეხზე მოძრაობები კორდინირებული არიან, როგორც მის ყველა შემადგენელ ნაწილთა მიმართ, ისე სხვა ფეხთა მოძრაობების მიმართ, რითაც მიიღწევა ცხოველის ისეთი მდგომარეობა, რომლის ნიადაგზედაც იგი ყველაზე უფრო კარგად ანხორციელებს მოცილების თუ ფხანვის ძირითად მოძრაობას მარტო ერთი უკანა ფეხით.

რეფლექსთა შესწავლისას მთელი რიგი კანონზომიერება იქნა მიღებული. მე არ შევჩერდები თვითეული მათგანის ახსნაზე, მხოლოდ განვმარტავ თუ არა რა იგულისხმება თითოეულ ცნობილ კანონზომიერებაში. მაგალითად, ეგრედ წოდებული რ ე ც ე პ ტ ო რ უ ლ ი ვ ე ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს მიხედვით თითოეულ რეფლექსს აქვს საკუთარი რეცეპტორი, რომლიდანაც უმთავრესად ის გამოიწვევა. ასე მაგალითად, უკანა ფეხის მოხვრის რეფლექსის საკუთარი რეცეპტორული ველი არის უკანა კიდურის თითების და ტერფის კანში. ეს კანონი დადგენილი იქნა შ ე რ ი ნ გ ტ ო ნ ი ს მიერ.

რეფლექსური მოქმედების შემდეგი კანონი, რომელიც ჩემ მიერ იყო დადგენილი, არის **საკოორდინაციო აპარატთა ლოკალიზაციის კანონი.** ეს კანონი გულისხმობს, რომ თითოეული რეფლექსის კოორდინაცია სწარმოებს ტვინის იმ ნაწილში, სადაც შედის მგრძნობიარე ნერვი სათა-

ნადო რეცეპტორულ ველიდან. ასე მაგალითად, უკანა ფეხის მოხვრის რეფლექსის საკოორდინაციო აპარატი ძევს ზურგის ტვინის წელის ნაწილში, ე. ი. იქ, სადაც შედიან მგრძნობიარე ბოჭკოები უკანა ფეხის თითებიდან და ტერფიდან. მაგრამ არის ზოგი ისეთი რთული რეფლექსი, რომელთა შესახებ ძნელია ითქვას, რომ მათ აქვთ გარკვეული საკოორდინაციო აპარატი. მაგალითად, ლოკომოციის რეფლექსი, რომელიც წარმოადგენს რთულ აქტს, შესდგება ფაზურ მოძრაობათა რეფლექსებისაგან, ტონურ რეფლექსებისაგან, მდებარების და წონასწორობის რეფლექსისაგან და დაყრდნობის სტატიურ რეფლექსისაგან. თვითეულ ამ ელემენტარულ რეფლექსს აქვს თავისი საკუთარი რეცეპტორული ველი და თავის საკოორდინაციო აპარატი, მაგრამ მთლიანად ლოკომოციას არა აქვს არც ერთი და არც მეორე.

შემდეგ უნდა აღინიშნოს აგრეთვე *რეციპროკული ინერვაციის კანონი*, რომელიც წამოაყენა *შერინგტონმა*. ამ კანონის მიხედვით, საკოორდინაციო აპარატი ერთი წყება კუნთებისადმი აწარმოებს აგზნებას და მეორე წყება კუნთებისადმი კი შეკავებას. თუმცა არსებობენ ისეთი საკოორდინაციო აპარატები, რომელნიც წარმოშობენ არა წმინდა რეციპროკულ ინერვაციებს. მაგალითად ფხანვის საკოორდინაციო აპარატიდან უკანა ფეხის ყველა კუნთები შეკუმშვას განიცდიან, მხოლოდ ამ კუნთთა შეკუმშვა მორიგეობით ხან ძლიერდება, ხან სუსტდება, ე. ი. აგზნების ფონზე ისინი პერიოდულად კავდებიან.

არის ისეთი რეფლექსი, სადაც ფეხის ყველა კუნთები ერთბაშად იკუმშებიან რეციპროკულობის ყოველგვარ ნიშნის გარეშე. ასეთია დაყრდნობის რეფლექსი. როგორც *მაგნუსმა* გვიჩვენა, ის გამოიწვევა თითების ვენტრალურ ზედაპირზე დაწოლისას და მათ დორსალურ მოხვრისას. მაშასადამე ამ რეფლექსის საკოორდინაციო აპარატს აქვს თავისი სპეციფიური კოორდინებური ინერვაცია.

აგრეთვე აღვნიშნავ **აგზნების ირადიაციის კანონს**, რომელიც დიდი ხანია მოცემულია *პფლიუგერის* მიერ: როდესაც აგზნება შედის ზურგისა და თავის ტვინში, მისი გავლენა არ შემოიფარგვლის ერთი რომელიმე სეგმენტით; იგი ეცელდება როგორც ზევით, ისე ქვევითაც მთელ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. უპირველესად ეს პირობადებულია ცენტრალური ნერვული სისტემის ანატომიური აგებულებით. ამას ერთვის კიდევ პროპრიოცეპტორთა გავლენა: როგორც კი პირველადი გაღიზიანების საპასუხოდ გამოიწვევა მოძრაობა, მყისვე სწარმოებს კუნთების, მყესების და სახსრების პროპრიოცეპტორთა გაღიზიანება. აქ გამოწვეული აგზნება გავლენას ახდენს ც. ნ. ს.-ზე აგზნებადობის აწევით და აგზნების გამოწვევით. ამასთანავე, ვინაიდან ერთი მამოძრავებელი ორგანოს გაღიზიანებისას მოძრაობა შესაძლოა გამოწვეულ იქნეს სხეულის სხვა ნაწილებშიაც, ამიტომ პროპრიოცეპტული აგზნება გამოიწვევა სხვა კიდურებშიაც. ეს კი ცხადია ძლიერ ხელს შეუწყობს ცენტრალური მოქმედების ერთი განყოფილებიდან მეორე განყოფილებაში გავრცელებას.

მართალია, თვითეულ რეფლექსს აქვს თავისი საკუთარი საკოორდინაციო აპარატი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთი რეცეპტორული ველის გაღიზიანებისას რეაქცია პირობადებული იქნება მხოლოდ განსაზღვრული საკოორდინაციო აპარატის მოქმედებით. ჩვენ უკვე [illegible] ერომ აგზნების ირადიაციის კანონის თანახმად, აგზნება განიცდის გავრცელებას ერთი განყოფილებიდან მეორეში. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ირადირებული აგზნების გავლენით შესაძლოა ამოქმედდენ მთელი რიგი სხვადასხვა საკოორდინაციო აპარატები. მაშასადამე, თქმა იმისი, რომ აღებული რეცეპტორული ველის გაღიზიანების საპასუხოდ აგზნება ც. ნ. ს. მხოლოდ განსაზღვრულ განყოფილებაში სწარმოებს, არ იქნება მართებული. როგორი პრეპარატიც არ უნდა ავიღოთ, საზურგტვინო, დეცერებრაციული თუ მთელი ცხოველი დაუზიანებელი ც. ნ. სისტემით, ჩვენ მუდამ დავინახავთ, რომ რეფრექტორული რეაქცია მოიცავს მთელ პრეპარატს. აქედან **ვღებულობთ რეფექსული მოქმედების მთლიანობის კანონს.** ეს კანონი მიგვითითებს, რომ რეფლექსური რეაქცია მუდმივ მთლიანია და მოიცავს ორგანოთა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან სისტემას. მაშასადამე, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ რეფლექსის დროს საქმე გვაქვს ზუსტად განსაზღვრულ ლოკალურ მოძრაობასთან, ლოკალურ რეაქციასთან. ცენტრალური ნერვული სისტემის მთლიანი მოქმედების გამომჟღავნება იმ შემთხვევაშიაც კი შეიძლება, როდესაც რაიმე გარეგან გაღიზიანების საპასუხოდ იწვევა მხოლოდ მცირე მოძრაობა რომელიმე განსაზღვრულ ორგანოში. მაგალითად, ჩვენი საკუთარი ცდებიდან ცნობილია, რომ თუ ნორმულ ცხოველს, ან ისეთ ცხოველს, რომელსაც ამოცლილი აქვს დიდი ჰემისფეროები, დავაჭირეთ თავის წინა ნაწილის კანზე — თავი გადაიხრება უკან; სხვა მოძრაობა შესაძლოა ვერ შეამჩნიოთ, მაგრამ სპეციალური ცდებით ირკვევა, რომ ამ დროს ადგილი აქვს სხვა ორგანოთა კუნთების შეკავებას: თუ თქვენ შეეცდებით ფეხზე თავდაცვის რეფლექსის გამოწვევას, იგი შესუსტებული აღმოჩნდება, აგრეთვე სუსტდება ტონური რეფლექსიც; ამასთანავე სწარმოებს სუნთქვითი მოძრაობების შეჩერება; და თუ ცხოველი მანამდე მოძრაობდა, ეხლა თავის გაღიზიანებისას ჩერდება. მაშასადამე გარკვეულ ცენტრიდან, რომელიც მოდის აქტიურ მდგომარეობაში თავზე კანის გაღიზიანებით, კისრის კუნთების აგზნებასთან ერთად სწარმოებს კიდურთა და სხეულის სხვა კუნთთა შეკავება. ამრიგად, ამ მაგალითებიდან ნათლად სჩანს, რომ რეფლექსი მართლაც რომ მთლიანი აქტია, რომელიც მოიცავს თითქმის მთელ ორგანიზმს.

რეფლექსური რეაქცია მით ხასიათდება, რომ იგი იცვლება როგორც გარეგან, ისე შინაგან პირობებისაგან. ჯერ კიდევ სეჩენოვი 1863 წელში კარგად ცნობილ წერილში: „თავის ტვინის რეფლექსები“ ასეთ შენიშნავს აკეთებს: თუ თავმოკვეთილი ბაყაყი სძევს გაჭიმული ფეხებით, მაშინ თითების გაღიზიანება იწვევს ფეხის მოხვრას; მაგრამ თუ კი ფეხები უკვე მოხრილ მდგომაერობაში არიან, მაშინ თითების იგივე გაღიზიანება გამოიწვევს გაშლას. რეფლექსიური რეაქციის ასეთი ცვლილება კი-

დურთა მდებარეობის მიხედვით შესწავლილ იქნა მ ა გ ნ უ ს ი მიერ ძლიერ დეტალურად. მან ნახა, რომ გარეგან და შინაგან პირობათა განსაზღვრული ცვალებადობის ნიადაგზე თითქმის თვითეული რეფლექსური რეაქცია განიცდის არა მარტო რაოდენობით, არამედ ხასიათით ცვლილებასაც. მ ა გ ნ უ ს ი რეფლექსთა ცვალებადობას სწავლობდა ძუძუმწოვარ ცხოველებზე, მათ საზურგტვინო პრეპარატებზე. აი კიდევ ერთი დემონსტრაციულ სურათთაგანი: ძაღლის მარჯვენა გვერდზე წოლისას კანის მარჯვენა მხარეზე გაღიზიანება არ გამოიწვევს ფხანის რეფლექსს. თუ ამ ადგილის გაღიზიანებას გავაძლიერებთ, მაშინ შესაძლოა ფხანვის გამოწვევა, მაგრამ ამას მოახდენს მეორე უკანა კიდური. ცხადია, ასეთი რთული რეფლექსიც ცვალებადობს ცხოველის მდებარეობასთან დამოკიდებულებით. აქ მნიშვნელოვანია კანის გაღიზიანება. მე არ მოვახდენ იმის ანალიზს თუ რაზეა დამოკიდებული ამ რეფლექსური რეაქციის ცვალებადობა. მე მინდოდა მხოლოდ აღმენიშნა თანშობილი რეფლექსური მოქმედების კიდევ ერთი კანონი — **რეფლექსური მოქმედების ცვალებადობის კანონი.**

ყოველივე ზემოთქმული შეეხება თანშობილ რეფლექსურ მოქმედებას, თანშობილ რეფლექსებს.

მაგრამ, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, არსებობენ აგრეთვე ინდივიდურად შეძენილი რეფლექსები. ისინი მით ხასიათდებიან, რომ ასეთი რეფლექსური რეაქცია გამოიწვევა არა როგორც ჩვეულებრივ რომელიმე რეცეპტორის გაღიზიანებით, რომელთაგანაც საკოორდინაციო აპარატი თანშობილი გზებითაა კავშირში, არამედ გამოიწვევა ისეთი რეცეპტორებიდან, რომელთაც აღებული ინდივიდური რეაქციის საკოორდინაციო აპარატთან არ მოეპოვებათ სავსებით თანშობილი ნერვული გზები. ასეთ შემთხვევაში ნერვული გზა ერთ თავის ნაწილში ინდივიდურად შეძენილია. ეს ნაწილი მდებარეობს თავის ტვინის ქერქში. თანშობილ რეფლექსის შემთხვევაშიაც ნორმალურ ცხოველზე დიდი ტვინის ქერქი მონაწილეობას ღებულობს. რეცეპტორი მგრძნობიარე ნერვულ ბოჭკოთა საშუალებით მოქმედებს საკოორდინაციო აპარატზე, როგორც უშუალოდ მოკლე გზით, ისე ძლიერ გრძელი გზით დიდი ტვინის ქერქით. ჩვეულებრივ ნორმულ ცხოველთა რეფლექსები იწვევიან სწორედ გრძელი გზებით: იგი მიდის რეცეპტორიდან თავის ტვინის განსაზღვრულ განყოფილებამდე, აქედან იწყებიან ახალი გზები, რომელნიც აღწევენ დიდ ჰემისფეროთა ქერქს. აქ აგზნება გადაეცემა ქერქის მამოძრავებელ ნაწილებს, საიდანაც ის მიდის ქვემავალი გზებით, რომელნიც ბოლოვდებიან საკოორდინაციო აპარატთან; ამ საკოორდინაციო აპარატის საშუალებით იგი იწვევს მოძრაობით რეაქციას.

იმის დამტკიცება საკმარისად ადვილია, რომ ნორმულ ცხოველებს, რომელთა ქერქი საკმაოდ განვითარებულია, თანშობილი რეფლექსური მოქმედება მხოლოდ ქერქის საშუალებით სწარმოებს. მაგალითისთვის

ავიღოთ ისეთი ცდა, რომელიც ჯერ ტ რ ე ნ დ ე ლ ე მ ბ ურ გ მ ა და მერე ი უ შ ჩ ე ნ კ ო მ გააკეთა. ზურგის ტვინის მცირე ნაწილის გაცივებით მათ გამოიწვიეს განსაზღვრულ დონეზე აგზნებადობის დაკარგვა — სიცივის პარაბიოზი; ამით ზურგის ტვინის უკანა ნაწილი გამოთიშეს თავის ტვინისაგან. ამ პირობებში უკანა კიდურთა ის გაღიზიანებები, რომელნიც იწვევდენ თავდაცვის ან სხვა ხასიათის რეფლექსებს, ეხლა აღარ იწვევენ მათ. აქედან ცხადია, რომ ნორმალურად რეფლექსი იწვევა ტვინის ქერქიდან.

ეხლა, რაც შეეხება ინდივიდურ ნერვულ გზას, უნდა ითქვას, რომ მთელი ნერვული გზა, იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც ძევს დიდ ჰემისფეროთა ქერქის მიმღებ და მამოძრავებელ არეთა შორის, წარმოადგენს თანშობილ ნერვულ გზას. გზის ეს ნაწილი კი შეიქმნება ინდივიდური გამოცდილების ნიადაგზე. აკადემიკოსი პ ა ვ ლ ო ვ ი ს შკოლის ნამუშევართა მიხედვით უკვე ცნობილია, თუ რა პირობებში აღმოცენდებიან ეს გზები. ამას მე შემიძლია დაუმატო შემდეგი: ამ ქერქულ ინდივიდურად შეძენილ გზას, რომელიც ცნობილია დროებითი კავშირის სახელწოდებით, აქვს არა მარტო ერთი მიმართულება, როგორც ეს გამომდინარეობს აკადემიკოს პ ა ვ ლ ო ვ ი ს მოძღვრებიდან, ე. ი. ინდივიდური გაღიზიანების მიმღებ კერიდან ძირითად გაღიზიანების მიმღებელ და შემდეგ მამოძრავებელ ნაწილებისაკენ, არამედ საწინააღმდეგოდ ამისა უკუ მიმართულებითაც, ე. ი. უკანასკნელ კერებიდან პირველისაკენ. მე დაწვრილებით არ შვჩერდები ინდივიდურად შეძენილ რეფლექსურ მოქმედებათა კანონზომიერებათა დახასიათებაზე. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ **დროებითი კავშირების კანონის** გარდა არსებობს კიდევ ერთი კანონი, რომელსაც მე ვუწოდე **შეუღლებული ირადიაციის კანონი.** ამ კანონის მიხედვით, როდესაც ერთი რომელიმე ნერვული კომპლექსი აგზნებაში მოდის, აგზნება ამ კომპლექსიდან ვრცელდება ქერქში ძალიან მარტივი პრინციპის თანახმად: მორფოლოგიურად და ფუნქციონალურად ყველაზე მეტად განვითარებული გზებით აგზნება გატარდება უფრო მეტი ინტენსიობით, ვიდრე სხვა უფრო ნაკლებ განვითარებული გზებით; და ამასთანავე ამ უკანასკნელში მით უფრო ნაკლები ინტენსიობით, რამდენათაც იგი უფრო ძლიერად ვრცელდება კარგად განვითარებული გზებით. ამ კანონის დასაბუთებზე მე არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ამჟამად ეს არ შეადგენს ჩემს ამოცანას. მე მიუთითებ მხოლოდ ერთ ფაქტზე, რომლიდანაც აღნიშნული კანონზომიერება თავისთავად ნათელი შეიქნება. როდესაც ცხოველს პირველად ვუღიზიანებთ კანს ძლიერი ელექტროდენით, იწვევა რთული რეაქციები: კიდურთა მოძრაობა, მთელი სხეულის მოძრაობა, გახშირებული სუნთქვა, ხმის რეაქცია — წკმუტუნი, საორიენტაციო მოძრაობა, ლოკომიცია და სხ. თუ ეს რთული რეაქცია, გამოწვეული ელექტრული გაღიზიანებით, რამდენჯერმე შეუღლდა ერთ რომელიმე ბგერას, შემდეგ ეს უკანასკნელიც გამოიწვევს ასეთსავე რეაქციას. რამდენიმე დღის განმავლობაში ამ შეუღლებათა მრავალჯერითი განმეორებისას

აღმოჩნდება, რომ ელექტრო გაღიზიანება საპასუხო მოძრაობას იძლევა მხოლოდ ერთ ფეხზე და აგრეთვე მცირე საორიენტაციო მოძრაობას. აგრეთვე გაღიზიანება, რომელიც უკვე ინდივიდური სიგნალი გახდა, იწვევს მხოლოდ ერთი ფეხის მოძრაობასაც და მცირეოდენ თავის საორიენტაციო მოძრაობას. ყველა ამ მოვლენას მე ვხსნი მით, რომ პირველად, როდესაც ჯერ არ არსებობდა გარკვეული, მორფოლოგიურად კარგად გახვითარებული ნერვული გზები, აგზნება იმ ნერვულ კომპლექსიდან, რომელიც ჩვეულებრივ მოქმედობს ძირითადი ან ინდივიდური გაღიზიანების ზეგავლენით, დიდი ინტენსიობით ვრცელდება ყველა მიმართულებით, მოიცავს მრავალ მამოძრავებელ ნაწილებს. მაგრამ მის შემდეგ, რაც დროებითი კავშირები დამყარდენ, აგზნება მიისწრაფის უმთავრესად ამ დროებით გზებით და იწვევს მოძრაობას უმთავრესად სათანადო ფეხზე. დროებით კავშირების საბოლოო განვითარების შემდეგ კი, აგზნება სხვა დანარჩენ გზებში ისე მცირე ინტენსიობით გატარდება, რომ მას არ შეუძლია მოახდინოს გავლენა სხვა კიდურთა და საერთოდ სხვა ორგანოთა მამოძრავებელ ნაწილებზე და მათი საშუალებით გარეგანი რეაქციების გამოწვევა.

რასაკვირველია, ტვინის ქერქის ინდივიდური მოქმედება მთლიანი და ცვალებადია. **მთლიანობისა და ცვალებადობის კანონი** ამ მოქმედებისათვის მთავარია. ინდივიდურად შეძენილ მოქმედებათა ცვალებადობა კარგად ცნობილია აკადემიკოს პ ა ვ ლ ო ვ ი ს შკოლის შრომებიდან. ხოლო ამ მოქმედებათა მთლიანობა ცხადად სჩანს სხვადასხვა ინდივიდურ რეფლექსთა ურთიერთობიდან, და აგრეთვე თანშობილი და ინდივიდური რეფლექსების ურთიერთობიდან. მაგალითად, არ შეიძლება გამოწვევა ერთდროულად ორი ინდივიდური რეფლექსის ისე, რომ ურთიერთზე გავლენა არ მოახდინონ: რომ არ მოხდეს გაუკუღმართება ან სრული უარყოფა ერთი რეფლექსისა მეორეს გავლენით.

მე შევეხები კიდევ ერთ საკითხს, სახელდობრ დიდ ჰემისფეროთა ქერქში შეკავების საკითხს. ამ საკითხზე მე ხშირად შემხვედრია ჩემი აზრის გამოთქმა წერილობით; ამიტომ ეხლა ძალიან მოკლედ შევეხები. აქ მე აღვნიშნავ მხოლოდ მას, რომ დიდ ჰემისფეროთა ქერქი წარმოადგენს თავისებურ ორგანოს, რომელსაც ახასიათებს არა ის, რაც ახასიათებს თავის ტვინის ღეროს და ზურგის ტვინს. ზურგის ტვინსა და თავის ტვინის ღეროში მოთავსებული არიან საკოორდინაციო აპარატები და მათში წარმოებს შეკავების პროცესი, რომელიც რეციპროკულად კავშირშია აგზნებასთან. ეს საკოორდინაციო აპარატთა თვისებაა. ქერქში არ არიან საკოორდინაციო აპარატები და მაშასადამე არც შეკავება. ეს დაამტკიცა შ ე რ ი ნ გ ტ ო ნ მ ა. თუ გავაღიზიანებთ ტვინის ქერქს, მივიღებთ ამა თუ იმ კოორდინირებულ მოძრაობას განსაზღვრული წყება კუნთთა შეკავებით. ეხლა, თუ ამის შემდეგ ჰემისფეროთა ქერქს ამოვაცლით და ვაწარმოებთ პირამიდული გზების გაღიზიანებას, ჩვენ მივიღებთ ისეთსავე კოორდინირებულ რეაქციას, როგორსაც ადგილი ჰქონდა ქერქის გაღიზიანებისას. მაშასადამე, თუ ქერქის გაღიზიანებისას ჩვენ კოორდინირე-

ბულ ინერვაციას ვლებულობთ, იგი აუცილებლივ წარმოიშვება არა ქერქში, არამედ იქ, სადაც პირამიდული გზა თავდება. მ ო ნ ა კ ო ვ ი ს ა და ა რ ი ე ნ ს კ ა პ ე რ ს ი ს მიხედვით ყველა ეს ქვემავალი, პირამიდული, გზები თავდებიან უმთავრესად ინტრა-სპინალურ უჯრედებთან, ე. ი. იმ ნეირონთა უჯრედებთან, რომელნიც კოორდინაციას წარმოადგენენ. ქერქში შეკავების არსებობის შესახებ აზრი მუშავდებოდა აგრეთვე იმ საფუძველზე, რომ ქერქის ამოცლის შემდეგ ადგილი ჰქონდა ზურგის ტვინის რეფლექსური მოქმედების გაძლიერებას. მაგრამ ჯერ კიდევ ს ე ჩ ე ნ ო ვ ი მიუთითებდა, რომ არ შეიძლება რეფლექსური მოქმედების გაძლიერება ავხსნათ ცენტრალური ნერვული სისტემის შემაკავებელ ცენტრთა ამოცლის ნიადაგზე. მისი აზრით, ოპერაციის გამო სწარმოებს ქვემავალ გზათა გაღიზიანება და შემდეგ გარდაშვება. ერთიც და მეორეც იწვევს აღნიშნულ გზათა აგზნებას. ეს კი სავსებით საკმარისია, რათა ზურგის ტვინის აგზნებადობამ ძლიერ აიწიოს. ვ ე დ ე ნ ს კ ი ს შემდეგ ცნობილია, რომ თუ მგრძნობიარე ნერვი იქნა გაღიზიანებული მთელი საათების განმავლობაში, თუ გინდ გარეგანი რეაქციათა მოცემის გარეშე, ეს ისე იმოქმედებს ზურგის ტვინზე, რომ გამოიწვევს მის აგზნებადობის ისეთ ძლიერ აწევას, როგორსაც ადგილი აქვს სტრიქნინით მოწამვლისას. ცხადია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიოლოგები ინდივიდურ რეფლექსთა ანალიზისათვის ხმარობენ შეკავების ცნებას, ეს უნდა წარმოადგენდეს ჰიპოთეზურ წარმოდგენას, რომელმაც უნდა აღნიშნოს სპეციალურად რეფლექსის უარყოფა, რეფლექსის არ არსებობა. მაგრამ ამ შემთხვევაში არ ითქმის, რომ შეკავება არის რაღაც რეალური ამ მოვლენათა მიმართ, ისე როგორც საკოორდინაციო აპარატთა რეციპროკულ ინერვაციაშია. ცხადია ქერქის შემთხვევაში რეფლექსის უარყოფა სწარმოებს არა შეკავებით, არამედ სრულიად სხვა გზით.

მე აგრეთვე მოკლედ შევჩერდები რეფლექსის ტერმინალოგიაზე. როგორც მოგეხსენებათ, პ ა ვ ლ ო ვ ი თანშობილ რეფლექსს უწოდებს არაპირობით რეფლექსს. მე ზევით ვსთქვი, რომ **ყველა თანშობილი რეფლექსები განიცდიან ცვალებადობას შინაგან და გარეგან პირობებზე დამოკიდებულებით.** ეს სრულიად საკმარისია იმის მტკიცების საბუთად, რომ არაპირობითი რეფლექსი არ არსებობს. ყველა რეფლექსები პირობითია, ვინაიდან ისინი იცვლებიან გარეგან და შინაგან გაღიზიანებათა გავლენით.

ინდივიდური რეფლექსები იწოდებიან პირობით რეფლექსებად. ეს უპირველესად იმიტომ, რომ ისინი ძლიერ ცვალებადნი არიან. ზოგჯერ საკმარისია სულ მცირეთ შესცვალოთ გარეგანი პირობები, რომ ინდივიდური რეფლექსი გაქრეს. მაგრამ მისი ასეთი მდგომარეობა არა სპეციფიურია; ის დამახასიათებელია პ ა ვ ლ ო ვ ი ს მეთოდიკით მუშაობისათვის: ცხოველი მოთავსებულია კამერაში, სადაც უცხო ბგერები არ ისმიან, სადაც ცდის დროს არავინ არ შედის, ე. ი. ადგილი აქვს გარე გარემოსაგან ცხოველის სრულ იზოლიაციას. სწორედ ამის გამოა, რომ **ცდის გარეგანი პირობების ოდნავი ცვლილება იწვევს რეფლექსის მოსპობას,**

ვინაიდან გარეგან პირობათა ცვლილებასთან ერთად იცვლება ცენტრალური ნერვული სისტემაც, რის შედეგათაც გვეძლევა ინდივიდური რეფლექსის ცვლილება. მაგრამ, თუ ინდივიდური რეფლექსი მუშავდება ისეთ პირობებში, სადაც მართალია კამერა არსებობს, მაგრამ იგი ბგერათა გამტარია, ამასთანავე არ ეკრძალება უცხო პირებს ძალოვანად შეხვედრა და ამრიგად გარემოს ცვლილებასთან ძაღლი ერთგვარად შეგუებულია, მაშინ სხვა შედეგებს მივიღებთ. ასეთი ძაღლი რომ ჩამოვსვათ იატაკზე და მას გარს შემოვარტყათ სტუდენტები, ინდივიდურ სიგნალზე იგი მოიცემა ისეთ რეაქციას, როგორც წინად კამერაში. პ ა ვ ლ ო ვ ი ს მიხედვით ცნობილია, რომ ინდივიდური რეფლექსი სწრაფად ქრება რეგულიარული შეუუღლებლობის ნიადაგზე. მაგრამ სრულიად სხვა სურათს ვღებულობთ, თუ ინდივიდური რეფლექსის გამომუშავების შემდეგ საინდივიდურო სიგნალი შევუუღლეთ ძირითად გაღიზიანებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდური რეფლექსი არ იწვევა. ასეთ შემთხვევებში ინდივიდური რეფლექსი ვითარდება ისეთი სიმტკიცით, რომ შესაძლოა რეფლექსის ჩაუქრობლად გამოწვევა ასობით. მე მთელი ათი დღის განმავლობაში ვეცადე ასეთი რეფლექსის ჩაქრობა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მე ყოველდღიურად ასე ვიქცეოდი: ათი სეკუნდი გაღიზიანება, ათი სეკუნდი დასვენება. ვღებულობდი ინდივიდურ რეფლექსთა გრძელ სერიას თანდათან შესუსტებით. საბოლოოდ ვღებულობდი ისეთ სურათს, რომ რეფლექსი ხან იყო, ხან არა, მაგრამ აბსოლიუტურ ჩაქრობას ადგილი არ ჰქონდა. ცხადია, ინდივიდური რეფლექსი შესაძლოა ისეთი მტკიცე იქნეს, რომ ის თავის სიმტკიცით სრულიადაც არ ჩამოუვარდებოდეს თანშობილ რეფლექსს. და მართლაც, თუ ამავე ძაღლს ჩვენ გავუღიზიანებთ ფეხს ელექტროდენით, მაშინაც ექნება ადგილი რეფლექსური რეაქციის თანდისთან შესუსტებას თითქმის იმავე რაოდენობით განმეორების შემდეგ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ინდივიდური რეფლექსის ჩაქრობის დროს.

მე გაჩვენეთ, რომ ინდივიდური რეფლექსი შესაძლოა იყვეს ძლიერ მტკიცე და ამიტომ ზოგ შემთხვევაში მისი ნაკლები სიმტკიცე არ ჩაითვლება მის დამახასიათებელ თვისებად. აი სწორედ ამიტომ არ მიმაჩნია მე მართებულად, რომ თანშობილ რეფლექსს ეწოდებოდეს არაპირობითი და ინდივიდურს კი პირობითი. მე ვფიქრობ, რომ გაცილებით უფრო სწორი იქნება ც. ნ. სისტემის თანშობილ ორგანიზაციაზე დამოკიდებულ რეფლესს ვუწოდოთ თანშობილი და ინდივიდური გამოცდილების ნიადაგზე გამომუშავებულ რეფლექსს კი ინდივიდურად-შეძენილი, ანუ ინდივიდური.

ეხლა მე გადავალ ქცევის განმარტებაზე. **ქცევას მე ვუწოდებ ორგანიზმის ისეთ მთლიან რეაქციას, რომელიც მიმართულია ერთის მხრივ ორგანიზმის გარემოსთან შეგუებისაკენ, და მეორეს მხრივ, გარემოს ისეთ შეცვლისაკენ, რომლის ნიადაგზედაც თვით ეს გარემო ეგუება ორგანიზმის მოთხოვნილებებს.** მაგალითი უკეთ ახსნის ამ განმარტებას.

შინაური ცხოველი, მაგალითისათვის ავიღოთ ძროხა, როგორც კი **მას** გაუღებენ ბოსელს, გამოდის ეზოში; ის შემოივლის ეზოს და თუ

ვერ იშოვნა საჭმელ ეზოში, გადის ქუჩაში; თუ აქაც ვერ იშოვნა, იგი გაემართება გარკვეული მიმართულებით, რომელიც ბოლოს მიიყვანს მას საძოვარზე. აქ თავდახრილი იგი სძოვს ზოგ ბალახს, ზოგს გვერდს უვლის და ასე იგი სძოვს დიდხანს დაღამებამდე, როდესაც ფეხი მიუყენდება სახლში. მთელ ამ გრძელ და რთულ პროცესს დაწყებულს მისი ბოსელიდან გამოსვლიდან და დათავებულს ხელახლად შინ მისვლით, მე ვუწოდებ კვების ქცევის აქტს. მთელი ეს პროცესი ორგანიზმის გარეგან საჭიროსადმი შეგუებას გამოხატავს.

თუ კი ცხოველი იკეთებს ბუნაგს, სოროს, ბუდეს, ეს წარმოადგენს გარემოს შეცვლას შესაგუებლად ცხოველის საჭიროებისადმი. ქცევის ეს აქტები ემსახურებიან ან კვებას, ან გამრავლებას ან თავდაცვას. მაგალითად, როდესაც თაგვი მინდორში აკეთებს სოროს და აგროვებს მასში პურის მარცვლებს ზამთარში საკვებად, მთელი ეს სოროს კეთებისა და მარცვლეულობის შეგროვების მოქმედება წარმოადგენს კვების ქცევის აქტს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს გარემოს შეგუება ორგანიზმის მოთხოვნილებებისადმი.

სწორეთ ასევე შეგვიძლია ვსთქვათ ადამიანის მიმართაც. ადამიანის ქცევაშიაც არის მოცემული როგორც გარეგან სამყაროსადმი შეგუების ელემენტები, ისე გარეგანი სამყაროს შეგუება ორგანიზმის მოთხოვნილებებისადმი. მაგალითად, როდესაც ადამიანი მიდის ტყეში ან ბაღში და იქ ჭამს ხილს, ეს იქნება კვების ქცევა, რომელშიაც გამოიხატება გარე სამყაროსადმი შეგუება. მაგრამ, როდესაც ადამიანი აშენებს ბაღს: თხრის მიწას და რგავს ხეებს, რათა შემდეგ მათგან მიიღოს ნაყოფი და იკვებოს მით, ეგეც კვების ქცევა იქნება, მაგრამ მასში გამოიხატება გარემოს შეგუება ადამიანის მოთხოვნილებებისადმი.

რასკვირველია ამით მე სრულიადაც არ მინდა ადამიანის და ცხოველის ქცევა გავაიგივო. მე მინდა მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ადამიანისა და ცხოველის ქცევის აქტებში ჩვენ ვნახულობთ როგორც **ორგანიზმის გარემოსადმი შეგუებას, ისე პირიქით გარემოს ორგანიზმისადმი შეგუებას.**

ქცევის ყველა აქტი ემსახურება ან ორგანიზმის თავდაცვას, ან კვებას, ან გამრავლებას. ქცევის ძირითადი დამახასიათებელი თვისება გამოიხატება გარკვეულ მიზნის არსებობაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მიზანი ქცევის ყველა აქტში შეგნებულად განიცდება. ქცევის განსაზღვრულ აქტებში. სახელდობრ, ადამიანის ქცევის შრომითი აქტებში, მიზანი მართლადაც რომ შეგნებულია, იგი ცნობიერებაშია მოცემული. ქცევის სხვა ფორმებში თუმც მიზანი ობიექტიურად ყოველთვის მოცემულია, მაგრამ სუბიექტურად იგი არ განიცდება, იგი არაა შეგნებული.

არსებობს ქცევის რამოდენიმე დამახასიათებელი ფორმა.

ქცევის უმდაბლეს ფორმას წარმოადგენს **ტროპიზმი.** იგი დამახასიათებელია უმარტივესთათვის. მე არ შევჩერდები ყველასათვის ცნობილ ტროპიზმთა განხილვაზე. აღვნიშნავ სხვა ფორმებს. ცენტრალური ნერვული

სისტემის მეშვეობით წარმოებულ ქცევათა ფორმებში, ყველაზე უმდაბლესს **თანშობილი ნერვული ქცევა** წარმოადგენს. იგი დახასიათებულია, როგორც ყველა უხერხემლო ცხოველთათვის, ისე დაბალ ხერხემლიანთათვისაც. ქცევის ეს ფორმა ხასიათდება მით, რომ იგი საყრდენ-ნ. სისტემის თანშობილ ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. მუდამ იგი გამოიწვევა და მიმდინარეობს გარეგან და შინაგან გაღიზიანებათა გავლენით ინდივიდურ გამოცდილების გარეშე.

ქცევის შემდეგი ფორმაც ნერვული ხასიათისაა, მაგრამ ინდივიდური წარმოშობის, ეს არის **ინდივიდური ქცევა**, რომელიც ემყარება ინდივიდურ გამოცდილებას.

თუ ავიღებთ ბაყაყს და მძლავრად გაღიზიანებთ უკანა კიდურს, იგი გაიქცევა. ეს იქნება ბაყაყის თავდაცვის ქცევა, თანშობილი ქცევა. თუ თქვენ ქუჩის ძაღლის წინ დაიხრებით თითქოს ქვის ასაღებად, შესაძლოა ძაღლმა დაიწკმუტუნოს, შემობრუნდეს და გაიქცეს. თქვენ ჯერ ქვა არ აგიღიათ, ძაღლი უკვე გაიქცა. ეს ქცევა ინდივიდური წარმოშობისაა. ამ მაგალითებიდან თავისთავად სჩანს, რომ ინდივიდური ქცევის ფორმა უფრო მაღალი და ეკონომიურია, ვიდრე თანშობილ ქცევის ფორმა. ასე, მაგალითად, კვების ინდივიდური ქცევის შემთხვევაში, ცხოველი არ საჭიროებს საჭმლის ყოველდღე ხელახლად ძებნას. გამოცდილების ნიადაგზე ცხოველი წავა იქ, სადაც წინად სჭამა საჭმელი. აგრეთვე ინდივიდური გამოცდილებით ხდება ის, რომ ცხოველი მუდამ ერთსადაიმავე მტერს არ ეჩეხება. თუ ერთხელ იგი შეეჩეხა მტერს, გამოცდილების ნიადაგზე იგი გვერდს აუხვევს ამ ადგილს; არ წავა იქით, სადაც ოდესღაც მტერს დაეჯახა, არამედ გასცილდება იმ ადგილს, სადაც მტერი ეგულება. სწორედ ამაშია ინდივიდური ქცევის ეკონომია.

ქცევის კიდევ უფრო მაღალ ფორმას **ადამიანის შრომითი ქცევის** ფორმა წარმოადგენს. შრომითი ქცევის ფორმა ცხოველთა ქცევისაგან მით განსხვავდება, რომ იგი ეფუძნება უმთავრესად ისტორიულ გამოცდილებას, მთელი საზოგადოების გამოცდილებას. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ, ადამიანის შრომითი ქცევა მით ხასიათდება, რომ ადამიანის ცნობიერებაში წინასწარ, ქცევის დაწყებამდე, მოცემულია ამ ქცევის გეგმა, ე. ი. ქცევის ცნობიერი გეგმიანობა. ამის გარდა ადამიანს აქვს აგრეთვე ამ ქცევის შედეგთა წარმოდგენაც, ცნობიერი მიზანდასახულობა. მარქსი სწორეთ ასე განმარტავს ადამიანის ქცევას. მარქსი ამბობს, რომ ადამიანის შრომითი პროცესი დახასიათდება ცნობიერი გეგმიანობით და ცნობიერი მიზანდასახულობით. რომ ეს შრომითი ქცევის ფორმა უფრო მეტად ეკონომიურია, ვიდრე ინდივიდური, თავისთავად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან. რომ იგი ემყარება უმთავრესად ისტორიულ გამოცდილებას. მაშასადამე, ადამიანის შრომითი ფორმა რომელობით სხვაა და ამასთანავე იგი უფრო მაღალია, ვიდრე ცხოველის ინდივიდური ქცევის ფორმა.

ქცევის ელემენტარული ანალიზის შემთხვევებში ჩვენ მუდამ ვღებულობთ ქცევის ისეთ შემადგენელ ელემენტებს, რომელნიც წარმოადგენენ

რეფლექსებს. შეიძლება ითქვას, რომ თუ შევეცდებით ქცევის დანაწილებას ცალცალკე ნაკვეთებად და მათ შესწავლას, ვნახავთ, რომ აღებული ქცევის ყოველი ნაკვეთი წარმოადგენს რეფლექსს გამოწვეულს გარკვეული გარეგანი თუ შინაგანი გაღიზიანებით. ამიტომ შეიძლება მივიღოთ, რომ ქცევის ყოველი აქტი შესდგება რეფლექსურ რეაქციებიდან. ავიღოთ მაგალითი. დაუშვათ, რომ ძაღლმა დაინახა ნაცნობი საჭმელი თავისთავიდან ერთგვარი დაცილებით; მაშინვე წავიდა ამ საჭმლისაკენ და შესჭამა იგი. ეს კვების ქცევის აქტი ინდივიდური წარმოშობისაა. ვაწარმოვოთ მისი ანალიზი. როგორც კი საკვები მოხვდა ცხოველის მხედველობის არეში, თავი მოტრიალდება საჭმლისაკენ. ეს ჩვეულებრივი საორიენტაციო რეფლექსია. შემდეგ იწყება ლოკომოცია, რომელიც რთულ თანშობილ რეფლექსს წარმოადგენს. შემდეგ ძაღლს გამოეყოფა პირში ნერწყვი უფრო ადრე, ვიდრე საჭმელთან მივა. ეს ინდივიდური ნერწყვის რეფლექსია. როგორც კი ძაღლი მიუახლოვდება საჭმელს, იგი დახრის თავს მისკენ. ეს ნაწილობრივ თანშობილი და ნაწილობრივ ინდივიდური რეფლექსია საჭმლის დანახვაზე. მყისვე თავის დახრასთან ერთად სწარმოებს წინა ფეხების მოხრა. ეს კისრის ტონური რეფლექსია. შემდეგ იწყებს საჭმლის ყნოსვას, რაც წარმოადგენს საორიენტაციო რეფლექსს. შემდეგ ადგილი აქვს საჭმელზე პირის წავლებას, ღეჭვას, მის ყლაპვას — ესენი წარმოადგენენ კვების აქტის ცალკეულ რეფლექსურ აქტებს. ამრიგად, ინდივიდური კვების ქცევა შესდგება ისეთ ნაწილებიდან, რომელთაგან თითოეული ცნობილ რეფლექსს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ თუ თქვენ მოინდომებთ სხვა, არა რეფლექსური ელემენტების აღმოჩენას, ასეთებს ვერ იპოვით. მაგრამ ყველა აღნიშნული რეფლექსური ელემენტები ერთდებიან ერთ მთლიან ქცევის აქტში, რომლიც წარმართულია გარკვეული მიზნით — ორგანიზმის კვებით. სახელდობრ თუ რას წარმოადგენს გაერთიანება აღებულ შემთხვევაში, ე. ი. ინდივიდურ ქცევის შემთხვევაში, ეს გამოჩნდება შემდეგიდან.

ქცევა არსებითად მით განსხვავდება რეფლექსისაგან, რომ მას არ მოპოვება რეცეპტორული ველი. რასაკვირველია, თითოეულ მის ელემენტს, რამდენადაც იგი რეფლექსს წარმოადგენს, აქვს სათანადო რეცეპტორული ველი. მაგრამ, თუ ქცევის აქტს ავიღებთ მთლიანად, მაშინ ჩვენ ვერ ვიპოვით სპეციალურად ქცევისათვის ვერავითარ რეცეპტორულ ველს. სწორედ ასევე შეიძლება ითქვას, რომ ქცევას თავის საკუთარი საკოორდინაციო აპარატი არ მოეპოება. საკოორდინაციო აპარატი აქვთ მხოლოდ მის რეფლექსურ ელემენტებს. რაც შეეხება ქცევის ცენტრალურ ორგანოს, რომელსაც წარმოადგენს ძუძუმწოვართათვის ტვინის ქერქი, თევზებისა და ამფიბიებისათვის შუამდებარე ტვინი, ფრინველებისა და შესაძლოა აგრეთვე რეპტილიებისათვის ტვინის ქერქი და შუამდებარე ტვინი ერთად, იგი ანხორციელებს ქცევას არა რაიმე საკუთარ საკოორდინაციო მექანიზმთა მოქმედებით, არამედ რეფლექსური საკოორდინაციო მექანიზმების ერთ მთლიან ქცევის აქტში გამთლიანებით.

თქვენ თუ გაითვალისწინებთ მას, რაც მე რეფლექსისა და ქცევის საგნის შესახებ ვსთქვი, ცხადი შეიქნება, რომ ამოცანები ქცევათმეცნიერებისა და რეფლექსური მოძღვრებისა არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე. თუ საგანი სხვაა, ამოცანებიც სხვადასხვა უნდა იქნეს. [illegible] კანონზომიერებანი, რომელნიც მე ზევით რეფლექსის მიმართ [illegible], წარმოადგენენ რეფლექსური მოქმედების კანონზომიერებათ და არ შეიძლება ქცევის კანონზომიერებად მივიჩნიოთ. მოქმედება ქცევის ცენტრალურ ორგანოთა: დიდი ტვინის ქერქისა და შუამდებარე ტვინისა, უნდა მიმდინარეობდეს თავის საკუთარ კანონზომიერებათა მიხედვით. ასეთი უნდა იქნეს კანონზომიერებანი, რომელთა მიხედვით იწყება, მიმდინარეობს და მთავრდება ქცევის ესა თუ ის აქტი. შემდეგ კანონზომიერებანი, რომელთა ნიადაგზე ვითარდება ინდივიდური ანუ ცნობიერი ფორმა ქცევისა. შემდეგ ის კანონზომიერებანი, რომელთა მიხედვით სწარმოებს გადასვლა ქცევის ერთი ფორმიდან მეორეში, და აგრეთვე ურთიერთობა ქცევის ერთი ფორმისა მეორესთან. აი ის კანონზომიერებანი, რომელთა შესწავლა თავს უნდა იდვას ქცევათმეცნიერებამ.

ვინაიდან საგანი და ამოცანა სხვადასხვაა, ცხადია რეფლექსისა და ქცევის კვლევის მეთოდები არ შეიძლება იქნეს ერთი და იგივე. აი ის მეთოდიკა ინდივიდურ რეფლექსებისა, რომელიც ყველასათვის კარგად ცნობილია: ძაღლის კაბინაში დაზგაზე მიბმა, შემდეგ ნერწყვის სეკრეციისა ან კიდურთა მოძრაობის დაკვირვება, რასაკვირველია, არ წარმოადგენს იმ მეთოდს, რომლითაც უნდა იქნას შესწავლილი ქცევა, ვინაიდან აქ შეისწავლება ქცევის მხოლოდ ერთი რეფლექსური ელემენტი და არა ქცევა მთლიანობაში.

აგრეთვე შ ე რ ი ნ გ ტ ო ნ ი ს ა და სხვათა ცნობილი მეთოდიკა თანაშობილი რეფლექსური რეაქციის შესასწავლად, სრულიად გამოუსადეგარია ქცევის შესწავლისთვის.

ქცევათმეცნიერებას უნდა ჰქონდეს თავისი მეთოდები. ასეთია კ ო ლ ე რ ი ს მიერ წამოყენებული შემოვლითი მოძრაობების მეთოდი, ამერიკელ ბიჰევიორისტთა ლაბირინტული მეთოდი და თავისუფალ მოძრაობათა მეთოდი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთთა ქცევის კვლევისას. აგრეთვე ბ ი უ ტ ე ნ დ ი კ ი ს მეთოდი. ამ თავისებური მეთოდის მიხედვით ცხოველის ქცევის კვლევა სწარმოებს ასე: მას უშვებენ სრულიად ახალ გარემოში და უკვირდებიან მის ამ გარემოსთან შეფარდებულ ქცევას. ქცევათმეცნიერება ფართოდ უნდა იყენებდეს ამ მეთოდებს და შემდგშიაც ქმნიდეს ახალ, უფრო სპეციალურ მეთოდებს ქცევის საკვლევად.

ამრიგად, რეფლექსისა და ქცევის წარმოებულ დახასიათებიდან ცხადად სჩანს, რომ ქცევათმეცნიერება სხვაა და მოძღვრება რეფლექსებზე სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა მათ შორის გარკვეული ურთიერთობა არსებობს. იმ ფაქტიდან, რომ ქცევის ყოველი აქტი შესდგება რეფლექსურ რეაქციათა ელემენტებისაგან, გამომდინარეობს, რომ თუ ჩვენ არ ვიცით ის

კანონზომიერებანი, რომელნიც წარმართავენ ამ რეფლექსებს, ჩვენ ვერ შევძლებთ ქცევის შესწავლას. ყოველთვის, როდესაც ჩვენ გვინდა შევისწავლოთ რთული მოვლენები, ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ ელემენტარულ მოვლენათა კანონზომიერებიდან, რომლებზედაც დაიშლებიან ეს რთული მოვლენები. მაგალითად ჩვენ არ შეგვიძლია შევისწავლოთ ცილას თავისებურებანი, თუ ჩვენ არ ვიცით ყველა ის რეაქციები, რომლებიც ხასიათდებიან ამინოსიმჟავეები, რომლებზედაც ჩვეულებრივ დაიშლება ცილა. მაშასადამე, ქცევის შესწავლას რეფლექსის შესწავლა უნდა უსწრებდეს. რეფლექსურ რეაქციათა კანონზომიერებებზე დამყარებით ჩვენ უნდა შეუდგეთ ქცევის შესწავლას ისე, რომ დადგენილ იქნენ მისი სპეციფიური კანონზომიერებანი.

ქცევის უმაღლესი ფორმები, როგორიც არიან ინდივიდური ქცევისა და შრომითი ქცევის ფორმები, გულისხმობენ ფსიქიკის მონაწილეობას. რამდენადაც ქცევის ამ ფორმებში ჩვენ ფსიქიკის მონაწილეობასთან გვაქვს საქმე, ცხადია მათი სრული შესწავლა შეუძლებელია, თუ არ გვეცოდინა წინასწარ ის კანონზომიერებები, რომელთა ნიადაგზე მიმდინარეობენ ფსიქიური პროცესები. თუ აღმოჩდება, რომ ასეთი ფსიქიური კანონზომიერებანი ჯერ კიდევ არ არიან დადგენილნი, მაშინ ჩვენ ძლიერ გაგვიძნელდება შესწავლა საერთოდ ქცევის აქტებისა და განსაკუთრებით ისეთი ქცევის, როგორიცაა შრომითი ქცევა. ქცევის დაბალი ფორმები, სადაც ფსიქიკა არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს, შეიძლება იქნენ შესწავლილნი ფსიქიურ პროცესთა წინასწარი ცოდნის გარეშე. მაგრამ თუ ქცევის აქტებში იგულვება ფსიქიური პროცესები და ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია ამ პროცესთა თავისებურებანი, მათი კანონზომიერებანი, მაშინ ძალაუნებურად ქცევის აქტებთან ერთად მოგვიხდება ფსიქიურ პროცესთა შესწავლაც. მე, ყოველ შემთხვევაში, ასე მომიხდა. როდესაც მე ცხოველთა ქცევის აქტებში დავინახე ფსიქიკის მონაწილეობა, იძულებული შევიქენი ქცევის აქტების მეშვეობით შემესწავლა მათი ფსიქიური მოქმედებაც.

ადამიანის ფსიქიკის შესწავლა შესაძლოა ქცევის აქტის გარეშეც, ცნობილი ფსიქური კანონზომიერებებით უნდა ვისარგებლოთ ადამიანის ქცევის აქტთა შესასწავლად, მისი სპეციფიურ კანონზომიერებათა დასადგენად.

ისმება საკითხი: რას ვგულისხმობ მე ფსიქიკაში, ყოველ შემთხვევაში ქცევის აქტის მიმართ? როგორ მესმის მე ფსიქოლოგია, რომელსაც უნდა დაეყრდნოს შრომითი ქცევათმეცნიერება? თუ ჩვენ გავიხსენებთ მას, რაც იყო 1930 წლამდე, ქცევადმეცნიერების ყრილობის ეპოქაში, ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ მაშინ ფსიქოლოგია ესმოდათ, როგორც ქცევათმეცნიერება. მაგალითად კ ა რ ე ე ვ მ ა თავის მოხსენებაში აღნიშნულ ყრილობაზე ის აზრი გამოსთქვა, რომ ფსიქოლოგიის საგანს ქცევის აქტები წარმოადგენენო. მაშინდელი ფსიქოლოგები და ნევროლოგები, რომელნიც გამოდიოდენ ყრილობაზე, უმეტესად ფსიქოლოგიის სწორედ ასეთ

განმარტებას იძლეოდენ. რასაკვირველია, ეს არ იყო სწორი. ეს სჩანდა მაშინაც და ეხლა ხომ ფსიქოლოგიის ასეთ განმარტებას აღარავინ მოიცემა. ფსიქოლოგიის საგანს ცნობიერების მოვლენები შეადგენენ: განვითარება ცნობიერ მოვლენათა ადამიანის შრომითი მოქმედებასთან დაკავშირებით, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიასთან დაკავშირებით, და კიდევ რაც დამახასიათებელია, ფსიქოლოგია უნდა სწავლობდეს იმ მატერიალურ პროცესს, რომელიც წარმოშობს სუბიექტურ განცდებს; დაბოლოს ლენინის მკვეთრი გამოთქმის მიხედვით, ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს ის, თუ როგორ ხთება, რომ ის მატერიალური პროცესი, რომელიც არ იძლევა სუბიექტურ განცდებს, ე. ი. შეგრძნებებს, უკავშირდება იმ მატერიალურ პროცესს, რომელსაც აქვს შეგრძნების მკაფიოდ გამოხატული უნარი. ფსიქოლოგიის ასეთი გაგებით, მის საგანს არ შეიძლება ქცევის აქტები შეადგენდენ: ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს ის ფსიქონერვული კომპლექსი, რომელიც ერთის მხრივ იწვევს ამ სუბიექტურ განცდებს და მეორე მხრივ ამა თუ იმ გარეგან რეაქციას. ამ ფსიქონერვული მოქმედების შესწავლისას უნდა მივმართოთ თვითდაკვირვებას, მაგრამ მასთან ერთად უნდა ვაწარმოებდეთ იმ გარეგან რეაქციების დაკვირვებასაც, რომელნიც იწვევიან ამ ფსიქო-ნერვული მოქმედებით.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა თვით ტერმინ ქცევაზე. სიტყვა ქცევა მეცნიერულ ტერმინად პირველად ამერიკაში იყო ხმარებული. საბჭოთა კავშირში იგი როგორც მეცნიერული ტერმინი დაახლოებით 10 — 13 წლის წინად იქნა შემოღებული. ჩვენში იგი ამერიკიდან გადმოვიდა და პოვა ძლიერ სწრაფი გავრცელება. ფსიქოლოგებმაც და ფიზიოლოგებმაც იწყეს მისი გამოყენება — თითოეულმა თავისებურათ. ფიზიოლოგებმა ქცევათმეცნიერება რეფლქსების შესახებ მოძღვრებად მიიჩნიეს. ისინი ფიქრობდენ, რომ თუ ჩვენთვის ცნობილი იქნენ რეფლექსური მოქმედების კანონზომიერებანი, ამითვე ცნობილი ხდებიან ქცევათმეცნიერების კანონზომიერებანი, ე. ი. რეფლექსის შესწავლით შეისწავლება ქცევაც. ყველასათვის ცნობილია მაგ. პროფ. სავიჩის წიგნი ქცევის შესახებ. ის სავსებით რეფლექსებიდან გამოდის; ის ადამიანის ქცევის ახსნასაც კი რეფლექსების ნიადაგზე ფიქრობს.

ფსიქოლოგებმა თავის მხრივ იფიქრეს, რომ ქცევა ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს. მაგრამ, სწორეთ იმ დროს, როდესაც რუსეთის ფსიქოლოგები ამ აზრს დაადგენ, ქცევათმეცნიერება უკვე რეფლექსების თვალსაზრისზე აიგო, ამიტომ ფსიქოლოგებმა ეს ქცევათმეცნიერება მიიღეს მთელი თავისი რეფლექსოლოგიური შინაარსით. შედეგად ამისა აღმოჩნდა, რომ 1930 წლისათვის ჩვენ გვქონდა ფსიქოლოგია უმეტესად რეფლექსოლოგიური ხასიათის.

ამასთან დაკავშირებით სიტყვა ქცევის მიმართ ადგილი ჰქონდა ძლიერ რეაქციას. თითქო თვით სიტყვა ქცევა იყო დამნაშავე ფიზიოლოგთა და ფსიქოლოგთა შეცდომებში. ამ ტერმინის წინააღმდეგ იყო დაბეჭდილი მთელი რიგი მწარე წერილები. მაგალ. მაგენდოვიჩისა, ვედენოვისა და

სხვ., სადაც იმ აზრს გამოთქვამდენ, რომ ეს ტერმინი მექანისტურია და ამიტომ უნდა გაძევებულ იქნას იგი ხმარებიდან!

მართალია, რომ ამერიკელი ფსიქოლოგები ქცევის აქტებს უდგებოდენ მექანისტურად და მეტაფიზიკურადაც კი, ვინაიდან მსჯელობენ ქცევას სწავლობდენ შინაგან კანონზომიერებათა გარეშე. ისინი ფიქრობდენ, რომ შესაძლოა ქცევის იმ მხრივ შესწავლა, რომ აღვწეროთ გარეგანი რეაქციები, იქნეს დამყარებული ურთიერთობა რეაქციასა და გარეგან არეს შორის; გამოკვლეულ იქნას ამ რეაქციაში მამოძრავებელ ორგანოთა და რეცეპტორთა როლი. მათი აზრით ეს სავსებით საკმარისი იყო ქცევის მეცნიერულ გაგებისათვის. მაშასადამე, ყველაფერი ის, რაც შეეხება ნერვულ მექანიზმებს, რომლებზდაც მოქმედებს გარეგანი გაღიზიანება და რომელნიც იწვევენ ქცევის აქტებს, მათი ყურადღების გარეშე რჩებოდა. ცხადია, უ ო ტ ს ო ნ ი ს ტიპის ამერიკული ფსიქოლოგები ქცევის შესწავლას წმინდა მეტაფიზიკურად უდგებოდენ. ჩვენში ფიზიოლოგების მიერ ქცევათმეცნიერებაში რეფლექსოლოგიური გაგების შეტანა, წარმოადგენდა ქცევისადმი მექანისტურ მიდგომას. მაგრამ ჩვენი ფსიქოლოგების მიერ ფსიქოლოგიაში ქვეცათმეცნიერებასთან ერთად რეფლექსოლოგიის შეტანა — იყო ნამდვილი გაუგებრობა. ეს გაუგებრობა ემყარებოდა ფსიქოლოგიის საგნის გაუგებრობას. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ტერმინი ქცევა თავისთავად ძლიერ კარგი ტერმინია და სათანადო შინაარსის შემთხვევაში ის გამოსადეგია ქცევათმეცნიერების აღსანიშნავად. ქცევის სწორი გაგების შემთხვევაში, ქცევათმეცნიერება ძირითადად განსხვავდება, როგორც რეფლექსოლოგიისაგან, ისე ფსიქოლოგიისაგანაც და არ აირევა არც ერთ, არც მეორე მეცნიერებასთან.

ქცევის ზემოაღნიშნული გაგება შეიქმნა ინდივიდური ქცევის გამოკვლევის საფუძვლებზე, რომელიც წარიმართვის წარმოდგენით. ამიტომ მე საჭიროდ ვსცანი აგრეთვე ამ ქცევის დახასიათების მოცემაც, ე. ი. თუ როგორ გვესახება იგი ჩვენ ამჟამად. პირველი კითხვა, რომელიც ჩვენ ყველაზე უფრო უნდა გვაინტერესებდეს, ეს არის წარმოდგენის განსაზღვრის საკითხი. წარმოდგენას მე ვუწოდებ იმას კი არა, როგორც ეს მიღებულია იდეალისტ ფსიქოლოგების მიერ, ე. ი. არა სუბიექტურ განცდათა გარკვეულ კომპლექსს, რომელნიც წარსულ განცდათა აღდგენას გამოხატავენ. წარმოდგენას მე ვუწოდებ იმ ფსიქო-ნერვულ კომპლექსს, რომელიც ერთის მხრივ თვით ამ განცდას წარმოშობს, და მეორეს მხრივ იწვევს გარეგან რეაქციას ამ ფსიქონერვული კომპლექსის შემადგენლობა ასეთია: უპირველესად აქ შედიან ყველა ის პროცესები, რომელთაც კავშირი აქვთ გარეგან გაღიზიანებათა აღქმასთან: მხედველობითი ფსიქო-ნერვული პროცესები, რომელნიც წარმოიშვებიან ჰემისფეროთა ქერქის მხედველობით არეში, სმენითი, ყნოსვითი, გემოვნებითი, კანისა და პროპრიოცეპტული ფსიქონერვული პროცესები, რომელნიც წარმოიშობიან ტვინის ქერ-

ქის სათანადო ნაწილებში. აგრეთვე აქვე შედიან ის პროცესები, რომელნიც მიმდინარეობენ ტვინის დიდ ჰემისფეროთა ქერქის მამოძრავებელ ნაწილებში. საიდან შეგვიძლია ჩვენ დავასკვნათ, რომ ეს სწორედ ასეა? თუ-გინდ იმის საფუძველზე, რაც ჩვენ ვიცით ამერიკელი ფიზიოლოგის ია-კობსონის კვლევიდან, რომელიც სწავლობდა გარკვეული წარმოდგენების დროს კუნთების აგზნების ბიოელექტრულ დენს. აღმოჩნდა, რომ ყოველგვარ წარმოდგენაზე გარკვეული ჯგუფი კუნთებისა იძლევიან აგზნების დენს. მაგალითად, მაღალ საგანთა წარმოედგენისას, როგორიცაა ეიფელის კოშკი, თვალის კუნთები, რომელნიც თვალის კაკლის ზევით მიბრუნებას ემსახურებიან, იძლევიან აგზნების დენს. ხელის მოხრის წარმოდგენისას წინამხარის მომხრელი კუნთები იძლევიან ამ აგზნების დენს; აგრეთვე გონებრივი, შინაგანი მეტყველების შემთხვევაშიაც ტუჩებისა და ენის კუნთები იძლევიან აგზნების დენს.

წარმოდგენის ფსიქონერვული კომპლექსის შემადგენელ ნაწილებიდან, ერთნი იძლევიან სუბიექტურ განცდებს, მეორენი კი არა. მაგალითად, ის პროცესები, რომელთაც კავშირი აქვთ გარეგან გაღიზიანებასთან, იძლევიან სუბიექტურ განცდებს. ქერქის მამოძრავებელ ნაწილთა ნერვული ელემენტები კი არ იძლევიან. მაგალითად, მამოძრავებელ წარმოდგენათა დეტალური ანალიზის შემთხვევაშიაც კი ვერ აღმოვაჩენთ იმ ელემენტებს, რომელნიც მიეკუთვნებიან აღნიშნულ პროცესებს. ყველაფერი ის, რაც აღმოჩნდება ასეთი ანალიზის შედეგად, მიეკუთვნება მხედველობას, სმენას და სხვა გარეგან რეცეპტორებს. მაგრამ არსებობენ ისეთი ნერვული პროცესებიც, რომელთაც მართალია კავშირი აქვთ რეცეპტორებთან, მაგრამ სუბიექტურ განცდებს არ იძლევიან. ასეთია პროპრიოცეპტორთა გაღიზიანების ნიადაგზე ქერქში წარმოშობილი ნერვული პროცესები. რეცეპტორთა ისეთი დიდი სპეციალისტი, როგორიც არის ფ რ ე ი, ამბობს, რომ ხელის სამუშაოს შემთხვევაში ჩვეულებრივი გაღიზიანებები პროპრიოცეპტირებისა სუბიექტურ განცდებს თითქმის არ იძლევიან. ისინი მოქმედობენ დიდი ტვინის ქერქზე, აქვთ მრავალმხრივი კავშირი თვით მოძრაობასთან, რომელიც იწვევა წარმოდგენით, მაგრამ სუბიექტურ განცდებს ისინი არ იძლევიან. მხოლოდ ძლიერი გაღიზიანების შემთხვევაში, მაგალითად, კუნთების ძლიერ დაჭმვის დროს, ჩვენ გვაქვს გარკვეული სუბიექტიური შეგრძნება პროპრიოცეპტორთა გაღიზიანებიდან. მართალია, თუ რომ ვინმე მომიხრის ხელს, ისე რომ მე არ ვხედავდე, მე მაინც გამიჩნდება წარმოდგენა ხელის მოღუნული მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ეს მოხდება პროპრიოცეპტორთა სუბიექტური შეგრძნების გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ტვინის ქერქში პროპრიოცეპტულ ნერვულ კომპლექსებთან ერთდროულად იგზნება მხედველობითი ნერვული კომპლექსიც და ამის ნიადაგზე ჩნდება წარმოდგენა ხელის მოხრილ მდგომარეობაზე.

არსებობს კიდევ წარმოდგენის ერთი ელემენტი, რომელიც არ იძლევა სუბიექტურ შეგრძნებებს. ეს ის ელემენტებია, რომელთა მეოხებით სწარ-

მოებს ყველა დანარჩენ ნერვულ ელემენტებთა ერთ მთლიანობაში გაერთიანება. უკეთ რომ ვსთქვათ, ეს გაერთიანება აძლევს წარმოდგენის ფსიქონერვულ პროცესს მთლიანობის სახეს. ა. ბ რ ე გ ა ძ ე ს თ ა ნ ერთად ჩატარებული სპეციალური ცდებით ნათელვყავით, რომ [illegible] რთული გარეგანი გარემოს კომპონენტები უარყოფითად [illegible] კომპლექსი კი დადებით მოქმედებას იწვევს. სხვა შემთხვევაში პირიქით ხდება: კომპლექსი არავითარ მოძრაობას არ იწვევს, კომპონენტები კი იწვევენ. ცხადია კომპლექსური მოქმედება დამახასიათებლად განირჩევა კომპონენტთა მოქმედებისაგან. კომპლექსის ეს დამახასიათებელი განსხვავება კომპონენტისაგან იმისაგანაა პირობადებული, რომ ერთდროულ მოქმედებისას გარეგანი გამაღიზიანებელნი იწვევენ აგზნებას არა მარტო იმ ნერვულ ელემენტებში, რომლებზედაც ისინი მოქმედებენ უშუალოდ სათანადო მიმღებელ არეებში, არამედ კიდევ სხვა კომპლექსებშიაც. თითოეული კომპონენტი ცალკეულად მოქმედობს მათზე სუბმინიმალურად და სწევს აგზნებადობას, ყველანი ერთად კი იწვევენ მათ აგზნებას. აი სწორედ ყველა ეს დამატებითი აგზნებული ელემენტები აერთიანებენ სხვადასხვა სახის ქერქულ ელემენტებს ერთ მთლიანობაში. აი სწორედ ეს გამაერთიანებელი ელემენტებიც აგრეთვე არ იძლევიან სუბიექტურ განცდებს. მაშასადამე, თუ მე მაქვს მთლიანი წარმოდგენა მთავრობის სახლის შესახებ მოსკოვში, მე მაქვს ამ წარმოდგენაში სუბიექტურად მხოლოდ ის, რაც უშუალოდ მე მოცემული მაქვს მხდველობითი გაღიზიანებით. მაგრამ რომ მასში დიდი როლი აქვთ მამოძრავებელ, პროპრიოცეპტულ და გამაერთიანებელ ელემენტებს, ამის შესახებ სუბიექტურ განცდათა ნიადაგზე მე ვერაფერს ვერ ვიტყვი. თუმცა ისინი აუცილებლივ ღებულობენ მონაწილეობას მასში.

ხშირად წარმოდგენა გარეგან გარემოზე თავის ფსიქონერვული შინაარსით ჩდება სწრაფად ერთი უშუალო განცდის შემდეგ. მ. წ ე რ ე თ ე ლ თ ა ნ ერთად დაყენებულ ცდათა სერიაში იყო დამტკიცებული, რომ საკმარისია მხოლოდ ერთხელ ეჩვენოს ძაღლს საკვები ერთ-ერთ ყუთში, სავსებით ახალ გარემოში, რათა შემდეგში კვების სიგნალზე ძაღლი წავიდეს ამ ყუთთან სწრაფად — ყოველგვარ სინჯვისა და შეცდომის გარეშე.

ისმება საკითხი, თუ რისაგანაა სინამდვილეში პირობადებული ის, რომ წარმოდგენის წამოჭრისთანავე მყისვე იწყება სათანადო მოძრაობა, ე. ი. ჩვენ წინ ისმება საკითხი წარმოდგენის აქტივობისა.

ამ საკითხზე მე არ შევჩერდები. თავისთავად ცხადია, რომ რადგანაც მამოძრავებელი ნაწილები შედიან წარმოდგენის ფსიქონერვულ სუბსტრატში, ამიტომ წარმოდგენის ფსიქო-ნერვულ პროცესის გამოწვევისას უნდა აიგზნონ ეს მამოძრავებელი ნაწილებიც; და ვინაიდან ისინი იგზნებიან, უნდა მივიღოთ სათანადო გარეგანი ეფექტებიც.

სულ სხვა სიძნელესთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენაში მონაწილეობენ მთელი რიგი მამოძრავებელი ნაწილები. ისმის

კითხვა: რით არის ასეთ შემთხვევებში გამოწვეული, რომ მოძრაობა მუდამ ერთი გარკვეული მიმართულებით სწარმოებს; რაზეა დამოკიდებული მოძრაობათა არჩევანი. მაგალითისათვის დაუშვათ, რომ ძაღლს აქვს წარმოდგენა საჭმლის არსებობისა ორ ადგილზე — მარცხენა — მარჯვენა მხარეებზე. ცდებიდან ჩვენ ვიცით, რომ ასეთ შემთხვევაში ძაღლი მიდის პირველად საჭმლის ჯერ ერთ და მერე მეორე ადგილმდებარეობასთან. ჩვენ სპეციალურად დავისახეთ მიზნად გამოგვერკვია თუ რითაა გამოწვეული უპირატესად საჭმლის ჯერ ერთი და მერე მეორე მდებარეობასთან სვლა. გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დროს, რომელიც გავიდა კვებიდან უკანასკნელ ადგილზე ჭამის სიგნალამდე. ძაღლი ჯერ მიდის ამ უკანასკნელ ადგილს და შემდეგ მეორეზე.

ამასთანავე,მიმართულების განსაზღვრაში არსებითი როლი მიეკუთვნება აგრეთვე სხვა პირობებსაც. უპირველესად აღსანიშნავია მანძილი საჭმლის ამათუიმ ადგილმდებარეობისა ძაღლის სვლის გამოსავალ პუნქტიდან. თუ გარემოში ერთი ადგილი ახლოა და მეორე დაშორებით და ძაღლს ვაჩვენეთ საჭმელი ერთიმეორის მიმდევრობით ორივე ადგილას, შემდეგში კვებით სიგნალზე ძაღლი წავა ჯერ პირველ, ახლო ადგილს, და შემდეგ მეორე, დაშორებულს. ეს მოხდება მაშინაც, თუ შედარებით დაცილებულ ადგილმდებარეობაში საკვები ეჩვენა ძაღლს უახლოესზე გვიან. როდესაც ჩვენ გადავლობეთ უახლოესი გზა და მით გავხადეთ იგი უფრო გრძელი და რთული, მაშინ ძაღლმა პირველად მეორე ადგილმდებარეობისაკენ იწყო სვლა. თუ სხვადასხვა საკვები ეჩვენა, მაგ. პური და ხორცი ძაღლის ადგილმდებარეობიდან სხვადასხვა მიმართულებით, ვთქვათ პური მარცხნივ და ხორცი მარჯვნივ, ძაღლი შემდეგში კვებით სიგნალზე გაემართება ჯერ ხორცისაკენ და შემდეგ პურისაკენ. ძაღლი უპირატესობას მიანიჭებს მუდამ ხორცს, როდესაც იგი პურთან ერთად ეძლევა. იმასვე აქვს ადგილი წარმოდგენის საფუძველზე. თუ რომ სხვადასხვა საჭმელი უჩვენეთ ერთდაიმავე გზაზე, მაგრამ სხვადასხვა დაშორებით, მაგალითად ახლო ადგილს პური და დაცილებით ხორცი, შემდეგში კვებითი სიგნალზე ყველა ჩვენი ძაღლი მიდიოდა ჯერ ახლო და შემდეგ შორეულ ადგილს.

საკვების ხასიათს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სხვადასხვა გზების დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გზა ამა თუ იმ ადგილისაკენ სავსებით ახალია. თუკი ძაღლს საკვებისაკენ ერთი რომელიმე გზით მრავალჯერ უვლია, და მისი მოძრაობები ამ გზით გაავტომატდენ, მეორე გზა კი სავსებით ახალი იყო, ძაღლი პირველ ხანებში უპირატესობას ანიჭებდა ჩვეულ გზას ახალ გზასთან შედარებით.

სხვათა შორის ჩვენ სპეციალურად ვსწავლობდით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ძაღლის ქცევაში საკვების სიდიდეს. თუ ძაღლს მივაწვდით ურთიერთის გვერდით საჭმლის პატარა და დიდ ნაჭრებს, მაშინ ყოველი ძაღლი სჯამდა ჯერ პატარა ნაჭრებს და მხოლოდ შემდეგ მიჰყოფდა ხელს დიდის შეჭმას; ამასთანავე უმეტეს შემთხვევაში მათ იგი მიქონ-

დათ პირით თავის საწოლზე. თუ ძაღლს მივაწვდით პურის პატარა ნაჭერთა ორ გროვას, ძაღლი ჭამას მუდამ დიდი გროვიდან იწყებს და შემდეგ გადადის პატარაზე. ასევე მოქმედებს ძაღლი წარმოდგენის ნიადაგზე. თუ უჩვენებთ ძაღლს მისგან რამოდენიმე მეტრით დაცილებით ერთ მხარეზე პურის ნაჭერთა დიდ გროვას შირმის უკან და მეორე მხარეს პურის ერთი ორი პატარა ნაჭერს მეორე შირმის უკან, შემდეგში კვებით სიგნალზე ძაღლი წავა თავდაპირველად დიდი გროვის მხარისაკენ. ამრიგად, წარმოდგენაში საკვების ორი ან მეტი ადგილმდებარეობის არსებობისას, ძაღლის პირველი მოძრაობა პირობადებულია უწინარესად წარმოდგენის იმ ფსიქონერვული ელემენტის მოქმედებით, რომელიც უფრო მეტად ახალია, ან გარემოს წარმოდგენაში უკავია მეტად უახლოესი მდებარეობა, ან წარმოადგენს უფრო მეტად გავარჯიშებულს მთელი წარსული სიცოცხლის მიმდინარეობაში. საკვების სიდიდის, გემოს და სუნის გამომხატველი ფსიქონერვული პროცესიც აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს; ის ძაღლს უპირველესად იქეთ წარმართავს, სადაც საკვები უფრო მეტია და სადაც იგი უფრო ნოყიერია.

ამრიგად, ინდივიდური ქცევის ყოველ მომენტში დიდ ჰემისფეროთა ქერქის მოქმედება, ე. ი. წარმოდგენის ფსიქონერვული პროცესი, წარმოადგენს ერთ მთლიან პროცესს. მაგრამ ამ ელემენტთა შემადგენელი ნაწილები არა თანაბრად არიან აღჭურვილი მოქმედების უნარით ანუ აქტივობით. ერთი მხრივ წარსული გამოცდილების ნიადაგზე და გარემოს ყოველგვარი რომელობითი შემადგენლობისა მეორეს მხრივ, — ელემენტების ერთი წყება უფრო მეტი მოქმედებითი უნარიანობისაა, ვიდრე მეორენი. ყველა ამას ქცევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველ აღებულ მომენტში ქცევის ხასიათი, ინტენსიობა, სისწრაფე და მოძრაობის მიმართულება დამოკიდებულია მასზე, თუ აღებულ მომენტში სახელდობრ, რომელი ფსიქონერვული პროცესია უფრო აქტიური, ვინაიდან ქერქის მამოძრავებელ ელემენტებისაკენ უფრო ძლიერ იმპულსებს იგი აგზავნის.

თანახმად ჩვენი გამოკვლევისა წარმოდგენის ფსიქონერვული ელემენტები აღჭურვილი არიან შემდეგი თვისებებით: 1) გაერთიანების უდიდესი უნარი ქერქის ფსიქოგენური ელემენტებისა, ე. ი. ისეთ ელემენტებისა, რომელნიც წარმოშობენ სუბიექტურ განცდებს. ამის გამო ხდება მათი ერთმანეთში და სხვა არა ფსიქოგენურ ელემენტებთან სწრაფი გაერთიანება ერთ მთლიანობაში, სახელდობრ მათი მხოლოდ ერთი თანადროული ან თანმიმდევრობითი მოქმედების შემდეგ.

2) ფსიქოგენურ ელემენტთა არაჩვეულებრივი აგზნებადობა. ამის გამო საკმარისია, რომ მხოლოდ ერთი კომპონენტი მოვიდეს აქტიურ მდგომარეობაში, რომ თითქმის მის თანადროულად მთელი კომპლექსი ამოქმედდეს.

3) წარმოდგენის ფსიქონერვული წარმოქმნის უდიდესი ცვალებადობა უამრავ გარეგან და შინაგან გაღიზიანებათა გავლენით და აქ მიმდინარე ფსიქონერვულ პროცესთა უკიდურესი დინამიურობა,

4) წარმოდგენის ფსიქონერვული წარმოქმნის დიდი ხანგრძლივობა მიუხედავად მისი განუწყვეტელი ცვალებადობისა: მისი ხელახალი აღდგენა შესაძლოა მრავალ დღეებისა, კვირეებისა და თვეების შემდეგ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ აღდგენილი წარმოდგენა ვერასაკრეს ვერ აკმაყოფილებს სათანადო დაკმაყოფილებას წარმოდგენილი მიზნის განხორციელებით.

5) წარმოდგენის ფსიქონერვულ ელემენტთა დიდი აქტივობა: საკმარისია პირველად აიგზნოს წარმოდგენის ერთი ფსიქონერვული ელემენტი, რომ მას მოჰყვეს მამოძრავებელ ელემენტთა აგზნებაც და მით მთელი ორგანიზმი მოვიდეს მოქმედებაში.

6) ფსიქონერვული ელემენტები მამოძრავებელ ნაწილებთან არაჩვეულებრივი სიადვილით ქმნიან დროებით კავშირებს. ეს საფუძველია ინდივიდური ავტომატიზირებული ქცევის სწრაფ გამომუშავებისა.

7) ფსიქონერვული გაერთიანების მოძრაობითი აქტივობის დამოკიდებულება მის სიახლეზე: მისი აქტივობა მით უფრო მეტია, რაც უფრო იგი ახალია. ამიტომ, თუ წარმოდგენაში მოცემულია ორი სხვადასხვა ხნიერობის მიზანი, როგორც მაგალითად საჭმლის ძველი და ახალი მდებარეობა, ქცევის დროს ახალი მიზანი უპირატესობაშია: ძაღლი პირველად ახალი გეზით წავა.

ფსიქონერვულ პროცესთა ამ თვისებების მიხედვით შესაძლოა განმარტებულ იყოს ინდივიდური ქცევის ყოველი აქტი: მისი აღმოცენება. ცვალებადობა, მიმართულება, უპირატესობა კონკურენციაში მყოფ ავტომატიზირებულ ქცევაზე და სხვა.

თუმცა, ფსიქონერვულ ქცევიდან ცნობილია ისეთი ფაქტებიც, რომელნიც არ შეიძლება გაგებულნი იქნენ ფსიქონერვულ პროცესთა ზევით ჩამოთვლილ თვისებებით. ერთ ამ ფაქტთაგანს წარმოადგენს ერთ რომელიმე კომპონენტის გავლენით ერთბაშად მთლიანი წარმოდგენის აღმოცენება. აგრეთვე აღსანიშნავია ძილში და ცხადში გარესამყაროს შესახებ არაჩვეულებრივ ფანტასტიურ წარმოდგენათა განცდის ფაქტი, როგორც მაგალითად მოლაპარაკე ცხოველები და განსაკუთრებით, ერთი ასეთი სურათიდან მეორეზე საოცარი გადასვლის ფაქტი, როგორც მაგალითად ადამიანის მხეცად გარდაქცევა, ან პირიქით. სუბიექტურ განცდათა სფეროში ასეთი ფაქტების არსებობა მიგვითითებენ, რომ წარმოდგენათა ფსიქონერვული კომპლექსი არ მოდის მოქმედებაში განსაზღვრული კომპონენტის მიერ აგზნებულ ერთ ქერქულ კერიდან აგზნების გავრცელებით. ამ შემთხვევაში თითოეულ წარმოდგენას ექნებოდა ხასიათი სურათის სწრაფად, მაგრამ თანდათანობით, გაშლისა, ვინაიდან აგზნების ერთ კომპონენტიდან მეორეზე გადასვლა მოითხოვდა ერთგვარ დროს. სწორედ ასევე, ერთი წარმოდგენიდან მეორეზე გადასვლა ან აღებულ ინდივიდურ ქცევის პროცესში მისი ცვალებადობა მომენტიდან მომენტამდე სწარმოებს ისე სწრაფად, ნახტომების მსგავსად, რომ საეჭვოა ფსიქონერვულ მოქმედებისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა პირობადებული იყოს აგზნების ირადიაციით.

როგორც ცნობილია, შეუღლებული ირადიაციის კანონის საფუძვლად მე მივიჩნიე ტვინის ქერქის ნერვულ ქსოვილებში აგზნების ბიოელექტრული დენის წინასწარი გავრცელება ომის ცნობილი კანონის მიხედვით, ე. ი. როდესაც ქერქის რომელიმე ნერვულ ნაწილში წარმოშობა აგზნება, მისი საპასუხო ბიოელექტრული დენი ვრცელდება დიდი ძალით უფრო განვითარებულ ნერვულ გზებით, ვიდრე სხვა გზებით და მით პირველ ნერვულ გზებზე უფრო მეტ გავლენას ახდენს აგზნებადობის აწევით, ვიდ-სხვა დანარჩენ გზებზე. ნერვულ გზათა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ეს ცვლილება პირობამდებელია აგზნების კერიდან აგზნების ამ პირველ ნერვული გზებით უპირატესი გავრცელების. ფსიქონერვული ქცევის ახალ ფაქტთა ნიადაგზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბიოელექტრული დენი ფსიქონერვულ ელემენტთა კომპლექსში გავრცელებისას იწვევს აქ არა მარტო აგზნებადობის აწევას, არამედ მოყავს ისინი აქტიურ მდგომარეობაშიაც. ამის საფუძველია ფსიქოგენურ ელემენტთა მეტისმეტად მაღალი აგზნებადობა. სხვათა შორის, ამ მაღალი აგზნებადობის დამადასტურებელია ის საერთოდ მიღებული ფაქტი, რომ ოდნავი პერიფერიული გაღიზიანება, რომელსაც არ ძალუძს გამოიწვიოს რეაქცია ზურგის ტვინისა და ტვინის ღეროდან, მიაღწევს რა დიდი ტვინის ქერქს, იწვევს აქედან ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვან რეაქციას სუბიექტური განცდით.

ამრიგად, მოცემული ანალიზის ნიადაგზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფსიქოგენურ ელემენტებს აქვთ კიდევ ერთი განსაკუთრებული თავისებურება: აგზნების ბიოელექტრული დენის გავლენით მოვიდენ აქტიურ მდგომარეობაში. ამის გამო, ფსიქონერვულ გაერთიანებას შეუძლია მოვიდეს აქტიურ მდგომარეობაში ერთბაშად მთელი თავის შემადგენლობით. ამით, ჩვენი აზრით, კარგად აიხსნება, როგორც მთელი წარმოდგენის ერთბაშად გაჩენა, ისე ერთი ასეთი წარმოდგენიდან მეორეზე სწრაფი გადასვლაც.

ამ ოთხი წლის წინად „მნათობი"-ს ფურცლებზე ჩვენ უკვე დაწვრილებით გამოვთქვით ჩვენი აზრი რეფლექსის, ფსიქიკის და ქცევის შესახებ (იხ. „მნათობი" 1929, № 9 — 10, № 11 — 12, 1930, № 1 — 2). ახალი სისტემატიური კვლევის შედეგთა ნიადაგზე, ჩვენი მაშინდელი კონცეპცია ზოგიერთ საკითხებში არსებითად შეიცვალა, იგი განვითარდა. ამიტომ საჭიროდ ვსცანით ამ მოხსენების ქართულ ენაზე გამოქვეყნება, ვინაიდან აქ გარკვევითაა მოცემული ჩვენი კონცეპციის ზოგიერთი ახალი მხარეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ჯაბადარი

მოგონებანი*)

ალიხანოვის დამსჯელი ექსპედიციის ჯარი დასავლეთ საქართველოში 1906 წ. 11 იანვარს შევიდა. ამავე თვის 31-ს გაზ. „კავკაზ"-ში დაბეჭდილი იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დეპეშა შესახებ იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას გენ. ალიხანოვს ხალხი უკვე დაუმშვიდებია და ხელმწიფის ერთგულებაზე დაუფიცებიაო. მიუხედავად ალიხანოვის ამისთანა ცნობისა, კერძო ცნობები მოგვდიოდა, რომ გარეგნულად დამშვიდებული ხალხი ძლიერ შეწუხებულია. ხარაგაული, ზესტაფონი, აბაშა, სენაკი დანგრეული და გადამწვარი იყო. ქუთაისშიც რამდენიმე სახლი დაანგრიეს. ხალხის „დამშვიდების" დროს ჩხრეკა, დაპატიმრება და ადმინისტრატიული გადასახლება ძლიერდებოდა დასავლეთ საქართველოში, ქართლში, ტფილისში და მის ახლო მდებარე სოფელში. „ცნობის ფურცლის" ყველა ნომრებში ცნობები იბეჭდებოდა დაპატიმრებისა, სახლების დაწვისა, დაპატიმრებულთა გადასახლებისა და სხ. ამავე დროს გუბერნატორი სტაროსელსკი და ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე გადააყენეს და სამართალში უნდა მიეცათ. სტაროსელსკი ტფილისში დაპატიმრებული მოიყვანეს და სასტუმრო „ორიანტში" ჰყვანდათ გუშაგების მეთვალყურეობის ქვეშ. თებერვლის შუა რიცხვებში ცნობა იყო, რომ სტაროსელსკი გაიწვია პეტერბურღში მინისტრთა საბჭოს კავკასიის საქმეთა მდივანმა ნოლდემ კავკასიის საქმეთა ვითარების გასაგებად და მოსალაპარაკებლადო.

გენერალ შირინკინი მეფის მოადგილის ვორონცოვის მეორე თანაშემწე და კავკასიის საპოლიციო ნაწილის უფროსი იყო. შირინკინი და მისი კანცელარიის უფროსი გუროვიჩი (ცნობილი პროვოკატორი) 21 თებერვალს დასავლეთ საქართველოში წავიდნენ ხალხის დაპატიმრებისა და გადასახლების საქმეების გამოსაძიებლად, ვინაიდან ჯარების უფროსები დიდ თავხედობას და თვითნებობას იჩენდნენ. დასავლეთ საქართველოდან რომ დაბრუნდნენ (26 თებერვალს), შირიკინმა ბრძანება გამოსცა: პოლიციის დაუკითხავად სამხედრო პირებმა ხალხი არ დააპატიმროსო. აქედან ჩანდა, რა თავხედობას იჩენდნენ სამხედრო პირები, რომ პოლიციის მოხელენიც კი ააღელვა და აიძულა ასეთი თავხედობა აეკრძალა.

„ცნობის ფურცლის" წინააღმდეგ საიდუმლო ბრძოლა ძლიერდებოდა.

---

*) გაგრძელება. იხ. მნათობი № 3 — 1934 წ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გურიაში მყოფი ჯარების უფროსმა პოლკოვნიკმა კრილოვმა 3 მარტს (1906 წ.) გენერალ-გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა — აკრძალულ იქმნას „ცნობის ფურცელში" ისეთი წერილების ბეჭდვა, რომლებიც გურულებს ააღელვებენ, რაკი ხულიგნების ამდენს სისინს ზედ ჯარის უფროსის წინადადება დაერთო, გენერალ-გუბერნატორს, ძალიანაც რომ არ ჰსურვებოდა შუამდგომლობა უნდა დაეკმაყოფილებინა.

გაზ. „ცნობის ფურცლის" მოსპობა გენერალ-გუბერნატორმა ეფექტით მოინდომა. ამისათვის 18 მარტს გაზ. „კავკაზ"-ში დაიბეჭდა შემდეგი ბრძანება:

„ქართულ გაზეთ „ცნობის ფურცელში" არაერთხელ დაბეჭდილა ქუთაისის გუბერნიიდან ისეთი წერილები და კორესპონდენციები, რომლებითაც სცდილობს იქ მომქმედი ჯარის უწესო მოქმედება აღნიშნოს. თუმცა რედაქტორი უკვე გავაფრთხილე რომ ყურადღებით მოპყრობოდა თანამშრომელთა მიერ მიწოდებულ მასალას, გაზეთის ერთ უკანასკნელ ნომერში მაინც მოთავსებულ იქმნა კორსპონდენცია იმერეთიდან, რომელიც შემდეგ „ნოვოე ობოზრენიამაც" გადაბეჭდა. ამ კორესპონდენციაში გაზეთი ჯარს ათას რამეს აბრალებს. აბრალებს სახლების დაწვას, მკვლელობას, ქალების გაუპატიურებას და სხ. ყველა ამის გამო ტფილისის გენერალ-გუბერნატორი გენერალი ტიმოფეევი წინადადებას აძლევს „ცნობის ფურცლის" რედაქტორს ალექსანდრე ჯაბადარს შვიდი დღის განმავლობაში წარმომიდგინოს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ამ შენიშვნაში დაბეჭდილი ამბები ნამდვილად მოხდა და მოგონილი არ არის კორესპონდენტის მიერ. ამასთან გენერალ-გუბერნატორი აფრთხილებს რედაქტორს, რომ თუ ამ ვადაში არ წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთები, „ცნობის ფურცელი" დაიკეტება იმ დრომდე, ვიდრე ტფილისსა და მის მაზრაში სამხედრო წესები არ მოიხსნება".

გენერალ-გუბერნატორის ამისთანა განკარგულება დამყარებული იყო იმაზე, რომ „ცნობის ფურცელ"-ში მოთავსებულ ცნობებს რედაქცია ოფიციალურად, კანონიერად ვერ დაამტკიცებდა და გენერალ-გუბერნატორი გაზეთს დახურავდა. ხალხის ზოგიერთ ნაწილის თვალში ადმინისტრაცია მოიგებდა.

თუ ჩვენ მოგვდიოდა დასავლეთ საქართველოში ჯარების მიერ ხალხის აწიოკების ცნობები, — ამაზე მეტი ცნობები მისდიოდა „ნამესტნიკს", მის თანაშემწეს, გენ. შირინკინს, რომელმაც მომხდარი ამბების გამოსაძიებლად დასავლეთ საქართველოში კომისია გაგზავნა ვეიდენბაუმის თავმჯდომარეობით. კომისიის გამოძიება სქელ რვეულს შეადგენდა და საიდუმლოდ ინახებოდა შირინკინის კანცელარიაში. კომისიის მოხსენების მანქანაზე დაბეჭდვის შესახებ საიდუმლოდ მივიღე ცნობა ა. ჩერქეზიშვილისაგან, რომელიც შირინკინის კანცელარიის მმართველის, მგონია, თანაშემწე იყო. მხოლოდ ამ მასალით თუ ვისარგებლებდით გენერალ-გუბერნატორის დასაკმაყოფილებლად, თორემ სხვანაირად მისი წინადა-

დების შესრულება, როგორც მოითხოვდა ბეჭდვითი სიტყვის კანონები, შეუძლებელი იყო. კომისიის მიერ შეკრებილი მასალა ა. ჩერქეზიშვილის წყალობით ძალიან ადვილად მივიღე. შემდეგ გავიგე, რომ გურევიჩი დაეხმარა ამ მასალის გადმოცემაში. შირინკინის კანცელარიაში რომ მივედი და ჩერქეზიშვილი ვნახე, მან გურევიჩის კაბინეთში შეგიყვანა, რაღაცა უთხრა გურევიჩს, რომელიც მეორე ოთახში გავიდა, ცოტა ხანს შემდეგ დაბრუნდა და ნება დართო ჩერქეზიშვილს კომისიის გამოკვლევა ერთი ღამით გადმოეცა. მასალა შუადღის 4 ს. მივიღეთ. მეორე დღეს დილით უნდა დამებრუნებინა. რასაკვირველია, რის ამოწერაც კი შეიძლებოდა, ამოწერილი იქმნა. ამოწერილი იყო უფრო თვალსაჩინო ფაქტები, აღვნიშნეთ ოქმების თარიღი, ნომრები და სხ. ამოკრეფილი ფაქტები, როგორც პასუხი გენ.-გუბერნატორისადმი, დაიბეჭდა „ცნობის ფურცლის" ორ გვერდზე 24 მარტს, 1906 წ. № 3035-ში. იგივე გადაეცა „Возрожд"-ის რედაქციას დასაბეჭდათ რუსულ ენაზე, როგორც „ცნობის ფურც."-დან თარგმნილი. „უტყუარი საბუთების" წინ დაიბეჭდა შემდეგი წერილი: „დაურღვეველი საბუთები". წარსულ შაბათს ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა ბ-მა ტიმოფეევმა ოფიც. გაზ. „კავკაზ"-ში შემდეგი განკარგულება დაბეჭდა (ზევით მოვიყვანე განკარგულების თარგმანი). უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი თავი დამნაშავედ არ მიგვაჩნია. ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით და ვასრულებთ ისე, როგორც გვესმის პრესის დანიშნულება; ჩვენ არ შეგვეძლო გავჩერებულიყავით, როცა ქვეყანა აიკლეს და ხალხი ააწიოკეს, როცა მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი გაუგონელს ტანჯვა-ვაებაში ჩააგდეს. პირიქით, ჩვენ დავაშავეთ ხალხის წინაშე, რომ უფრო მედგრად და უფრო გაბედულად ვერ დავიცავით დატანჯული სამშობლო მხარე, მაგრამ ჩვენმა მკითხველებმა იციან ის „საპატიო მიზეზები", რომლებიც ხელფეხს გვიბორკავდნენ და გვიშლიდნენ უფრო ნათლად გამოემჟღავნებინა მძვინვარე „დამსჯელების" მოქმედებანი. აი, ახლაც ყოველი მკითხველი დაინახავს, რამდენად „საპატიო" ყოფილა ის მიზეზები. ჩვენ ბრალსა გვდებენ, დამნაშავეთ გვთვლიან მისთვისაც კი, რომ გავბედეთ და მხოლოდ ზოგი ფაქტი გამოვაქვეყნეთ, გავკადნიერდით და საზოგადოებას მხოლოდ მკრთალი სურათი მივაწოდეთ იმ საშინელებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს.

„ბ-ნი ტფილისის გენერალ-გუბერნატორი მოითხოვს ჩვენგან დაურღვეველ საბუთებს" ამ საშინელებისას. რაღა საბუთებია საჭირო იქ, სადაც ქვანიც კი ღაღადებენ?! თუ თავის თავს შრომას მიაყენებს და დასავლეთ საქართველოსაკენ გაემგზავრება, ვაგონიდან გადმოსვლაც არ დასჭირდება — ისეც დაინახავს „დაურღვეველ" საბუთებს. ხაშურიდან დაწყებული შავ ზღვამდე საშინელი ნანგრევები უტყუარად მოწმობენ იმ გმირობას, რომლის მეოხებით მუდამ აყვავებული მხარე მიწასთანაა გასწორებული, დედამიწა ხალხის ცრემლითაა გაჟღენთილი... ჩვენს ხალხს ეს საბუთები არ სჭირია: მან ყველაფერი გამოსცადა თვითონ, ყველა-

ფერი თავის თვალით ნახა, ყველა დამნაშავეს იცნობს და არასოდეს არ დაივიწყებს. მაგრამ ბ-ნ ტფილისის გენერალ-გუბერნატორს არა სჯერა, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა, არა სჯერა, რომ ამაების ჩამდენი ჯარი ყოფილიყო, მას გაზეთებისა არაფერი სწამს და სხვა საბუთები უნდა. როგორც ოფიციალური პირი, ის ოფიციალურ [illegible] ენდობა და ამიტომაც, თანახმად გენერალ ალიხანოვის ოფიციალურ დეპეშებისა, უარყოფს ჩვენს ცნობებსა და ბრალდებას და მოითხოვს „დაურღვეველ საბუთებს“.

„კანონით, ლოლიკით, სიმართლით (რითაც გინდათ) ამგვარ შემთხვევაში საჭირო იყო ჩვენი სამართალში მიცემა. მაშინ ჩვენ შეძლება მოგვეცემოდა მრავალ მოწმეების დაბარებით, ოფიციალური მიწერ-მოწერისა და საბუთების მოთხოვნით, მოხელეთა ჩვენების ჩამორთმევით და ბევრ სხვა კანონიერ ღონისძიებით სრული ჩვენი სიმართლე დაგვემტკიცებინა, მაშინ ტფ. გენერალ-გუბერნატორიც დარწმუნდებოდა — ვინაა მართალი, ვინ სტყუის, და მთავრობაც გარჩევდა ნამდვილ დამნაშავეთ, თუ კი სურს მათი აღმოჩენა. მაგრამ, გენერალ-გუბერნატორმა არ მოისურვა სასამართლოსათვის მიმართვა და ამრიგად ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო.

მართლაც, გაითვალისწინეთ ის პირობები, რომელნიც გვიშლიან „დაურღვეველ საბუთების“ წარდგენას:

1) არც ერთი მთავრობის დაწესებულება და მოხელე პირი ოფიციალურად ჩვენ საბუთს არ გადმოგვცემს.

2) ქუთაისის გუბერნიაში და ქართლში ახლა ისეთი რეჟიმია, რომ შეუძლებელია ჩვენი კერძო გამომძიებლები თავისუფლად მივიდნენ და საბუთები შეკრიბონ;

3) ხალხი ისე შეშინებული და თავზარდაცემულია რეპრესიებისაგან, რომ ვერ გაბედავს ყოველისფრის გადმოცემას;

4) მოწმეთ ვერავინ დაგვიდგება იმის შიშით, რომ მეორე დღესვე დასწვამენ და გაანადგურებენ. აქედან ცხადად სჩანს, რომ მანამ საქართველოში სამხედრო წესებია, მანამ დაზარალებულთა კარებზე ზარბაზნები სდგას, ჩვენ ხელფეხშებორკილები ვართ და გაგვიჭირდება გენერალ-გუბერნატორის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

ამასთან, მხედველობაში მისაღები ისიც არის, რომ შვიდი დღის ვადა დაგვენიშნა. ოთხი დღე მარტო მისვლა-მოსვლას და მიწერ-მოწერას უნდა და სამ დღეში როგორ უნდა გვეშოვა ისეთი და იმდენი საბუთები, რომლის მოპოებისათვის მთავრობის მთელმა გამოსაძიებელმა მექანიზმმა სამი თვე მაინც უდა მოანდომოს?!

თუ ყველა ამას მიიღებთ მხედველობაში, დაგვეთანხმებით, რომ მეტად მკაცრი წინადადება მოგვეცა; მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვეცდებით და ზოგიერთ ფაქტებს და საბუთებს მოვაწვდით ბ-ნ ტფილისის გენერალ-გუბერნატორს. ამათ მნიშვნელობას, უეჭველია, იგი უარს ვერა ჰყოფს, მაგრამ, თუ იცოტავა, იმდენი პატივი მაინცა გვცეს ჩვენ, საზო-

გადოებრივ აზრის წარმომადგენელთ, რომ ცოტა მეტი ვადა მოგვეცეს და იმედი გვაქვს ბევრ სხვა საბუთსაც წარვუდგენთ“.

ამის შემდეგ მოყვანილი იყო ფაქტები დარბევისა, სოფლების დაწვისა და ზარბაზნებით სახლების და ქოხების დანგრევისა და სხ.

„ცნობის ფურცლის“ ეს ნომერი კონვერტში ჩავდეთ და ბეველთან ერთად ტფილისის გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნეთ. მეორე ეგზემპლიარი გაეგზავნა „ნამესტნიკს“. ამასთანავე ჩაწყობილი იყო რუსული თარგმანიც. „ნამესტნიკს“ გაზეთთან ერთად წარვუდგინე შემდეგი განცხადება:

„მისმა აღმატებულებამ ტფილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორმა ეჭვი შემოიტანა ჩემზე, ვითომც გაზ. „ცნობის ფურცელში“, რომელიც ჩემის რედაქტორობით გამოდის, იბეჭდებოდეს ისეთი წერილები ქუთაისის გუბერნიიდან, რომელნიც სინამდვილით არა ხატავენ ხსენებულ ადგილებში მომქმედ ჯარის ქცევას. ამიტომ ბ-მა გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მომცა შვიდ დღეში წარმედგინა „შეურყეველი საბუთები დაბეჭდილის დასამტკიცებლად“. თუ ეს საბუთები არ იქნა წარდგენილი, მაშინ გაზ. ცნ. ფ.“ დაიხურება და ვერ გამოვა, სანამ ქ. ტფილისში სამხედრო წესი იქნებაო.

ამ განცხადებასთან წარმოდგენილ „ცნობის ფურცლის“ ნომერში მოყვანილია ზოგი ოფიციალური დოკუმენტი; გარდა ამისა, რედაქციას აქვს იმ პირების სია, რომელნიც მზად არიან დაამოწმონ „ცნ. ფ.-ში დაბეჭდილი ცნობების სინამდვილე. უფრო დაწვრილებით „დაურღვეველ საბუთების“ წარმოდგენისათვის კი საჭიროა:

1) უფრო გრძელი ვადა, დაახლოვებით ორი თვე;

2) თქვენი ნებართვა, რომ შეიძლებოდეს თავისუფლად ვისარგებლოთ ოფიციალური მოხსენებებით მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებში;

3) გაგზავნა თქვენი საგანგებო მოხელისა „ცნ. ფ.“-ს ორ თანამშრომელთან ერთად ქართლსა და დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ გამოსაძიებლად და

4) სრული ხელშეუხებლობა იმ პირებისა, რომელნიც ფიცის ქვეშ შეაქოწმებენ ყოველგვარ ძალმომრეობას.

როცა ეს პირობები ასრულებული იქნება, რედაქცია აღნიშნულ ვადის განმავლობაში დაამტკიცებს, რომ „ცნ. ფ.“-ში დაიბეჭდა მხოლოდ სულ მცირე ნაწილი იმ ფაქტებისა, რომელიც ეგრედ წოდებული დამსჯელ რაზმების ძალმომრეობას ახასიათებენ საქართველოში.

ხოლო ჭეშმარიტება, რომელსაც ასე გულმოდგინეთ ეძებს ბ. გენერალ-გუბერნატორი, საუკეთესოდ გამოირკვევა ან საჯარო სასამართლოს შემწეობით, ან სენატის საჯაროვე რევიზიით, რომლის შესახებ საკითხი სხვათა შორის ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურო კრებაზედაც აღიძრა“.

კარგად ვიცოდი, რომ ეს გენერალ-გუბერნატორს არ დააკმაყოფილებდა, იმიტომ კი არა, რომ საბუთები საეჭვო იყო, ან თვითონ გენე-

რალ-გუბერნატორს არ სცოდნოდა, რომ „ცნობის ფურცელ"-ში იბეჭდებოდა მხოლოდ ერთი მესამედი იმ საზიზღარი მოქმედებისა, რომელიც დასავლეთ საქართველოში ხდებოდა. გენერალ-გუბერნატორისათვის საჭირო იყო დაეკმაყოფილებინა „ხულიგნების" და ტფილისის სამხედრო შტაბის განუწყვეტელი მოთხოვნა ჩვენი დასჯის შესახებ.

25 მარტს, დილის 11 საათზე საკომენდანტოდან ყაზახმა კონვერტი მომიტანა, რომელშიაც გენერალ-გუბერნატორის ქალალდი იყო. მიწვევდა 1-ლ საათზე. წავედი. საკომენდანტოს პირველ დიდ ოთახში იდგნენ პლაც-მაიორი, პლაც-ადიუტანტი, გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტი და კიდევ ორი სამხედრო პირი. როგორც ეტყობოდათ, მე მელოდნენ. უნდოდათ დიდი „დამნაშავე" ენახნათ. გენერალ-გუბერნატორმა მაშინვე მიმიღო, ფეხზე წამოდგა, ჩემ ზრდილობიან მისალმებაზე გენერალისებურად დამიქნია თავი. მე დავიწყე: „თქვენო აღმატებულებავ, ქალალდი მივიღე, თქვენ ჩემი მოწვევა გინებებიათ. ოდნავ აკანკალებული ხმით, მაინც ზრდილობიანათ მიპასუხა: მე თქვენ მოგთხოვეთ დაგემტკიცებინათ ერთი ცნობა, თქვენს გაზეთში მოთავსებული და მერე „Нов. Обозр.-ში გადაბეჭდილი; თქვენ კი ახალი ფაქტები მოიყვანეთ, რომლებსაც დამტკიცება სჭირია. ეს არის ცეცხლზე ზეთის დასხმა, რომელიც ცეცხლს გაძლიერებს. გარდა ამისა, თქვენი დაწერილი პასუხი ჩემთვის უნდა მოგეტანათ და არ დაგებეჭდათ გაზეთში. მე მოვალე არა ვარ ქართული ვიცოდე, თქვენ კი პასუხი ქართულად დაბეჭდეთ.

ამაზე ვუპასუხე, რომ დაბეჭდილი ფაქტები მოყვანილია ოფიციალური მოხსენებებიდან და ოქმებიდან, ამას დამტკიცება არ სჭირდება. ქართულად დაბეჭდილთან რუსული თარგმანიც მოგართვით; რაც შეეხება იმას, რომ მე გაზეთში კი არ უნდა დამებეჭდა, არამედ თქვენთვის წარმომედგინა, ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ პერიოდული გამოცემის წესრიგი მოითხოვს გაზეთში დაბეჭდილი წინადადების პასუხი გაზეთშივე მოთავსდეს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გაზეთის მკითხველმა საზოგადოებამაც გაიგოს სიმართლე. უამისოდ საზოგადოება ვერ გაარჩევს, თუ რამდენად მართალია რედაქტორი. როგორც ეტყობოდა, ჩემი თავის მართლება მისთვის ახალი რამ იყო. გენ.-გუბერნატორის პასუხი მოკლე იყო: კარგი, ჩემი დადგენილება მოგივათ.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ ამას სულ მცირე სასჯელად გაზეთის დახურვა მოჰყვებოდა. მაგრამ გენერალ-გუბერნატორი ამას არ დასჯერდა და 1906 წელს, 28 მარტს „კავკაზ"-ის ნომერში შემდეგი ბრძანება მოათავსა: „რადგან გაზ. „ცნობის ფურცლის" რედაქტორი მოერიდა პირდაპირ პასუხს, რომელიც მე მოვთხოვე დასამტკიცებლად ამ გაზეთში მოთავსებული ცნობისა, რომელიც შემდეგ გადაბეჭდილი იყო „Нов. Обозр."-ში და იმის მაგივრად იმავე გაზეთში მოიყვანა მთელი რიგი ფაქტებისა, რომლებიც იმ ცნობაში მოყვანილი არ იყო და რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, აგრეთვე დასამტკიცებელია, და მივიღე რა მხედველობაში, რომ თვით წესი პასუხის მოცემისა მის მიერ მოფიქრებულია

მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ დაებეჭდა ხალხის ამაღელვებელი და ჯარების შეურაცხსაყოფელი და ამიტომ მეტად უადგილო სტატია, ე. ი. ჩაედინა დანაშაული, რომლისათვისაც უკვე მიიღო გაფრთხილება, — მე, ქ. ტფილისის და ტფილისის და ბორჩალოს მაზრების დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა, ... ამა 26 მარტს დავადგინე: შეწყდეს გაზ. „ცნობის ფურცლის" გამოცემა იმ დრომდე, სანამ ქ. ტფილისში და ხსენებულ მაზრებში სამხედრო წესებია და აღეკრძალოს გაზეთის რედაქტორს ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარს ქ. ტფილისში და დასახელებულ მაზრებში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე. წასვლისათვის დაენიშნა სამი დღე.

ამასთანავე ვალად ვთვლი გავაფრთხილო ეს პირი, რომ აღნიშნულ ვადაში წაუსვლელობა გამოიწვევს მის გადასახლებას რუსეთის შიდა გუბერნიებში".

წასავლელად დანიშნული სამი დღე ცოტა იყო. მართალია, რედაქციის საქმეებისაგან განთავისუფლებული ვიყავი გაზეთის დახურვის გამო, მაგრამ სხვა საქმეები ისე უნდა მომეწყო, რომ დროებით ჩემ წასვლის გამო საქმე არ შეფერხებულიყო. გარდა ამისა, რადგან მე გადავწყვიტე საჩივარი მიმეცა „ნამესტნიკისათვის" გენერალ-გუბერნატორის განკარგულების შესახებ, საჭირო იყო წასვლის ვადის გაგრძელება. მაშინ ტფილისის პოლიცმეისტრად პოლკ. მარტინოვი იყო, ყოფილი ჟანდარმი. გადავწყვიტე იმის საშუალებით მომეთხოვნა წასვლის ვადის გაგრძელება. ამ მიზნით მის ბინაზე მივედი. თავაზიანად მიმიღო. მითხრა, წავიკითხე „კავკაზ"-ში დაბეჭდილი გენ.-გუბ.-ის განკარგულებაო. მოისმინა რა ჩემი მისვლის მიზეზი, მითხრა: მე შეუძლოთა ვარ და გენერალ-გუბერნატორთან ვერ წავალ, ტელეფონით მოველაპარაკები ჩემს მოადგილეს, რომ ახლავე წავიდეს გენერალ-გუბერნატორთან და სთხოვოს ვადის გაგრძელება აპრილის 10-მდე. ეს ვადა სამყოფიაო. მაგიდაზე პარაბელუმის რევოლვერი იდო. აიღო ეს რევოლვერი, მაგიდის უჯრაში ჩადო და მერე მიბრუნდა ტელეფონისაკენ, გამოიხმო თავის მოადგილე და დაავალა იმწამსვე წასულიყო გენერალ-გუბერნატორთან და ჩემი საქმე მოეხსენებინა.

მარტის 30-ს გენერალ-გუბერნატორისაგან მეტად ზრდილობიანი ქაღალდი მივიღე: „მის მაღალკეთილშობილებას და სხ. მოწყალეო ხელმწიფევ, ალექსანდრე გიორგისძევ! თანახმად თქვენი შუამდგომლობისა გაცნობებთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ თქვენ მოგეცათ ნება 10 აპრილამდე დაჰყოთ ტფილისში".

ეს ვადა სრულიად საკმარისი იყო. მეორე დღესვე „ნამესტნიკს" გავუგზავნე საჩივარი, რომელშიაც ვწერდი, რომ მოთავსებული ცნობები სულ მართალია, რომ გენ.-გუბერნატორმა გაზეთის საშუალებით მომთხოვა ცნობების დამტკიცება, მეც გაზეთისავე საშუალებით ვუპასუხე. ვერც ერთ მოყვანილ ცნობაში სიცრუეს ვერ დამწამებენ, რომ თუ გ. გ.-ს მოყვანილი ცნობები არა სჯერა, — დანიშნეთ საგანგებო კომისია, რომელსაც მე გავყვები და ყოველივეს დავუმტკიცებ ადგილობრივ. თუ და-

ბეჭდილი ცნობები მართალი არ აღმოჩნდა და სიმართლე ვერ დავამტკიცე, ამ შემთხვევაში მე მზადა ვარ მეტი სასჯელი მივიღო და, თუ მართალი ვარ, გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ გამანთავისუფლოთ ამ სასჯელისაგან და „ცნ. ფორცლის“ გამოცემაც აღადგინონ.

ჩემი საჩივრის გადასაცემად არაჩვეულებრივი გზა ავირჩიე. ისევ ასილდერბეგ კაზანალიპოვს ვთხოვე ჩემი საჩივარი თვითონ გადაეცა ვორონცოვისთვის და სიტყვიერადაც აეხსნა, რომ სიმართლისათვის არ უნდა დავისაჯო-მეთქი.

რამდენიმე დღის შემდეგ სააღდგომო უქმეები იწყებოდა. მე ბათომში გავემგზავრე. აპრილის 12-ს ტფილისიდან ბათომში დეპეშა მივიღე, რომ შემიძლიან დავბრუნდე. ტფილისში გენერალ-გუბერნატორის ქალალდი დამხვდა, ნება მეძლევოდა ტფილისში დავრჩენილიყავი.

გაზეთის დახურვამ საზოგადოებაზე როგორ იმოქმედა? გაზეთის ტირაჟი 13.000 ცალი იყო. ჩვენი დაკვირვებით თითო გაზეთს საშუალოდ 5 ადამიანი კითხულობდა. დიდი თანაგრძნობა გამოიწვია საზოგადოებაში გაზეთის პასუხმა და ამის შემდეგ მისმა დახურვამ. გულწრფელი თანაგრძნობის წერილი მივიღე მხოლოდ ნაფიცი ვექილის კალანთარ ივანეს ძე კალანთარისაგან და ოფიციალური ამხანაგური წერილი გაზ. „ტფილისის ლისტოკის“ რედაქციისაგან.

ქართველები სდუმდენ... კალანთართან კარგი ურთიერთობა მქონდა. ზოგვით ვიწრო შოვინისტი არ იყო. კალანთარი განრისხებულია ადმინისტრაციის მოქმედებით და ამ რისხვას არა ჰმალავს, თავისუფლად მწერს. მომყავს მისი წერილი, მოწერილი 28 მარტს:

„Уважаемый и дорогой коллега Алекс. Георг.! С чувством глубокого негодования узнало местное общество о состоявшемся распоряжении генерал-губернатора о высылке Вас из Тифлиса. Мерою этой правитекьство окончательно доказало свою полную несостоятельность и ничтожество, а Ваша мужественная защита попранной правды снискало Вам искреннее уважение со стороны местного общества. Я вполне понимаю, сколько безцельного и никому ненужного горя и страдания должна причинить Вам и Вашей семье принятая против Вас возмутительная мера — и если Вас хоть немного утешит сочувствие честных людей, то пусть настоящее письмо послужит каплей в общем море этого сочувствия... Мы все пострадали от царящего произвола, но до такой грубой меры еще не доходили. Первой жертвой в газетном мире явились Вы. Примите же уверение в моем горачем сочувствии и уважении“.

ამავე 1906 წ. ჩემ წინააღმდეგ საოლქო სასამართლოში აღძრული იყო საჩივარი მოსკოვის მუშათა საბჭოს მანიფესტის დაბეჭდვისათვის. ამ დანაშაულისათვის ყველა იმ გაზეთების რედაქტორები იყვნენ მიცემული სამართალში, ვინც დაბეჭდა სტეკლოვისა და სხვების ხელმოწერილი მუ-

შათა საბჭოს მანიფესტი. საოლქო სასამართლომ 8 თვის პატიმრობა გადამიწყვიტა. მე განვასაჩივრე პალატაში.

როდესაც გავიგე, რომ ჩემი საქმე პალატაში პალატის წევრის დეპოს თავმჯდომარეობით გაირჩევოდა და მეორე წევრი [illegible] (ორივე უკიდურესი მონარქისტი იყო), ძალაუნებურად დავემორჩილე ჩემს ბედგზარეობას. ამისთანა მსაჯულებს, რომ შესძლებოდათ, სასჯელს მოუმატებდენ. მე და იონინი ერთ სახლში ვიდექით (ზ. ერისთავისა). ერისთავმა იკისრა იონინს მოლაპარაკებოდა. ჩვენ ერთ სართულში ვიდექით. ჩვენი მუშები ხშირად მოდიოდნენ ჩემთან და შეცდომით იონინს ურეკავდნენ ზარს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მუშების დანახვა მას შიშსა ჰგვრიდა. იონინმა ერისთავის თხოვნაზე თურმე სთქვა: კარგი, საქმეს ვნახავ და, რამდენადაც შეიძლება, შევამსუბუქებო, მხოლოდ უთხარით ჯაბადარს, რომ მისი ბომბისტები (ჩვენი მომუშავენი ბომბისტები ეგონა) მე ნუ მირეკავენ ზარსაო.

სრულიად მოულოდნელად პალატაში ჩემ დამცველად პროკურორი გამოვიდა, რომელიც მცნობდა. ერთმანეთს „Нов. Обозр."-ს რედაქციაში ვხვდებოდით, მას სამუსიკო რეცენზიები მიჰქონდა დასაბეჭდათ (მუსიკოსიც იყო). პროკურორის შემდეგ ბევრი თავის გამართლება დამჭირდა. საქმე 100 მან. ჯარიმით გათავდა. არც ამ ჯარიმებმა, არც გაზეთების დახურვამ ასობით, არც ათითასობით რევოლიუციონერთა გაციმბირებამ ვერ შეაჩერა ისტორიის მსვლელობა. თვითმპყრობელობა ერთ მშვენიერ დღეს დაემხო.

გაზ. „ცნობის ფურცლის" შემდეგ გამოიცა სხვა გაზეთები, რადგან უბრალო მიზეზების გამო ხშირად ხურავდნენ გაზეთს, ამასთანავე გაზეთის ნებართვის მიღებაც გაადვილდა.

1902 წელს ჩემი უფროსი შვილები გიორგი და ერეკლე ბელგიაში გავგზავნე სასწავლებლად. ხოლო როდესაც რევოლუციონური მოძრაობა რთულდებოდა, საჭიროდ დავინახე დანარჩენი ჩემი ოთხი ვაჟისა და ჩემი პირველი მეუღლის მანანას გაგზავნაც. ეს იყო 1904 წ. მანანა, რომელიც იყო დაჲ ჩემი მეგობრის ვასო რცხილაძისა, რომლის შესახებ ზევით მქონდა საუბარი, დიდად პატიოსანი, გულკეთილი, სათნოიანი ადამიანი იყო და მორალურ დახმარებას მიწევდა ცხოვრებაში. შვილები ძალიან უყვარდა და თავის თავს, თავის ჯანს არა ჰზოგავდა იმათ აღსაზრდელად და მოსავლელად. მეორე შვილის ყოლას ავადმყოფობა მოჰყვა. ამას შედეგად თვალის ჩინის დაკარგვა მოჰყვა. შემდეგ სხვაფრივ გახდა ავად. ბრიუსელშიაც და პარიზშიაც საჭიროდ დაინახეს ოპერაციის გაკეთება. პარიზში ოპერაცია გაუკეთა საუკეთესო ხირურგმა დოუგნმა, მაგრამ ვერ გადარჩა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა. ეს იყო 1908 წელს. რასაკვირველია დედის დაკარგვით შვილები ძალიან დაღონებულნი იყვნენ. მშობლიური ყურადღება და მოვლა მოესპოთ. ჩემ საოჯახო ცხოვრებას, რასაკვირველია, საზოგადოებრივი ხასიათი არა აქვს. თუ ეს პატარა ცნობა

მოვათავსე, ამით მე მინდოდა აღმენიშნა, რომ ჩემი საზოგადო მოღვაწეობის მორალური მონაწილე და დამხმარე ჩემი მეუღლეც იყო.

1908 წელს ევროპაში წასვლამ, სხვათა შორის ისიც [illegible] მომიტანა, რომ რამდენიმე პოლიტიკური მოღვაწე გავიცანი. მათ შორის პოლ რეკლიუ, ანარქისტი მალატესტა, ლონდონში — ცნობილი ანარქისტი კროპოტკინი, ვინახულე მისტერ დრეიხორსტი და მისი მეუღლე, მისტერ ნეველსონი, რომლებთანაც ჩვენ (მე და ვ. ჩერქეზიშვილს) საქართველოს მდგომარეობის შესახებ გვქონდა მოლაპარაკება. კროპოტკინთან ლონდონში რამდენჯერმე ვიყავი. ფრიად სასიამოვნო მოხუცი დიდის თანაგრძნობით ისმენდა საქართველოს უბედურების ამბავს. გამოთხოვებისას მითხრა: მერწმუნეთ, მე დიდი მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ დავეხმარო საქართველოს განთავისუფლებას. ყოველი ერი თავისუფალი უნდა იყოს და თავისთავს თვითონვე უნდა მოუაროს. როდესაც ლონდონში პოლიტიკურ წრეებთან მოსალაპარაკებლად ჩემი დახმარება დაგჭირდეთ, საქართველოს საუკეთესო და გულწრფელ მეგობრად გეგულებოდეთ. მისის დრაიხორსტი და ნეველსონი მაშინ დაჩაგრულ ერთა მფარველი ლიგის დაარსებას აპირებდენ ლონდონში. ეს ლიგა დაარსდა. საჭირო იყო საქართველოს მემორანდუმი წარგვედგინა ამ ლიგაში, სადაც ჩვენ უფლებათა დამცველებად მ. დრაიხორსტი, ნეველსონი, და მათი მეგობრები გამოვიდნენ, რომელთაც საქართველოს წარსული პირველებმა გააცნეს.

საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი. მისის დრაიხორსტი და მისტერ ნეველსონი „დეილი ტელ". ერთ-ერთი განყოფილების რედაქტორი იყო. 1905 წელს აქაურ რევოლუციონური მოძრაობის გასაცნობად საქართველოში ჩამოვიდნენ. მაშინ ვარლამ ჩერქეზიშვილი და მისი მეუღლე ტფილისში იყვნენ და ჩემთან ცხოვრობდნენ. დრაიხორსტი და ნეველსონი დასავლეთ საქართველოში წავიდნენ იქაური მოძრაობის ადგილობრივ გასაცნობად. მათ ი. ნაკაშიძე გაჰყვა. იქიდან დაბრუნებისას ნეველსონმა კახეთის ნახვაც მოინდომა. კახეთში ვ. ჩერქეზიშვილი გაჰყვა და, როგორც კახელმა, კარგად დაათვალიერებინა იქაურობა. შემოდგომა იყო, რთველი. რთველის დროს მხიარულებაა, ქორწილები და სხვ. ამნაირად ნეველსონმა ზოგიერთი ჩვეულებანიც ნახა. მას თითქმის მთელი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი. კახეთიდან დაბრუნებულმა ნეველსონმა სთქვა: ბევრი ლამაზი ადგილი მინახავს, მაგრამ კახეთისთანა მშვენიერი კუთხე არსად მინახავსო.

ნეველსონს გაეგო გელათის არქიმანდრიტი ნიკოლოზის (ნამორაძის) რევოლუციონერობა. მთავრობას მისი დაპატიმრება უნდოდა, მაგრამ ტფილისში გამოიქცა და აქ იმალებოდა. ნეველსონს დიდად აინტერესებდა, თუ რამ აიძულა ღვთის მსახური ხალხის აჯანყებისათვის შეეწყო ხელი. მეორე დღეს ნეველსონსაც და დრაიხორსტსაც ჩემთან უნდა ესადილნათ. ნიკოლოზ არხიმანდრიტიც მოვიწვიე. მას ლურჯი პერანგი ეცვა, ქამარშემორტყმული (რასაკვირველია, თმა გაკრეჭილი). ნიკოლოზს სამუშაოს ვაძლევდი (კორექტურა ან თარგმანები), და თავს ამრიგად ინახავდა. როდესაც ნიკოლოზი ნეველსონს გავაცანი, ინგლისელი დიდ ახტა-

ცებაში მრვიდა. არ მოელოდა, რომ სურვილი არალეგალური არქიმანდრიტის ნახვისა ადვილად შეუსრულდებოდა. ნიკოლოზმა ბევრი ცნობა მისცა დასავლეთ საქართველოს მოძრაობის შესახებ. [illegible] ფოტოგრაფიული სურათები მოძრაობის ზოგიერთი ეპიზოდებისა.

ასე მომზადებულთ დრაიხორსტს და ნეველსონს შეეძლოთ კარგი მოხსენება გაეკეთებინათ დაჩაგრულ ერთა მფარველ ლიგაში. 1910 წელს ლონდონიდან ცნობა მივიდა, რომ იმ წელს, შუა თვეებში, ლიგას ყრილობა იქნებაო. ამისთვის საჭირო იყო მემორანდუმი. ტფილისში და ქუთაისში ინტელიგენტთა ჯგუფები ენერგიულად შეუდგნენ მემორანდუმის დამზადებას ზემოხსენებულ ლიგისათვის წარსადგენად. ამის ინიციატივა ჩემს მეგობარს ვარლამ ჩერქეზიშვილს ეკუთვნის, რომელიც ლიგის წევრების უმეტეს ნაწილს კარგად იცნობდა. მრავალ პირთა მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი 1910 წლის გაზაფხულის დამდეგს წავიღე და ბრიუსელიდან ვ. ჩერქეზიშვილს გაუგზავნე ლონდონში. ამის შესახებ ჩვენ მიწერ-მოწერა გვქონდა. ევროპიდან გაზაფხულზე დავბრუნდი. ტფილისში მოსვლის მეოთხე თუ მეხუთე დღეს ჟანდარმები მობრძანდნენ ჩემი ბინის გასაჩხრეკათ და ზოგიერთი წერილი წაიღეს, რომელიც თან მომყვა ევროპიდან. მისი მიმალვა ვერ მოვასწარი. ამის მეხუთე დღეს დამაპატიმრეს. რადგან ერთ-ერთ წერილში რაღაცა საეჭვო ეპოვნათ. მიზეზი წერილი იყო. თვე-ნახევრის შემდეგ გამანთავისუფლეს და შემდეგ ხუთი წლით ამიკრძალეს საქართველოში ცხოვრება. მაშინ გუბერნატორად ანდრეი ჩერნიავსკი იყო. მას კარგად ვიცნობდი. მივედი და რჩევა ვკითხე საზღვარგარეთ წასვლა მირჩია: მე პასპორტს მოგცემ და სჯობს ევროპაში იყოთ, ვიდრე რუსეთის ქალაქებში, ისიც უკეთეს ქალაქებში, ნება არ გექნებაო ცხოვრებისაო. რჩევა მივიღე და ევროპაში წავედი. ბრიუსელში უცნაური ამბავი მიამბეს ჩემი დაპატიმრების შესახებ. ერთ-ერთ რესტორანში ჩემი უფროსი შვილი გიორგი და მისი მეგობარი ვულბრუნი ყოფილიყვნენ. მათთან კიდევ ვილაც მჯდარა, თავის თავს ოსმალოს უწოდებდა. ამ „ოსმალოს“ ჩემი შვილისთვის ეთქვა, ტფილისში მამათქვენს დააპატიმრებენო. ამის გამო ვულბრუნს, რომელიც მეც მიცნობდა, „ოსმალოსთვის“ სკამი უსროლია და დაუყოლებია—ჯაშუში ყოფილხარო. ამის შემდეგ ტფილისიდან შვილებს ჩემი დაპატიმრების ამბავი მიუვიდათ. გასაოცარი ის არის, რომ აქ დაპატიმრებულს ჟანდარმთა უფროსმა პასტრულინმა ისეთი კითხვები მომცა ევრობაში ჩემ მიერ გამართულ მოლაპარაკების შესახებ, რომ დიდად გავოცდი, — საიდან და როგორ უნდა გაეგო ყველა იქ ნალაპარაკევი-მეთქი. 1908 წ. ტფილისში ინტილიგენტთა პატარა ჯგუფი შევადგინე. მათთან კარგი ურთიერთობა მქონდა და წინადადება მივეცი ამხანაგობა შეგვედგინა, რომელსაც მიზნად დიდი მამულების შეძენა უნდა ჰქონოდა, ან ბანაკების საჯარო ვაჭრობებზე, ან მესაკუთრეებთან მოლაპარაკებით. მამულები შედგენილობით უფრო სახნავი, სავენახე ან საბაღე უნდა ყოფილიყო. შეძენა უნდა მოგვეწყო ბანაკების საშუალებით. შეძენილი მიწები ნიადაგის ავკარგიანობის მიხედვით მცირე

ნაჭრებად (2—5 ჰექტ.) უნდა დაგვეყო და უმიწაწყლო გლეხებისთვის მიგვეყიდნა ნაყიდობის ფასად და ბანკის ვალი მსყიდველელზე გადაგვეტანა. ამაზე თავად-აზნაურობის ბანკის გამგეობასთან მქონდა მოლაპარაკება, რომელიც ამ აზრს თანაგრძობით მიეგება. ჩემმა მეგობრებმაც მოიწონეს. ამისთვის თავისუფალი საბრუნებელი თანხა იყო საჭირო. 1910 წლის გაზაფხულზე ევროპაში რომ ვიყავი, ვფიქრობდი, იქნება იქ მომეხერხებინა საჭირო თანხის შოვნა, რათა უცხოელთ საქართველოში ბანკი გაეხსნათ როგორ ხსენებულ ოპერაციებისათვის, ისე სახლების მშენებლობისათვის იმავე პირობებით, რა პირობებითაც მაგ. ბელგიაში აშენებენ. აი ამ გეგმის შესახებ საუბარი მქონდა ბრიუსელში პალიკო ყიფიანთან, ჩემი შვილის თანადასწრებით (აღარ მახსოვს გიორგი იყო თუ ერეკლე). ქართულად ვსაუბრობდით, ბრიუსელის ერთ ბულვარდზე (Avenae Lonise). სეირნობის დროს ჩვენს ახლო ქართულის მცოდნე არავინ დასეირნობდა და ვერც მიხვდებოდა რამეს, თუნდ ორიოდე წინადადებაც რომ გაეგო. ჟანდარმა პასტულინმა სწორედ ამის შესახებ მკითხა: თქვენი გეგმის შესასრულებლად ფულს ბელგიაში ეძებდითო. თქვენი გეგმით ნაყიდ მიწებზე ქართველები უნდა დაგესახლებინათო, ამითი თქვენ ხელი უნდა შეგეშალნათ გადმოსახლების კომიტეტისათვის (переселенческий комитет) რუსების გადმოსახლების საქმეში თავისუფალ მიწებზეო.

როგორ მოუვიდათ ეს ცნობა აქაურ ჟანდარმებს? ეს ჩემთვის დღესაც გამოურკვეველია. ერთია მხოლოდ საფიქრებელი, რომ ყიფიანმა ამ პროექტის შესახებ სხვებთან ილაპარაკა (ბელგიაში ქართველთა კოლონია იყო) და აქედან გაიგო იმ „ოსმალმა", რომელმაც ეს ცნობა მოსწერა. იქიდანვე გაიგეს ჟანდარმებმა ისიც, რომ მემორანდუმი ლონდონში გავგზავნე და ეჭვი ჩემზე აიღეს. ეს იქიდან ჩანს, რომ მე გამანთავისუფლეს მხოლოდ ლონდონში მომხდარ „დაჩაგრულ ერთა მფარველი ლიგის ყრილობის მეცხრე თუ მეათე დღეს, ე. ი. მას შემდეგ, როცა „ნოვოე ვრემიაში" ლონდონიდან მოწერილი კორესპონდენცია დაიბეჭდა ლიგის ყრილობის შესახებ. ეწერა, ამ ყრილობამ უმნიშვნელოდ ჩაიარაო.

1909 წელს, ბრიუსელში ყოფნის დროს მე ტფილისის ტრამვაის საააქციო საზოგადოების გამგეობისაგან წინადადება მივიღე — დავხმარებოდი ტფილისის ქალაქის გამგეობასთან ზოგიერთი კითხვების მოწესრიგებაში და საზოგადოთ თვალყური დამეჭირა ტფილისის ტრამვაის საქმეებზე. ტფ. ტრამვ. დირექტორს მიწერილობა ჰქონდა ამის შესახებ. ამავე 1909 წ. საზღვარგარეთ დაწყებული მქონდა არაგვზე ჰიდრო-ელექტროსადგურის აგების კონცესიაზე მოლაპარაკება. ტფილისის გამგეობასთან მოლაპარაკება მინდობილი ჰქონდა პარიზის ცნობილ ფირმას „ჟორო-ლუშერს". ტფილისის გამგეობასთან მოლაპარაკება უკვე დაწყებული მქონდა. ამასთან დაკავშირებული იყო მეორე დიდი საკონცეიო საქმე — კახეთის მისავალი ელექტროგზები. თუ ჩემი გაძევება მართლა გაგრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს, ქართველთა ამხანაგობის საქმეები თითქმის უპატრონოდ დარჩებოდა. მე დაბრუნების იმედს არ ვკარგავდი. გუბერნატორმა

ჩერნიავსკიმ ნახევარ საათში მომცა პასპორტი და მე და ჩემი მეორე მეუღლე ელისაბედი მესამე დღესვე წავედით საზღვარგარეთ. ამ მხრივ მე თითქო ბედი არა მღალატობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარი თავისუფლად გადავიარეთ. საზღვარ-გარეთ საკონცესიო საქმეები კარგად მოეწყო. ზაფხულის გასულს უნდა დავბრუნებილიყავ დაწყებული საქმეების გასაგრძელებლად. მაგრამ ტფილისში დაბრუნების ნებას მომცემდენ? ქართველთა ამხანაგობის მიერ ამიერ-კავკ. რკ. გზის მმართველობასთან დადებული ხელშეკრულების ვადაც გადიოდა. რადგან კავკასიიდან „განდევნილს“ ნებადაურთველად ტფილისში დაბრუნება არ შემეძლო, გადავწყვიტე ტფილისის ახლო მაინც ვყოფილიყავ. ამ მოსაზრებით გადავწყვიტე ბაქოში დავბინავებულიყავი. საზღვარ-გარეთის პასპორტით ჩავეწერე და ყოველ წუთს ველოდი, რომ პოლიციელები მომივარდებოდნენ და მეტყოდენ: რა უფლებით ბრძანდებით აქ? „ნამესტნიკს“ თხოვნა გაუგზავნე. ვწერდი, რომ უცხოეთის ფირმებისგან მონდობილობა მაქვს კანცესიებზე მოველაპარაკო ტფილისის ქალაქის გამგეობას, ჩემი დაბრუნება საჭიროა საზოგადო საქმეებისთვის და სხ. 1911 წ. თებერვლამდე ველოდი პასუხს. თებერვალში კი პეტერბურგში წავედი ჭარ. ამხანაგობის საქმეების გამო გზათა სამინისტროში ახალი ხელშეკრულების გასატარებლად. პეტერბურგში გულისფანცქალით მივედი (იქ ცხოვრებაც აკრძალული მქონდა). საუკეთესო სასტუმროში გავჩერდი. ეს თავდები იყო იმისი, რომ იქ ყურადღებას არ მომაქცევდენ. იქაც საზღვარ-გარეთის პასპორტი წარუდგინე. სამი კვირა დავყავი, საქმეები კარგად გავათავე. პეტერბურგში ჩემს იქ ყოფნას პოლიციამ ყურადღება არ მიაპყრო, ამით გათამამებულმა მოსკოვში ორი-სამი დღით დარჩენა და ჩემი ძველი ნაცნობების მოძებნა და ნახვა მოვინდომე. სასტუმრო უფრო დემოკრატიული ავირჩიე (ეს შეცდომა იყო), პასპორტიც იგივე წარუდგინე. სასტუმროში მისვლის მეორე დღესვე, დილის 11 საათზე, ჩემი ოთახის კარი დააკაკუნეს. დაკაკუნება გაბედული იყო და გამოცდილებით ვიცოდი, რომ კარი სახეიროდ არ დამიკაკუნეს. გავუღე. „ოკოლოტოჩნი“ შემობრძანდა. „თქვენა ბრძანდებით გ. ჯ-რი?“.. — „მე გახლავართ“. „თქვენ აკრძალული გაქვთ მოსკოვში ცხოვრება, განა ეს არ იცით?“ მე დიდად გავიკვირვე, ვითომ ჩემთვის ეს ახალი ამბავი იყო და ვუპასუხე: „პირველად მესმის“ ამის პასუხად ქაღალდი წამიკითხა, სადაც ჩემი იქ ცხოვრების აკრძალვა ეწერა. ამ ქაღალდში, სხვათა შორის, პეტერბურგიც იყო მოხსენებული. ეს გამომადგა, რომ ცოტათი მაინც გამემართლებინა ჩემი „უცოდინარობა“. მე ვუთხარი, როგორც პასპორტიდან დაინახავთ, პეტერბურგში სამ კვირას ვცხოვრობდი და ჩემთვის ხმა არ გაუციათ, თქვენ კი მეორე დღესვე მობრძანდით-მეთქი. „ოკოლოტოჩნიმ“ (ხნიერი იყო) ბოდიშით მითხრა: „არ შეგაწუხებდით, რომ პოლიციის ნაწილიდან არ გამოვეგზავნე. თუ გნებავთ ორი დღე დარჩეთ, მოსკოვის სხვა ნაწილში გადადით. იქ ხელახლა ჩაეწერეთ და მანამ ჩაგწერენ და მოგძებნიან საქმესაც გაათავებთო.

ბაქოში რომ დავბრუნდი „ნამესტნიკს“ თხოვნა გაუგზავნე ჩემი მეუღლის ხელით: ეს თხოვნა ისევ კაზანალიპოვს უნდა გადაეცა „ნამესტნიკისათვის“ და თან ორიოდე სიტყვაც დაემატებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ნებართვის მიღების იმედი მქონდა და ტფილისში ჩემი ყოფნა საჭირო იყო, გავბედე ტფილისში მისვლა და ჩემ მეგობარ ირაკლი ფურცელაძის ბინაზედ დავიდე ბინა საიდუმლოდ. ფურცელაძეს ბევრჯელ დავხმარებივარ და არც ის ზოგავდა ჩემდამი ყურადღებას. თვენახევრის შემდეგ დაბრუნების ნებართვა მივიღე. ამ საქმეში მაშინდელი ქალაქის თავი ხატისოვიც დამეხმარა.

ზემოთ მოყვანილი ცნობები ჩემი გადასახლების შესახებ და ამის შედეგები, რასაკვირველია საზოგადოებრივ ხასიათს არ წარმოადგენს. თუ მაინც მოვიყვანე ეს პატარა ეპიზოდი ჩემი ცხოვრებისა, ამით მინდოდა აღშენიშნა, თუ რამდენად გაძნელებული იყო მუშაობა.

ქართულ გიმნაზიას პატრონად განსაკუთრებული საზოგადოება ჰყავდა, რომელიც სასკოლო კომიტეტს ირჩევდა. ეს კომიტეტი ბატონ-პატრონი იყო გიმნაზიისა. კომიტეტს მის შესანახავად ყოველწლივ ბანკის მოგებიდან ეძლეოდა საჭირო თანხა.

გიმნაზიისთვის შენობის აგების ინიციატივა, რამდენადაც მახსოვს, ნ. ცხვედაძეს ეკუთვნოდა, რომელიც სასკოლო კომიტეტის წევრი იყო. დიდი ამაგი მიუძღვის ნ. ცხვედაძეს იმ სახლის აშენებაში. გასაოცარ ენერგიას იჩენდა საჭირო ფულის შოვნაში და თვით შენობის აგების საქმეშიც. რასაკვირველია, მე ვამაყობდი, როდესაც კომიტეტში ამირჩიეს და ჩავები ამ საქმეში. საგიმნაზიო სახლის აშენების საქმეებს დამაახლოვეს. ცხვედაძესთან მანამდეც კარად ვიყავი. როცა ნახა, რომ მე გულით და სულით თანავუგრძნობდი მის მუშაობას, უფრო დამიახლოვდა. როდესაც შენობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა გავიცანი დაწვრილებით, ცხვედაძეს ვკითხე:

— ბატონო ნიკო! თქვენ მიერ დაწყებულ შენობის დამთავრებას დიდი ფული დასჭირდება. 'შენობის პროექტიდან ნათლად ჩანს, რომ ეს შენობა გიმნაზიისთვის ძალიან დიდია. გარდა ამისა თქვენი ხარჯთაღრიცხვა მცირეა, ამით სახლს ვერ დაამთავრებთ და ბოლოს, შესაძლოა დიდი უსიამოვნება მოხდეს. მთელ კომიტეტს უსაყვედურებენ უვიცობას, წინდაუხედავობას და სხ. მე, როგორც კომიტეტის წევრი, მოვალე ვარ თქვენც გითხრათ ეს და კომიტეტის კრებაზე და საზოგადოების ყრილობაზედაც აღვნიშნო.

შევატყე, რომ ჩემმა სიტყვებმა დააფიქრა და თითქო კიდეც ეწყინა. ეს ლაპარაკი შენობის ეზოში მქონდა. ნიკომ მკლავში ხელი წამავლო, შენობის მოშორებით გამიყვანა და დაიწყო:

„რაც თქვენა სთქვით, ყველა მართალია. ისიც მართალია, რომ გიმნაზიისთვის ეს შენობა დიდია, მაგრამ, რაკი კითხვა ასე დააყენეთ, გვეედრებით ჩემი ნათქვამი საიდუმლოდ შეინახოთ და შემდეგში დამეხმაროთ რომ ეს დიდი საქმე შევასრულო. არ ვიცი მოვესწრები თუ არა, მაგრამ და-

რწმუნებული ვარ ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი იქნება. მე რომ ეს საზოგადო ყრილობაზე ვთქვა, ყველა სულელს დამიძახებს და შენობისოვის ერთ გროშს არ გამოიღებს. მე რომ ნამდვილი ხარჯთაღრიცხვა წარმედგინა, თქვენ ამ შენობას თვალითაც არა ჰნახავდით. როგორც ეტყობა, თქვენ არ იცით ჩვენი ხალხის ამბავი. მე მწამს, რომ ტფილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება. და ამოდენა შენობას სწორეთ ამისთვის ვაშენებ.

ამაზე ნიკომ ბევრი ილაპარაკა და ბოლოს სიტყვა ჩამომართვა—ყველგან დახმარება გამეწია. ამის შემდეგ არამც თუ გავანებე თავი ოპოზიციას, პირიქით, დაპირება ბოლომდე შევასრულე. ნიკო ვერ მოესწრო მისი სურვილის განხორციელებას. უნივერსიტეტი ნიკოს გარდაცვალების შემდეგ გაიხსნა. ნიკოს შრომა დაივიწყეს, მისი სახელის აღნასიშნავად შენობაში უბრალო ფიცარიც კი არ მიაკრეს.

წიგნების გამომცემი ქართველთა ამხანაგობის საქმეები, მუშების გაფიცვებითა და გაზეთის დახურვით შერყეული, ნელნელა გამოსწორდა. „ადამინისტრაცია“ მოვახსნევინე. საქმეების სრული გამოსწორების შემდეგ მინდოდა კვლავ გამეგრძო წიგნების გამოცემა და აგრეთვე ჟურნალ-გაზეთის გამოცემის განახლება.

დიდი იმედი მქონდა, რომ კონცესიების რეალიზაცია საკმაო თანხას მომცემდა, რათა პერიოდული გამოცემის საქმე ფრიად ფართედ მომეწყო.

1912 წელს კვლავ ევროპაში წავედი კონცესიების საქმეების მოსაწყობად. ვენაზე გავიარე. შემთხვევით და ნაცნობობით ვისარგებლე და ზედმიწევნით დავათვალიერე საიმპერატორო დრამატიული თეატრი, სცენა სრულიად ახალი ტექნიკური მოთხოვნილებათა თანახმად იყო მოწყობილი. შეიძლებოდა მბრუნავი სცენით სარგებლობაც და ოთხსართულიანი სცენითაც. ოთხსართულიანი სცენა ძირიდან თავამდე რკინისა იყო და საჭიროებისამებრ ასაწევ ელექტრომანქანებით აიწეოდა და დაეშვებოდა, როგორც ლიფტი. გარდა ზემო, მეოთხე სართულისა, სადაც სატრიალებელი სცენაც იყო (დასაშლელი), ყველა სართულზე წინადვე შეიძლებოდა პავილიონების დადგმა და სცენის მოავეჯება. ყოველი მოქმედების გათავების მერმე შემდეგი მოქმედების დაწყება სამი-ოთხი წუთის შემდეგ შეიძლება. მხოლოდ მეოთხე სართულზე შეიძლებოდა დაშვებულ დეკორაციების ან მაუდების დაშვება. ელექტროსინათლის მოწყობილობა ხომ ელექტროტექნიკის უკანასკნელი სიტყვა იყო. თეატრის ჩვეულებრივ ფარდასთან რკინის ფარდა ეკიდა იმ შემთხვევისთვის, თუ თეატრს ცეცხლი გაუჩნდებოდა. შენიშნულია, რომ თეატრში ცეცხლი ყოველთვის სცენიდან იწყება ხოლმე და დიდის სისწრაფით ედება თეატრის დარბაზს, რადგანაც სცენიდან დიდ დარბაზისკენ ჰაერის დენა დიდია. დროზედ დაშვებულ რკინის ფარდას კი შეუძლიან დაიჭიროს ცეცხლის ალი. მიუხედავად გასაბრთხილებელი ზომებისა, რამოდენიმე წლის შემდეგ ეს თეატრი მაინც დაიწვა.

ევროპიდან აგვისტოში დავბრუნდი. მოსკოვში ორი კვირა დავყავი. აქ ალ. სუმბათაშვილის (იუჟინი) დახმარებით სამხატვრო თეატრის სცენა და

მოწყობილება დავათვალიერე. მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენის ზოგიერთი მოწყობილების მნიშვნელობას ნემიროვიჩი-დანჩენკო გვიხსნიდა. შემდეგ „ბორის გოდუნოვის“ გენერალურ რეპეტიციაზე მიგვიწვია და სტანისლავსკი გაგვაცნო. რეპეტიციას სტანისლავსკი ხელმძღვანელობდა, გვერდით, აქეთ-იქით რეჟისორები ესხდნენ. ისხდნენ პარტერში მაგიდის სამი მხრივ, რომელიც დროებით იდგა მესამე და მეოთხე რიგის სავარძლების მაგივრად. რეპეტიციის დროს ყველანი თავთავიანთ შენიშვნებს იწერდენ და ყოველ მოქმედების გათავების შემდგ თავიანთ შნიშვნებს ჯითხულობდნენ, არჩევდნენ. მოქმედების ასრულბის დროს მხოლოდ სტანისლავსკიმ მისცა მსახიობს რამოდენიმე შენიშვნა.

თეატრი ახალგაზრდობიდანვე მიყვარდა. ქართულ წარმოდგენებს არ ვაკლდებოდი. დაახლოვებით ვიცნობდი მარიამ საფაროვისას (მერე აბაშიძისა), ნატო გაბუნიას, ქეთო ანდრონიკაშვილს, ბაბო ავალიშვილისას. მეგობრული ურთიერთობა მქონდა კოტე ყიფიანთან, ვასო აბაშიძესთან, კოტე მესხთან, შანშიაშვილთან და სხვ. იქნება ეს დაახლოვება და თეატრის სიყვარული იყო იმის მიზეზი, რომ 1912 წ., მანამ ევროპაში წავიდოდი, ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიურ კრებაზე, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ ამირჩიეს. მსახიობთ იმედი ჰქონდათ, რომ მე, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსთან დაახლოებულს, შემეძლო ქართული თეატრის საქმეების გამოსწორება, ე. ი. ქართულ დრამატიულ დასისთვის ეტი სუბსიდიის გამოტანა და სხვ. მართლაც, ქართულ თეატრს ძალიან მცირე სუბსიდია ეძლეოდა. ქართული თეატრის მსახიობნი ნამდვილი გმირები იყვნენ. მთელ თავის ძალღონეს თეატრს ალევდნენ. საზოგადოება არ აფასებდა მსახიობთა თავის განწირვას. მსახიობნი ნახევარზე მშიერნი იყვნენ. ქართული თეატრის მსახიობს არასდროს თავის დროზე და ერთბაშად თავის ჯამაგირი არ მიუღია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მსახიობთ ძალიან უყვარდათ თავიანთი საქმე, უფულობით შეწუხებულნი, რასაკვირველია, საჭირო გულმოდგინეობას ვერ იჩენდნენ. თეატრი, სადაც ქართული წარმოდგენები იმართებოდა, შინაურ თეატრს ჰგავდა. პატარა პარტერი, ძალიან პატარა და მოუწყობელი სცენა, ცივი; ელექტრო-სინათლე წარმოდგენის დროს ხშირად ქრებოდა და შეწყვეტილ წარმოდგენას ზოგჯერ ნახევარი საათის შემდეგ განაგრძობდენ. ცეცხლის გაჩენა ხომ ყოველ წამს გვაშინებდა.

რადგან თეატრის შენობა ძალიან ძველი იყო და სერიოზული შეკეთება სჭირდებოდა, ამიტომ 1912 წელს თ.-აზნაურობის საკრებულომ დაადგინა თეატრი შეეკეთებინა; ამავე დროს უნდოდათ ესარგებლნათ და ცოტათი გაეფართოებინათ სცენაც და დარბაზიც. მე რომ ევროპიდან დავბრუნდი, თეატრის შეკეთება უკვე დაწყებული იყო. თ.-აზნ. 20.000 მან. გადაედო. თეატრის გადასაკეთებლად არქიტექტორი სარქისიანი იყო მოწვეული. ხოლო მუშაობის წარმოება საგანგებოდ შედგენილ კომისიას ჰქონდა ჩაბარებული, რომელსაც ვლ. ვაჩნაძე (არტილ. პოლკ.) თავმჯდო-

მარეობდა. ვაჩნაძე პატიოსანი ადმიანი იყო, მუყაითი, მაგრამ შენობის საქმისა, და ისიც თეატრის შენობის საქმისა, სულარა გაეგებოდა. ... რაც შეეხება კომისიის წევრებს, მხოლოდ სამთო ინჟ. დათა ჯორჯაძე იყო კარგი მცოდნე, მაგრამ მისი და დანარჩენი წევრების როლი მხოლოდ ის იყო, რომ კომისიის სხდომებზე არქიტექტორის მოხსენება ... მარის ლაპარაკი მოესმინათ.

იმ იმედით, რომ თეატრს 15 დეკემბრისთვის გადააკეთებდენ, კომისიამ ხელშეკრულება დაუდო ცნობილ მსახიობ ქალს იავორსკისას, რომელსაც ამ თეატრში რუსული წარმოდგენების გამართვა უნდოდა.

როდესაც საუბარი აღიძრა თეატრის შენობის გადაკეთებაზე, ყველანი იმას ამბობდენ, ქართულ თეატრს რიგიანი და მუდმივი ბინა არა აქვსო, ხოლო, როდესაც საქმე საქმეზე მივიდა, თეატრის შენობა რუსულ თეატრს დაუთმეს და ქართულ თეატრს თვეში ექვსი დღე მისცეს. ეს მოწყალება ქართულ თეატრისთვის დამაკმაყოფილებელი არ იყო. როდესაც ხელშეკრულებას სდებდნენ, დრამატ. საზოგადოების გაგეობიდან არავინ მოეწვიათ. ამრიგად ერთის მხრივ თ.-აზნ-ბა ქართულ თეატრს ეხმარებოდა, მეორე მხრივ ისეთ პირობებში აყენებდა, რომ ნორმალურად საქმის წარმოება ძნელი ხდებოდა.

სექტემბრის გასულს უკვე სჩანდა, რომ კომისია თეატრის გადაკეთებას ვერ მოასწრობდა. სარქისიანი კომისიის პირუკან ამბობდა, თებერვალში, ე. ი. სეზონის გათავების დროს, ექნება მზათაო, თ-აზნ-ბა კარგ ჯარიმას გადაუხდის იავორსკისაო. ხმები იყო, რომ იავორსკიც დარწმუნებული იყო, რომ ჯარიმას და ზარალს გადაახდევინებდა თ-აზნ-ს. ვინ იცის იქნება რაიმე ჩუმი შეთანხმებაც არსებობდა არქიტექტორსა და იავორსკის შორის...

თ-აზნ-ს წინამძღოლმა მიმიწვია, ამიხსნა საქმის მდგომარეობა, წამიკითხა განცხადება საამშენებლო კომისიისა, რომ თეატრის გადაკეთებას ვერ მოასწრობენ იავორსკისთან დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულ დროისათვის და მთხოვდა კომისიასთან ერთად საქმის წარმოება მეკისრნა. ეს წინადადება ჩემთვის, როგორც დრამატ. საზ. თავმჯდომარისთვის, ხელსაყრელი იყო. წინადადება უნდა მიმეღო და ამით მესარგებლნა, რომ რაკი სცენის გადიდებას ვერ მოუსწარი (მე რომ ტფილისში დავბრუნდი, კედლები უკვე აშენებული იყო), საჭიროებისამებრ მაინც მომეწყო იგი. მე ორი დღის ვადა ვითხოვე არქიტექტორის გეგმების გასასინჯად და მუშაობის გასაცნობადაც. ნამუშევარის გაცნობის დროს დავრწმუნდი, რომ კომისია ზერელედ აწარმოებდა საქმეს, არხ. სარქისიანი პირის-უკან კომისიას დასცინოდა და საერთოდ მუშაობა საჭიროებისამებრ არ იყო დაყენებული. მესამე დღეს თ-აზ-ს წინამძღოლს თანხმობა გამოვუცხადე იმ პირობით, რომ მხოლოდ მე ვიქნებოდი ამ საქმის ბატონ-პატრონი ანუ დიქტატორი. ამ შემთხვევაში აღვუთქვი თეატრის გახსნა ქართულ დასს დეკემბრის 14, ე. ი. ერთი დღით ადრე, ხოლო მეორე დღეს თანახმად ხელშეკრულებისა, ქ. იავორსკისაც შეეძლო წარმოდგენების დაწყება.

ჩემი წინადადება მოითათბირეს და მიუხედავად იმისა, რომ კომისიის თავმჯდომარე ვაჩნაძეს არ უნდოდა თურმე თავის უფლება დათმობა, იძულებულნი იყვნენ დათანხმებულიყვნენ. რამდენად მეტს ვაკვირდებოდი მუშაობას, იმდენად მეტად ვრწმუნდებოდი, რომ არქიტექტორისა და მუშაობის მოიჯარადრეს კუდები ჰქონდათ გადაბმული — და მუშაობის დაჩქარებას ზერელედ უყურებდენ. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ არქიტექტორი თავს არ აიტკიებდა, თუ თ.-აზ-ბა იავორკსის ზარალს აუნაზღაურებდა. სწორედ იმ ხანებში ქ. იავორსკიც ჩამოვიდა ტფილისში. თეატრში მუშაობის დათვალიერების შემდეგ (და იქნება არქიტექტორთან ლაპარაკის შემდეგაც) ქ. იავორსკისამ ეჭვი გამოსთქვა—თეატრი თავის დროზე მზად არ იქნება, ეს ძალიან მაზარალებსო. აქედან ის უნდა დაგვესკვნა, რომ ზარალს თ-აზნ-ს გადაახდევინებდა. მე იძულებული ვიყავი გადაწყვეტით დამერწმუნებინა ქ. იავორსკისა, რომ მას შეუძლიან დასი მოამზადოს, 15 დეკემბერს თეატრი მზად იქნება მეთქი. ამის შემდეგ არქიტექტორსაც და იმის მოიჯარადრესაც გადაჭრით გამოვუცხადე, თუ ერთ კვირაში მუშაობას არ გააძლიერებთ ერთი ორად, იძულებული ვიქნები თქვენ მაგივრად სხვები მოვიწვევ-მეთქი. ამან კარგად იმოქმედა. სამი-ოთხი დღის შემდეგ სულ სხვა ტემპით მუშაობდნენ.

როგორც შემდეგ გამოირკვა, არქიტექტორმა თეატრის და განსაკუთრებით, სცენის მშენებლობა-მოწყობა სუსტად იცოდა, შემდეგ ასე თუ ისე მუშაობა ძალიან ინტენსიურად წავიდა. უკვე შეიძლებოდა გვეზრუნა ქართული დასის შესადგენად. ნოემბრისათვის დასი უკვე შედგენილ იქნა. დასში შევიდნენ ახალი პირნი: იშხნელი, საგინაშვილისა... ახალმა კომიტეტმა მოინდომა ახალგაზრდა პირთა მოწვევით დასის განახლება. მ. საფაროვა-აბაშიძისას, როგორც დამსახურებულს ნიჭიერ მსახიობ ქალს, დრამატ. საზოგ. გამგეობამ ყოველთვიური პენსია დაუნიშნა (100 მან.).

პირველ ქართულ წარმოდგენისათვის, რომელიც ახალი თეატრის გახსნის დღეს უნდა ყოფილიყო (14 დეკემბერს), „სამშობლო“ უნდა მომზადებულიყო: ამისათვის მხატვარს შევუკვეთე გაგარინის ალბომიდან ფერადღებით გადაეხატა შესაფერი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. მ. საფაროვა-აბაშიძის ხელმძღვანელობით ამ სურათებით მსახიობთათვის ახალი ტანისამოსი იყო შეკერილი. სეზონისთვის სერიოზულად ვემზადებოდით. არჩეული იყო პიესები, რეპეტიციები დაიწყო და ჩვენი მსახიობნი გულმოდგინედაც მუშაობდენ.

თეატრის განათებას მთლად, და სცენისას განსაკუთრებით, პირველი ადგილი უჭერია. არც კომისიას და არც არქიტექტორს სცენაზე სინათლის მოწყობაზე არც კი ეფიქრათ, ხოლო თვით დარბაზისთვის გამოწერილი იყო მართლა ლამაზი ჭაღი, პლაფონები და ბრა. შეკვეთილი იყო ახალი ფარდა. თეატრის უკან, ფრეილინის ქუჩის პირას თ.-აზნაურობას ვილაცა პირებისათვის, ხელშეკრულებით იჯარით მიეცა 25 წლით ნაკვეთი ადგილი ზედ ელექტროსადგურის ასაშენებლად იმ პირობით, რომ ამ ხნის განმავლობაში იმ მამულში სხვას არ მისცემდენ სადგურის აშენების

უფლებას და არც სხვა საელექტრო-სადგურიდან შეეძლოთ სინათლის მიღება თ-აზნ. შენობაში. ელექტრონის ფასი დიდი იყო. თეატრს განათებაზე დიდი ზარალი ექნებოდა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის მხოლოდ ერთი გზა იყო — შესყიდვა ელექტროსადგურისა და მისი გაფართოება. ეს მოსახერხებელი იყო, რადგან „კონ[illegible] ფირმის საქმე (პეტერბურგის ფირმა იყო) შეირყა და ადვილად მოხერხდებოდა სადგურის შესყიდვა. ამ საგანზე თ-აზნ-თა წინამძღოლთან მოლაპარაკებას რომ ვაწარმოებდი, ბედზე პეტერბურგიდან „ჩრდილოეთის საზოგადოების წარმომადგენელი მოვიდა და თ.-აზნ. წინამძღოლს განუცხადა, რომ [illegible] ფირმას ჰსურს შეისყიდოს ელექტროსადგური და თ.-აზნ-თან ახალ[illegible] გრძელვადიანი ხელშეკრულება დასდოს. მაშასადამე, საჭირო იყო მ[illegible] სულ წარმომადგენელთან ლაპარაკის გაბმა და ამავე დროს პეტერბურგშ[illegible] სანდო კაცის გაგზავნა, რათა მას სასწრაფოდ ეყიდნა ეს ელექტროსადგური. სულ რვა-ცხრა დღე გაგრძელდა ეს საქმე. გაგზავნილმა რწმუნებულმა საქმის გათავება დეპეშით შეგვატყობინა. ელექტროსადგურის მხრივაც თეატრი უზრუნველი იყო.

ახლად გადაკეთებული თეატრი 1912 წ. დეკემბრის 14-ს გაიხსნა. იმ დღეს „სამშობლო“ წარმოადგინეს. თეატრი სადღესასწაულოდ იყო გაჩაღებული. გაფართოებული ელექტროსადგური და სცენის ელექტრომოწყობილობა, ახალი აპარატები სხვადასხვა ეფექტებისათვის პირველი იყო ტფილისში.

თეატრის ადმინისტრაციის დაუდევრობით 1914 წელს ეს თეატრი დაიწვა. ქართული დრამატიული დასი კვლავ უთეატროდ დარჩა. მართალია, მერე შეაკეთეს, მაგრამ დაიწვა და დაიკარგა ყველაფერი, რაც თეატრისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და რის შეძენა და განახლება თ.-აზნაურობამ აღარ იკისრა. 1914 წ. ევროპიდან რომ დავბრუნდი, თეატრი სრულიად დამწვარი დამხვდა.

1913 წ. დრ. საზ-ს გამგეობის თავმჯდომარეობას თავი დავანებე. ამის მიზეზი ჩემს წინააღმდეგ აქა-იქ წარმოებული ინტრიგა იყო. სცდილობდენ დაერღვიათ შემოღებული დისციპლინა და სხ.

1913 წელს ევროპაში მეტ ხანს ვიყავი კონცესიების გამო. ტფილისში დავბრუნდი თუ არა, კვლავ განვაგრძე ტფილისის გამგეობასთან მოლაპარაკება ჰიდრო-ელექტროსადგურის აგების და განათების კონცესიის შესახებ.

[illegible]